

119
1960/4

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მნათობი

4

საკვილი



1960



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივპოლიტიკური ძუჭრნალი

წელიწადი 37-ე

№ 4

აპრილი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

2028

შინაარსი

ბაკრაძე შინუბა — ლენინთან. თარგმანი კარლო კალაძისა	3
ვახილ ვაბტაძე — საუკუნეთა დიდო იმედო. ლექსი	5
ივანე ცხოვრებოვი — აქ ცხოვრობდა ლენინი. ლექსი. თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა	6
სილოვან ნარიშკინი — უსაზღვრო ძალა. ლექსი	7
გურამ კლდიაშვილი — ლაპარაკობს ლენინი. ლექსი	8
მკრტიან კორიუნი — პარიზში ილიჩთან, მოგონება. თარგმანი აჩილ და ივანე დავითიანებისა	9
შალვა ამისულაშვილი — მთვარის პოემა. პოემა	17
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომინი. წიგნი მეორე. გაგრძელება	22
ტარიელ კანტურია — ლექსები	52
დიდარ ივარდავა — ლექსები	54
მირზა იბრაჰიმოვი — მედინას გული. მოთხრობა. თარგმანი მიხეილ ყვარელიაშვილისა	55
ოსმან სარციელი — ბაქოს ჩირაღდნები, ლექსი. თარგმანი აზერბაიჯანულიდან ლეონავრაძისა	73
ნიკიარ რაფიბეილი — მე შენ მიყვარხარ, ადამიანი! ლექსი თარგმანი თეიმურაზ ჯანგულაშვილისა	75

3. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი

მ. ცერცვაძე — ე. ი. ლენინი და საბჭოთა ხელსუფლებისათვის ბრძოლა საქართველოში	76
ე. ბურჭულაძე — ლენინიზმი — საბჭოთა და მსოფლიო მოწინავე კულტურის იდეური საფუძველი	82
მედი კილაბერია — ე. ი. ლენინის იდეების დაცვის ისტორიიდან საქართველოში	86

თბ. მეორე გვ.

განმომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»



სიმონ არველაძე — ე. ი. ლენინის სახე სახალხო დემოკრატიის ხალხთა პოეზიაში	98
მ. შიქაშვიძე — ლენინური ეტაპი მარქსისტული ესთეტიკის განვითარებაში	105
გელა შივაჯანაძე — შეხვედრა ე. ი. ლენინთან	110
მ. გოგიძე — ე. ი. ლენინი კრემლში	119



აზმარაიჯანური საბავროთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი

ნებთი ზუსტინი — მეგობრობისა და ძმობის იდეალების ზეიმი	117
---	-----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვაჟა მებუჯე — თანამედროვეობა უპირველეს ყოვლისა	122
პაატა გუგუშვილი — სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი, დასასრული	126
მიხეილ ჩიქოვანი — ამირან-დარეჯანიანის ფოლკლორული წყაროების პრობლემა	136
დავით ჩაკვეტაძე — აყაყი — ქართველი ერის ისტორიის მკვლევარი	149
პროკოფი რატიაინი — ქართველი ხალხის რევოლუციურ განმთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან. ვაგრძელება	158
დავროსი კალანდაძე — დიპლომატი გულა	165

ხელოვნების საკითხები

მ. გორდეზიანი — საქართველოს მხატვარ ქალთა ნაშენებულების გამოფენა	168
კირილე ზდანევიჩი — საქართველოს ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა	174

წიგნების მიმოხილვა

ს. ზუციშვილი — თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში	179
თენგიზ ჩხეიძე — წიგნი ქართული საბჭოთა კულტურის შესახებ	181
ნოდარ რუხაძე — ლენინის „დრამები“	184
დ. პავლიაშვილი — მემოსტნეობა თბილისის სანახებში	186
ვ. დათუაშვილი — სასარგებლო ნაშრომი საქართველოს სახალხო მუერნეობაზე	188
ც. თაღურდიძე — დიენისის „პიკეიკის კლუბის წანაწერები“ ქართულ ენაზე	191
ახალი წიგნები	გარეკანის მესამე გვ.

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბუქდად 6/IV-60 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7 1/4×12 1/2. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 12. პირობითი ფორმათა რაოდენობა 16. უე 02830 ტარაჟი 6000. შეკვეთა № 827.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკომპლემენტების ბექდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



ბებიაშ შინაუბა



ლენინისა

უმალ, როცა ოქტომბრის
 შუქმა ცაში ინათა —
 აფხაზების შორეულ
 მთებსაც მოეფინა და
 გადასწყვიტეს ენახათ
 ერთხელ მანც ლენინი, —
 იმ დიდებულ დღეების
 ნათელ მზედ მოვლენილი!

წინ გულდაგულ აღუდგნენ
 ქარბუქს მტერზე უარესს,
 ციდან ცამდე დათოვლილ
 მთაბარს გადაუარეს...
 მისწრაფება არასდროს
 ქარით არ ჩაქრობილა,
 შორეული მოსკოვი
 გულთან ახლო ყოფილა!

და იმ დიღბთ, როდესაც
 კრემლის კარი გაიღო,
 მათი სიტყვა ლენინმა
 უსიტყვოდაც გაიგო —
 დავსხდეთ, ვილაპარაკოთ,
 დავსხდეთ, — ამბობს ლენინი, —
 სულში ჩამწვდომ ღიმილით
 ეიწროდ თვალგახელილი.

გადახედეს ერთმანეთს
 შორიდებთ, გლეხურად,
 ფეხის მორთხმა კი არა —
 დგომაც ეუხერხულათ.
 გულზე ხელის დადებით
 უთხრეს მხოლოდ სალამი,
 დარჩა ირგვლივ სიჩუმე
 ისე გაუზზარავი.

სათქმელი კა სათქმელი
 აქვთ მრავალზე მრავალი,
 იმედავით ერთია
 მზე ცად ამომავალი!

და მზე-ქაცის ღიმილმა
 აბა, ვინ არ აანთოს! —
 გულს თუ გულისნადები
 უნდა ლენინს გაანდოს...

მმა ასეთი მგზნებარე
 ჯერ აქ მმას არ ჰყოლია,
 და ლენინმა ნელ-ნელა
 ყველა დამყოლია:
 შემოისხა გარშემო
 ყველა ვინც კი იქ იდგა,
 მათი ახალ ცხოვრების
 სიკვარვე იკითხა.

იცის ძველი ვაება,
 და სიამე ახლისა,
 გლეხის ფაცხას ენდობა,
 გლეხის კაცს და სახნისსა!
 თქვა რომ მკლავი გავშალოთ
 დღე თუ გვევიწროება, —
 ყველას გაღმა გაგვიყვანს
 ჩვენი მმაფრი დროება!

დაუცხრომელ ხალხსით
 ლაპარაკობს ლენინი,
 სიყვარულით აფხაზთა
 მღელვარ გულს მიწვდენილი.
 ჯა აფხაზთაც სიმტკიცეც
 ახლა უფრო დიდია, —
 ყველა სიტყვა მომავალ
 დღეთა გზა-და-ხილია!

ესმით, ესმით ბელადის,
 სჯერათ მისი თვალების,
 ისიც მკვიდრი ყოფილა
 შორი მთის მწვერვალებს...
 და რამდენად ეს წუთი
 წუთზე საყვარელია,
 განშორებას იმდენად
 გულის ტკენით ელიან.

მთელს ქვეყანას ვკუთენის
 ყოველი დღე ბელადის —
 ცად ამართულ მთებიდან
 ამ დათოვილ ველამდის!
 აფხაზური თავაზით
 დასთმეს ყველა წუთები,
 ნაბდის ფრთები მოისხეს,
 დაიხურეს ქულები...

მოეკრძალენ მასპინძელს,
 გული გულს აჩქარებდა,
 მაგრამ წამით შეჩერდნენ
 მაინც კრემლის კარებთან.
 თოვს და ირგვლივ მიდამო
 ქარით დაზაფრულია, —
 იქ კი ახლა, სოხუმში
 უკვე გაზაფხულია!

ზღვის ნაპირზე, ტალღების
 დღევით გამლილ ბწყარებთან,
 ახლა ჩვენი ლენინის
 თვალც გაიხარებდა!
 გვიანდაა წუხილი,

გამჭრალ წუთის ძიება, ^{ეკონომული}
 არცერთ სტუმართმოყვარე ^{სტუმართმოყვარე}
 ეს არ გვეპატიება,

ჩვენი მასთან შეხვედრა
 ისე როგორ გავთიშეთ —
 რომ ლენინი სოხუმში
 აღარ მოვიპატიეთ!..

...შინ დაბრუნდნენ. გავიდა
 წელიწადი მრავალი,
 ცაზე ისევ ლენინის
 მზეა ამომავალი.
 ახალ-ახლად აშენდა
 ქალაქი და სოფელი,
 მაგრამ გულში მოხუცებს
 დარჩათ ჩაუქრობელი:

— ვის ნახავდა უკეთესს
 ბალი ფერად-ფერადი —
 და ვერ მოვიპატიეთ
 სტუმრად თვითონ ბელადი!

თარგმანი კარლო კალაძისა



საუკუნეთა დიდო იმედო

შენ დაიბადე და ღრუბლებით შემოზვინული
გაკრთა სიბნელე, ტრამალებზე ბინდი აინგრა,
ვოლგის ნაპირებს შემოატყდა უცებ ყინული
და დამდნარ ჭირხლში თვალგახსნილი დადგა ტაიგა.

შენ დაიბადე და ცა ნისლმა ვეღარ დაბინდა,
ყურუმ ღამეში უცეცარი გაჩნდა ხანძარი...
შენ დედამიწა მოგელოდა დასაბამიდან,
შენ დედამიწა ზომალდივით მზისკენ დასძარი.

შენს შუბლს, ნათელ შუბლს, მილიონთა ბედი მიენდო,
ქეშმარიტებას მეტყველებდი უბრალო ენით;
საუკუნეთა დიდო ფიქრო, დიდო იმედო,
ხალხის გულივით ალალო და მართალო, ლენინ!

ხალხის გულებში ჩანთებულო დღევ სხივნაყარო,
უთვლელ უსაზღვრო სივრცეების აბუბუნებავე,
ერთი დაკვრით რომ შეაბრუნე მთელი სამყარო
და მზის ვარაყში ნახატივით ჩასვი ბუნება.

ოქროს ზვირთივით წამოვიდა შუქი თენების,
თბილი მარჯვენა დაეფარა მტკივან იარებს;
წყალს გზა მიეცი მაგ მადლიან ხელის ჩვენებით
და ტურბინებში მზის სინათლედ ააბრიალე.

ხარობს სამშობლო, შენი თვალით ნაალერსები,
მკერდი ჩაითბეს მყინვარებშიც ამპარტაუნებში;
მთებზე, თხემებზე შემართული დგანან პესები,
მწიფე თავთავებს ანანავებს სიო თავნება:

პურის თავთუხებს, მწვანე ყანებს, ბაღებს, ხეხილებს,
მიწას, — ოქროთი რომ უღვივის უბე-კალთები,
ხევეს, მწვერვალებს, ცადმიჭედილ მთათა გრეხილებს, —
შენი უქრობი, მარადისი ადგათ ნათელი...

აჰა, მოდიან მოშრიალე დროშის ფარჩებით;
მოდიან შენსკენ სიმღერებით, ვარდების ფენით.
შენს ხალხს, შენს მიწას, — ომგამოვლილს, ახლად
გაჩენილს,
შენს დიდ ქვეყანას ზეიმი აქვს, ძვირფასო ლენინ!



ამ მხოვარაძე ლენინი

მე მქონდა ერთი ოცნება მწველი —
მენახა კრემლი — სიცოცხლის მცველი,
მენახა ლალის ვარსკვლავთა ბრწყინვა
და საყვარელი ლენინის ბინა.

...ო, სიზმარია თუ საოცრება? —
კრემლში ვარ! ახდა ჩემი ოცნება!
აი ის ბინაც — უბრალო, მშვიდი,
სადაც ცხოვრობდა ლენინი დიდი.
ბრძენაკაცის სულთქმა ქარიშხლიანი
ამ კედლებიდან გადის შრიალით
და მთელ უსაზღვრო ქვეყნიერებას
სწვდება სიბრძნედ და ბედნიერებად.

სამზარეულოს ვეწვიეთ ჯერა,
ერთმა მაგიდამ მომტაცა მზერა,
მასზე სპილენძის ღიმიის მთოვარი
გაციებული დგას სამოვარი.
მე კი მგონია ჩაი დულდება
და ჰა, ლენინიც შემოშუქდება.
შემოვა ჩვეულ ნაბიჯით ჩქარით
და ფეხზე მდგარი მიირთმევს ჩაის.
აგერ ლუმელის წინა დგას სკამი,
ილიჩი აქ თუ ჯდებოდა წამით...
დასასვენებლად მას სად ეცალა, —
ჩვენთვის ხარჯავდა მუდამ მზე ძალას.
ლუმელს მე კრძალვით შევახე ხელი,
აქვე ჰკიდია საცერი ძველი.
აგერა კოვზიც, ხისაგან თლილი,
ეს კოვზი ძლიერ უყვარდა ილიჩს.
და იმავ წუთში აღსდგა ჩემს თვალწინ
მთაში მცხოვრები ათი წლის კაცი.
ის სწორედ ასეთ კოვზებსა სთლიდა,
ხალხსაც ისტატი უყვარდა დიდად,
იქნებ ეს კოვზიც, სათუთად თლილი,
მან გაუგზავნა საჩუქრად ილიჩს...

ერთმანეთს გულის ცემას რომ ვუგებთ,
ერთ სამუშაო ოთახში უკვე.
მგზნებარე ბაგით ნაამბორები
დუმს მაგიდაზე ტელეფონები.
ჩამოდებული აქვს ერთს ყურმილი,
ჩუ, არ დაირღვეს დიდი დუმილი! —
ვინ იცის, იქნებ რეკდა თბილისი
და ტელეფონთან მოდის ილიჩი...
ილიჩის პალმა დგას ფანჯრის წინა,
მას ზამთარ-ზაფხულ არასდროს სძინავს,
უცდის, — ფანჯრიდან ილიჩის თვალმა
გადმოაფრქვეოს მზის შუქი პალმას.
და ამ ფანჯრიდან ყველაზე უკეთ
შავი ზღვის პალმებს დღეს ვხედავთ

უკვე

ო, ეს კედლები, რარივ დიდია.
ზედ კავკასიის რუკაც ჰკიდია,
ვით ახდენილი ფიქრი და ნატვრა
„ოსეთი“ — მასზე სწერია ნათლად.
ის დაჰყურებდა ხშირად ამ რუკას,
ვინც მოგვევლინა სიცოცხლის შექად.
ო, კავკასიის მაღალო მთებო,
უხვო ველებო და ჩანჩქერებო,
ჩემო ოსეთო, სამშობლო-დედავ,
დიდი ლენინის ოთახში გხედავთ.
გხედავთ და მხოლოდ იმასა ვწუხვარ,
ვინც მოგვიტანა სიცოცხლე უხვად,
ვინც ყველა ხალხებს დაგვაძმობილა,
ჩვენს მიწაწყალზე თვით არ ყოფილა.
მაგრამ რას ვამბობ?

ის იყო ჩვენთან,
ის აქ, ოსეთშიც ჩვენს ბედსა სქედდა.
მან მოგვილოცა რევოლუციო,
ეს ნათელი დღეც მას მოუტია.
მარად ჩაუშქრალ მნათობის დარი
ის ჩვენთან იყო, ის ჩვენთან არის!

თარგმანი თ. ჯანაშვილისა

სიღვანე ნარიანიძე



უსაზღვრო ქალა

აი, სურათი: — ბურღაყები ვოლგაზე
გემებს

მიაცურებენ,
 მოღლილი ძირს ენარცხებიან,
 იშმუშნებიან,
 კვლავ დგებიან, იმართებიან.
 ნარ-ეკლებია
 ხრამებია, რიყის ქვებია,
 ვოლგისპირეთის ძეძვიანი ნაპირებია.
 ფეხშიშველები თოკებს კისრით
 ჩასკიდებიან...

იყავ ასეთი, უსასოო, დამცირებული,
 ს-სხლის და ცრემლის ნაკადებით
 დამძიმებული,
 განაწამებო დაგვეშულო,
 ვრცელო რუსეთო!

აგერ სურათი: — დაბალი ღობე-
 ცარიზმის გულქვა მოხელები:
 ბოჭაულები, სტრაჟნიკები — ზელში,
 მათრახით,

ჩამონგრეული სახლის კერი, ობლის
 ცრემლები.
 იყავ ასეთი უსასოო, დამცირებული,
 ჩვენთა დედათგან ნაადრევად
 დატირებული,
 სამშობლოვ ჩემო,
 შენ საქართველოვ!..

სისხლი და ცრემლი...
 ფეხზე დადგნენ მილიონები,
 იყო სიმძლავრე, აზვირთება
 განუზომელი,
 და ისტორიის ვრცელ ჰორიზონტზე,
 წითელი დროშა ცად განფენილი —

გამოჩნდა,
 მასზე აღიბეჭდა სახე ლენინის.
 ეს იყო ცხრას ჩვიდმეტი წელი,
 ის დაბადების დღეც იყო ჩვენი,
 განახლებათა ფიქრთა მომცველი,
 რომ შესძრა ირგვლივ სამყარო ვრცელი.

გუშინ ვიხილე, — გაარღვია რაკეტამ
 სივრცე,
 ვნახე ჩაუშვეს ატომური „ლენინი“
 ზღვაში
 ჩვენმა გმირებმა სიხარულით მკერდი
 გააესეს,
 და ყველა ამბობს, გაეფრინდებით
 მთვარესთან ცაში.
 შთამომავალნი ბურღაყების ამბობენ
 ამას,

გიკვირთო?..
 თუ არა!

ყოველდღიურად ემატება ცხოვრებას
 ჩვენსას,

მაჯისცემკ და
 წინ მივილტვით დიდი მიზნსკენ,
 სიკეთე ბოროტს დაამარცხებს,
 შენება — ნგრევას
 გონება კაცთა — უგონობას,
 ბნელს კი — სინათლე...
 დედამიწაზე სულ მშვიდობა

გაბატონდება,
 დიადი რწმენა, დიდი მიზანი,
 ადამიანი!..
 უფრო წინ წავა, ამაღლდება ადამიანი,
 ადამიანი,
 მხოლოდ კარგი ადამიანი!

გუგამ კლიაშვილი



ლაპარაკობს ლენინი

მზე ამ მიწაზე
იწყებს ნათებას,
მზე მცხუნვარე და ცადაფრენილი,
რადგან კრემლია
ჩვენი კათედრა,
რადგან ჩვენა გვყავს დიდი ლენინი.

მისი სახელით
ყველგან გვიწამეს —
მზეს ვეტრფოდით თუ ღამეს ვათევდით,
მან გაგვიწალდა
დედამიწაზე
გზა გამარჯვების, გზა ერთადერთი.

ის ლაპარაკობს...
ჩვენო მოძმენო,
დრო არის ქმობის ჰიმნი გახშირდეს,
დრო არის უკვე
გზები მოძებნოთ,
და დიად მოსკოვს დაუკავშირდეთ.
დღეს ღამის არის
მარსზე ავიკრეთ,
თუკი ოდესმე ჰგავდა შორებელს,
ჩემი მეზობლის

პატარა ბიჭიც
სიარულს სწავლობს ხარაჩოვბზე.

ლენინს უსმინეთ
ჩემო მოძმენო,
დრო არის ქმობის ჰიმნი გახშირდეს,
დრო არის უკვე
გზები მოძებნოთ
და მშვიდობის ხალხს დაუკავშირდეთ.

ჩვენ ერთად ყოფნა
აღრეც გემართებდა
და ახლა ნულა დავაგვიანებთ,
დღეს მოსკოვში აქვთ
დიდი კათედრა
მშვიდობისმოყვარე ადამიანებს.

მზე მის კალთებზე
იწყებს ნათებას,
მზე ბრწყინვალე და ცადაფრენილი,
რადგან კრემლია
ჩვენი კათედრა,
რადგან ჩვენა გვყავს დიდი ლენინი.



პარიზში — ილიჩთან

განვიჩინო და ფართო შარა-გზა ავრთვინო
თბილისს მცხეთასთან. ამ გზაზე ხშირად შეხვე-
დებოდათ ვინაზიანელებს, რომლებიც ველოსი-
პედლებით მზიარულად დაჰქროდნენ, ერთი მეო-
რეს ევკობრებოდნენ, ხუმრობდნენ.

კამოს გაქცევის დღიდან ამ გზაზე საგან-
გებო საგუშაგო მოეწყო, რომელსაც დავაღე-
ბული ჰქონდა კამოს შეპყრობა. საყარაულოს
ჯარისკაცები ახალგაზრდების მზიარული დროს-
ტარების ცქერით ირთობდნენ თავს, მაგრამ
თან თვალყურს ადევნებდნენ, რომ სეირნო-
ბის აზარტში შესულ ქალ-ვაჟთ სეირაულოს
სამთავალუერო საზღვარი არ გადაეღობათ,
აქრალულ ზონას არ სცილდებოდნენ.

პირველ ხანებში ჯარისკაცები მკაცრად იცა-
დნენ წესრიგს, არავის აძლევდნენ ნებას აკრ-
ძალეულ ზონა გადაეღობა, მაგრამ მერე თან-
დათან შეუწყვეს ხელი, ყურადღებებს აღარ
აქცევდნენ.

გზაზე ველოსიპედებით მოსეირნე ახალგაზრ-
დებს ერთ-ერთ ჯგუფში ერთი კამოც, მაგრამ
ვინაზისტს ტანსაცმელს ისე გამოეცვალა
იგი, რომ მწელი გამოსაცნობი იყო. ერთ დღეს
ვაჟები და ქალიშვილები ჯვარისკაცებს გარს
შემოვრტყნენ, ხუმრობა დაეწყეს და ტყბილე-
ულით უმასპინძლებოდნენ. ამით ისარგებლა
კამომ, ოთხი ამხანაგის თანხლებით აქრალულ
ზონას გასცლდა და მცხეთისაკენ მოუსკა.
უკანსკელ მოსახვეუმი კამო ამხანაგებს ვა-
მოეთხოვა და მარტოღმარტო განაგრძო გზა.
მცხეთის მისადგომებთან კამოს ბრტყებში დამა-
ლული ამხანაგი დაუხვდა, ტანისამოსი გადას-
ცა. კამომ სწრაფად გამოაცვალა ვინაზიანელის
ფორმა და ამხანაგის თანხლებით მცხეთაში
მივიდა. ამ დღეს აქ ქორწილი იყო გამართო-
ლი, ოთქმის მთელ სოფელს მოეყრა თავი
ზეიმზე. ქრტებში კანტა-ყენტად ჩანდა ვამე-
ლელ-გამოვლელი. შუადამუშდის, მატარებლის
მოსვლამდე, კამო თავისუფლად დაეხეტებოდა
სოფელში და დეწერილებით უამბობდა ამხა-
ნაგს თავისი ორი წლის თავგადასავალს. შუა
ღამისას სადგურს მიაშურა. გამოეშვიდობა
ამხანაგს, ჩაჯდა მატარებელში და მეორე
დღეს, დილით ბათუმში ამოჰყო თავი. ბათუმ-
ში ნადრობი მებრეადრის დახმარებით კამო
სადარაგეთის გეშში ასკლა და საბარგო გან-
ყოფილებაში კარტებსა და ყურთებ შუა დამალ-
ვა მოახტბა.

ივლისის ცხელი დღე იდგა. სადამობანს საფ-
რანგეთის გეშში ღუზა აუშვა და დინჯად გა-
ვიდა ბათუმის ნავსადგურიდან. ნაპირი წელ-
წელა ფეარებოდა თვალის არეს და მალე ირგე-
ლიე მზოლოდ იისფერი ზღვა და ქოლგასავით
გაღმზობრტლი ფირტვის ფერი ცა მოხანდა.

კასრებსა და ყურთებშუა ვახერგილი კამო
ძალიან კარგ ხასიათზე იყო, არასოდეს არ
უფრტყნია იმდენი სიამოვნება, რამდენსაც ამ-
ჯერად. ეს მოგზაურობა მის გულს სულ სხვა
რიგად ესალბუნებოდა რატომღაც. მზე აგერ-
აგერ ჩაესვენებოდა ზღვაში და მისი სხივე-
ბანაგან წითლად გაჰქონდა დიდდეთ ზღვის
მოსარკულ ზედაპირს. ცაზე ღრუბლების ნაფ-
ლეუტებსაც ვარდისფერი დაჰქრავდა. ღრუბლე-
ბის ანარკელი ზღვაში ისე მოხანდა, როგორც
ლილაგაულებულ წყალში ქაოქათა ცხვირსახო-
მი.

სატყირთო გეში თამამად მოამბობდა ვარდის-
ფრად შეფერილ ზღვის ზედაპირს და უკან
აქაუბებულ ტალღების ბორცვებს სტოვებდა.
მზის ჩასვლისთანავე ჯადოსნური ფერები
გაქრა და მთიარის შექვე ზღვაიცა და ცა
ვერცხლის სიშოსში გაეხეია... ასე ვანწეორდა
ორ დღეს და მესამე დღეს გეში მარსელის
ნავსადგურში შესრიალდა. კამო მებრეადრის
დახმარებით მშვიდობიანად გადავიდა ხმელეთ-
ზე, თავისუფლად ამოისუნთქა და პარტს საკენ
გაეშახტა.

მეორე დღეს, დილის ათ საათზე მატარებე-
ლში კამო პარტში ჩაიყვანა. სადგურზე ვახე-
რებისთანავე ვაგონში ამოვიდნენ პარტის წამ-
ლები მეშუბი და მებრეადრებს ეხმარებოდნენ
ტყირთის გადასაღვაში. კამოს არაფერი გაა-
ნნდა, ვხვინიდან ჩამოვიდა, მთხებლ-მოხებდა
ეკთილმოწყობილ სადგურში, სისუფთავით და
წესრიგით რომ გამოირჩეოდა, და დიტროეს
ხეივანი ლიფ-დე-ლიონ ქუნას გაუდგა.

უცნობი ქალაქის ქრტაში გასვლისას კამოს
თვალში ეცა, უპირველესყოვლისა, მწვანე ნარ-
გავებისა და ყვავახანების სომრავლე. ყოველ
ნათხებზე კამოს ყვავახანა ხედებოდა. მან კარ-
გად იცოდა, რომ ეს უბანი, სადაც ილიჩი
ცხოვრობდა დიდი მანძილით იყო დამორტყე-
ლი იმ მხარტს, სადაც თვითონ იმყოფებოდა.
მეორე ქალაქის ვაგონობის მიზნით ერთხანს
ფეხით არჩია წასვლა.

ქრტაში ხალხი მწერტბავით ისე ირკოდა.



ეგონა ტიანჯელებს ბედში მოხვდები. თიანჯედილებზეთ მოქანელმა კამომ ერთ-ერთ ყავახანს მიამტოვა, ეთხებენ მიჯღმა და ჩემად აფენებდა თვალურს ყავახანში შემოსულ პარიზელთა ყოფა-ქცევას. იქ ყოფნისას იკვამლე დარწმუნდა, რომ ყავახანში პარიზელები მარტო დროს გასატარებლად როდია შემოდიოდნენ, არამედ საქმიანი საუბრისათვისაც. აი მის პირდაპირ ორ ახალგაზრდა ევრნალიტს თითო ფინჯანი ყავა უდგამთ, გახეთქს კოხტლობენ და ჩალაყავს ცხარედ კამათობენ; მკორე ეთხებენ დარბაისელ თამაჯარა მხატვარს ფუნჯა მოუმარჯვებია და გულმოდგინედ ხატეს ხანდახმელი კაცის პორტრეტს. ეცნობი ეტყობა მწერალია, თავისი ფაქრებით ვატყებელა გამოლებით წარს და ყურადღებს არ აქცევს ყავახანში მოფურცულ ხალხის საქმიანობას; სხვება დროს ატარებენ. ოხერჯობენ. ერთმანეთს სასმელს თავაზობენ. მესაყა გუგუნებს, სიმღერა ყავახანის ცელებს ეხლება. გარსონები სწრაფად მიდიოდნენ და ზრდილობიანად ემსახურებოდნენ კლიენტებს. ყავახანის მკადამებზე ლარნაყებით ყვავილები ალაგია, კამომ ერთი ჭიქა ყავა შესვა, ვარტე გამოვიდა, დახერხელა ეტლი დაქირავა და მისამართი უჩვენა. ეტლი მოწყდა აფგილიდან და გეზი ორღენის ქუჩისაკენ აიღო. სადაც ილიჩი ცხოვრობდა.

1909 წლის დეკემბერში ილიჩი ოჯახით გადმოსახლდა შვეიცარიიდან და პარიზში ცხოვრობდა. კამოს ვაგებელა ჰქონდა, რომ ლენინის ბინა მანქანის პარკის მახლობლად მდებარეობდა. კამომ მეეტლის დახმარებით მიავანო ლენინის ბინას, მეეტლე გაისტუმრა და სახლს დახერხელ კარებთან შეჩერდა. ილიჩის ნახვის სურვილით აღფრთოვანებულს გულადს უტყვიდა, თითქმის მკერდიდან ამოყარდას ლამობსო.

— კარს ნეტა ვინ გამოიღებს? ვთქვით ლენინმა გამოიღო, მერე და როგორ უნდა მოვიქცე? უხერხელი ხომ არ იქნება, რომ მოვუხეციო? — ფაქრობდა კამო და ერთ აფგილზე ტყენიდა. დიდხანს ყოყმანობდა, ვერ ბედავდა ელემტროლიაკზე ხელის მოკრებას, დღევად.

თავისთავთან ეს კიდილი კარგა ხანს ვაგობელდა, ბოლოს როგორც იქნა ძალღონე მოკარბა და დღევას თითი გაუბედავად შეახო. კარს იქით ზარმა დააქრიალა, მერე ფეხს ხმა მოისმა, კარი გაიღო და ზღერბლზე კრუპსკია გამოჩნდა.

— ააა... ააა... ეგ თქვენა ხართ? — მხიარულად წამოიძახა კრუპსკიამ და გულთბილად სახლში შეიპატოცა.

კამომ მორიდებით ჩამოართვა ხელი და შიგნით შევიდა.

ლენინის ბინა რამოდენიმე სართულს დასრულთ ოთახისაგან შესდგებოდა. მისივე სკამებისა და ცხოვრობდა, მკორეში ილიჩისა და მარია ილიჩისა, რომელიც მისი სანახავად ჩამოსულიყო, მესამე — მისაღებ ოთახს წარმოადგენდა, ხოლო მეოთხე ილიჩის სამშენაო კამერადა და საინჟინერო ოთახს.

კრუპსკიამ კამო უბრალოდ ვაწყობილ მისაღებ ოთახში შეიყვანა, სკამი შესთავაზა და როცა კამო დაეჯდა, თვითონაც მის გვერდით დაიპირა აფგილი და დაიწყო:

— ჩვენ ყველაფერი ვიცით, რაც ვადაგებდა ბურჟუაზიის გავიფიქრე, რომ ბურჟუაზიის ციხეში წელიწადნახევარი იჯექით, სიგავე მოგონეთ, იქიდან რუსეთში დაგაბრუნეს, მერე თბილისში — მეტეხის ციხეში. ახლა მომუშავეთ ციხიდან განთავსებულებისა და პარიზში ჩამოსვლის ამბები.

კამომ მოკლედ უპასუხა ამხანაგების დახმარებით როგორ ვაიქცა თბილისის მხხილოცის საავადმყოფოდან და პარიზში როგორ ჩამოვიდა. როცა თავისი თავგადასავლის იხრობა დაამთავრა, კამომ კრუპსკიას მორიდებით მიმართა:

— ნადევდა კონსტანტინოვნა, ჩემი თავგადასავალი პარადულ ჩემთვის იმდენად საინტერესო არ არის, რამდენადაც ილიჩის ცხოვრებისა და მშენაო კლასის უკანასკნელი ბრძოლების შესახებ ორიოდე სიტყვის მოსმენა.

— ალბათ იმიტომ, რომ თქვენ უკვე კარგა ხანია მოწყვეტილი იყავით ჩვენს საერაო საქმეს. მე მესმის შენი გულისთქმა — გულისთქმა მთელი არსებით მშენაო კლასის განთავსებულებისათვის მებრძოლი აღამაინისა, მტკიცე რევოლუციონერისა. ამ საქმეებზე, მეგობარო, ჩვენ კიდევ ბევრს ვისაუბრებთ, ახლა ალბათ დადელი იქნებით, ისაუბრებთ და პატარა ხანს მოისვენებთ.

კრუპსკიამ მამინვე სეფრის ვაწყობა დაიწყო მიუხედავად კამოს პროტესტისა. კამოს საუბრეს სთავაზობდა და მიუხედავად იმისა, რომ წასატყვევი იყო, თვითონაც შეაქცეოდა და სტუმრისად აქვებდა. თან რევოლუციონერი მობრძოლის აღმავლობაზე ესაუბრებოდა.

კამოს ვაყეროდ ვაგეო ბოგდანოვისა და ლენინს შორის მომხდარი განხეთქილების ამბავი და კრუპსკიას სთხოვა:

— ნადევდა კონსტანტინოვნა, ვთხოვთ ორიოდე სიტყვიით ამხანაო განხეთქილების მთავარი მიზეზი.

კრუპსკიამ თხოვნა აესრულა, მოკლედ ვაყერო ლენინა და ბოგდანოვს შორის მომხდარი განხეთქილების რაობა და ბოლოს სთხოვა, ცოტა ხანს მოესვენა. მკორე კამოს მთელი გულსყურა კარისკენ ჰქონდა, მოთმუნ-

ლადელოდებოდა ილიჩთან შეხვედრას, კრემ-სკაიამ გაიღიმა და უთხრა:

— კამო, იქონიეთ მოამბინება! ილიჩი ცოტას დაგიყვანებს.

— რატომ? — მიამატაღ შევეითხა კამო.

— ილიჩი ამჟამად ნაციონალურ ბიბლიოთე-კაში მეცადნეობს, მალე დაბრუნდება.

კამოს უნდოდა იქ წასვლა, მაგრამ კრემს-კაიამ მტკიცე უარი განაცხადა, სტუდარი მას-პინქელს უნდა დაემორჩილსო და საუბარი განაგრძო კამოსთვის საინტერესო თემებზე. ის იყო საუბარი დასასრულს ებსლოდებოდა რომ გაიღო კარი და ზღერბლზე ილიჩი გამოჩ-ნდა. კამოს გული შეუქანდა, გაწითლდა და უმაღლე ფეხზე წამოდგა. ილიჩს, მისთვის ჩვე-ული ღიმილით გაუბრწყინდა სახე, კამოს ხელი გაუწოდა და მხიარულად შესძახა:

— თქვენ აქ ხართ? რა მობარული ვარ... წაგიფლო ჩემთან...

კამომ მღელვარებულსაგან ძლივს შეიფარა თავი და მაგრად ჩამოართვა ხელი ილიჩს. ლენინმა მკლავში გაუყარა ხელი კამოს და კრემსკაის-თან ურთავ სამეფაო კაბინეტისკენ გასწიეს.



ილიჩის კაბინეტმა კამოზე უფრო ბიბლიო-თეკის შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე კაბი-ნეტისა. ყველგან წიგნები, ჟურნალ-გაზეთები ელევა. სამეფაო მაგიდაზე, ხელნაწერებს გვერდით კვირეული გაზეთის — „Современная жизнь.“ — ახალი ნომერი იდო. ილიჩმა გა-ზეთი აიღო და კამოს მიმართა:

— დაბრძანდით. ბერლინში თქვენი დამა-ტარებლისა და რუსეთში გადაგზავნის ამბავი დაწერილებით გამაძენს კარლ ლიბნეცტმა, ლუიზად კრასინმა და ისკარა კონმა ახლა მო-მეფეთ მომდევნო ამბები.

კამო დაწვრილებით მოსუვა თავის თავგადა-სავალს და თან თვალს არ ამორებდა ლენინს, რომელსაც თითები პოეტიკის საყრდენი გაყვარა და ოთახში ბოლოთაა სცემდა. ხანდახან შეჩერ-დებოდა, აღუჩინადა მიაშტერებუდა კამოს, კმაყოფილად იღიმებოდა. — ახლა რასა ფიქ-რობთ? — შევეითხა ილიჩი, როცა კამომ დაამ-თავრა თხრობა.

— მეც სწორედ ამის საკითხავად ჩამოვედი თქვენთან, ვლადიმერ ილიჩ. მსერს მოგეთათ-ბიროთ. მე შხად ვარ ყოველგვარი დავალებს შეეასრულო. — მტკიცედ უმატება კამომ.

ილიჩმა და კრემსკაიამ მხიარულად გააცო-ნეს. კამოს გულწრფელმა განცხადებამ მათზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

— მე ვფიქრობ, რომ პირველ ყოვლისა, თქვენ დასვენება და გამოჯანმრთლება გინ-დოთ. ახა. დახედეთ თქვენ თავს, როგორც ვა-მოცულობაბო, გამხდარბარო. ფერა დაგყარ-

ავათ. ჯანმრთელობას აღდგენა უნდა, თორემ რევოლუციისათვის სერიოზულ შედეგებს ვერ შეესაძლებთ! თქვენ ყველაფერს უნდა რეზონირებო...

კამო გულდასამით უმატებდა ილიჩს. კრემს-კაია თავის დღეობში რაღაც შენიშვნება აწერ-და მათი საუბრის შესახებ. ილიჩი მიუახლოვ-და კამოს, ხელი მხარზე დააფო და მეგობრუ-ლი საუბარი განაგრძო:

— აი, მე ვხედავ, რომ ყუშპარისაგან თვალი დაგზანდება. მეტრანლობა? რასაკვირველია, არა. მეტრანლობა ეს უფროდ საჭიროა: ვირ-სკეთ ბელგიაში წახვიდეთ, იქ თვალის გამო-ჩნეილი მეტრანლები არიან და მოგარჩენენ. მაშასადამე პირველ რიგში უნდა გამოჯანსაღ-დეთ, წინააღმდეგე ხომ არა ხართ?

ილიჩის მშობლიური მზრუნველობით გულ-ჩრეუბელი კამო გარინდებულ იჯდა და მთე-ლი არსებით უსმენდა. გულში თბილა, ტუბი-ლი რაღაც გრძნობა ეფრთხილდებდა და არ იყოფა, როგორ გადაეხადა მადლობა ლენინს-სათვის.

— თქვენ თბილი პალტო არა გაქვთ? — შევეითხა ილიჩი და შეათვალარა რა კამოს მოჩვეუბელი, გასრეცილი, სახაფხელო პალ-ტო, დაუმატა, — სტოკოლმში დედაჩემმა თბილი ქერქი მაძეცა, ბელგიაში წასვლიას გზაში რომ არ გაყოფდეთ, იმას ჩაიცმეთ.

ამის თქმა იყო და ლენინი მეორე ოთახში გავედა. კრემსკაიამ შეხედა კამოს და უთხრა:

— კამო, ილიჩს ქერქი ძალიან უყვარს. ჩანს თქვენც არანალებ ყვარებხართ, რომ ღედის ნაჩქებარ ქერქზე ხელს იღებს.

— ნადეედა კონსტანტინოენა, მე სიტყვას ვერა ვპოულობ, როგორ გადაეხადაო მადლო-ბა ილიჩს?

ილიჩი დაბრუნდა მეორე ოთახიდან. ქერქი კამოს წამოახა მხრებზე და დასძინა:

— მშვილობაში, ჩვენი კამო, ჩაიცეთ გზა-ში ეციება...

კამო მთლად დაიბნა. ილიჩის დადსულოვნე-ბამ. აღამინებრმა მზრუნველობამ გააოცა, ყუ-რებამდე გაწითლებული, გაცუბნებული იღვია, ერთხანს ხმას ვერ იღებდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა, „ქვირფასო ილიჩ“... წამოიღუღღღა და კრემლი მოაგვა თვალებზე.

ლენინა მოეხვია, გულში ჩაიყრა კამო და გაიშხენა. ამ წუთებში კამო ყველახე ბედნიერ კადად თვლდა თავის თავს, მან ხომ ასე ახ-ლოს იგრძნო ლენინის გულს ძეგრა...

— განიკრნეთ, გამოჯანმრთელდით და და-ნარჩენზე მერე ვიფიქროთ! თქვენ ჯერ ჩვენ-თვის ძალიან საჭირო ხართ! ახლა მიდით, დალ-ლული იქნებით და მოიხვენეთ. ნადეედა კონს-ტანტინოენა იზრუნებს თქვენს დასასვენებ-ლად. ნადია, წაიყვანეთ კამო, წაიღეთ ფერან-ვაზეთება, დაძინებამდის გაერთობით...

კამომ კიდევ და კიდევ მადლობა გადაუხადა ილიჩს, ღამეშემოდობისა უსურვა და ვაიხილა. კრუშკაია ფეხდაფეხი გასევა კამოს. კრუშკაიამ კამო ერთ პატარა კონტად მოწყობილ ოთახში შეიყვანა. კამომ ილიჩის მიერ ნაჩუქარი ქურტი კარადში ჩამოყიდა.

— კამო — უთხრა კრუშკაიამ, — მპატავთ, რომ შორტო გტოვებთ, მე საოჯახო საქმეები მაქვს გასაკეთებელი, თქვენ კი გახუთების კითხვით შეიჭყეტთ თავი.

— ნადეჟდა კონსტანტინოვნა, ნუთუ დროს ზოულობთ ოჯახური საქმეების მოსაწყისრივებლად?

— წარმოადგინეთ. ასე თუ ისე ყველაფერს თავს ვართმევე, ყველა საქმეს ეწევი. რენევაში უფრო ადვილი იყო ოჯახზე ზრუნვა, აქ კი აქტანელი ბიუროკრატიზმია. ახა წარმოადგინეთ ასეთი უთავბოლობა, ზაბლიოთყვიდან რომ წუნის გამოვიტანოთ, სახლის პატრონის თადებობაა საჭირო, ის კი თადების მოცემას ვაღრბის. პირველ ხანებში ოჯახური საქმეების გაკეთება მიძნელებოდა, ახლა შევეჩვიე. და თქვენი ცუდი დისასხლასი ვარ, ვლადიმერ ილიჩს მაინც მოსწონს.

— მე შეგონია. ილიჩი არც თქვენ დისასხლისობის შეფასებაში შეუცდება. — საცილოთ დასძინა კამომ.

— ესე იგი, თქვენც მოვეწონებათ? — საცილოთვე შეეკითხა კრუშკაია.

— ეპეტარეშეა... — გაიციან კამომ და ილიჩის მიერ გამოტანებულა ტერნალაგახუთების გადათავიერება დაიწყო.



კამოს ოთახი ილიჩის კაბინეტის გვერდით იყო. გახუთების თვლიერების დროს კამოს ხანდახან ვსოდა ხოლმე ილიჩის ფეხის ხმა მერბოვლ ოთახიდან. კამომ უფრადლება შეაჩერა. არაბონია ვახტანგი? მოთავსებულ ვლადიმერ ილიჩს სტატიაზე „პატრონობის გუქმების ორმოცდაათი წლის თავი“, ძალაღ დაინტერესდა, ვადაეკითხა წერალი და შემდეგი სტრიქონები ამოწერა: „საცილო-დემოკრატიამ განსწმინდა რა თავისი რიგები არასამედო პირებისაგან, რომლებმაც პირი იბრუნეს რევოლუციისაგან და შემთავ კლასის არაღებულ-რი პარტიისაგან, თავის რიგებს ამჟღადობს მომავალი ახალი ბრძოლებისათვის“.

ეს ადვილი კამომ რამდენჯერმე ვადაეკითხა. „მომავალი დიდი ბრძოლები... მე კი, მე რა მონაწილეობა შემძლია მველი?!“ — ეს ფიქრი უტრიალებდა თავში კამოს და ვანავრძობდა ვახუთების თვლიერებას. მისი ყურადღება ისევე ლენინის მეორე სტატიამ — „პაველ ხინგერის შესახებ“ — მიიხურა. კამომ გულდასმით ვადაეკითხა სტატია და შემდეგ ხაზი

ვადევა სტრიქონებს: „ადე მტრებმა წინასწარ არ ვიხარონ, მუშათა მძაბვი გერმანიაშიც და ყველა ქვეყნებშიც თანდათან უფრო მეტი დროუდებიან რევოლუციურ წრეებში.“

„ახა, ისევე რევოლუციის აღმავლობაზეა ლაპარაკი, ისევე მომავალ დიდი ბრძოლებისაგან მოწოდებს ილიჩი, მე კი მიგრებს ბელგიაში წასვლა დასავევებლად და სასაქონალად. ჩემო ძვირფასო ილიჩ, ასევე სერიოზულ და ვადაწვევებ დროს ვანა მე შემძლია საკუთარ თავზე ვიზრუნო, ჩემს დასვევებაზე ვიფიქრო? არა, არა და არა!“ — ფიქრობდა კამო და სახე პარტემად ეკმუნებოდა.

დადხანს იჯდა კამო, თავი მავიდაზე ვადედა, და იმაზე ფიქრობდა როგორ ვაეხედა ილიჩისათვის, რომ მას მკერნალაბა კი არა სურს, არამედ საჩქაროდ კავკასიაში დაბრუნება, სადაც ახალი რევოლუციური აღმავლობა უნდა დაწყებულყო. ამ ფიქრებში კამოს ჩასთვლია. ადარ ახსოვს რამდენი ხანი ექინა, თვალვები მხოლოდ მაშინ ვაახილა, როცა ზურგზე თბილი ქურტის სიმძიმე იგრძნო. მიახედა, მის უკან იჯდა ილიჩი. რამდელიც მხარეულად და მეგობრულად იღიმებოდა.

— კამო, ადვილი, აო ლოგინი ვამილია. მოისვენე. — უთხრა ლენინმა.

— ვლადიმერ ილიჩ, თქვენ ჩემს დასვევებაზე ზრუნავთ, ვაგრამ თქვენ თვითონ სულ არ ისვენებთ. ვანუწვევებლევ მუშაობთ...

ლენინი სკამზე ჩამოჯდა.

— ძვირფასო მეგობარო, ახლა ლაპარაკი თქვენს დასვევებას ეხება რადგან მკერნალაბა გქარდებათ. ახა, მოიგონეთ, ამ ხუთა-ექვსი წლის მანძილზე იმდენი წამება ვამოიარეთ, რომ... მოგონებაც კი მძიმეა...

— ვლადიმერ ილიჩ, იმ დიდი მიზნისათვის, რომელსაც სულით და გულით, მთელი არსებით თქვენ ვესახურებთ, სციოცლებაც არ დავზოვებ. როგორც მე მესმის ახლოვდება რევოლუციური აღმავლობის ხანა... ერთი მითხარით ნუთუ შემძლია, ასეთი ბოძოქარი დღეების მხოლოდინში ბელგიაში წაეიდე, მკერნალაობაზე ვიფიქრო?

— მამ, საით ამირებთ წასვლას? — შეეკითხა ილიჩი.

— მე კავკასია მავნიტივით მიზიდავს ვლადიმერ ილიჩ, ნუ მაიძულებთ ბელგიაში წასვლას ვთხოვთ. მპატივით, რომ თქვენი რჩევის შესრულება არ შემძლია ნება დამრთეთ, კავკასიაში წაეიდე?..

ილიჩი ფეხზე წამოდგა, წამოდგა კამომ.

— კარგა, მავზე ცალკე მოვითათობიროთ. ახლა კი დაწვიეთ, მოისვენეთ. ხვალ ნადეჟდა კონსტანტინოვნა პარჩის ლისსენსანიწმევე ქველებს ვაჩვენებთ. მე ვიარევეთ, პირველ რიგში პერლამეხას სასაფლაო ინახულეთ, სადაც

პარიზის კომუნის ყველა აღმართული... პარიზის კომუნის მებრძოლებს იგონებს არა მარტო საფრანგეთის მთელთა კლასი, არამედ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი: კომუნარება იმართდნენ მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, ყველა დამავრულოთ გასანთავისუფლებლად! იქიდან რომ დაბრუნდებით, სადამთაო წარმოდგენას დავესწრებით პარიზის მთელთა კარიონში. ახლა კი როგორც უფროსი გერმანიის, ისე გერმანიები—ღაწე და დისხევი!

— არის, ვწევები, ვსაყენებ — დიმილით გაიშორა კამომ და ფაიფუციით დაიწყო ტანსაცმლის გახდა.

ილიჩმა ნელა გაიღმა, „ღამე მშვიდობისა“ უფროსი, სწავლა ჩააჭრა და გამოვიდა კამო ჩაწვა ლოგანში, თმეცა ოთახში არა ცოცხად, მაგრამ ილიჩის ნაწეპარი ქერტი შინც დაიხურა, ფიჭრებს მიეცა და გონებაში მომავალი საფარისა საქმეების გეგმებს აღედგა. სანამ ძილი მოერეოდა, ყველა დიდხანს ესმოდა ილიჩის ტებილი და მეგობრული სიტყვები:

— განიერნეთ, მომჯობინდით, თქვენ ჯერ საქმით ხართ... დილით კამო კარების ფრთხილში კაენმა გამოაღვიძა.

დალილა და ნამგზავრმა კამომ ღამე კარგად გაატარა და გვარიანადღა დაასვენა კარების კაენზე იგი უმაღლე წამოტრა, ტანსაცმელი ჩაიყვანა და კარები გააღო. კარებში კრუპსკაია იდგა.

— კამო, სანადილო ოთახში გელოდებით! — ახლავე, მიუყო კამომ, პირი დაიბანა და სანადილო ოთახში შევიდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, კამო! — მიიწვია კრუპსკაიამ და თვალთ სკაშზე ანიშნა: დაიჯექით.

— ილიჩი სად არის? — იკითხა კამომ, ყველას მიესალმა და მავიდასთან ჩამოჯდა.

— ნაციონალური ბიბლიოთეკაში წავიდა სანეციალინოდ, — უბახუბა კრუპსკაიამ, ჩაიხუჭა დაუდგა და სთხოვა ისე მოიქცეო, როგორც საკეთარ სახლში.

— პარიზში, მეცადინეობისათვის მალზე ცუდი პირობებია — დაიწყო კრუპსკაიამ. — ნაციონალური ბიბლიოთეკა აქედან შორსაა, ილიჩი ადრე ღვება, რომ იქ დროზე მივიდეს. ბიბლიოთეკის მრავალი მკითხველ-მოკითხველი ქერება აქვს გასაყული. აი, შეხედეთ პარიზის რუკას, — ამის თქმზე კრუპსკაია მიუბახუბა აქედანზე გაკრულ რუკას.

კამოც წამოდგა და გულხანებით დაუწყო მერა რუკას.

— აი, ვი ჩვენი უბანია, ეგრეთწოდებულ მეთოთხმეტე ავენიუ დე ორლეანა. აქედან ნაციონალური ბიბლიოთეკამდე ილიჩმა უნდა გაიაროს მთელი ავენიუ დე ორლეანი, გაუადეს ლანდერშლოის მიოდანზე, საქ აღმართულია ცნობილი ფრანგი მოქანდაკის პარტიკული

ბელდორის ლოში), მერე ლანდერშლოის ქუჩით უნდა გავიდეს პარიზის ცენტრში, შეგდევ სენ მიშელის ხეივანში, მიანდევსა მდინარე სენას ნაპირს, გავიდეს კაპუცინების გამარჯვების თაღს, გაუ საფრანგეთის თეატრის მიოდანზე, საიდანაც იწყება რიუ დე რიშელეს ქუჩა. აი სწორედ მაგ ქუჩაზე მდებარეობს ნაციონალური ბიბლიოთეკა. ის ქუჩები საყვია აქავებული ტრანსპორტით და მოსაძარეულ ხალხით; დადიან ავტობუსები, ტრამვაი, ცხენის ვტლები, ომნიბუსება, ავტომანქანები, ველოსიპედისტები. პარიზის ქუჩებში სიარული მწელაა და დიდად საფრთხილო. ილიჩი ძალადა იღვება, თანაც ყოველი საჭირო წიგნის მიღებამა ბევრი დრო ვყარებდა.

— იცი თუ ვინ ვინ, ბიბლიოთეკაში ყოფნისას, ილიჩს ველოსიპედი მოპარეს, — ლახარაქში ჩაერია კრუპსკაიას დედა.

— როგორ? — იკითხა კამომ და განაგრძო ჩაის სმა.

— ილიჩი ველოსიპედს მუდამ სტოვებდა ერთი სახლის კიბეებზე, რისთვისაც 10 სანტიმეტრადი სახლის პატრონი. ერთხელ ველოსიპედი თვის ადგილზე აღარ დახვდა, მოეპარათ. სახლის პატრონი კი თავს იმით იმართლებდა, თურმე, რომ მე ველოსიპედის ყარაულოა როდი შევალეზოდაო. — უბამო კრუპსკაიამ.

ისაუბრეს, ჩაი დაყოლეს და შემდეგ კრუპსკაია და კამო გაემგზავრენ პერლანების განთქმულ სასაფლაოს სანახავედ.

— კამო, მონსურის პარკით გავიაროთ. ეს ბაღი პარიზის საუკეთესო სასიერო ადგილია! — სთქვა კრუპსკაიამ.

— საამოეწებით! — დეთანხმა კამო. და ისინი შევიდნენ მონსურის უზარმაზარ ბაღში. აქ კამოს ყურადღება მიიპყრო ზელოენერმა გორაკებმა, გამოქვაბულებმა, და ძველებმა გზადგმა კამო და კრუპსკაია ისვენებდნენ, ჩრდილო სკამებზე სხედობოდნენ, საურთობდნენ და მერე ისევ განაგრძობდნენ გზას. მონსურის პარკის მახლობლად კამომ თვლი მოჭრა მაღალ გუმბათთან შენობას, რომელიც არაბული სტილით იყო აგებული.

— ეგ მცეთარილოგავერი სადგურია. შენობა აგებულია პარიზის ყველაზე მაღალ წერტილზე, ზოლო, აი, ის გორაკები კი, რომლებსაც პირდაპირ ვხედავთ, პარიზის წყლის მიმწოდებელი წყალსატევებია.

კვირა დღე იყო. პარკი სავსე იყო მოსიარულ ხალხით. ერთ-ერთ ცენტრადან ორცესტრი უარადა „კარმანიოლს“.

— „კარმანიოლი“ საფრანგეთის რევოლუციის დროს შექმნილი სიმღერაა, — აუხსნა კრუპსკაიამ, ფრანგულ ენაზე ერთი ტაეპი წარმოთქვა და გააღუთარგმნა.

კამო აღტაცებით უსმენდა მუსიკას. კრუპსკაია მიხვდა, რომ კამოს ყურადღება მუსიკას

დაეყრო და ვიდრე ორკესტრმა არ დაამთავრა დაყრა, ჩემად მიჰყევიდა.

— ტოლტოის ტყელად როდ უთქვამს. მუსიკას აღმიანის სულზე სასწავლომწივედა გავლენა აქვს — უღბა კრტსკიამი, როცა მიზღვდა ორკესტრის სმა.

— მშვენიერი მუსიკა იყო! — ბერანდიან გამორკვა ამო და თავი ადლო.

— იყო, ამო, ახლა ორკესტრმა შეასრულა არაი ცნობილი კომპოზიტორის როსინის ოპერაიდან — „ვილჰელმ ტელი“. როსინის მუსიკა საფრანგეთის ბერყეზიული რეპოლიციის ეპოქის ანარეკლია, ღრმა დემოკრატიზმი და მოწინავე იდეებია მის შემოქმედებამა ჩაქსოვილი. ამ ოპერაში როსინმა გამოხატა ხალხის ბრძოლა ტირანის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

ამო უღრესად კმაყოფილი დარჩა ახსნა-განმარტებებით და მადლობა გადაუხადა კრტსკიას.

განაგრძეს გზა, გააარეს გრილი ზეივნები და ისინი მივიდნენ მეორე ესტრადისთან, სადაც ბავშვებისთვის თაჯინებს სპექტაკლები იმართებოდა. აქედან მოჩანდა კარგად მოზრდილი ტბა, რომელს კამკამა ზედაპირზე ზეების სკლენებში გაწოლილიყვნენ. ზელოვნური მადალი ქარაფიდან ჩანჩქერი ვაღმომქებდა. ტბაში დაჭარალებდნენ ბატები და გუდები. ბაინი მარჯვედ იჭარებდნენ ბავშვების მიერ გადაყრილი პერისა თუ ნამცხერის ნაჭრებს და ხარბად უფაბავდნენ. ტბის ირგვლივ დაჭრულ მტირალა მქწნას, ვაჯარჩხელი ტრტები ტბაზე დაეხარა და კამკამა წყლის ზედაპირს ღოკედლა ამო და კრტსკიას ტბის შორიანლო ჩამოსხდნენ და განაგრძეს საუბარი.

— სადევდა კონსტანტინოვია, შიამბეთ, თუ შეიძლება, თქვენი და ილიჩის შეხვედრა ცნობილ მოღვაწეებთან — სობოვა კამო.

— ჩვენ აქ ბევრი დღი მოღვაწე ვნახეთ. გავიკანთ. — დაიწყო კრტსკიამი, — შავალითად მოვესმინეთ ცნობილ ორატორს ევარესს, ვიანს, შავრამ უყუთესია გაიმბოთ ერთი შეხვედრის ისტორია, რომელმაც წარმშელური შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ილიჩმა ერთ-ერთი რევილუციონერის მემშვენიერ კავშირი დამაყარა კარლ მარქსის სოქმთან — პოლ ლუარტთან. ერთხელ მე და ილიჩი წივედით მსასთან. იმ დროს პოლ ლუარტი თავის ცოლთან — ლუარსთან ერთად, ცხოვრობდა პარიზის მსლობლად, სოფელში. შეხვედრა ლუარტთან მეტად გულანამიყუებელი და გულბილი იყო. ილიჩმა პოლის ვაყენი თაჯისი ფილოსოფიური ნაშრომი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, მე და ლუარა კი ხეივანში უსერიზობდით. ეს დღე ერთი უბედნიერება დღე იყო ჩემს ცხოვრებამა: მე ხომ

მარქსის ქალიშვილის გვერდით ვიმყოფებოდი...

— მერე, მერე? — ცნობისმყოფეობის წინა ძლია კამოს.

— მე მღელვარებით შევცქეროდი ლუარას, ევლილობი მის ღამას პარიზსებზე კარლ მარქსის სახის რაიმე ნიშნები ვეპოეან... დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს დავმარტდით სახლში. ილიჩი და ლუარტი ისევე ფილოსოფიის საყაბებზე მსჯელობდნენ და ისე იყვენენ პაქრობით ვართული, რომ ჩვენი დაბრუნება არ შეუნიშნათ...

ტბის პირას კარგად ღაინყენეს, პარკიდან ვამოვიდნენ. კრტსკიამი ვახეთ „ღუმანიტეს“ ახალი ნომერი იყიდა, ჩავიდნენ მეტროში და ოცი წუთის შემდეგ ისინი უყვე პერლამუზის სასაფლაოს მსლობლად სადგურზე იყენენ. მალა რომ ამოვიდნენ, მათ წინ მენილ-მონტანის და დე ბელულის უზარჩახარი მოედნები ვადამალა.

— აი ამ მოედანზე იყო გამართული ბაიკალები პარიზის კომუნის დღეებში, აქ იყო ცხარე ბრძოლები — თქვა ნადევდა კონსტანტინოვან და ზელი დე ბელულის მოედნისაკენ გაიშვირა.

ამ საუბრით ისინი ვავიდნენ რიე დეზანდეს ქვჩაზე, რომელზეც იმყოფება პერ ლაშეზის სასაფლაოს ერთ-ერთი შესასვლელი.

— პერ ლაშეზის ნიშნავ შიამ ლაშეზს. — დაიწყო კრტსკიამი ახსნა-განმარტება, როცა ისინი სასაფლაოზე ვავიდნენ — იყო იყო ღვთოვიყო მეთოხმმეტეს მოჭლვარი. ეს ბალი მისი საყუთრება იყო. თავდაპირველად ახანუროთა სასაფლაო მოუწყვიათ ამ ბაღში. შემდეგ კი 1804 წლიდან საწაღაო სასაფლაოდ გადაუქვიებიათ. აქ არიან დაჯრბადული ბალხაი, ლაფრტენი, მოლიერი, ალფრედ დე მიუსე, როსინი, შოპენი, ბოდლერი და სხვა გამოჩენილი ადამიანები. აქვე მარბია აგრეთვე „კომუნარების ჯალათი“ როგორც მას კ. მარქსმა უწადა, ანუ „სისხლისმსმელი წერბელი“. ილიჩის სიტყვებით რომ უთქვათ, ტირია...

პერ ლაშეზის სასაფლაოში სისუფთავით და მრავალრიცხოვანი მუენარეულობით პატარა კოხტა დაბის შთაბეჭდილება მოახდინა კამოზე. მარტო იმ განსხვავებით, რომ აქ სახლების ნაცულად იდგა ქანდაკებები და აკლამებები. სასაფლაო დასერილი იყო დანომრილი ქვჩებით. მითავრ ქვჩას მარცხნივ თუ მარჯვნივ პატარა ჩიხები, შესახვევები ვასდევდა. მოქალაქეები რგგარგობით მიდიოდნენ თავიანთ მიცვალებულებთან და ყვეოლევის სოაგულეებით ამკობდნენ. ან იქვე ჩამოსხდებოდნენ, ისვენებდნენ. სასაფლაოს შესასვლელთან აგებულ იყო კრემატორიუმი. აქვე იდგა მუხეტემის შენობა, სადაც ინახება სარქვიო მასალები სასაფლაოს შესახებ. კრტსკიამი უამბო



კამოს, რომ ამჟამად აქ დატარდეს ველურ-
ბა შეზღუდულია, უადგილობის გამო სპეციალ-
ურ ჯარების პატრონები იძულებული არიან
მიწის ქვეშ გააწვინონ ახალი საბრუნავი.
ერთი მკვლევარების ქვეშ მარხავენ მეორეს,
მეორის ქვეშ—მესამეს და ასე ახალ-ახალი
საბრუნავებით ჩადიან აღმართები მიწის სიღრ-
მეში.

შეიღწეა ვაიარეს აკლამების რიგი და
ერთ სუფთად გათლილი ქვის კედელს მუცხ-
ლოვდნენ. კედელზე გაკრული მარმარილოს
დაფა ფრანგული წარწერით იფუჭებულია: „პა-
რიზის კომუნა“, და კომუნის აღმოცენების
თარღის. კედლის გასწვრივ რამდენიმე მეტრის
მანძილზე წითელი ხასხასა ყვავილებს თა-
ვდობს ელვამ.

— ეს არის ჭომუნარების კედელი — მიტრ-
დუ ფედერე. — წარმოსთქვა კრუჰსკიამ და
მღუმარედ თავი დახარა.

კამოვ თავდაბრილი გაჩერდა და მუხისეკ-
ბაში აღადგუნდა ამს. რაც პარიზის კომუნა-
რების შესახებ გაცნო.

— ყოველთვის, პარიზის კომუნის წლის-
თავზე, ასიათასობით მტემა და შშრომელი აუ-
მიანები რევოლუციონერი ლოზუნგებით და
ციცხალი ყვავილებით მოდიან აქ და პატრისა
სკეშენ ბარაკებზე დაღუბულთა ნათლ-
სიოკის. კომუნენ საყოველთაო პატრიოტება
მოაოჯა მთელი მსოფლიოს შშრომელთა გულ-
ში. მართალია ილიჩი, როდესაც ამბობს: პარი-
ზის ზარბაზნების გრიადმა მსოფლიოს შორე-
ულ ეთნობებშიც კი გამოაღვიძა პრიეტერ-
არიატი და გველგან განმტკიცდა სოციალი-
ტური რევოლუციის პრინციპები. აი ამიტომ
არ მოკვდა კომუნის საქმე და იგი ყველას
გულში ცოცხლობს. — განუმარტა ლენინი
ზარბაზნი კომუნის შესახებ კრუჰსკიამ კამოს.

საბავლოდან სახლში დაბრუნებისას კრუჰს-
კიამ ახლა სხვა გზით წაიყვანა კამო, ვაიარეს
გამბეტს მთოდანი. მეტროში ჩასხ-
დნენ და მალე ავენიუ და ორლეანის სად-
გურზე ჩამოვიდნენ. როცა ბინზე მივიდნენ,
მარია ილიჩინაში აცნობა, ჩვენთან სტუმრად
გადასახლებიდან გამოქცეული კაცთა.

— ნეტა ვინ უნდა იყოს? — გააფიქრა
კრუჰსკიამ და მისაღებ ოთახში შევიდნენ. აქ
კრუჰსკიას დედა ელაპარაკებოდა ერთ ვაზ-
დარ და ღონეზიხილ კაცს.

იგი კარგა მალალი, და ცოტა წელში მიხრი-
ლი იყო. უცნობს ფართო შუბლი, შავი, კვირ-
იანი თვალები და ზმირი ელვამები ჰქონდა.

— აა, ინოკენტი, ეგ თვენი ხართ? — აღ-
ტაცებით შესძახა კრუჰსკიამ, და შევბრუნდა
მიესალმა ოთახში მყოფ მამაკაცს.

ინოკენტი, ფეხზე წამოდგა და გაღიმებულ
თვალებით შეეგება ოჯახის დიასახლისს.

კრუჰსკიამ ინოკენტს გააცნო კამო. ინო-

კენტიმ ცნობისმოყვარეობით გადახედა კამოს
და უთხრა:

— მე თქვენი სახელი პირველად 1903 წელს
გავიგე, როცა ერევნის მოუდამე სტრუქტურა
რობა ჩაიღინეთ, ნება მიბოძეთ ყველა იმ რე-
ვოლუციონერ ამხანაგების სახელით, რომლე-
ბიც ჯერ არ გიცნობენ. უღრმესი მადლობა
გადაგიხადეთ თქვენი გმირობისათვის. ძალიან
მიხარული ვარ, რომ პეკრა წამების შემდეგ
ისევ ჯანმრთელად გხედავთ. ინოკენტს ცი-
უობოდა ექნელებოდა ლამარაკი, ისე იყო
დასტუტებული, რომ ძლიერ ახერხებდა სიტყ-
ვების წარმოთქმას ფეხზე კელავ წამოდგო-
მა სცადა, მაგრამ გაუქირდა.

— ლიდავ ვმადლობთ... გთხოვთ დაბრძან-
დეთ! გაცუობთ ფეხები გჭეხებთ, — დაამ-
შვიდა კამომ.

— მართალია, ბორკილებისაგან ფეხები ძალ-
ზე დაზიანებული აქვს. — ჩილაბარაკა მარია
ილიჩინაში.

— ასევე წაიღ და ექიმს მოვიყვანი, —
თქვა კრუჰსკიამ.

ინოკენტის მოტყუებრობა დაეტყო, კრუჰს-
კიამ მიხედა სტუმრის აღმფოთებას და წყნა-
რად მიუგო:

— ინო, მე ჩვენ ექიმს მოვიყვანი...

კრუჰსკიამ წაიღა. ინოკენტიმ და კამომ კი
მალე გამოანახეს საერთო ენა და საუბარი
დაიწყეს. ისაუბრეს ერთიმეორის ჯანმრთე-
ლობის მდგომარეობაზე, გადასახლებაში და
ცხემში გამოქცეულ ამხანაგებზე. კამოს
ბერლინში გატარებულ ამბებზე და სხვა.

უცებ კარი გაიღო და ნაციონალური ბიბ-
ლიოთეკიდან დაბრუნებული ილიჩი შემოვიდა.
ილიჩის ინოკენტის, ანუ ინოკის, როგორც მას
ქმბდნენ, ნახვა ძალიან გეხარდა, მაგრამ მისი
ეუადმყოფობის ამბავი რომ შეიტყო მოიწყინა,
ილიჩის მოახსენეს ნადია ექიმის მისაყვანად წა-
ვიდაო, ამ ცნობამ ცოტა არ იყოს დაამშვიდა,
ორივე წაიყვანა თავის სამუშაო ოთახში, ოჯა-
ხის წევრებს კი დაავალა სადღიო მალე მოემ-
ხადებინათ.



ლენინმა თავის სამუშაო ოთახში ინოკენტის,
უპირველესყოფლისა, დაწვრილებით გამოკითხა
ჯანმრთელობის მდგომარეობა. მერე ცხელებ-
ში და გადასახლებაში მყოფ ამხანაგების ამ-
ბავი. მათი საუბარი მხოლოდ მაშინ შეწყდა,
როცა კრუჰსკიამ მოვიდა ნაცნობ ექიმთან ერ-
თად. ექიმმა გულდასმით გაუსინჯა ინოკენტის
ბორკილებისაგან დაავადებული ფეხები, და
უმიოდებ თავი გააქინა. ლენინს აღმფოთების
იერი გადაეცრა სახეზე, აღმაყვარად გადახედა
ექიმს და საფრანკეთის გამოჩენილ პროფესორ
დიდებუშესთან წასულა გადაწყვიტა.

— მე კარგად ვიცნობ დიდებუშეს, ის საე-

ეთესო ქორტრგია, და მგონია, რომ მკერძან-
ლობის რაიმე საშუალებას გამოიჩინებს, აქვე
ახლოს ცხოვრობს, — თქვა ლენინმა და თვი-
თონ წავიდა პროფესორის მოსაყვანად. მართ-
ლაც სულ რამოდენიმე წუთში ლენინი დაბ-
რუნდა პროფესორის თანხლებით. პროფესორი-
მა გაუღიანა ინოცენტის ფეხები და სთქვა:

— განუტრუნება შეიძლება, მხოლოდ დიდ-
ხანს დასჭირდება წაშლობა!

ლენინი პროფესორის სატყვევით კმაყოფი-
ლი დარჩა და სთხოვა დღეიდანვე შესდგომო-
და საქმეს.

ილინმა მადლობა გადაუხადა პროფესორს,
გააცალა ქრწამდე და უკან დაბრუნებულმა
კრწქასკაის მიმართა:

— ნადია, ინოცენტის გამოუფაცი თვისი
ეთხე, მოსიყვაროს, ჩვენ კი წავიდეთ სპექტაკ-
ლზე. კამო, წამოხვალთ თუ არა?

— ადგილი სიამოვნებით, უპასუხა კამომ და
წამოიდა ფეხზე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ სამივენი პარა-
ზის შემთა გარეუბანში იყვნენ. კლუბი სახე
ყო შემეხით. სპექტაკლის დაწყებამდე ილინა
გულდასმით ესაუბრებოდა მეშებს, პასუხს
აძლევდა შეკითხვებზე, რომლებიც მათი ყოფი-
ცხოვრების მტკუნველ საკითხებს ეხებოდა.
უცებ ილინს მიუახლოვდა კლუბის გამგე, მა-
ღალი ქერა ფრანგი და მიმართა:

— მღუმების თხოვნით, თქვენ ლექცია უნდა
ნაკვიტაროთ. როცა მზად იქნებით, გთხოვთ
გამოფრთხილოთ და დავნიშნავთ დღესო.

ილინს გაეღიმა და დასტურა მისცა.

კლუბის გამგე გამოირდა. სპექტაკლი დაიწყო.
სკენაზე გადიოდა იმ ხანებში მაროკოში
მომხდარი ამბების ერთი ეპიზოდი. ერთი
ჯარისკაცი მოხედება ფრანგების სამხედრო
ექსპლედიაში, რომელიც მაროკოში იგზავნე-
ბა. ჯარისკაცის მოხედული დედა და ისეთ
ხელმოკლეობას განიცდიან, რომ სახლის ჭირს
გადახდის საშუალება არა აქვთ. სახლის პატ-
რონი მოსვენებას არ აძლევს ჯარისკაცს
ოჯახს და ის შევიწროვებს, რომ ჯარისკა-
ცის და ქირის საფასურში იძულებულია გაე-
ბას მის მიერ დაგებულ მახუში. სახლის პატ-
რონის მუხანათობამ ისეთი მწყაეე რეაქცია

გამოიწვია დაბრძოში, რომ ყოველ კუთხიდან
გაისმოდა შეძახილები:

— მხეცო... ძალო...

სპექტაკლიდან გვიან დაბრუნდნენ. გზაში
საუბრობდნენ სპექტაკლის აუკარგზე. კამოს
წარმოადგინა ყველაზე ძალიან მოსწონებოდა
ჯარისკაცების აჯანყების ეპიზოდი. კამო შე-
ვიდა თავის ოთახში და მამინევე ჩაწვა ლოგინ-
ში. მუხობელ ოთახიდან კვლავ დიდხანს მოინ-
შოდა ფეხის ხმა, კამო მიხვდა, რომ ილინს არ
ვიძინა. „აღბათ ლექციის საკენამო საკითხებზე
ფიქრობს“ თქვა ჩემად და ჩაიძინა.

პარიზში კამო ილინის ოჯახში ცხოვრობდა.
იმ განსაკუთრებული მხრენველობით ეყურო-
ბოდნენ მას. ილინის განცარგულებით კამომ
ბევრი ისტორიული, ღირსშესანიშნავი ადგი-
ლები დაათვალიერა. ეიფელის კოშკიც ავი-
და, ინახუდა ლუერის მუზეუმი, სტუდენტთა-
უბანი, პანთეონი, რესპუბლიკის პოედანი, პა-
რიზის ლევისმშობლის ტაძარი, რვა ხილის პა-
ნორამა მდინარე სენაზე, ეყო ოპერაში, ინე-
ლიდების ტაძარში, რომლის დიდებული გუმბა-
თის ქვეშ ნაპოლონის საფლავია მოთავსებული...

თავისუფალ დროს ილინი კამოს ესაუბრებო-
და კაცკამილუ ამხანაგების მუშაობაზე, მათი
მომავალი საქმიანობის შესახებ.

ბევრი ზეცენის შემდეგ ილინმა ნება მისცა
კამოს, ბელგიაში სამკერძლოდ გამზავრებს
ხაცულად კაცკამილუ წამოსტლიყო. ილინმა
კამოს სათანადო დავალებები მისცა თუ რა
უნდა გაეცეთენით მას და მის ამხანაგებს
ახლო მომავალში.

დადგა ილინთან განმორების წუთები. ილა-
ნი გაღიმებული თვალებით შესცვიროდა კამოს
და თათქოს ეუბნებოდა: ყმაწვილო, ჯიუტი
ხარ, მაგრამ ასეთი გული გაქვს, რომ მიინც
მეფარხარო... კამოს უნდოდა რაღაც თბილი
სიტყვა ეთქვა ილინისათვის, ძალიან თბილი
და ყველაფრის მოქმელი, მაგრამ ასეთი სიტ-
ყვა მან ვერ მოქენა. მიუახლოვდა ილინს, გა-
დაეხვია და რამოდენიმე წუთით მის მკერდში
თავი ჩარგო, რომ კვლავ მოესმინა ილინის
ფუნის ცემა, მაგრად ჩაებეჭდა მესხიერაში
იმ გულის ფეოქვა, რომელმაც რამოდენიმე
წლის შემდეგ მთელი ძველი სამყარო ააფეთქა.

თარგმანი არჩილ და ივანე
დავითიანებისა

8038



შალვა ამილახვანი



მთვარის კოშკი

1.

— ჰე, ბერიკაცო,
მოდით ახლო, რომ ხელი გტაცო.
მოდით, წაქცევით
არ წაგაქცევ, მსურს, გაბარბაცო! —
ბევრ შეღვინებულს
ბევრჯერ უთქვამს ასე დაცინვით
ჩემს ბავშვობაში
მართლაც ერთი ბერიკაცისთვის...

იყო ფერმკრთალი,
კაფანდარა, სუსტი, უღონო.
უყვარდა მთვარის,
ძაღლისა და ორდობის ხატვა;
ჰქონდა ჰოგრიტიც,
შედგებოდა მწვანე ყურღანზე
და გაპყურებდა
მთვარიანი ტატნობის კალთას...

თითქოს ხსოვნაში
უზილავი ძაფები დაწყდა,
ველარ ვიგონებ,
თუ საიდან იყო მოსული;
მახსოვს მარტოდენ:
„მთვარეულს“ რომ ეძახდნენ
საწყალს,

და რომ ყოველთვის
დადიოდა დარდით მოცული...

ცხოვრების ტალღამ
ბოლოს სადღაც გაიყოლია,
დარჩა ოთახში
ერთად-ერთი მისი ნახატი;
ზედ ბროლთათება,
ბროლთათება ჩანდა ბროლია, —
და არ მჯეროდა,
მის დამხატველს ველარ ვნახავდი.

მეჩვენებოდა:
ერთ ადგილზე ყოფნით მოღლილი
2. „მნათობი“, № 4.

თითქოს ბროლია
ზოგჯერ დამით სურათს სტოვებდა, —
და მთვარისაკენ,
მთვარისაკენ თვალმიპყრობილი
სწუხნდა ყმუილით
პატრონისგან განმარტოვებას.

რადგან იმ საწყალს
მთვარეულის გაპყვა სახელი,
მე მთვარის კაცად
წარმომიდგა ჩვენგან წასული;
ეუცქერდი მთვარეს, —
და ბროლიას გულის ნახმევრც
თითქოს ამ ამბის
უტყუარი იყო დასტური...

ვიწრო ოთახი,
საგანგებოდ მისთვის დაცლილი,
ოთახს კი არა,
გაცივებულ აკლამას ჰგავდა;
და თუ მეტყოდნენ:
მოკვდა შენი ბერიკაციო,
მე ამას როდი
ვლებულობდი უმძიმეს დარდად.

არა! პირიქით!
იგი სიკვდილს გაექცა მეტი —
ვამბობდი უკვე
ბიჭობაში შესული ბაღლი...
და რომ დაცინვით
ეპასუხნათ იმ წუთში ჩემთვის,
ალბათ კრილობად
მექცეოდა საფეთქლის ძარღვი...

2.

დრო გადიფურცლა,
სიყმაწვილის ჩათვდა
არც თუ უბრალოდ,
არც თუ ისე კვლად
მოულოდნელად



მეც დავტოვე სოფელი ჩემი
და სიჭაბუკის
ასპარეზად დამხვდა კალუგა...

— აქ ერთი ბრძენი
ბერიკაცი ცხოვრობსო ჩვენი,
წამო, წაივით,
ვინახულოთ! — მითხრეს ანაზდად...
რიაზანელებს,
აბა, როგორ დავზარდებოდი,
ჩაედექ მწყობრში და
მხიარულად გავცდით ყაზარმას.

ენახეთ... გავკვირდი:
ო, პირდაპირ სულ იმ კაცს ჰგავდა,
შორს, ჩემ სოფელში
„მთვარეულს“ რომ ეძახდა ხალხი.
ჰგონდა ჭოგრიტიც,
ვარსკვლავითი დავცხრილეთ ხარბად,—
და მე იმ დღიდან
მისი ხშირი სტუმარი გავხდი...

აი, მე იგი
ვინახულე უკანასკნელად.
ვემშვიდობები,
შინით ვტოვებ გამზდარს, ნაცრისფერს.
გზაჯვარედინთან
კიდევ ერთხელ სივრცეს გავცქერ და
ცივ საფირონში
ჩასმულ მთვარეს თვალს ვერ ვაცილებ.

სძინავს მთელ ქალაქს,
მხოლოდ ერთგან, ერთ ფიცრულ
სახლში,

ძველ მაგიდასთან
ალბათ ისევ ზის ბრძენი კაცი,
და რეაქტიულ
რაკეტებზე ოცნებით აღვისილს
სამშობლოს დიდი
მომავალი ეშლება თვალწინ!...

ის ჩემზეც ფიქრობს,
არ მივიწყებს არმეულ სტუმარს,
მან ხომ სურვილი
შემამჩნია ცისკენ ლტოლვისა.
მიღიმის მთვარეც,
თითქოს ისიც მიმიხვდა გუმანს,—
და ნაბიჯები
მებლანდება ჩუმი თრთოლვისგან...

სძინავს მთელ ქალაქს,
ალბათ ისევ ზის ციოლკუცესი
და ოცნებაში
ვარსკვლავებთან საუბრობს უკვე;
ან რიაზანთან
არყის ხეებს ეხვევა, ჰკოცნის,—
და ყმაწვილივით
წყებლას ურტყამს ნაწვიმარ ბუნჩებს.

ან შეიძლება
იმ ადგილას ტრიალებს, ბრუნავს,
სადაც ქალაღლის
პაეროსტატს უშვებდა ცაში;
სად გალილეის,
კოპერნიკს და
ჯორდანო ბრუნოს

ესიტყვებოდა
წარსულ დროში წასული ბავშვი...

3.

იმ დღეთა შემდეგ
ცისკენ ლტოლვის დამყვა თილისმაც
და ჩემი ბედი
თვითმფრინავის ფრთებზე შევაგდე;
ლაგამ-ავშარას
ვამჯობინე საქე რკინისა,
იისფერ გზებზე
ავედევნე ფიცხელ შევარდნებს.

ჟამი ჟამს გაჰყვა,
ცეცხლმა დაჰკრა ცის დასალიერს,
დავემშვიდობე
ლამის თევას დედამიწაზე...
მიმძიმდა ძლიერ,
მაგრამ მაინც ყველაფერს ეძლიე,
მტრის დამარცხებაში
დამავიწყა ყველა სიმწარე...

ამბობენ თურმე
შიშველ მთაზე შემართულ მუხას
ჰჭონდა შებმული
ცალი წვერი ოქროს შიბისა,
მეორე წვერი
ცას ეჭირა ჩაუმჭრალ შუქად,
ზედ უფლისწულნი
ბედავდნენო თურმე სირბილსაც.

დე, უფლისწულთა
ნაბიჯები თქმულებამ თვალს,



ცაც ჩვენია და
 ცის ზესკნელიც აწ და მარადის;
 ერთ მუტვა მიწას
 ზვალ საჩუქრად ავუტანთ მთვარეს,
 ალბათ, ჩვენ ამას
 დედამიწა არ დაგვიმადლის...

4.

ჩემი თაობა
 ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის,
 რა არი მისი
 ხანგრძლივობა ემთხვევის ზღვაში?!
 მაგრამ როდესაც
 ქვეყნის წარსულს გავყვები ფიქრით,
 ასე მგონია,
 ჩვენც ესუნთქავდით, ესუნთქავდით
 მაშინ.

ასე მგონია,
 ჩაფხუტის და აბჯრის ქღერაში
 ჩვენც იმ დროიდან
 წამოვიწყეთ ბრძოლა და გარჯა;
 ზღვის დაპყრობაში
 და ხმელეთის აღმოჩენაში
 ჩვენც გვიგემნია
 სიხარული, სიმწარე, ტანჯვა...

დღეს, ყვაეილების მოედანზე,
 შორს — რომის ცის ქვეშ
 ბრიალი გააქვს
 მარმარილოს მეწამულ კოცონს;
 ბოძზე გაკრული
 იმ კოცონზე იწვის ძეკაცი,
 იწვის, იწვის და
 არ იწვება, მაინცა ცოცხლობს.

ეს ძეგლი არის
 ჯორდანოსი, იმ ჯორდანოსი,
 ვინც კათოლიკურ
 ეკლესიას თავზარი დასცა;
 ვინც უსასრულო
 გზა გაუხსნა კაცის გონებას
 და არ შეუკრთა
 ჯოჯოხეთურ ცეცხლსა და ჯვარცმას.

ეს ძეგლი არის
 ჯორდანოსი, იმ ჯორდანოსი,
 ვისი ოცნებაც
 სხვა თაობამ დააგვირგვინა...
 ასეა, ასე!

ქვეყნად სიბრძნის
 ვარსკვლავთმორიცხველნი
 ერთი მეორეს
 ხელს უწვდიან ეამთა სიღრმიდან!

ეს ძეგლი არის
 ჯორდანოსი, იმ ჯორდანოსი,
 ვისი გონების
 ნაფიქრალიც არ დაფერფლილა!
 არ დაფერფლილა?
 და რადგანაც არ დაფერფლილა,
 მჯერა: ჯორდანოს
 წამომდგარა ჩამქრალ დევლფიდან!

ანაფორაში
 ყორნის გული ბევრს უძგერს კიდეც,
 და შეიძლება
 ცერად უცქერს ამ ძეგლს ვიღაცა...
 დაე, უცქიროს
 როგორც უნდა, ო, ვიდრე, ვიდრე
 იგი ამ ცქერით
 საკუთარ გულს არ დაინაცრავს!...

ის კი სულ ასე
 იკაშვამებს მკვდრეთით ამდგარი,
 ვით ნიშანსეცტი
 ჯოჯოხეთზე გამარჯვებისა.
 მჯერა: მთვარესაც
 დამშვენდება ძეგლი ამგვარი,
 რადგან მიწაზე
 გმირს გმირული ხვედრი ეღირსა!...

5.

ჩემი თაობის
 მეც ვარ ერთი მებრძოლთაგანი,
 მეც მაქვს უფლება —
 ვიოცნებო ზეციურ გზებზე,
 მაგრამ ოცნებას
 შემართება უსწრებს თამამი
 და შენ დიდება! —
 შეუძლებელს ვინც მალე შესძლებ!...

აჰა, მე უკვე
 ქიმშემართულს ვხედავ ცის ხომალდს,
 ხანჯლის პირივით
 გაუელვებს დაბლიდან ცეცხლი.
 იგი ჯერ კიდეც
 უძრავია, თითქმის არც თრთოლავს,

მხოლოდ ძრავების
ბუნდოვანი ბგერები მესმის.

დრო გადის, მაინც
რკინის ძარღვებს ამოდ ძაბავს,
რომ დედამიწის
უხილავი აგლოჯოს ჯაჭვი...
ბოლოს თანდათან
ამტყორცნელი მატულობს ძალა,
აპგლეჯს!... იმედად
შეუდგება ჰაერში აპრილს!...

წამიც და
შემდეგ ფრთაცეცხლიან ქარიშხალივით
ქშენით, შხუილით
აიტაცებს ზევით, სულ ზევით;
თვალს ეფარება,
მარტო ცეცხლის მოსჩანს არილი,
ჰა, ისიც გაქრა,
ველარ ვტყებები მე მისი მხერით.

მხოლოდ გონების
თვალით ვუმზერ რაკეტას ახლა.
ეწიშობ, მთვარეზე
არ დაიმსხვრას ჯავშანი მისი;
მაგრამ ცის ხომალდს
თანამგზავრად ძეკაცი ჰყავხარ,
დაამუხრუჭებ,
მუნჯის ენა მშობელმა იცის!...

ეს ასეც ხდება!
თითქოს მთვარეც ამას ელოდა!
დასვამ ხომალდს და
თავისუფლად დაუშვებ მკლავებს...
დრო ზანტად მიდის,
ვიდრე, ვიდრე საპაეროდან
არ ამოჰქაჩავ
ხმელეთიდან წადებულ ჰაერს.

დასტოვებ საკანს,
ჩაკიდებულ კიბეს ჩაპყვები,
კიბეს ჩაპყვები
შემოსილი ლურჯი სკაფანდრით;
ირგვლივ მთებია
ტყვისფერი ტინის ჩაჩქნებით,
მტვერში ვარსკვლავთა
ნამსხვრევების ჰყრია საფანტი.

არსად ღრუბელი,
არსად კვამლი, კვამლი, რომელსაც

შეეძლოს სადმე
გაპოენინოს სიცოცხლის კვალი
დაბლა ნუ ეძებ
დედამიწას... მალლა მოგექცა...
ეხ, როგორც მთვარეს,
ახლა მიწას მოაპყარ თვალი!...

მოაპყარ თვალი,
მხოლოდ ფრთხილად! არ
გადათვლო! —

მანდ სადღაც ახლო
ჩემი ქვეყნის ღერბი ბრდღვიალებს!
თითბრის ლატანი
აღუმართე სახელდახელოდ,
ზედ აღისფერი
ბაირალი ააფრიალე!

თუმცა ეს რა ვთქვი,
მანდ ხომ მცირე ნიავეც არ ჰქრის,
რამ შეარხიოს,
შეათრთოლოს მისი კალთები?!
ნუ შეეღვევი
ხმელეთიდან წადებულ ჰაერს,
თუ კი მთვარეზე
ხვალ განთიადს ველარ დახვდები!

იქნებ სჯობს კიდევ,
რომ ცარიელ სივრცეში აგრე
იდგეს უძრავად,
როგორც ძეგლი მძლე გონებისა!
მაშ, რა გაღონებს?
მკმუნვარება აპყარე წარბებს!
ხომ გიხარია,
პირველობა შენ რომ გელირსა?!...

6.

დგებარ კლდის კართან,
უფრო სწორედ: პირქუშ მღვიმესთან.
კლდე კლდეს არა ჰგავს,
ლოდი ლოდს და

მიწა კი მიწას;

სდუმს ყველაფერი,
მღუმარება გიკლავს იმედს და
ცივ ქაოსისგან
მარტო შენი სკაფანდრა გიცავს...

შენ მთვარის ცაზე
თვალს ადევნებ მწვანე პლანეტა

და ფიქრში გესმის
შორეული ძახილი მისი:
— დაბრუნდი უკან,
კაცს კაცური ფერი წაგერთვა,
არ გაგეყინოს
მთვარესავით ძარღვებში სისხლი!

მანდ რას დაეძებ,
საძებნელი აქაც ბევრია,
ჩემი სიმიდიღრე
მთელ სამყაროს ეყოფა განძად!
სახელისათვის
ისიც კმარა, მანდ რომ ღერბია,
რა საჭიროა
ძეკაცისთვის მთვარეზე ტანჯვა!...

წყდება ძახილი,
ბნელ მღვიმეში შედიხართ წყნარად,
წამით ვარძიას
წარმოიდგენ და ჩასთვლემ კიდევ;
გიორთის სხეული,
ბუმბულივით გეცლება ძალა,
თავქვეშ სასთუმლად
მეტეორის ნატეხი გიღვეს...

ბოლოს მოლლილი,
მოქანცული ოდნავ მაგრდები, —
და გეზმანება
მთვარისა და მარსის მყობადი...
დედამიწიდან
მანდ მოსულან სხვა ხომალდებიც,
იმ ხომალდებთან —
ჩემი ხომალდიც!

დღე უმოკლდება
მყუდროებას ქვებზე მოფენილს,
ხედავ, ზეციურ
ნავსადგურად მალღდება მთვარე;
დგანან ცალთვალა
დეკაცებად ტელესკოპები
და უსასრულო,
უსასრულო სივრცეებს ნთქავენ!

მთვარე მთვარეა,
ახლა ფიქრი

მარსისკენ მიჰქრის,

იქაც მოელის
ძეხორციელს გაცისკროვნება!
რაო? სამყარო
უსაზღვროა?! იყოს უსაზღვრო!
სამყაროსავით
უსაზღვროა კაცის გონებაც!....

7.

კვლავ მაგონდება,
მაგონდება ის ბერიკაცო,
ის ბერიკაცო
თავის ძაღლით, თავის მთვარიით,
ვინც იმ შორეულ
მშვიდ სოფელში პატარა ყმაწვილს
დუმილით მოცულ
მთვარისაკენ სწრაფვა ჩამითქვა.

მე მაშინდელი
სიყვარული მომყვა აქამდის, —
და კიდევ მინდა
მწამდეს მისი მთვარეზე ყოფნა;
სურათი მაინც
შემრჩენოდა თანქრით ნახატი,
ნეტავი რისთვის
დაეტოვე სოფლად?!...

მე ახლაც ვწუხვარ,
რად ეძახდნენ საწყალს „მთვარეულს“,
ის იქნებ არც კი
უჩიოდა ამგვარ სატკივარს;
და მხოლოდ ისე,
ცხოვრებაზე დარდით დაბნეულს
მთვარეულივით
თვითონ დარდი შლიდა სახიდან.

რაც იყო, იყო!
წარსულისა წარსულში დარჩეს! —
ის ძველი სიტყვა
სულ სხვაგვარად გაისმის ახლა!
დღეს მთვარეულებს
მთვარისაკენ უპყრიათ საჭე, —
და უსიცოცხლო
სივრცეებში სიცოცხლე აჰყავთ!...



ჭარისკაცის ქვრივი *

რეჟანი

წიგნი მთლიან

თავი ოცდამეთექვსმეტი

— სად იყავი, პეპო? — მოესმა პეტრეს ატალახებულ ორღობიდან გასვლისას და ამ ხმის გაგონებამ უნებურად შეაკრთო.

— გზაზე ბორისი იდგა.

— უპ, ქე არ შემაშინე, ყარამანიჩ?

— მაგ კბილებს ვერ უეჭიმებ, ბიჭო?

— იპ, ყარამანიჩ, კბილების ექიმობისთვის მცალაია? — პეტრემ აღმაცურად გაიღიმა და ნემსებივით დაწვრილებულ ვაშავებულ კბილებზე ხელისგული მიიფარა.

— რა ცალები გცილია?

— კბილების ექიმობას ქალაქში უნდა წასვლა, ყარამანიჩ, ქალაქში წასვლას, ხარჯი. შენსავით უცოლშვილო ვიყო...

— ოპო-პო, სად გადმომკრა!

— გადმოგკრა კი არა! მე რომელი გადმომცვრელი ვარ!

— კაი მამაძალი ხარ, ნუ გეშინია! აქეთ სად იყავი?

— ელეფთერისას მქონდა პატარა საქმე.

— მერე?

— არ დაჰიხვდა.

— კრამიტი სულ გადმოზიდეთ?

— ერთი გზა დაგვრჩია.

— გამომწვარი თუ არის ხეირიანად?

— არის, რა უჭირს.

— ბიჭო, — მიიხედ-მოიხედა ოფიცირის ფართო ქამრით წელგაძაგრულმა

ბორისმა და ყორისაკენ მიდგა, — მოდი, აქ!

პეტრეს ფრიად საეჭვო კილო მოესმა თავმჯდომარის ხმაში. ზურგზე ჭიანჭველებმა აუარ-დაუარეს, მაგრამ მაინც დამორჩილდა.

— ბიჭო, — ხელახლა დაიწყო ბორისმა და თვალბში ღიმი გაუკრთა. — აგრე წახდენა შეიძლება?

პეტრეს ყოყვი აუთამაშდა. სუნთქვას მოუხშვია.

— ელუქისთან რომ დაგაბეზლოს ვინმემ, ამ არეშარეზე აპირებ კიდევ ცხოვრებას?

— ი!

— მუნჯიასთან რა გინდოდა?!

— მუნჯიასთან? — კინაღამ თავადაც დამუნჯდა პეტრე.

— პო, რა გინდოდა მუნჯიასთან, აგრე გაგიხდა, ბიჭო, საქმე?

— ი! რა მინდოდა მუნჯიასთან!

— აქეთ შეკითხება კიდევ!

— არაფერი არ ვიცი, ყარამანიჩ, არ გაეწყდე ცოლ-შვილით!

— გაჩუმდი! არც კი გრცხვენია,

ტყუილზე იფიცებ!

— არ ვიფიცებ, ყარამანიჩ, თავი მომიკედეს თუ რამე ვიცოდე!

— გეყოფა ახლა! მიწის ქვეშ რა არის, ის ვიცი, შენ მომატყუებ მე?

— ი!

— ი არ უნდა მაგას! — თვალი თვალში გაუყარა ბორისმა და ახლა პეტრესათვის კარგად ნაცნობი ბოროტი ღიმი გაუკრთა სახეზე, — კაცი უნამუსოდ არ უნდა მოიქცე.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1, 2.

— რას შემართლები, ყარამანიჩ, ასე უღანაშაულოდ შეიძლება კაცის გაღანაშდვა?

— უღანაშაულოდ! შე ოჯახქორო, თავი თუ არ გაქვს, რას დაძვრები აქეთ-იქით! წადი ახლავე და გადმოიყვანე ის ქალი სოფელში!

პეტრეს ფერი ეცვალა:

— ხუმრობ თუ მართლა ამბობ, ყარამანიჩ?!

— გახუმრებ მე შენ!

— დედა, რას შემომიჩინდა ეს კაცი!

— აბა როგორ გეგონა!

— არ გჯერა ჩემი სიტყვა? შენ ხომ თქვი, ახლა მე მათქმევინე.

— არაფერსაც არ გათქმევინებ. ვაი-გე, რაც გითხარი? დედიშენის შვილი ხარ და მუნჯია არ ყოფილა აქ... მოიცა, რომელი საათია? — მაჯაზე ფოლაქი შეიხსნა ბორისმა და საათს დაჰხედდა, — ექვსზე! ექვსზე კი არა, ექვს რომ დააკლდება ათი წუთი. აგერ ვიქნები მე ამბერკის წიფელთან!

— ყარამანიჩ!..

— წადი ახლა!

— ყარამანიჩ, ერთი სიტყვა... შენ ხომ თქვი, ერთი ჩემიც მათქმევინე...

— აბა, თქვი, თქვი! ვნახოთ, რას იტყვი!

— ვიტყვი...—დაიბნა პეტრე, რადგან სრულიად არ მოელოდა თუ გაჯიკებულ ბორის ლოლამე ლაპარაკის საშუალებას მისცემდა, — არ არის ეგ მართალი. ნამუსი შემირცხვეს თუ ეგ მართალი იყოს...

— თქვი, თქვი, მერე?

— რა მერე, არ არის მართალი, მეტი რა გინდა!

— როგორ არ არის მართალი, დაამტკიცებ?

— დავამტკიცებ, რატომაც არ დავამტკიცებ!

— აბა ჰე, დაამტკიცე!

— ი, რად უნდა დავამტკიცო, შენთან რად უნდა დავამტკიცო, მოსამართლე ხარ თუ?

— ერთი ამას უყურე!

— აბა! ასე ვიცი მე!

— ახლა მოსამართლე გინდა მომევიანი?

— არაფერი არ მინდა მე, ყარამანიჩ! ჩემ გზაზე მივიღივარ აგერ, კრამიტია გადმოსატანი...

— კრამიტს ხათუნა მოუვლის უშენოდ, მაგის ჯავრი ნუ გაქვს!

— თუ მოუვლის, მოუაროს! — წასასკეღლად ნაბიჯი გადასდგა პეტრემ.

— მოდი, ბიჭო, აქ! სად მიდიხარ, ვინ გითხრა, წადიო?

— აბა აქ დავალამო?

— რა გითხარი მე შენ?

— რა მითხარი, არაფერიც არ გითქვამს.

— გადამრევს ეს კაცი ახლა! პირზე მადგები კიდევ?

— არაფერსაც არ გადგები მე, ყარამანიჩ, თავი დამანებე. რა ვიცი მე მუნჯია თუ კვინტრისა, ვიცნობ, მიცნობს?

— უყურე ახლა ამას! მაშინ ხომ კარგად იცნობდი, როცა მკლავზე გადაიკოტრიალე?

— ისე გვერდები აუღდა მაგის მთქმელს, ისე აუღდა გვერდები! აბა! მომეშვი ახლა, ყარამანიჩ! ზაქარა მოდის აგერ, ყურს მოკრავს, მართალი ეგონება.

სავარეოდ გამოწყობილი ზაქარა წელა მოაბიჯებდა. მაღალყელიანი ჩექმეები ეცვა. შავი, ყვითლად მოსირმული ჩაბალახი თვალეზამდე ჩამოფხატა და სახელდახელოდ გამოჭრილ კორმეზიან ჯოხს მოახნაყუნებდა. შესამჩნევად დაღლილი იყო. ალბათ, წიფლისწყაროდან აქამდე ფეხით გადმოვიდა. ყორესთან ატუხული პეტრე და ბორისი არ შეუშინებია. სამკედლოს წინ ჩაუხვია.

ბორისმა პეტრეს გადაჰხედა:

— იმ გოგოს ხომ არაფერი დაემართა!

— მართლა! ვაი შენ ჩემო თავო! — გასაქტევად მომზადებულმა პეტრემ იღროვა და მაშინვე იქით გაიქცა, სადაც ზაქარა მკვლელმა ჩაუხვია.

ბორისი მოუსვენრად იცდიდა გზაზე. როდესაც „ამ ცრუპენტელა პეტრეს“

მოსვლას საშველი აღარ დაადგა, თეო-
თონაც მის კვალს მიჰყვა.

სამკვდლოს ძელური კარი კვლავინ-
დებურად ჩაგმანული იყო.

„არ დამისხლტა ხელსა და ხელს
შუა?“ — თეთრი კბილები გამოაჩინა
ბორისმა და იქვე, ქვაზე ჩამოჯდა.

ბორისი თავადაც წიფლისწყაროდან
მოდიოდა. აქამდე მოხველების მანქანას
ამოჰყვა. სხვა გუნებაზე იყო წიფლის-
წყაროში მიმავალი, უკან სულ სხვა გუ-
ნებაზე დაბრუნდა.

უჩა მესხი სწორედ წინა დღეს ჩამო-
ვიდა თბილისიდან. ამ დილას ბორისს
დაურეკეს, გიბარებსო.

„დამასწრო!“ — კალისტრატეზე ფიქ-
რობდა ბორისი გზადაგზა და ნაჩქარევ
გეგმას ადგენდა, მომხდარი ამბავი რაგ-
ვარად დაეხატა მესხისათვის.

მოლოდინი მართლაც არ გამტყუებენ-
ბია. როდესაც რაიკომის შენობაში შე-
ვიდა, კალისტრატე მასწავლებელი უკვე
იქ იყო. ახლა ბორისს ეკვი აღარ ეპარე-
ბოდა, რომ დიდი შეხლა-შემოხლა მო-
უწევდა.

მასწავლებელი მდივნის თანაშემწის
უფანჯრო კაბინეტში იჯდა. პიჯაკის
სახელოებიდან გამოყრილი ხელები
ხმელ მუხლისთავეზე შემოეწყყო. ბო-
რისი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა
მასწავლებელს და საპასუხო საღმისათ-
ვის აღარ დაუცდია, მაშინვე თანაშემ-
წეს მიუბრუნდა, მოახსენე, მე მოსული
ვარო.

ბორისი გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგ-
რად დამდგარიყო, უკეთეს მდივანი შე-
მოუტევედა. ამ გადაწყვეტილებაში ცო-
ტაოდენი ეშმაკობაც ერია: მესხს უყ-
ვარდა, როცა მაგრად უხვდებოდნენ.

„მოლოსდაბოლოს საშინი რა არის! —
ფიქრობდა ბორისი და მოსალოდნელ
შეტყუებისათვის ემზადებოდა, — მე იმას
ვაკეთებდი, რაც თავად დამავალა. ახლა
როგორ, საკუთარ სიტყვებს უარჰყოფს
და ჩემს ხელის შემშლელებს მიემხრო-
ბა? ვნახოთ, როგორ წაუტყა მაშინ საქმე,
აქედან თბილისამდე არცთუ ისე დიდი
მანძილია!“

მისაღებში ათიოდ წუთს მოუხდა ლო-
დინი. მესხი მთავრობის ტელეფონით
ლაპარაკობდა. ბოლოს ზარმა გაიწყვი-
ტა. კუთხეში, საწერ მაგიდასთან მიმ-
ჯდარმა ახალგაზრდამ, რომელიც ოდეს-
ღაც ბორისთან ერთად სწავლობდა და-
წყებით სკოლაში, ზეზე აუღვამლად
ანიშნა ლოლაძეს, შედიო.

ბორისმა ახლალა შეამჩნია: თანაშემ-
წეს შავი წვერი წამოზრდოდა. უნდოდა
გკითხა, რად მოგიშვიო, მაგრამ დააგვი-
ანდა, რადგან ამ დროს ტყავადაკრული
კარი გაიღო და ელექტროს შუქზე მეს-
ხის ოქროს სათვალემ გაიბრწყინა.

— შეიძლება, ამხანაგო უჩა? — ქუდი
ზანტად მოიხადა ბორისმა.

— ბოდიშს ვიხდი, პატივცემულო კა-
ლისტრატე, თუ შეიძლება, ცოტა ხანს
დამელოდეთ, — პასუხად კართან ჩამომ-
ჯდარ მოხუცს მიმართა მესხმა და ბო-
რისს გზა დაუთმო, — მობრძანდი!

ბორისს რალცნაირად ათრობდა ყო-
ველთვის მესხის ხმა. გარდა უცნაური
სირბილისა, ამ ხმას თითქოს გემოც კი
ჰქონდა. ეს გემო შარბათის გემო იყო,
ოღონდ მოწამლული შარბათისა.

ბორისი ოდნევადაც არ დამშვიდებუ-
ლა, როცა მდივნის სახეზე წყრომის ნა-
ტამალიც ვერ შენიშნა. უჩა მესხი ნია-
დავ ამნაირი იყო. თითქოს სითბო-სი-
ცივის შეგრძნების უნარი არ გააჩნდა.

ბორისი მაუღდადაფარებულ მაგიდას-
თან ჩამოჯდა მითითებულ სკამზე. ქუ-
დი კვლავ ხელში ეკირა და მუხლებს
შუა მოუსვენრად ატრიალებდა.

ტყავადაკრული კარი ხელახლა გაი-
ღო. წვერამოშვებულმა თანაშემწემ შე-
მოიხედა.

— წყალი რად არის ასე ამღვრეუ-
ლი? — ჰკითხა თანაშემწეს მესხმა, რო-
მელიც ისევ კართან იდგა.

თანაშემწემ რალაც უპასუხა.
ბორისი დამაბული იყო. ვერა და ვერ
მოისახრა, რომელ წყალზე ამბობდნენ.
ლაპარაკს ყურს უგდებდა, მაგრამ ისე
იყო თავის ფიქრს აყოლილი, ერთი
სიტყვაც ვერ გაიგონა.

— აბა ახლა ჩვენ... — მოუბრუნდა მესხი.

ბორისი გამოერკვა. კაბინეტში ორნა-
ლა დარჩენილიყვენ. ქუდს მარცხენა
ხელი უშვა, იმავე ხელით სკამის ზურგს
დაეყრდნო და წამოდგომა დააპირა.

— იჯექი! — დასწრო მესხმა და
გრძელი მაგიდის ბოლოში გაჩერდა, —
აქ მგონი ცხელა, არა?

ბორისმა თვალი მოავლო ფართო,
ოდნავ წაგრძელებულ კაბინეტს, რო-
მელსაც ქუჩის მხრიდან ოთხი ფანჯარა
ჰქონდა.

— ფანჯრების ბრალია, — წაილაპა-
რაკა უმუნებოდ, რადგან უეცრად ვერ
მიხვდა, ამნაირი შინაურული დასაწყი-
სი რის მომასწავებელი უნდა ყოფი-
ლიყო.

— შენ როგორა ხარ? — მესხმა ოქ-
როს სათვალე მოიხსნა, პიჯაკის ჯიბი-
დან ცხვირსახოცი ამოიღო და აუჩქა-
რებლად შუშების წმენდას მოჰყვა.

მადლობის ნიშნად ბორისი ოდნავ შე-
ინძრა სკამზე, გუნებაში კი გაიფიქრა:
„კბილებს ილესავს, მეპარება!“

— თქვენი ამბავი გავიგე; სწორედ
გუშინ მომახსენეს, მაგრამ აქ იმდენი
საქმე დამიხვდა, რქა ველარ გამოვა-
ტიე, — ახლა უკვე დინჯად, თითქოს
სასხვათაშორისოდ განაგრძო მესხმა, თან
სათვალის შუშას აპრიალებდა, — მარ-
თალია?

— ყასიდად მეკითხებით, ამხანავო
უჩა? — თავისდა მოულოდნელად ბო-
რისის ტანჯვა აღებეჭდა სახეზე.

— როგორ ყასიდად! — ცხვირსახო-
ციანი ხელი სპორტული პიჯაკის ზედა
ჯიბესთან შეაჩერა მესხმა.

— რადგანაც გავიგიათ, მართალი იქ-
ნება, ტყუილს ხომ არავინ იტყოდა.

— იციან ხოლმე გავხიადება, — მეს-
ხმა სათვალე გაიკეთა, სკამი გამოსწია
და ბორისის პირისპირ დაჯდა მაუღვა-
დაფარებულ მაგიდასთან.

„იწყება, ახლა კი მაგრად იყავი!“ —
გაიფიქრა ბორისმა.

— რა იყო მაინც? — ახლა უკვე

ბროლის შუშების უკან ციმციმებდნენ
მესხის დაწვრილებული თვალები.

ბორისმა ორივე ხელით ჩაბლაქა მესხ-
ლებს შუა მოქცეული ქუდი.

— მართლა იმისთანა რამე იყო?

— იყო, ამხანავო უჩა, დასამალი რა
არის! — ბორისმა განზე გაიხვდა, —
ჯერ ამინდმა შემეშალა ხელი. თქვენც
ხომ იცით, თოვლი რამდენ ხანს იღო.
გაშრა თუ არა, გავიყვანე ტრაქტორები.
კაკალს ვთხრიდი. თუ გახსოვთ, ერთი
დიდი კაკალია სახატოში. კაცი გავგზა-
ნე ხალხის მოსაყვანად. გარეშემო თუ
არ შემოეუთხარეთო, ტრაქტორისტებმა,
ტრაქტორი ვერ მოერევაო.

— თხრიდი?

— დიახ, ვთხრიდი.

— მერე?

— მაშინ შემომითვალეს სწორედ...

მესხი საწერ მაგიდისაკენ გადაიწია,
ბორჯომის გახსნილ ბოთლს მისწვდა.
თან წყალს ავლებდა ჭიქას, თან ბორისს
მისჩერებოდა:

— დალევ?

— არა, გმადლობთ.

მესხმა ოდნავ მიიბრუნა პირი, წყალი
დალია და ნარჩენი ქოთნის მაგვარ თი-
ხის საფერფლეში ჩაეწვეთა.

„რა ვქნა ახლა, კალისტრატე ვახსე-
ნო?“ — ფიქრობდა ამ დროს ბორისი.

— ესე იგი შემოგითვალეს. რა შე-
მოგითვალეს? — ოდნავ დაბოხებული
ხმით დაარღვია სიჩუმე მესხმა.

— შემომითვალეს, შეაჩერე მიწის გა-
დაბრუნებაო.

— რატომაო?

ბორისმა მხრები აიჩეჩა და თვალი
აარიდა მესხს.

— ვინ შემოგითვალა?

— ბრიგადირი გეყავს ერთი, ისაია
ჩუბინიძე. დურგალია. აღრე აქ მუშა-
ობდა, სასაფლაოთა მეურნეობაში.

— მე ეგ სხვანაირად ვიცი.

— არ მუშაობდა, ამხანავო უჩა?

— მისმინე!

ბორისი გაჩუმდა და ბროლის შუშე-
ბის ციმციმს წუთით თვალი გაუსწორა.

— თითქოს შენთვის მანამდეც ეთქ-

ვას რამდენიმე კაცს, ახალი დიდი ზერის გასაშენებლად ჯერ პირობები არ არის მზად და ნუ აეჩქარდებითო.

— ამხანაგო უჩა, მე „რამდენიმე კაცის“ ლაპარაკს ვერ ავეყვები, — ყრუდ კალისტრატე მასწავლებელი და მისი მხრის ამბმელები იგულისხმა ბორისმა, — სახელმწიფო გეგმა არის სახელმწიფო გეგმა! თქვენ სწორედ ამას მოითხოვთ. ასე რომ არ გადაკეთო, ერთ წუთსაც არ გამაჩერებთ.

— ბორის, კოლმეურნეობა სახელმწიფო დაწესებულება არ არის.

— ამას ახლა ამბობთ აგრე!

— ჩემს თქმანება?

— რაც არის აქ, სულ, — კაბინეტს იმნაირად მოავლო თვალი ბორისმა, თითქოს მთელი უზარმაზარი ქვეყანა ამ ოთხ კედელს შუა მოქცეულიყოს, — სახელმწიფოს ეკუთვნის!

— ხელში რა გიჭირავს?

— მე? — შეერთა ბორისი და ხელებზე დაიხვდა, — არაფერი, ქუღია...

— ეგეც სახელმწიფოსი ხომ არ არის? „მახეს მიგებს, უნდა პოლიტიკურ უცილობაში დამიჭიროს!“ — გაიფიქრა ბორისმა.

— რატომ გაჩუმდი?

ბორისმა მოწამლული შარბათის გემო იგრძნო და შეუქმნევლად ტუჩზე იკბინა.

— ვისია ეგ ქუღი? — მაინც არ ეშვებოდა მესხი.

— მე, ქუღის პატრონი, სახელმწიფოს ვეკუთვნი. მამასადამე, ქუღიც სახელმწიფოსია!

მესხს გაეცინა:

— შენ კარგად იცი, რომ ქუღი შენია. მაგას განზრახ ამბობ, გეშინია, არაფერი შეგეშალოს. ნუ გეშინია, კი არ გახრჩობ. სახელმწიფო საკუთრება ერთია, ბორის, კოლპერაკიული საკუთრება — მეორე და პირადი საკუთრება. მაგალითად, ეგ ქუღი — მესამე. შენი ქუღის პატრონი-პატრონი შენ ხარ. არტელი, კოლმეურნეობა? ვინ არის არტელის ავლადიდებისა და დოვლათის პა-

ტრონი? ისევ ისინი, ვინც ამ კოლმეურნეობაში მუშაობენ. შენ, მე, ჩვენი ამხანაგი. ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით. ასე არ არის? აი, ესა და ეს თანამდებობის პირი გვეუბნება, აქ ესა და ეს მოიყვანეთო. დაფიქრდებით ხომ? გლებები არა ვართ? თუ გონივრულად მივიჩნევთ, გამოვიყენებთ რჩევას თუ არა და — რა სავალდებულოა თავი გავიღარიბოთ და ამით სახელმწიფოსაც ეაზარალოთ. გამიგე, რას გვეუბნები? ახლა ჩვენი საქმე გაიხსენოთ. მე, როგორც რაიკომის მდივანმა, გირჩიე, ამდენი ევენახი ჩაყარე მეტეჩი. პო, მართლა, რამდენი იყო?

— თექვსმეტი ჰექტარი, ბატონო.

— გირჩიე, ხომ მართალია?

— მართალია, — ორკოფულად დაემოწმა ბორისი.

— როდესაც დავალება მიიღე, შენ, როგორც თავმჯდომარემ, რა იფიქრე?

— რა ვიფიქრე? — წამით შეყოყმანდა ბორისი, — რა უნდა მეფიქრა. უნდა შემესრულებინა.

— ასე დაუფიქრებლად, განუსჯეულად?

— ამხანაგო უჩა, — ქუღის მოეშვა და ნიდაყვები მაგიდაზე შემოაწყო ბორისმა, — ზემდგომი ორგანოს განკარგულებას განსჯა უნდა? არ ვიცი, ამისთანა ამბავი პირველად მესმის. ვთქვათ, მე ათი ჰექტრის გაშენება დამავალეთ. მე კი ვიანგარიშე და გამოვიდა, რომ ხუთი ჰექტრის მეტს ვერ მოვახერხებ. მაშინ რა ვქნა?

— ხმა უნდა ამოიღო.

— რანაირად?

— რანაირად და, უნდა თქვა შენი აზრი.

— უარი ვუთხრა სახელმწიფო გეგმას?

— მოიცა, ბორის, მოვეშვათ მაგ ხმამალალ სიტყვებს. გეგმა ცხოვრების გასაუმჯობესებლად გვინდა, გასაუარესებლად კი არა. თუ გეგმა, დამიგდე ყური. შესაძლებლობას არ შეეცანება, ეპიკია მისი ფასი. სადღაც შეცდომა არის დაშვებული და უსიკვდი-

ლოდ უნდა გასწორდეს. თანაც შენი საქმე არ მიკვირს? მარტო შენ რად უნდა იღო თავს მთელი პასუხისმგებლობა. არტელს გამგეობა ჰყავს. დაეუძახებდი ყველას. საერთო კრებას მოვიწვევდი, საქმეს ავწონ-დავწონიდი, ხალხს შევეკვიოხებოდი... მარტო მე და შენ, ეს ორი, კინკილა კაცი ხომ არ ვართ, ვისაც კოლმეურნეობა, ხალხი და სოფელ-კუთხე უყვარს. სხვებიც არიან, ბორის, დამჯერე. მარტო მე და შენ რომ ვიყოთ, მტრისას! ცოტა უნდა მოიქნა, ბიჭო, სანამ აფეთქდებოდე. კაცს უნდა დაუგდო ყური, რას გუუბნება.

„ისევ კალისტრატე!“ — გაიფიქრა ბორისმა, მაგრამ ახლა გული აღარ მოსდიოდა, გაყუჩებული იჯდა და უსმენდა.

— მიხვდი? — ჰკითხა ბოლოს მღვიანმა.

ლოლაქემ თავი ჩაღუნა. უცებ ჰარხალივით აწითლებული თავისი ხელები დაინახა და მაშინვე დამალა.

მესხი ზარის ღილაკს გადასწვდა. კარში კვლავ გამოჩნდა თანაშემწის გაუპარსავე სახე.

— მთავარი მეღვინე სად არის ამდენ ხანს?

— მოსულია, ბატონო. თანაშემწემ კარი გაიხურა.

— საწყალი დედამაგისი, — ჩაილაპარაკა მესხმა.

— რა ბრძანეთ? — გამოერკვა ბორისი.

— დედამაგისი მეტეი.

— რა მოუვიდა?

— არ იცი? მანქანას გაუტანია იმ სამშაბათს.

— უჰ!

— იცნობდი?

— როგორ არა, ჩვენებური ქალი იყო.

— ისე დაავლიჯინებენ ეს ოჯახამუნებულეები მაინც... ბორისი წამოდგა.

— ხვალ სოფელში იქნები?

— კი ბატონო.

— აბა მე გადმოვალ, ასე, საღამოს ცხრა საათზე. გვიან ხომ არ იქნება?

— როგორ გეკადრებათ? — მკატინებდა ლო უჩა.

— ხალხი დამახვედრე, ის ისაიაც, სხვებიც.

— კი ბატონო.

— ლაშხი სად არის?

— მიწვანშია, თათბირზე.

— ლაშხსაც თხოვე.

— ბატონი ბრძანდები!

ბორისმა ქული მოირგო თავზე და გარეთ გამოვიდა. გაბურბუსალებული იყო. მისაღებში არავინ შეუნიშნავს. ქული ოდნავ გვერდზე დაეხურა. შუბლზე ჩამოვარდნილი თმის ბლუჯა თვალებში უღიტინებდა. არ გაუსწორებია. თითქოს ეშინოდა, ზედმეტ მოძრაობას ფიქრის ჩვეულებრივი მდინარეა არ დაერღვია. მანქანის ძარაზე ამოზღებულ გახურებულ პირისახეს საკუთრას სერებიდან მონაბერ ნიავს უშვერდა. შუბლზე ჩამოვარდნილი თმა კვლავ თვალებში ებლანდებოდა, მაგრამ ეს როგორღაც სასიამოვნო იყო...

„ნეტავი რაღას ვუზივარ აქ? — გაიფიქრა ბორისმა, სამკედლოს ჩაგმანულ კარს ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და წამოდგა, — ახლა პეპიჩას სათოფეზე მოიტყუებ?“

კანტორის ეზოს ნელი ნაბიჯით გაუარა. აქედან ბორისი მეოთხე მოსახლე იყო. აი, ცინცხალი კრამიტით გადახურული ალაყაფის ჭიშკარიც! ბორისი დაიხარა და ყორიდან გადმოვარდნილი ძეძვი იელის ჯარჯზე შეავლო. ჭიშკარი ისაია მეკუბოვის ნახელავი იყო. შემოდგომაზე გაუცეთა. არა, ურიგო კაცი არ ეთქმის ისაია მეკუბოვეს. ყველაზე ვაჟკაცურად ისევ ის მოიქცა...

ოდის ლაფაროდან თეთრი ფინია გამოვარდა. წყავწკავი ატება.

— ჰეი! — ხალისიანად შეეხმინა ბორისი.

ოდის ზედა სართული ცალი გვერდით მიწაზე იდგა. კიბე წინიდან ჰქონდა. კიბის უკან, მიწაში ჩადგმული ბოძები

მოხანდა. ამ ბოძებზე სახლი იყო დაფუძნებული.

— ჰეი! — კიდევ დაიძახა ბორისმა.

ბალოზიდანვე დედის გამოგებებას იყო დაჩვეული და გაუკვირდა, რატომ პირველი დაიძახილი ვერ გაიგონაო.

ფინია წამუტუნებდა, ფეხებში ებლანდებოდა.

ლაფაროდან დედაბერმა გამოჰყო თავი, ზემოთ გვერდულად ამოიხედა და კრუხი, რომელიც გულზე ჰყავდა მიხუტებული, სახლის ქვეშ, სადურგლო დაზვად გამართულ ფიცარზე დასვა.

— უშვებ? — წამოიძახა ბორისმა.

— მარტო ხარ? — მოხუცებულმა ისევ კრუხს წაატანა ხელი.

— რატომ არ გამოიხედე?

— ამას ვაჯენდი. ხომ არსად უწვიმია?

— რაზე მატყობ?

— მოიცა, დაეჯენ.

დედაბერი სახლის ქვეშ შებრუნდა. ბორისიც მოიხარა და შეჰყვა.

ფიჭვის ბურბუშელებით გატენილ საჯირკე გოდრებს შუა საბუდარი იდგა. საბუდარში ფაფუკი თომი იყო ჩაფენილი და ოციოდე კვერცხი ელაგა.

ბორისი დაიღუნა. საბუდარიდან კალმახივით დაწინწკლული წყვილი კვერცხი ამოიღო.

— ესეც ქათმის არის?

დედამ ვერ გაიგონა.

— კუხ-კუხ-კუხ... — ნებივრობდა კრუხი და ავად აფახულებდა მრგვალ თვალებს. ბორისმა კვერცხები საბუდარში ჩააწყო, დოინჯი შემოიდგა.

— დედა! ახალი ამბავი უნდა გითხრა.

— რაიო? ეს გაგაგონებს რამეს თუ? ჩაჯექი, ჩაჯექი, ჰო, ნუ გეშინია, შე საცოდავო!

— ახალი ამბავი უნდა გითხრა.

— ჩუ! არაფერი არ მესმის ამ შერცხვინილის გადამკიდევ.

— ცოლს ვირთავ, დედაჩემო!

დედამ უნდობლად ამოხედა შვილს. ისედაც ცერკვის სიმსხო თვალელები უფრო მოეჭურტა.

— მართლა, ბარუსი?

— მართლა! გეწყინა თუ?

— ვისა, ბიჭო?

— ვისა... აბა თუ მიხედვით...

— თქვი, ნუ გადამრიე!

— ერთს! — ხმადაბლა ჩაიციხა ბორისმა, ცარიელი გოდორი აიღო და საბუდარს ზემოდან დაუპირდაპირა, — გაიწი, ახლა ველარ გაიქცევა.

— ვინ არის, სახელი არ ქვია?

ბორისმა გოდორი დააპირქვევა, ერთიმეორეზე გადაწულ წნელსა და წნელს შუა შეიჭვირტა და თითი დაუქნია კრუხს.

დედაბერი წამოდგა. შვილს მკლავებში ჩაავლო ორივე ხელი და სცადა თვალელებში შეეხედა.

— მართალი მითხარი!

ნეტავი მართალი ყოფილიყო! თავად უნდოდა ბორისს ეს ახალი ამბავი მართალი ყოფილიყო. თუნდაც ეს არა, თუნდაც სხვა რამ, რითაც დედას გაახარებდა. რატომღაც უნდოდა, დედა გაეხარებინა, რაიმე სასიხარულო ეთქვა და ამის მეტი ვერაფერი მოიგონა. იცინოდა, დედის დანაოქმებულ შუბლს ზემოდან დასცქეროდა, სისხლნაკლულ ცივ თითებს ნაფოტა ხელებით ეალერსებოდა.

მოხუცებული ზემორობას მიუხედა და გული ჩაწყდა.

— ნუ გეშინია, დედაჩემო, ღმერთი მოწყალეა! — ღიმილით გაამხნევა ბორისმა.

— რამ გათქმევინა ამისთანა ტყუილი?!

— ენახო ერთი, რას იტყვის მეთქი.

— შე რას ვიტყვი, დედა, მე რა უნდა ვთქვა.

— წამოდი აბა, გამიძეხი!

— კანტორიდან მოდიხარ?

— აგერ ვიყავი.

— ხომ არაფერი ამბავია?

ბორისმა საქმეზე ლაპარაკი არ მოისურვა.

— ვისია ეს ცულის ტარები?

— პარენამ მოიტანა. შენ დაგებარებინა.

ბორისმა ტარი აიღო. ხელში მომარჯვა.

- რავა პარმენასავით განზე იყურება.
- რაც მოიტანა, ეგ არის.
- ახლა უცებ ვერ წამახვსებ?
- ამ წუთში, დედა, ოღონდ კი რამეს დააწე ხელი და...
- წავიდეთ აბა!

თავი ოცდამეჩვიდმეტე

ხათუნას მოუსვენრად ეძინა. ოთახში კვლავ ნავთის სუნი იდგა. თითქოს ქვეშაგებსაც ნავთის სუნი ასდიოდა. ხათუნა ძილშიც კი გრძნობდა ამ შემხუთვეულ სუნს და წამდაუწუმ ეღვიძებოდა.

მთელი დღის ნაჯაფი ზურია კარის მახლობელ საწოლში ვაშლართულიყო და ხვრინავდა. უმცროსები ხათუნასთან იწვნენ.

„რა მოუვიდა ამ ბიჭს, ადრე რომ არ იცოდა ხვრინვა?“ — ფიქრობდა ქალი და თავს ეძალეობდა, იქნებ დამეძინოსო.

ხვალ დილას ადრე ასადგომი იყო. დღეს ბორისი ვერსად მოიხელა; ვაითუ ვერც ხვალ ნახოს და ამასობაში ვინ იცის, რა მოხდება.

საღამო ოჯახში ტრიალს მოანდომა. ნასადილევს სარეცხი გამოიწყო. პავლემ და შალიკომ თოკი გაუჭიმეს ეზოში. ერთი ბოლო ყორის სარს გამოაბეს, მეორე კი კომშის ტოტზე მიამაგრეს ქუჩისთავეზე.

„რალა მოარჯულეებს ამათ! — გაიფიქრა ხათუნამ. როცა კომშის ძირას სარეცხი გაიტანა და აბალახებულ ქურისთავს მოჰკრა თვალი, — დმერთო კი მომკალი, რატომ აქამდე არ გამახსენდა!“

ორი მომცრო ქვევრი, რომლებშიაც წინათ კომბოსტოს და კარხლის წნილს დებდნენ, თავმოხდილი იყო. ყელწვრილი ქვევრები მღვრიე წყალს აევსო.

„შალიკო კისრისტეხით დარბის ეზოში, შიგ რომ ჩამივარდეს?“

სარეცხით მოპირთავებული ხახალი ხათუნამ ძირს დადგა და, არ დამავიწყდესო, ყორის თავზე ორი ბრტყელი ქვა გამოარჩია. ქვეები ბიჭებმა მიავგორეს ქუ-

ჩისთავამდე და დედის მითითებისამებრ მღვრიე წყლით ავსებულ ფაფურა ქვევრებს დაათარეს.

დაწოლის წინ ხათუნამ ერთხელ კიდევ ასხენა ქვევრები. უნდოდა ზურიასათვის ეთქვა, ვენახს გათოხნი თუ არა, ეს ამჟამობის წყალი იქნებ როგორმე ამოაქციო, მაგრამ ზურია გაუხდელად მიწოლილიყო და ასევე ჩასძინებოდა.

ოთახში ნავთის სუნი იდგა. ხათუნამ გაიფიქრა, კარჩაქეტილში ბავშვები ამომეგუდებიანო და ფანჯარა ღია დასტოვა. შუალამისას სიცივემ გამოაღვიძა. ნავთის სუნი ისევ იდგა ოთახში. გულაღმა გაშოტილი ზურია ყელგამოჭრილივით ხრიალებდა.

ხათუნა ადგა, ფანჯარა დაკეტა, მერე ზურიას საწოლისაკენ მობრუნდა და სცადა ბიჭისათვის სასთუმალი გაესწორებინა. ზურია მძიმე იყო. მთელი ტანით მოსხლეტილი იწვა და ვაჟკაცური ღრმა ძილით ეძინა.

„იმანაც ამისთანა ძილი იცოდა, — მოაგონდა ქალს, — ყურთან რომ ზარბაზანი დაგეცალა, ვერ გაავგონებდი. ეძინოს, ცოდევა გაღვიძება!“

ხათუნა დაწვა. გააყრცოლა. ლოგინში ღამის სიგრილე შემოჰყოლოდა. საბნის ქვეშ შალიკოს მკლავი მოქებნა და ზედლოყით მიეყრდნო. მკლავიდან თითქოს ულევი სითბო გადმოიღვარა. შეცივებული ქალი ერთბაშად გაათბო. ხათუნა ასლა ტუჩებით შეეხო შვილის მკლავს. პაწაწინა თითები ყელზე მიიხუტა. შალიკო შეიშმუშნა. ალბათ, მოუხერხებლად იწვა. ხათუნამ უმაღლეს გაათავისუფლა ბავშვის მკლავი. თავზე საბანი წაიფარა.

„არ იფიქრო, ფიქრი არ შეიძლება! — ჩურჩულებდა სულგანაბული. — არც არაფერი მოიგონო. დაიძინე! რაც იყო, წავიდა. დანარჩენი ყველაფერი წინაა, ხოლო რაც წინაა, შენ არ გეკუთვნის, ამათია!“

მაგრამ ეს მაინც ფიქრი იყო, თანაც ნაძალადევი და აკვირებული.

„ოთახში ნავთის სუნი დგას. გარეთ დამეა. შინაც ბნელა. ზურია ისევ ხვრი-

ნავს, — უაზროდ მარცვლავდა ხათუნა, — მე ახლა დავიძინებ. ხუთ წუთში დამეძინება. წელან სიცივე იყო. ფანჯარა დაკვეთე. ახლა აღარ იქნება სიცივე. ოთახში ოთხნი ვართ: შალიყო, პავლე, ზურია და მე. მებუთეც არის აქ, მაგრამ იმას არ ძინავს... ჰო, ახლა დავიძინებ. უკვე გვიანია. სადაცაა მამალი იყივლებს.“

მამალმა მართლაც იყივლა შუაუბანში, მერე ლაბაძეებში, მერე ზემოთ, საშველლოს მხარეს.

„ეს კი ლაშხების მამალია. მაგრამ ასე შორიდან მოდის ხმა? სიწყნარეა და, ალბათ, იმიტომ. ახლა დავიძინოთ. ორი საათიც და გათენდება.“

ღილით ყველაზე ადრე ზურია იმ გაახილა თვალი.

ფანჯარაში მოძალებული გაზაფხულის ხასხასა სიმწვანე იკვირებოდა. ცა მოკრიალებული და ლურჯი იყო.

ზურია წამოხტა, დაკოტავებულ შარვალში ფეხი სასწრაფოდ გაუყარა და ფანჯარა გააღო.

მწვანე ბალახზე ცვარი იყო. გამთენიისას მგონი კიდევ წამოეწვიმა.

ზურია ხარბად შეისუნთქა ნოტიო ჯანსაღი ჰაერი და სახსრების ყრუ ტკივილი იგრძნო. დაბუტებული ხელები უხურდა. თითები ძლივს გაშალა.

„პირველად დაგძალავს, მერე თანდათან შეეჩვევი, ნუ გეშინია!“ — გაახსენდა ზაქარა მჭედლის ნათქვამი და ხელები უფრო გაბედულად აამოძრავა.

საიდანღაც ჩიტების ხალისიანი ქლურტული შემოესმა. ზურია თავი გაჰყო ფანჯარაში. ზემოთ აიხედა.

წყაროს თვალივით გამჭვირვალე სივრცეში წვრილ-წვრილი გულუვითვლა ჩიორები ირაოს აკეთებდნენ, თვალს წამისწამ ეფარებოდნენ, მაგრამ კიდევ წამიც და ხელახლა ტრიალებდნენ მინდვლების კერის თავზე.

— შალიყო! პავლე! — მოტრიალდა ჩიტების მოუსვენარი ტრციალით გახარებული ზურია, — აი, თქვე ძილის გუდებო, დაინახეთ, რა ამბავი აქვთ ჩიტებს ჩვენი სახლის ზემოთ?

— აბა? — უმაღვე წამოჯდა შალვა.

— მოდი აქ და დაინახე ბალიყო, შენ სკოლაში არ მიდიხარ? — ლიონთაძე

— აცალე, დედა, ეძინოს, — სასთუმალს უკან კაბას გადასწვდა დაწვებაც-რეცილი ხათუნა, რომელსაც ლოყაზე ბალიშის ირიბი ნაკეცი დამჩნეოდა, — ადრეა ჯერ.

— აბა, ზურია? — შალვა უკვე ფანჯარასთან იყო.

ზურია ძლივს ასწია უმცროსი ძმა. ფანჯრის რაფაზე შეაყენა.

— შალო, რამდენჯერ გითხარი, ფეხშიშველი იატაკზე ნუ დარბიხარ მეთქი. მერე მაგ ფეხებით ლოგინში ჩაწეები, — თქვა ხათუნამ.

— მოდი, ზურია, დავიჭიროთ!

— მაგათ შენ დაიჭერ?

— დავიჭიროთ და ისევ გავუშვათ.

— დაიჭირო, მე არ გიშლი!

— პალიყო!

— მოეშვი ბავშვს, არ გესმის შენ? — გაწყრა ხათუნა, — ტვინს გადმოუბრუნებს ადამიანს!

შალიყო დაწყნარდა. ხმაური რომ აღარ გამოეწვია, ფრთხილად დაიხარა და ფანჯრის რაფას ორივე ხელით მოეკიდა.

ზურია უკვე საწოლზე იჯდა და ფეხსაცმელს იცვამდა.

— ჩამოდიხარ? — მიაძახა ძმას.

— ბალჩაში უნდა გადავიდე.

— რა ვინდა ახლა ბალჩაში, ცვარია, სულ ამოილანგები.

— გადამიყვანე, ზურია, გეხვეწები.

— შალო! — ხმა აიმაღლა ხათუნამ, — ეერ გაივ, რა ვითხარი? მოდი, ფეხზე ჩაიცვი!

— მიტერს და რა ექნა!

— აბა ფეხშიშველი გირჩენია?

— ზური, გადამიყვანე, გეხვეწები.

— გადაიყვანე! რაკილა ატყდა, საშველს მოგვეცემს?

ზურია ციმციმ ასწია ძმა, უჩუმრად მკლავზე აკოცა და ფანჯარაში გადასვა.

— ვაი, რა ცივია! — დაიძახა შალვამ, როგორც კი ფეხი დაცვარულ მიწას შეახო.

— ნახე ახლა თუ არ გაცივდეს! — ზურგსკეან მოესმა ზურიას დედის ხმა.

— რა გააცივებს, აგრე არ დარბის სულ?

შალვა ფანჯარას მოადგა გარედან. დანა მოითხოვა. შვილდისრის გაკეთება გადაწყვიტა.

— მოუარე იქიდან, წყალი დამისხი, პირი უნდა დავიბანო, — უჩურჩულა პასუხად უფროსმა ძმამ და თვითონ კარისაკენ გატრიალდა.

ოციოდე წუთის შემდეგ ზურია უკვე ზაქარა მკედლის კიშკართან იყო და ფეხისწვერებზე შემდგარი ურდულს ხელს უფათურებდა.

კიშკარი გაიღო. ზურია ეზოში შევიდა. არ დაუძახნია, ისე გაჰყვა მოკირწყლულ ბილიკს და კრამიტით ვადახურულ კიბებს მიაღწია.

პალატის კარი რაზით გადაეკეტათ. მგონი შინ არავენ იყო. ზურიამ ყასილად დაიძახა. არავენ გამოხმაურებია. ალბათ, ზაქარამ საღლაც გაასწრო, ტყუპები კი სკოლაში იქნებოდნენ.

ზურია შეფიქრებული გამობრუნდა კიშკრისაკენ, თან მოკირწყლული ბილიკის გასწვრივ ჩარიგებულ ბზის ბუჩქებს ათვლიერებდა. ბზა ჰყვაოდა. ბუჩქებში ფუტკრები დაბზუოდნენ.

ქვის მაღალ კედელთან, რაშიაც ალყაფის ფართო კიშკარი იყო დატანებული, ცაცხვის სკა-გობები მოჩანდა. ზურია არასოდეს. არ მიჰკარებია ამ გობებს. ზაქარამ თქვა: ვაზაფხულზე ფუტკარი გახელეზებულია და თუ კვამლით არ გააბრუე, ძალღვივით იკბინებო.

ზურია კიშკართან მაინც შეჩერდა და ნაპირა სკას დააკვირდა.

ვიწრო კრილში ასობით ფუტკარი ბზუოდა. ერთნი შედიოდნენ, მეორენი გამოდიოდნენ, ზუზუნნი კი განუწყვეტილად ისმოდა.

ფუტკრის სიმრავლემ ზურიას მაცვალას ქორწილი გაახსენა. მაშინაც ასე ირეოდა ხალხი. ვინ მოდიოდა, ვინ მიდიოდა, მთელი ეზო გაურკვეველი ხმებით იყო სავსე. საწყალი მაცვალა, ნუ-

თუ რაიმე ცუდი მოეღოს? მერე რა ახალგაზრდაა და რა საყვარელი!

ზურია ყველაზე საშინელი წარმოიდგინა და გული აუჩუყდა. თვითონაც ვერ შენიშნა, როგორ მოადგა ცრემლი თვალზე. თავი გაიქნია და ეზოდან სასწრაფოდ გავიდა, რათა მაცვალაზე აღარ ეფიქრა. გრძობდა, ყველაფერი სერგოს ბრალი იყო. პირველად ეს აზრი ორიოდე დღის წინათ დაებადა. თუარ სერგო, მაცვალა ახლაც კარგად იქნებოდა. სოფელში ამბობდნენ, ერთმანეთისათვის სულს ლევენო. მერე ეს არის? სერგომ გაიმეტა. ნამდვილად! ვაიმე, როგორ გაიმეტა! არც კი გრცხვენია, სერგო, იმისთანა გოგო როგორ გაიმეტე, ახლა თუ არა, წინათ ხომ მაინც გიყვარდა?! შენ გაიმეტე, შენ, სხვას არავის გაუმეტებია...

— ზური!..

ბიჭი შეკრთა.

ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით, გზაზე, გეანცა იდგა. ცარიელი ჩაფი ძირს დაედგა და ოდნავ წინ წაფერდებულს ზედ მუხლებით მიპყრდნობოდა.

— რას უდგებარ აქ? — იკითხა ქალმა, როცა ზურია პასუხად არა უთხრა რა და მხოლოდ თავი ჩალუნა, თითქოს აქ ისევ მარტო ყოფილიყოს.

ზურია დარცხვნილი იყო. ერჩინა, მიწა ვაჰხეთქვოდა, ვიდრე გეანცას ასე კამოლენჩებული ენახა.

ქალიშვილმა ჩაფს ხელი წამოავლო, ორიოდე ნაბიჯი გამოირბინა და თითქმის ქვევიდან აპხედა:

— რას უდგებარ აქ, ბიჭო?

— ზაქარა ბიძისთან ვიყავი, — ნაგუბარი ხმა დასძრა ზურია, — უნდა მეკითხა დღეს ვემუშაობთ თუ არა...

— გაგოწყრა?

— შენ სად მიდიოდი? — პასუხს თავი აარიდა ბიჭმა.

გეანცამ ჩაფს წაპკრა ფეხი.

— მერე წყაროს გზა აქეთ არის?

— ფერმის ბოლოზე რომ გამოიარე, დაგინახე.

— რად გაგებარე გუშინ?

— გაგეპარეთ? როდის! — გვანცას წითლად აეტკიცა სახე, — მაპატიე...

ზურიას ეს სიტყვა ეუცხოვა. ნამეტური ქალაქური სიტყვა იყო. საუბარში ამნაირ სიტყვებს არასდროს არ ხმარობდნენ. ამიტომ ეუცხოვა...

— ზურია, — ჩურჩულით დაიწყო გვანცამ, თან ფრთხილად მიიხედ-მოიხედა — მე თქვენსა ველარ მოვალ აწი. შენ არ გეწყინოს...

— რატომ? — წამოიძახა ზურია.

— იმიტომ! — გვანცამ კიდევ მიიხედ-მოიხედა და ჩაფხ დასწვდა, — ოღონდ შენ ნუ გეწყინება...

ზურია დაიბნა. წასასვლელად მომზადებულ ქალიშვილს უყურებდა და საჭირო სიტყვები ველარ მოეძებნა.

— ნახვამდის! მე წავედი, — გვანცამ ცოტა ხანს უცადა, ზურია ამაზე რას იტყვისო, მერე ღიმილის ნიშნად თხელი ტუჩები მოწრუბა და გვერდი აუქცია. აშკარა იყო: არც თავად უნდოდა წასვლა. ნაბიჯი მაინც არ შეუწუნებია. შუკა უკანმოუხედავად აიარა და სოფლის მალაზიის ქვეითკირის კედელს იქით თვალს მიეფარა.

ზურია კვლავ დამუნჯებულებით იდგა ზაქარას ჭიშკართან. გვანცას უცნაური საქციელი ვერასგზით ვერ აეხსნა.

„დავეწვი და ვათქმევივინებ!“ — გადაწყვიტა მცირე ყოყმანის შემდეგ და ადვილს მოწყდა. ათიოდე ნაბიჯი გაირბინა თუ არა, ისევ შეჩერდა. როგორღაც მიხვდა: ახლა არ შეიძლებოდა გვანცასთან ლაპარაკი. გვანცას ლაპარაკი არ უნდოდა. გვანცას ცხოვრებაში რაღაც ისეთი მოხდა, რაც ზურია არ უნდა იცოდეს...

ბიჭი ჩაფიქრდა. ერთბაშად მის თვალწინ გაიარა ყველა წუთში, რომელიც კი გვანცას გვერდით გაეტარებინა. გვანცა ყოველთვის უსახლვროდ კეთილი და მზრუნველი იყო, პატარა ქალიშვილის ძალდაუტანებელი მზრუნველობა ზურიას დედას აგონებდა და გვანცას მალევე მონახულება თანდათან აუცილებელ და ძალიან სასიამოვნო მოლოდინად ექცა. ბიჭის გულში ყოველდღი-

ურად მწიფდებოდა სამაგიერო მზრუნველობის და თავგანწირვით მოთხოვნა.

გვიწოდებოდა

უნდოდა გვანცას წინაშე თავი დიდ ხიფათში ჩაეგდო, სიცოცხლე გაეწირა; უნდოდა გვანცა განსაცდელში ენახა და თვითონ, მხოლოდ თვითონ ყოფილიყო მისი ერთადერთი მხსნელი; უნდოდა, ყოველი მცირე გაჭირვების დროსაც კი გვანცას მასთან მოერბინა და, როგორც მეგობარს, გული გადაეშალა.

ეს ერთი ათად გააბედნიერებდა ზურიას. ფრთებს შეასხამდა.

მაგრამ გვანცა არაფერს ამბობდა. თუკი შემთხვევა მიეცემოდა, მხოლოდ ზურიაზე ზრუნავდა, თან არც ყოყმობდა, არც იმადლებოდა, თითქოს ეს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო: ზურიას არ უნდოდა შეემჩნია...

ბიჭმა ერთხელაც ვერ დაუმტკიცა, რომ უმადური არ იყო.

გვანცა ყველაფერს აფუჩეჩებდა, სიცოცხლე ატარებდა და მერე უკანმოუხედავად გარბოდა შინ...

„ოღონდ შენ ნუ გეწყინება...“ — გაახსენდა ზურია და თვალი ნაღვლიანად გააყოლა ვიწრო შუკას, სადაც გვანცამ გაიარა. „ალარ მოვა... გამაფრთხილა“. მერე რად იყო ასე დაღონებული? ფერმის ბოლოზე გამოვლილი დაგინახეო. მაშ, ინათლა თუ არა, აივანზე მდგარა, უყარაულებდა. მერე წყლის მოტანა მოიმიზეზა. ზურიას შესახვედრად გზა გაიმრუდა. სიტყვები წინასწარ მომზადებული ჰქონდა...

ზურია უჩვეულო შფოთვამ შეიპყრო. არასოდეს ისე არ მონდომებია გვანცას ნახვა, როგორც ახლა, ამ წუთში.

„ნეტა აავსო უკვე და წავიდა?“ — ხმამაღლა ჰკითხა თავისთავს.

ნოქარს მალაზია გაეღო, გაქუჩყვიანებული თეთრი ხალათი ჩაეცვა და მალაზიის წინ დაწყობილი ფანერის მომცრო ყუთები მიგნით შეჰქონდა.

— ეი, ზურია! — მოაძახა ბიჭს, როცა ამ უკანასკნელმა მალაზიის წინ გაირბინა, მაგრამ მინდელს არ გაუგონია.

ზურია ამანქანო გზიდანვე დალანდა თვალი ოლეში მიმალულ წყაროს.

გვანცა იქ აღარ იყო.

„იქნებ ღართანაა დაღუნული და მე ვერ ვხედავ?“

კიდევ წუთიც და სირბილით გულ-აზოვარდნილი ზედ წაადგა წყაროს.

გვანცას გაესწრო. შეიძლება, წყარო-ზე არც ჩამოსულა.

ზურია ახლა პირველად დაუფიქრდა გვანცას ეშმაკობის ფარულ აზრს. ცარიელი ჩაფი, რომელიც წელან ზელში ევირა, საიმედო ნიღაბი იყო. ვითამ წყლის მოსატანად მიდიოდა და ზურიას გზად შემთხვევით გადააწყდა. ამით გვანცა გაცილებით მეტს ამბობდა, ვიდრე თქმა სწადდა. ზურიასთან რა ჰქონდა სათვალთმაცო, განა ყველაფერი დაუფარავად არ უთხრა? სხვას ერიდებოდა, ცარიელი ჩაფით სხვას ატყუებდა, მაგრამ რა იყო მოსატყუარი?

ზურია უეცრად მიხვდა გვანცას გუ-შინდელი გაპარვის მიზეზს. სანამ დედა მოვიდოდა, თავისუფლად იყვნენ, დედა მოვიდა და...

ბიჭს გული აუქანკალდა. აქამდე განუცდელმა თრთოლვამ თავით ფეხამდე აიტანა. რა იყო ეს? თვალეზი ცრემლით აევსო. რალაც უხაროდა, შიგნით რალაც ტკბილად სტკიოდა...

უძრავად დგომას დიდხანს ვერ გაუძლო. ყანის პირს სირბილით გაჰყვა, თან თვალეზს აცეცებდა, ხომ არავეინ მიყურებსო, ოლეში მყუდრო ადგილი მოძებნა. მაშინვე შიგ შეძვრა და აფუებულ მიწაზე დაეშვა. აქ მარტო იყო, სრულად მარტო იყო თავის ბუნდოვან ფიქრებთან და ტკბილ ტკივილთან ერთად.

ირველი მწვანე ფოთლების და მიწის სუნი იდგა, ზემოდან მზე აცხუნებდა და კიდევ უფრო აძლიერებდა იდუმალ აღმადრენას. ტკივილს, სიზარულს...

თავი ოცდამეათმრამეტი

ბორისი კაბინეტში იყო ჩაკეტილი. შიგნით არავის უშვებდნენ. ხათუნამ კარგა ხანს იცადა აივანზე. დერეფანში

ორჯერ გამოჩნდა შემფოთებული მარგალიტა მოანგარიშე. გაყვირებული ფურცლების ვეება შეკრებულა გამოჰქონდა.

სხვა სიკეთესთან ერთად, მარგალიტა ახლომხედველიც იყო. აივანზე მომლოდინე ხათუნა მინდელი ძლივს შეინშნა. ამჯერად სქელუდიანი დაეთარი ამოეჩარა ილღიაში. ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოირბინა. თავზე ფოჩებიან „გარუსს“ იხვევდა.

— მარგალიტა! — კიბის თავთან გადაუდგა ქალს ხათუნა, — ბარუსის ვერ ენახავ ამ დილას?

— უი, — მოანგარიშე შეერთა, — ძალიან ბოდიშს ვიხდი, მეჩქარება, ხათუნა..

— ბორისს ვერ ენახავ ამ დილას?

— ვერა, ვერა, ხათუნა, — მარგალიტა ქვის კიბეზე ფაცხაფუცხით დაეშვა და „გარუსს“ ფოჩებიანი ბოლო მხარზე გადაიგდო.

— ჰყავს ვინმე?

— ბრიგადირებია.

— შენ სად გეჩქარება ასე?

— ლაშხისას გამაგზავნა.

— მოიცა, ქალო, მარგალიტა!

მაგრამ მარგალიტა უკვე ჰიშვართან იყო.

„ეშმაკებშია! გივლია!“ — მხოლოდ ტუჩების მოძრაობით მიყვოლა ხათუნამ და კვლავ აივანზე დარჩა, რათა ცოტა ხანს კიდევ მოეცადა.

ხათუნამ არ იცოდა, არამცთუ ხათუნამ, ბორისს ლოლადის გარდა, სოფელში არავეინ არ იცოდა, რომ დღეს საღამოს უჩა მესხი უნდა გადმოსულიყო წიფლისწყაროდან. ბორისს ეს ამბავი არ გაუხმაურებია. ერიდებოდა სოფლის შეყრას. კაბინეტში ადრიან დილიდანვე ჩაიკეტა. გვერდით ბრიგადირები მოისვა და კოლმეურნეობის საბუთების ქექვას შეუდგა.

ძველი საბუთები თითქმის არ აღმოჩნდა. განზრახ თუ შემთხვევით, მოუწესრიგებელი იყო კოლმეურნეობის საადგილმამულო დავთარიც, რომელსაც

სხვანაირად ზონარგაყრილ წიგნსაც ეძახიან.

ზოგიერთი საყანე ადგილი წიგნში ტყედ გაეტარებინათ. ამას, რასაკვირველია, ადგილად მოეცლებოდა. სადავი-დარაბო სხვა მხრივ გაჩნდა: წიგნში საყანედ ან ვენახად მოხსენიებული ბევრი ადგილი დიდი ხნის წინათ გაუღებურებულიყო — ოდესღაც ნაყოფიერი ფერდობები მაყელის ბარდებსა და ასკილის ბუჩქებს დაეფარა.

რომელიღაც ძველ თავმჯდომარეს — კერძოდ რომელს, ვინ უწყის ახლა! — არ გაემზილა ეს გარემოება და ზონარგაყრილ წიგნისათვის, შესწორების მიზნით, ხელიც არ ეხლო.

ამან ყველაფერი არაია.

თუ კაცი ზონარგაყრილ წიგნს ერწმუნებოდა, სოფელს გაცილებით მეტი სახნაე-სათესი მიწა და ვენახი გააჩნდა, ეიდრე ნამდვილად ჰქონდა.

მოულოდნელი აღმოჩენით შეფიქრიანებულ ბორისს დანა პირს არ უხსნიდა. ამ წუთშივე, დაუყოვნებლივ უნდა შეედგინათ მოხსენებითი ბარათი რაილმასკომის სახელზე. მაგრამ ასე სახელდახელოდ? მოხსენებითი ბარათი მთელი კვირის სათავედმო საქმე იყო. ჯერ მიწის მზომლები უნდა მოეწვიათ წიფლისწყაროდან და საკურას ტყე და მინდორი ხელახლა აეზომათ...

ხათუნამ არ იცოდა თუ ბორისი გაწამაწიაში იყო. ნახევარ საათს მანაც იდგა კედევ აივანზე, სანამ ჩქარი სიარული-საგან მოფერიანებული მარგალიტა არ დაბრუნდა და თავმჯდომარის კაბინეტში შესვლისას კარი ღია არ დასტოვა. ხათუნამ გაიფიქრა, ბორისს დავენახვები, იქნებ თავად გამომხედოსო, მოანგარიშის კვალს მიჰყვა, მაგრამ კარის ზღრუბლზე კი შეჩერდა.

გალიფე-შარვლის ჯიბეებში მუშტებ-ჩაჩრილი თავმჯდომარე საწერ მაგიდასთან იდგა და ზურგით კედელზე მიმაგრებულ ტელეფონის აპარატს ჰფარავდა. მაგიდაზე, თავმჯდომარის წინ, რუკა თუ რაღაც რუკის მსგავსი იყო გაშლილი.

— ბორის... — გაუბედავად დასძრა ხმა ხათუნამ.

თითქოს სახეზე მათრახმ განდჰქანტობ ბორისი უეცრად გაიმართა:

— რა გინდა!

— ბოდიში, ბორის, მე... — საერთო სალამის თქმაც ველარ მოასწრო ხათუნამ, რადგან მიხვდა: ცუდი დრო შეერჩია აქ მოსასვლელად...

— რა გინდა, ქალო!

— ცალკე მოსალაპარაკებელი მქონდა...

— შენი დრო მაქვს ახლა მე?!

— ბოდიში...

— გაიხურე კარი!

ეს ისეთნაირი გაბოროტებით იყვირა ბორისმა, ხათუნას მიტკლის ფერი დაედო სახეზე.

— გაიხურე კარი, ქალო! არ გესმის შენ?

— ბორის...

— ადამიანები ხართ თუ რა ხართ, თქვე ოჯახამოსაგდებლებო! სულის ამოსვლას აღარ მაცლით? გაიხურე კარი!

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხათუნა კარის ზღრუბლზე იდგა. სიჩუმე მარგალიტას შემპარავმა ფეხისხმამ დაარღვია.

ქალები ვიწრო დერეფანში გავიდნენ.

— ხომ გითხარი... — წაიხურჩულა სუნთქვაშეგუბებულმა მარგალიტამ, — ხალხი ყავს...

— ოჰ, ღმერთო! — ღრმად ამოისუნქა ხათუნამ, მოანგარიშის შენიშვნას ყური აღარ ათხოვა და ნაბიჯი გადასდგა აივნისაკენ.

ქვის კიბეზე შავი სატინის ხალათში წელგამონასკეული ელფეთერ ლაშხი ამოდიოდა.

ხათუნას ზედ არ შეუხედა, სალამზე თვალის წამიერი შევლებით უბასუხა და როდესაც ელფეთერმა გვერდი აუარა, კიბე ჩაირბინა.

კიშკართან ედუკი მიროტაძე იდგა. მღაზიაში ნაყიდი ნახშირით შავი პური გულზე მიეხუტებინა და კანტორის აივნისაკენ იყურებოდა.

ხათუნამ, თავაუღებლივ გაიარა ეზო.



იმედოვნებდა, ედუკი აღარ დაიცდის და წავაო, მაგრამ თითქოს მისი გამოჯაგრება სდომებოდეს, ქალი კვლავ ჯიუტად იღვა ერთ ადგილზე.

— უპ, ხათუნა ხარ? — წამოიძახა მან, როცა ქვრივმა ჭიშკარი გააღო, — შორიდან კი ვერ გიციანი, მზე მიჭყიტინებს თვალებში. რალაცას შეიძენ!

ხათუნა უნებურად შეჩერდა, სიმწრის ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი მოისვა და განზე გაიხედა.

— რავა, გული მოგაყვანინა ვინმემ თუ?

— მე? — ღიმილის ნიშნად კბილების თეთრი ხაზი გამოაჩინა ხათუნამ, თავსაფარი მოიხსნა და თმის სწორებას მოჰყვა, რათა სახე ნიდაყვით დაეფარა.

ედუკიმ წინიდან შემოუარა. ცნობის-მოყვარე თვალებს მალიმალ აფახულეზდა.

— ზურიას მოკვარი თვალი ამ დილას.

— სად? — გამოურკვა ხათუნა.

— კოპერატივთან გამოიარა. შენი ამბავი მინდოდა მეკითხა.

— ალბათ, სამჭედლოში მიდიოდა.

— ალბათ... ჩვენი ხომ კარგად არიან იქით?

ხათუნამ ხელები ჩამოუშვა. უფერად ვერ მიხვდა, ვის გარშემო ეკითხებოდა ედუკი.

— პორფილესანები... — მაცდური ღიმილით დააზუსტა ქალმა.

ქვრივი აიმღვრა.

ედუკი გამომცდელად შემოსციცინებდა:

— რავა, მე მიმალავ თუ?

— ედუკი... წაიჭურჩულა ხათუნამ, მაგრამ მეზობლის ქალმა აღარ დააცალა.

— იმდენი სიყვითე ჩემს ქმარ-შვილს, რაც მე შენთვის მინდოდეს, თუარა რა მრჯის! მაშინდელივით არ იუარო ახლა. მამა ზეციერმა ტბილად შეგაბეროთ ერთმანეთს! მე ყველაფერი ვიცი..

— რა იცი?! ხათუნას თავზარი დაეცა.

— ვიცი, — ედუკიმ ჩაიღიმა, დრო იხელთა და შავ პურს მხრებზე წამოხუ-

რული შალის ბოლო გადააფარა, — გულის ბიძაშვილები ვართ მეც და მწრფეც. როგორც... ვინ ვთქვამს? ფილეს ამბავი მე მკითხე!

— რა ამბავი!

ედუკის გაეღიმა, მოცვეთილი კბილები გამოუჩნდა:

— ე, თუ არა!

— რა იყო? — თავის შეცდომას ახლალა მიხვდა ხათუნა და სახე უფრო წამოუქარბლდა.

— ხომ მოსალოცად გაქვს საქმე, მართალი თქვი!

— ედუკი...

— არა, არა, მართალი მითხარი! შენ რომ მეტყვი, შენი პირით, გული უფრო დამიმშვიდდება.

— მე არაფერი არ ვიცი, ედუკი, — ამ სიტყვებით მღელვარების დაოკება სცადა ხათუნამ.

— არ იცი?

— არაფერი არ ვიცი...

— აბა ტყუილია, ქალო?

— შენ ვინ გითხრა?

— თქვეს. მთქმელი არ გამოჩნდებოდა? თავად პორფილემ მოიწერა...

— მართლა ამბობ? — ხათუნას ელდა ეცა.

ედუკიმ ქმარ-შვილი გაიწყვიტა.

— ვაიმე, რალა გქნა! — უმწეოდ წამოსცა ქალს.

— ყოველდღე ჩემი მოლოდინი იქონიეთო. გწყინს თუ?

— ედუკი...

— წამოდი, წერილს გაჩვენებ.

— არ მინდა. თავი დამანებე, — სახეზე ხელები აიფარა ხათუნამ და ზურგიით კედელს მიეყრდნო.

— დაწყნარდი... — ჩურჩულებდა ედუკი, ქე ვიცი, ძნელია მეორე ბედის გადაწყვეტა. მეც შენს დღეში არ ვიყავი? ი კაცი რო გადაბრუნდა და, მტრის და ავისას, მკვდარი გავიტანე სახლიდან, დანაზე ვეხეოდი, მარა, რას იზამ, რაც მოსაყალია, მოვა, შენ დაუდგები წინ?

დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და... ვარ ახლა. ახალ ოჯახს დავუტრიალდი. ბედს კი არ ვემდური, ხათუნა. ასე არ ჯობია? ბიჭმა

გაათავა. თუ ღმერთი შეგვეწია, თავად მოგვხედავს აწი...

— ელუკი! — შეაწყვეტინა ხათუნამ და მეზობლის ქალს ცრემლში აცურებული თვალები მიაპყრო, — თუ აგრეა, თუ მართლა მოიწერა იმ ჩემი ცოდვით სავსემ, მიწერე...

— მიეწერ, აბა არ მიეწერ?

— მიწერე, არ დამღუბოს, აქ არ ჩამოვიდეს...

— რას ამბობ, ქალო?!

— ელუკი.. თუ ჩემი შვილების გაუბედურება არ გინდა, — მუდარაზე გადავიდა ხათუნა, — მიშველე... ის თუ აქ ჩამოვიდა, იცოდე, თავს არ ვიცოცხლებ.

— რატომ, რატომ, ქალო, რა მოხდა ამისთანა!

— არის საქმე ისე..

— გაჩერდი, ადამიანო, რა მოგივიდა! — მართლა შეშფოთება დაეტყო ელუკის ხმას, — აგრე რომ მცოდნოდა, სულ არ გაგიმხელდი.

— არა, დიდი მადლობელი ვარ. ასე ჯობია.

— მიეწერო, არ ჩამოხვიდეოქვა? რას იტყვის მერე!

— რაც უნდა, ის თქვას.

— იმე! ვინმემ რამე ჩაგაწვეთა ყურში თუ რა იყო?

— მაგას ნულარ მომაგონებ, ელუკი. აღარ შემიძლია. ეგ ამბავი რომ ბავშვების ყურამდე მივიდეს...

ხათუნას თვალები გაუშტერდა.

— რავა მივა, ქალო! — შეიცხადა ელუკიმ, — შენ თუ არ გინდა, რანაირად მივა, მე ხომ არ ვიტყვი!

— შენ შემოგველე... — წაიჩურჩულა ხათუნამ, — ეს ერთი საიდუმლო შემინახე. ჩემ თავს კი არ ეწუხვარ. კისერი უტეხიათ, ვისაც რა უნდა, ის თქვას. ბავშვების პატრონი ვარ. ეს არის, ეს... ბავშვები გადამერევიან. ამდენი კი არ ესმის პორფილეს...

— ვითხრა რამე? — ჩაუკიკიკიშალდა ელუკი.

— ვითხრა.

— რაიო?

— ხომ გცოდნია.

— მერე შენ რა უთხარი?

ხათუნამ თავი ჩაჰკიდა, გულს მკვრივადარი ცრემლებს ულაპარაკებდა.

— პორფილეს ბრალია რამე? — აღარ მოეშვა ელუკი.

— არა.. არ ვიცი, ვისი ბრალია. ვერავის დავაბრალებ. ჩემი ბრალია.

ელუკი სულ ახლოს მივიდა, ტუჩები ყურთან მიიტანა.

— იმისთანა ის...

კრიკაშეკრულმა ქალომა თავი გაიჭინა უარის ნიშნად და ელუკის ღონიერად ჩასქიდა ხელი მაჯაში.

შალი ჩამოცურდა. ხათუნას ფურნეში გამომცხვარი პურის სუნი ეცა.

— შე საწყალო! — წაიჩურჩულა ელუკიმ.

თანაგრძნობა გულწრფელი იყო.

ხათუნას გორგალი მოებჯინა ყელში. მიხვდა, ახლა კი ველარ შევიძლებ თავის შეკაეებასო, მეზობლის ქალს ხელი უშვა, ლოყაზე თავსაფრის ყური ჩამოიფარა და სიტყვაც აღარ დასცდენია, სირბილით გაეჭანა გზაზე გადმოწოლილ მადალი ყორის გასწვრივ.

თავი ოცდამეცხრამეტი

ზურის დასცხა. თეთრი პერანგი ზღაზენით გაიხადა, სარის წვერზე დაჰკიდა ალაგესთან და ვენახს გადახვდა.

გუშინდელი ნათობნი მზეს გაეხუნებინა. ახალ ბელტებს ნაზი ოხშივარი ასლიოდა.

გაბზა მიწა, ლეღვივით დამწიფდა..

ზურია უყურებდა და ვერ გამძღარიყო თავისი ნაშრომის ცქერით.

სარზე დაკიდებულ პერანგს სუსტი ნიაგი არხვედა. მეორე სარზე, ვენახის ზედა კუთხეში, შაბიამნის ხსნარით გალურჯებული შარვლის ძველა ეკიდა. განა მართო მწიფობისთვეშია საკირო მოძულეული ტყაბუკის ან პერანგის გამოკიდება! ვითამ რაო, ყურძენზე შემოჩვეული ჩხართვი იმდენად სულელია, ძონძს შეეპუცება? საფრთხობელას გამველე-გამომველე დაინახავს — იტყვის — პატრონი ვენახშია, ოღონდ

სიცხეს შეუწუხებია და ჩოხა სარზე დაუციდნიაო. ეგ არის მთავარი!

ზურია მთხი მხარზე გაიდო, ვენახს ნაპირ-ნაპირ ჩაპყვა, მაგრამ ჩერო ვერსად იპოვნა დასასვენებლად. ვაზის ძირას ჩამოჯდა, მზეს ზურგი შეაქცია და მუხლებს შუა მოქცეულ თოხს ლაფარით ფხეკა დაუწყო. მალიმალ კალას გაპხედავდა.

კალის გადაღმა მხარეს გორიჯერის მუხნარი მოჩანდა სერზე. დედას აქედან მოვლოდა. ზურია მორი ვიწრო სერელი აიტანა თავამდე, დედა კი მინც არ გამოჩნდა. სადილად უნდა გამოსულიყო. შალიკოსაც მოსწყინდა უფროსი ძმის გარშემო წრიალი, მგონი ძილიც მოეკიდა და ეზოში გადაძვრა.

ზურია მზეს აპხედა. შუადღე იყო. შუადღისას კაცები ყოველთვის ისვენებენ. მართლაც და, რა ძალა უნდა დაატანო მიწას ამისთანა სიცხეში! ზურია დაღლილი იყო და მთოხნელთა ჩვეულების გახსენება შესვენების საბაბად დასჭირდა.

„აგრილდება და ისევ ჩამოვალ“, — ვაიფიქრა მან.

მზის სიმხურვალე ადუღებულ ბადაგივით დაღვრილიყო ვენახში. სუნთქვა ჭირდა.

ზურია წამოგდა, ვენახის ბოლოზე ახალი სერელი გამოიწყო და როცა სერელის მთელ სიფართეს ერთი ორჯერ გაუარ-გამოუარა, თოხი მიწაში ჩასტოვა და ალაგესაკენ წავიდა.

შუადღის სიცხით მოთენთილ შალვას კომშის ძირას დასძინებოდა, ჭურისთავზე.

— ბიჭო! — შეეხმინა ზურია.

შალვა ზანტად წამოჯდა. მჯიღებით თვალებს იფშენებდა.

— რად დაწევი მიწაზე, აგრე დაგიპარა დედამ?

— მოვიდა? — პატარამ მომუშტული ხელები დაუშვა.

— ადექი ზეზე, გაცივდები!

— დედა არ მოსულა?

— სულელი!

გაოფლილი ზურია კომშის ჩრდილში

შემოვიდა. ძმას გვერდით მოუჯდა მწვანეზე. შალვა მაშინვე წამოხტა, ზურიას ზურგსუკან შემოუბრუნდა და მხრებზე შესატოტებლად წაეპოტინა.

— მომევი, ბიჭო! — გაწყრა უფროსი ძმა, თუმცა პაწია ხელების ლოყაზე შეხება ესაამოვნა.

შალვა მიუხვდა. კისკისი დაიწყო. გაოფლილ ყელზე მკლავი მოპხვია, წაქცევა მოუნდომა.

ზურია წინააღმდეგობას უწევდა. ცალი ხელი მიწასაც კი დააბჯინა.

— ხელი არა, ისე იყავი! — დაივირა კიდაობის ეშში შესულმა შალვამ, — ხელი არა! ხელი არა!

ზურია ხელი მუხლზე დაიდო. შალვამ იმარჯვა, მოწინააღმდეგეს წინიდან შემოუბრინა, შუბლზე ღონივრად მიაწევა და ორივენი მწვანეზე გადაკოტრიალდნენ. ზურიას ქუდი მოეხადა, ქოჩორი გაეჩეჩა. შალვა უკვე გვერდზე გამხტარიყო, იცინოდა, კვდებოდა სიცილით.

— მოდი, ახლა დაჩოქილს დამეჭიდე! — შესთავაზა ზურია.

შალვას აღდგომა გაუთენდა:

— მოდი!

კარგა ხანს იძიძგილავეს. ხან ერთი იყო ქვეშ, ხან მეორე. შალიკო დაიღალა, ძმას ხელიდან დაუსხლტა და სიცილ-კისკისით ყორისაკენ გაიქცა, ზურია კი მხართემოზე წამოწევა კომშის ძირას, მოსრესილი ქუდი სახეზე დაიფარა.

— ზური, ლეკვებივით არ ვთამაშობდით? — ხელახლა მოიბრინა გალაღებულმა შალიკომ.

— დაიკარგე იქით, ლეკვი შენ ხარ!

— მართლა, მართლა, ზური, ლეკვებივით არ ვთამაშობდით?

— წადი ახლა აქედან, თუარა გაგლახავ!

მოსიყვარულე ძმების ძიძგილს ჭიშკრიდან უთვალთვალებდა კანტორიდან დაბრუნებული ხათუნა. ეგონა, დამინახავნო, მაგრამ ბიჭები ისე გაეტაცნა ჭიდაობას, აქეთ ერთხელაც არ გამოუხედიათ. ხათუნას გულში ჩაებუტებინა თავისივე ხელები და შეიღებებს ისე ხარბათ მისჩერებოდა, თითქოს დიდი ხნის

წინათ დაკარგულები უცაბედად უბოვნიანო.

„თქვენ კი შემოგველოთ თქვენი მშობელი დედა! — ჩურჩულებდა ქალი და მისი წარმოდგენით ამ სიტყვებს ლოცვის ძალა ჰქონდა, — თქვენი ჰიერი შეეყარა დედათქვენს, თქვენს გზადაბნეულ დედას!“

პირველად შალიკომ შეამჩნია კიშკართან ატუხული ხათუნა. თავბირის მტერევიტო და ყურის წამლები კუყვირით გამოეკეცა.

— სუ, რა ამბავია! — გამოერკვა ხათუნა და კიშკარი შეალო.

შალვა კისერზე ჩამოეკიდა, უეხებს ჰაერში იქნევედა.

ხათუნამ ორივე ხელი მოჰხვია შეილს, ეზოში შემოვიდა.

— აქედან რად მოდიხარ? — წამოგდა კომშის ძირას ზურია, — ჩამოდი, შალო, ძირს!

— დაანებე თავი, იყო.

ხათუნა ათრეული ნაბიჯით მივიდა კომშთან, თან ახითხითებულ შალვას ეალერსებოდა.

ზურიას არ მოეწონა დედის სახის გამომეტყველება. ხათუნას ღმილი უსიცოცხლო იყო, დაღლილ მუტრამი ფარულ ტანჯვას დაებუდებინა. ბიჭს გული აუფანცქალდა. მოეჩვენა, რომ დედას რაღაც საშინელის თქმა განეზრახა.

ბედნიერი შალვა აინუნშიაც არ იყო. დედისათვის თავსაფარი მოეხადა, ლოყაზე მკერდით მიჰყრდნობოდა და თმის სარკებებს აძრობდა.

— მოიცა, ბიჭო, ნუ გამწეწე! — გაუცინა შეილს ხათუნამ, მარჯვენა ხელი მალულად გადაატარა უკან და პატარას მოუსვენარი ხელი დაიჭირა. შალვას სარკები დაებნა. ამან უფრო გაამხიარულა, — ჩამოდი ახლა, აკრიფე!

ბიჭებმა სარკების მოგროვება დაიწყეს.

ხათუნა აღარ მალავდა დაღლილობას. ძალიან მოწყენილი იყო. კომშის ქვეშ ორიოდ წუთს იჯდა შეილებთან, თავსაფარი მუხლებზე გადაეფარებინა და საღდაც სახლს იქით, შორს იყურებოდა.

ზურია მთელი გააყოლა დედის დაჩინებულ მზერას.

ხათუნა არაფერს უყურებდა იყურებოდა.

შალვა კისერს იტეხდა. ხან აქედან შემოურბენდა დედას, ხან იქიდან, უნდოდა ყურადღება მიექცია. მე და ზურია დავიჭიდეთო, ზურია ასე და ასე წავაქციეთო...

— ჰო, ჰო, — დროდადრო ეხმაურებოდა ხათუნა, მაგრამ მისი მზერა კვლავ ღრმა და უძრავი იყო.

დედის შემხედვარე ზურიას მოსვენება დეკარგა; უმკროს ძმას უბღვერდა, გაწყრომა კი ვერ გაბედა.

— კიდევ დავეჭიდო? — წამოიძახა შალვამ, — ზური, დაიჩოქე!

— ჰო, შველო, — ხათუნა ადგა, კალთაში ჩაყრილი სარკები მუჭოში მოაგროვა და წელმოწყვეტილივით წავიდა სახლისაკენ.

კიდაობის იშტაზე მოსული შალვა სახტად დარჩა. გაკვირვებულმა უფროს ძმას გადაჰხედა, დედა რად წავიდაო. ზურია მუშტი უჩვენა.

ხათუნა ტახტზე იჯდა. იატაკს ჩასუქეროდა. მოულოდნელმა ფეხის ხმამ ზეზე წამოაგდო. მაშინვე სარკესთან მიირბინა. სარკები ტუჩებით დაიჭირა და, ვითომც აქ არაფერიყო, ჩამოშლილი თმის აკრეფა დაიწყო.

ზურია ჩუმად შემოვიდა ოთახში.

ხათუნა თმას იმაგრებდა. ხელები ოდნავ შესამჩნევად უკანკალებდა.

— დედა, როგორა ხარ? — ხრინწიანი ხმით გაეყვა ზურია.

ხათუნამ მოიხედა.

ზურია დამნაშავესავით იდგა საწოლის თავთან და აზრიანი თვალებით შემოაყურებდა.

„ამის ცოდვა არ მომასვენებს!“ — გაიფიქრა ქალმა.

— როგორა ხარ, დედა? — გაიმეორა ზურია ალაღებდზე ნაპოვნი შეკითხვა.

— რანაირად მიყურებ, ბიჭო! — ხათუნამ გაღიმება სცადა.

ზურია ნერწყვი გადაყლაპა და ფეხი მოინაცვლა.

— თონე დღეს?

ბიჭმა თავი დაუქნია, თან თვალს არ აშორებდა დედის თვალებს, რომლებიც დღეს არაჩვეულებრივად შეცვლილი და ცივი ეჩვენებოდა.

— დაილაღე?

ახლა უარის ნიშნად გააქნია თავი ზურიას და საწოლის კიდზე ჩამოჯდა.

— დღეს გაათავებ? თუ გინდა. მეც მოგეხმარები.

— დედა! — ერთბაშად იელვეს ბიჭის თვალებში.

— რა მოხდა, სირცხვილი კი არ არის, — ხათუნამ თმაში უკანასკნელი სარკვი ჩაიბნია.

— შეორედ არ თქვა ეგ, დედა! მე შენ თოხს დაგაკავებინებ ხელში? მკედარი კი არა ვარ!

— ამას უყურე! — ახლა კი გაუნათდა სახე ხათუნას, — ჩემს მეტს არავის უთოხნია, ბიჭო?

— მაშინ რატომ არ თოხნიდი?!

— როდის?

— როდის და... — ზურიას აღარ დაასრულა, როცა მამა ცოცხალი იყო.

— მაშინ შენ მყავდი პატარა, — მიუხედა ხათუნა, — მოდი, აქ დაჯექი.

ზურიას ერთხელ კიდევ შეავლო თვალი დედას. ხათუნა მზიარული ჩანდა და გარდა სახისა, ხმაშიაც ემჩნეოდა, რომ შეილთან გულახდილ საუბარს არ აპირებდა.

— დაჯექი აგერ, — აღერსიანად გაუმეორა დედამ და თვითონ ფანჯარასთან ჩამოჯდა სკამზე.

ზურიას ტახტზე გადაინაცვლა.

— შალიკო სად არის? — ხათუნამ წამოიწია და გარეთ გაიჭვრიტა.

— ეზოშია, თამაშობს.

— ზური, ყური დამიგდე, შეილო, — მოულოდნელად, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო ხათუნამ და მის სახეს კვლავ ნაღვლიანი გამომეტყველება დაეუფლა. ზურია სმენად იქცა, — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ. ცხოვრების ავი და კარგი გესმის, — ხათუნამ სული მოითქვა და კიდევ გაიჭვრიტა ფანჯარაში, — რასაც გეტყვი, კარგად გაიგონე. გული

ნუ მოგია. საქმე ავწონ-დაწონით და როგორც უმჯობესი იქნება, ისე მოგეტყვი. ხომ მართალია? *ბიჭულიძე*

ზურიას მსხვილი ტუჩები მოეკემა, მღუმარედ უსმენდა.

— შენ არ გეგონოს, თავში ახლა მომსგლოდეს ეს ამბავი, — განაგრძო ხათუნამ. — მე ბევრი ვიფიქრე. ბაბუა და ბებია დაუძღურებელი არიან. ცას არ შეაბერდებია, დედა, არცერთი. ვთქვით, საწყალი ბაბუა, ღმერთო, ნუ მიწყენ, დიდხანს აცოცხლე, ერთ მშვენიერ დღეს გადაბრუნდეს და... ამას სიტყვაზე ვამბობ, ზური, რომ წარმოვიდგინოთ. ბებია უპატრონოდ დარჩება..

ზურიას თავი ჩაეკიდა. შეკრული კბეები ფიქრიან თვალებს უმაღავდა.

— რა უნდა ქნას საწყალმა მარტო, — ხათუნა ყოველნაირად შეეცადა, ოჯახის მომავალზე სჯაბაასი რაც შეიძლება, გულგრილი ყოფილიყო, — ჰა, რა უნდა ქნას, იქ ხომ ვერ დავტოვებთ, ჩვენი ბებია არ არის?

— ჩამოვიყვანთ! — ნადვერდალივით აუვიზგიზდა ბიჭს თვალები.

— იქაურობას რაღა ეშველები?!

— რა ვიცი მე!

— რომ არ იცი, შეილო, სწორედ მაგაზე მინდა მოვილაპარაკოთ. მე უშენოდ ნამიჯსაც არ გადავდგამ. რაც უნდა იყოს, კაცი ხარ. აწი შენ უნდა გვიპატრონო. კალოსუბანში გამართული სახლკარი გვაქვს, დედა. აშენებული რისთვის გავავერანოთ...

— შენ იქ წასვლა გინდა? — წამოცდა ზურიას, — მე ვიცი!

— მოიცა, არაფერიც არ იცი.

— ვიცი! შენ ისევ იქ გინდა წასვლა!

— არა, შეილო, შენ მომიკვდე, თუ წასვლა მინდოდეს. მაშინ აქ რიდასთვის ჩამოვიდოდი. ცოტა გაჭირვება და ცოდვის კითხვა გადაიხდა?

— მე არ წამოვალ! — ზურიას ქვედა ყბა აუკანკალდა.

— სამსახურზე უარს მეუბნებიან.

ზურიას სახე მოაბრუნა.

— უარზე არიან, — მშვიდად დაამ-

თავრა ქალმა და ხელახლა გადაწყვიტა თავმჯდომარესთან დღევანდელი შეხვედრის ამბავი შეილუბისათვის არ გაემხილა.

— ვინ არის უარზე?! — აენტო ხურია.

— ვინ იქნება, ალბათ, ბორისი.

— მოვეკლავ იმ ბორისს!

— ხური!

— ნახე თუ არ მოვეკლა! ნაჯახს და ვარტყამ თავში!

— კარგი მახარობელი ხარ, შენმა გზორდამ! რას ამბობ, ბიჭო, გადირიე?

— თუ გადავირიე, მერე ნახოს იმან!

— სხვა თუ არაფერი, დაქერის არ გეშინია?

— არ მეშინია, არაფრისაც არ მეშინია!

— სულელი ხარ. ნამცეცი ჭკუა არა გაქვს თავში. თითის სიგრძე ბიჭი ამხელა ვეშაპს ეტორღალები?

— ნაჯახმა არ იცის ვეშაპი და კიანჭველა, ჯირკვიით გავაპობ შუაზე.

— სუ! აღამიანად გზრდი მე შენ თუ კაცის მკვლელად! ან იმან რა ქნას, რაიონი არ აძლევს ნებასო.

— რაიონს რაღა უნდა!

— ყველაფერს ჩვენ ხომ არ ჩაგვიკაცლავენ.

— დედა! — უცარი გადაწყვეტილება მიიღო ხურიამ, — მე დამიჯერე შენ. მაგათ გულზე გავხეთქავ. სულ მიაფურთხე, ბალია თუ რაღაცა ჯანდაბა! აღარც ბაბუასთან წასვლა ახსენო.

ხათუნა ჩაჩუმდა. გაფიცებულ შეილს თვინიერი თვალები მიაპყრო.

— დამიჯერებ? — ხელახლა გაულხვა ხმა ხურიას, — მე ვიმუშავებ — ხომ ვმუშაობ! — შენ სახლში იქნები, ზაქარა ბიძიამ მითხრა, წრეულს ორასი შრომადღე მოგიგროვებო, — ეს კი საკმაოდ გააზვიადა ოჯახზე ფიქრით გართულმა ყმაწვილმა. — პურსაც მოგვეცემენ, სიმინდსაც, ლობოსაც, ღვინოსაც, ღვინო ჩვენს ვენახშიც ხომ მოვა. ცოტას დავიტოვებთ, დანარჩენს გაყვიდით ან ყურძნად ჩავაბარებთ ღვინის ქარხანაში, მერე სესხს ავიღებთ,

მამას პენსიაც გვაქვს, ზედ ყურძნის ფულს დავამატებთ... ნახე, თუ უნდა გეგონოთ ამ შემოდგომამზე სახლში ბაბუას სახლზე უარესი კი არ იქნება. ამას ქობოსელად გადავაკეთებთ. ზაქარა ბიძიამ თქვა, ოღონდ შენ გაბედე, უსიკვდილოდ მოგვხმარებო. სხვებიც მოგვეხმარებიან. რა გინდა მეტი! თუ ფული დაგვაკლდა, ვისესხებთ, ზაქარა ბიძია მასესხებს, ვიცი მე გაისად სუყველას გადავიხდი.

ხათუნას თვალები ასციმციმებოდა, ერთ წერტილზე მიშტერებული უსმენდა.

— მერე, მერე? — წაიჩურჩულა მან, როცა ბიჭი გაჩუმდა.

— რა მერე?

— მერე რას იზამ?

ერთმანეთს შეჭხედეს და ორივეს გაელიშა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოლს როდის ირთავ? — ღიმილითვე ჰკითხა შეილს ხათუნამ.

— ცოლს კი არა, ის! — აიმრიზა ხურია.

— თექვსმეტის ბარ, ბიჭო. კიდევ ორი-სამი წელიც და...

— კარგი ახლა, შენც ზაქარა ბიძია ხომ არა ხარ!

— გაგულიანებს ხოლმე?

— დედა, დამანებე თავი!

— არა, შეილო, რა დროს ეგ არის.

— შენ თუ არ მითხარი, მე კი არ ვიცი!

— მერე აგრე უზრდელად უნდა მიპასუხო?

— უზრდელად არ მიპასუხნია მე!

— ხური... — ხელზე თბილი ხელი მოჰკიდა შეილს ხათუნამ და კალთაში ჩაიღო.

ხურიამ შემოხხედა. დედა აღარ იღიმებოდა.

„ვეტყვი! ახლა ვეტყვი!“ — გაიფიქრა ქალმა.

ბიჭი ხმას არ იღებდა. გეგმების უნებური გაქილიკებით ოღნავ ნაწყენი უადგილო ადგილას გაჩუმებულ დედას უყურებდა.

— ზური... — გაუბედავად დაიწყო ხათუნამ. თვლები ასწია, კიდევ შეპხედა შეილს.

„არა, ოღონდ ახლა არა! — კინალამ ხმაშლილი წამოსცდა ეს სიტყვები, — ახლა არ შეიძლება!“

— რა იყო, დედა? — ველარ მოითმინა ზურია.

— არაფერი...

— როგორ არაფერი, გცივა?

— არა, ისე...

— თუ გინდა, შალს მოგიტან.

— არ მცივა, ისე გამაყრიალა.

— თავი გეტკინა?

— დილას მტკიოდა.

— დაწევი.

— ამ შუადღისას? ავდგეთ!

— გორიჯვარზე წახვალ?

— დილას. ახლა სახლში გვაქვს საქმე.

უთოს ვერ გამიცხელებ?

— ახლავე! — წამოხტა ზურია.

— სანამ ასიცხდებოდეს, იქნებ წვიმის წყალი ამოაქციო ქვევრიდან. ვაით თუ ქვები ყრია შიგ და გატეხილია. წადი, წადი, უთო გამიცხელე ჯერ, მე სარეცხს დავენამე. აწი პავლეს მოსელის დროც არის, — ხათუნა წამოდგა, — ზაქარა ნახე დღეს?

— არ იყო.

— სად წავიდაო?

— არავინ არ იყო.

— ალბათ, ისევე საავადმყოფოშიარას გაუკეთებს საწყალ გოგოს თუარა კი.

ზურია ბუხართან მივიდა, სანახშირე ქოთანს სარკველი აშხადა, მერე იქვე დაყუდებულ უთოს წამოავლო ხელი და შიგ ნახშირის ჩაყრა დაიწყო. „რის თქმა უნდოდა? — ფიქრობდა თან, — რატომ არ მითხრა?“

თავი მეორე

ახალი გათენებული იყო, როცა ჭიშკართან პეტრე მიროტაძემ დაიძახა. ხათუნას ბავშვები დაეპურებინა და შენებლობაზე წასვლას აპირებდა. კაცის ხმის გაგონებაზე ზურია წამოხტა,

რათა მეზობლისათვის გაეხედა. მაგრამ ხათუნამ მოასწრო, დერეფანში პირველი გამოვიდა.

ედუქისთან საუბრის შემდეგ დაშინებული იყო. ასე ეგონა, მიროტაძეების ერთი დანახვაც კი რალაცას აგრძნობინებდა ბავშვებს და როდესაც ზურია გზიდან ჩამოიცილა, გულზე მოეშვა.

ჭიშკრისაკენ მომავალი ხათუნა დაინახა თუ არა, პეტრე ყორეზე გადმოხტა.

„მართლა უკულმართი არ არის? — გაიფიქრა ხათუნამ, — ჭიშკარი მაინც არ ჰქონდეს ეზოს!“

— კაი გამარჯობა შენი! — მოეგება მიროტაძე.

— იცოცხლე, პეტრე! მობრძანდი აქეთ, რა შორიდან იძახი!

— ბიჭები სახლში არიან?

— ახლა ავდექით.

— რანაირად მოიმატა დღემ, კაცო, ხედავ?

— აბა, ძალიან მოიმატა.

— ამ დროს პირველი მამლიყიულია იანეარში.

— რაზე გარჯილხარ?

— ხო, — პეტრემ ხელებზე დაიხედა, — ყარამანიჩია ფერმაში და, თუ ძალიან არ შეწუხდები, იქნება აქეთ ამოგვიარო.

— მე, პეტრე? — საკინძეს შეეხო თითებით ხათუნა.

— ხო, რაეა?

— არაფერი... რა უნდა, მარტოა?

— იორამს ელაპარაკება.

— ახლავე... — უკან გაბრუნება დააპირა ხათუნამ, — არ იცი მაინც, რა უნდა?

— სადაც არ უნდა იყოს, მოძებნეო, ასე მითხრა მე.

— სად ვიქნები... ზური! — დაიძახა ხათუნამ.

დერეფანში პავლემ გამოიხედა.

— შალი მომირბენინე, შვილო, ფერმაში მივდივარ.

— ეენახი გათოხნეთ სულ? — სხვა ამბავს გადასწვდა მიროტაძე.

— კი, გუშინ მოათავა.

— ძალიან შარჯვე ბიჭია ზურია, მამას ჰგავს.

— ეჰ, რა ქნას! — უგუნებოდ მიუგო ხათუნამ და უკან მიიხედა, შალი მოაქვთ თუ არაო.

— ალიყვალი შალიყო, ღმერთმანი! თავისას გაიძახოდა პეტრე, მაგრამ როდესაც ქალი არ გამოეკამათა, ეზოში მოუსვენრად მიიხედ-მოიხედა.

ჭურისთავზე, კომშის ქვეშ, სილის გროვა იყო აღმართული.

— ქვევრი მოთხარე, ხათუნა? — შეიცხადა პეტრემ.

— ქვევრი? — ვერ მიხვდა ქალი.

— ე! — პეტრემ ჭურისთავისაკენ მიახედა, — ხომ არავინ მოგპარა, გოგო?

— ჰო, არა, შლამია. ამოვწმინდეთ.

— ქვევრში იყო ამდენი მიწა?

— იყო... — ხათუნამ შალი გამოართვა იმ წუთას მორბენილ პავლეს და მოიხურა, — წავიდეთ!

— ოცოკიანი ჭური ჰქონდა შალიკოს. არის კიდევ?

— აბა ვინ წაიღებდა, შე კაცო!

— მიდი, მიდი, მე დავეტავ! — პეტრე იელის გვერგვს წაეტანა, ჭიშკარი მოხურა და გვერგვი ზედ ჩამოაცვა. — რაც ჩვენ იმის მოტანაზე ვიწვევლეთ.

— რის მოტანაზე?

— ქვევრის... ურუმზე ვერ დავდევით. მოიცა, შენ მოყვანილი იყავი მაშინ? კაი ოცი წელიწადია მას აქვთ. რა ჩქარა გადის დრო! კოტრიალ-კოტრიალით ამოვაგორეთ წიფლისწყაროდან აქამდე, დავწყდით. ერთმა ზვინმა ჩალამ გაიარა ძირი. ჯერ წინ დაუფლებთ რბილად, გადმოვაგორებთ, გამოვამრობთ უკანიდან და ისევ ვადმოვუწყობთ წინ. გზაზე, სამკედლო რომ არის ახლა, კო ღამე გაგვიტყდა. გზას ქვეშ ვენახი იყო. ვენახში ვინ გაგვარონიებდა ამხელა ჭურით. ზაქარას კარზე მოვიარეთ. შენ არ გახსოვს. არა, არა, მოყვანილი არ იყავი! — დანამდვილა პეტრემ და ჭუჭყიანი ცხვირსახოცი თუბლი შეიმშრალა, — რა ბიჭი იყო საწყალი შალიკო, ჰა?

— რამ გაასაწყლა! — მხოლოდ უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრეჭტოვდა თვის ფიქრებში ჩაძირულმა ხათუნამ.

— ი! — განცვიფრდა პეტრე.

— საწყალი არ ითქმის იმაზე.

— ეჰ, ჩემო დაო, ძვლები ქე დატოვა იქ და...

— რა ვუყოთ, ყველა მოვეცდებით, — რატომღაც კალისტრატე მასწავლებლის გამოთქმა იხმარა ხათუნამ, — ყველა სიყვდილის შეილება ვართ.

— კაი გული მოგცა ღმერთმა!

— რავე?

— მე რომ მოვეცდე და ჩემმა ცოლმა აგრე თქვას, საფლავშიაც ველარ დავკავდები.

„შალიკოს ძვირი უნდა მათქმევინოს, ქმრის აბუჩად ამგდებად გამოყვანას მიპირებს!“ — გაიფიქრა ხათუნამ და ბრაზი წაეკიდა.

— რას მოაყოლე ახლა ეგ ამბავი?!

პეტრე შეცბა.

— მაგით ის გინდა თქვა, რომ მე სხვაზე ნაკლები ცოლი ვარ? — ხათუნა წინდახედულად მოიქცა და თუმცა ედუკის სახელი ენის წვერზე უტრიალებდა, მაინც არ ახსენა, — ეგ ერთხელ გაგიბეღია, პეტრე და მეორედ აღარ გაბედო!

— ი! — მიროტაძეს ყიყვი აუთამამდა.

ქალი დაწინაურდა.

— ხათუნა! — დაადევნა პეტრემ და აღლიანი ნაბიჯით წამოეწია, — არა გრცხვენია ახლა შენ?

— რის უნდა მრცხვენოდეს?! — მიროტაძის სიტყვებმა უარესი ეჭვი გაუღვიძა ქალს.

— რა ვითხარი იმისთანა, შენი გულისათვის კარის მეზობელი ველარ უნდა მოვიგონო?

„ედუკის ყველაფერი უთქვამს! — გაიფიქრა ხათუნამ, — ჩემს დაკარგულ ქმარს იცავს ჩემგან?“

„სილას გავაწინა!“ — გაუელვა ერთი წუთის შემდეგ.

ხათუნას იქნებ მართალაც შეესრუ-

ლებინა განზრახვა, პეტრეს რომ გემი არ აეღო და სამიოდე ნაბიჯის მოშორებით არ ასდევნებოდა.

ქალს მოაგონდა: მაცვალას ქორწილის დამეს ამან ჭურჭელი წაიღო ზაქარა მჭედლისას. სწორედ მაშინ გადმოუყრა სიტყვა პორფილეს გარშემო. ძალიან მონდომებული იყო. ახლა რას უნდა მიეწეროს შალიკოს გახსენება?

„როგორ შეეცხვენი! — ხათუნას უჩუ-მარი საყვედური ედუკის გადასწვდა, — მანც ვერა, ვერ მოითმინა, ყველაფერი ჩაუტენჯა ქმარს. ეს მაწანწალა აწი უარესსაც იტყვის, საქვეყნოდ გამო-მიყვანს!“

— პეტრე! — ანაზდად მოტრიალდა ქალი.

— ბატონო! — ცქვიტად მოიბზინა ბიროტაქმე.

— ედუკიმ გითხრა რამე?

— რა უნდა ეთქვა?!

— ლალის გაფიცებ, არაფერი უთქ-ვამს?

— არ! გაეწყდე ცოლ-შვილით! — ყიყვი კვლავ აუთამამდა პეპიჩას, — რა უნდა ეთქვა?

— გავიგებ, იცოდე და მეწყინება.

პეპიჩა ჩაფიქრდა, მოხრილი საჩვენე-ბელა თითიც კი მიიღო ყვრიმალზე.

— არ უთქვამს? — ერთხელ კიდევ ჰკითხა ხათუნამ.

— თუ იმას რაღაცა უნდა ეთქვა და არ მითხრა, არა მყავს მოსაკლავი? მოი-ცა, მივიდე ჯერ სახლში!

— აქ დამიცადე აბა და ამ წუთში გამოვალ.

— კი ბატონო! — გამომწვევად დაუ-ბულდა პეტრე.

შარშანდელი ჩალის ზეინზე, რომე-ლიც ჩელტიანი სასიძინდის უკან მოჩან-და, ჭიშკრის მახლობლად, წვერწამაზუ-ლი საზეინეები იყო მიყუდებული.

მოპირდაპირე მთის თხემზე, თხელ ღრუბლებში, მზე ამოდიოდა. ეზო ნამშ-რალეების, გაშვილებული საზეინეების და აყირავებული ურმების გრძელი ჩრდილებით იყო აჭრელებული. ბოს-

ლის კარი გაეღოთ. ეზოში ზღაპრით გამოდიოდა დამენათევი საქონელი.

ურმებთან წალდმომარჯვებულ რაშს მოჰყრა თვალი ხათუნამ და იქით გაემართა. თავმჯდომარე ბოსელში ყოფილიყო. მოხუცმა ხეირიანად არ იცოდა, წავიდა თუ...

ხათუნა შავ ტალახში ნაცდებ წყებლას დასწვდა და გარდიგარდმო გახილულ ხარებს შორის გაიარა.

ბორისი მწყემსებთან იდგა, სახბო-რეში.

— ოპ, მოხვედი? — ქალი შემოს-ვლისთანავე შენიშნა, მწყემსები მიატო-ვა და კარს მოაშურა.

ხათუნა უგულოდ მიესალმა თავმ-ჯდომარეს.

ბორისი გამოცოცხლებული იყო. გუშინდელი შფოთის ნატამალიც არ ემჩნეოდა სახეზე.

„რა ბზიკმა უკბინა, ამ დილაადრიან რისთვის გავახსენდი?“ — ჯერ კიდევ ბოსელში შემოსვლის წინ ფიქრობდა ხათუნა.

— შენ ჩემზე ნაწყენი იქნები... — გაეცილად დაუწყო ბორისმა, ხათუნას რატომღაც წკებლა გამოართვა და ნეს-ტის საწრეტ კვალში ჩააგდო.

ხათუნას გაუკვირდა: „ბოდიშს იხ-დის?“ არც შემცდარა, ლოლამე ბორძი-კით იმართლებდა თავს. ქალმა ახლა პირველად შეიტყო, რომ წუხელ სადა-მოსათვის რაიკომის მდივანს ელოდე-ბოდნენ საკაურაში, მდივანი გვიან გად-მოვიდა. დილიდან მოკიდებული ბორისი საშხადისში იყო და ხათუნამაც სწორედ იმ დროს მიუსწრო კანტორაში, როცა დანა და ყელი ერთად ჰქონდა. ყოველთ-ვის ია და ვარდი ხომ არ უყვავის კაცს პირზე. განა ხათუნას არ მოსვლია ასეთი რამ; ბორისს ხალხი ჰყავდა კაბინეტში, რა დასამალია და... ერთი სიტყვით...

— რას მიმტკიცებ, ბორის, საჩივლე-ლად კი არსად მიედივარ! — ჩაურთო უქმაყოფილო ხათუნამ.

კაცი მიხვდა, რომ ისე ვერ თქვა, რო-გორც უნდოდა. მაგრამ გამოსწორება უკვე აღარ შეეძლო.

— შენ ფიქრობ, ჩივილის შემეშინდა? — ოდნავ დამკინავად გადაჰხედა ქალს.

— რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა ხათუნამ.

— არც ისეა საქმე, შენ რომ გგონია: ოჯახში ვართ გაზრდილი ჩვენც. დანარჩენი, როგორც გინდა, ისე გაიგე.

— ნუკი გწყინს, ბორის!

— სიტყვა ველარ ვითქვამს ადამიანს, ათას კუდს გამოაბამენ.

— მე რა კული გამოვამბი!

— შენზე არ ვამბობ.

— რაც მართალია, მართალია, ძალიან მეწყინა გუშინ...

— თავიდან ნუ დავიწყებთ ახლა თუ და ხარ. რაც იყო, იყო, მორჩა! გარეთ გავიდეთ. აღარ დააყენებენ საშველს ამის ჩამოხვეტას!

ხათუნამ ახლავდა იგრძნო ბოსლის სუნი და დახუთული ჰაერი. ბორისს მორჩილად გაჰყვა ვასავალ კარისაკენ.

ეზოში გავიდნენ.

საქონელი უკვე გავრეკათ ჭიშკარს გადაღმა. იორამს კიდევ ერთი საზვიენე წაეჭტია და მიწაში ნამყოფ გაშაებულ ძირს წალდით უთლიდა.

ბორისი შეჩერდა.

— ვითხრეს, როგორ არის შენი საქმე?

ხათუნამ თვლები ასწია.

— დაპირება ვერ შეგისრულე.

ქალი ამას შეჩვეული იყო და არ გაპყვირებოდა.

— გამლანძღეს: კადრები თავზე საყრელი გვყავსო. ეგ რომ მანდ ჩავაყვეტოთ, სხვას რაღა ვუთხრათ, ვისაც დიპლომი უკავია ხელში და შესაფერისი სამუშაო აქამდე ვერ მიგვიციაო. ასე მითხრეს. კაცობა შემირცხვეს, თუ ტყუილს გუუბნებოდე.

— მეჯერა, — უიმედოდ დაეთანხმა ხათუნა.

— დიპლომს რას დაეძებ მე! — უკვე თანაგრძნობით განაგრძო ბორისმა და ეოკიანი მაღალი ქული შუბლზე ჩამოიწია, — ისე, მე რომ მკითხო, სახარბიელ მინც არაფერია მაგ ბალში. ჯამაგი-

რი, შენც იცი, ძალიან მკითხა ჩეტი ბღღუნად არ ღირდაო, ისე ჩეჭეჭუნდა და დილიდან საღამომდე, სახამაშალებში დღერიდან მობრუნდებოდეს, იქ უნდა იტრიალო. ეგ არის და ეგ. შენ როგორც გინდა ახლა. არ დამიჯერებ და, დედაჩემიც კი შემომეხვეწა, თუ რამე შეგიძლია, ცდას ნუ დააკლებო. გადადი, ნახე განათლების განყოფილების გამგე. პირადად რომ განახავს, იქნება შენ უფრო გაგიფიოს ანგარიში.

— ყურსაც არავინ დამიგდებს, — წაილაპარაკა ქალმა.

— გადადი მინც. ცდა ბედის მონახევრეა. გულს შეაჯერებ. უარს კაცი არ მოუქლავს.

— იპ, შენ ისე ამბობ...

— რას ვამბობ?

— დიპლომიანი ხალხი ყავთ უმუშევრადო.

— ყავთ. მართალია.

— ჰოდა, მე რაღა მეთქმის.

— რა ჰქენი, იცი? რაკი მინცდამინც ასე ძალიან მოგიწოდინებია, ერთ რამეს გასწავლი: განათლების განყოფილების გამგე ჩვენი სერგოს ამხანაგია. სერგო წაგყვება თუ თხოვ.

— სერგოს ახლა ჩემთვის სცალია? ცოლი იმისთანა დღეში ჰყავს.

— რა დიდი დრო მაგას უნდა, ნახევარი საათით გამოგყვება. ცოტა თავნება კაცია ის გამგე. სერგო უფრო გამოუნახავს საერთო ენას. ნეტა თავსავე იმისთვის დამევალებინა. თანაც, რაც უნდა იყოს, ამხანაგები არიან. დამიჯერე, ხათუნა, ასე აჯობებს. პასუხი იმ დღესვე შემატყობინე.

— სერგო სად არის?

— გუშინ მაყვალასთან იყო. არ ვიცი, გადმოვიდა თუ არა.

— სიკვდილი მირჩენენია ახლა იმის შეწყობებას.

— ასე! — ქული მოიხადა ბორისმა და სველ შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა, — პასუხი შემატყობინე, იცოდე.

— დიდი მადლობელი ვარ, ბარუსი-

— ჰო, — წასვლის წინ ქული ფრთხილად მოირგო თავმჯდომარე, — ახალი



ვენახის გაშენება შეჩერებულია. კარმი-
დამოს მოუარე!

ხათუნა გამოცოცხლდა:

— რანაირად?

— წუხელ მესხი იყო აქ და ასე
დავადგინეთ.

— ვინ მესხი?

— რაიკომის მდივანი, არ იცი?

— სულ აღარ გავაშენებთ?

— გავაშენებთ, მაგრამ წელს არა.
გვიანიაო. გაისაღ! მანამდე ბევრი წყა-
ლი ჩაივლის.

— რას მეუბნები! — სიხარულს ვე-
ლარ მალავდა ხათუნა.

— საგაისოდ დიდი ამბები უნდა მოხ-
დეს. ვნახოთ. მე, შეიძლება, თავი დაგ-
იკრათ.

— რატომ, ბიჭო?

— ცინ იცის. თავმჯდომარეებად
იგრონომები დგებიან ახლა. მე, შენი არ
იყოს... — ბორისმა გაიღიმა და ნამგა-
ლები დაეკიმა სახეზე, — აბა ასე! —
ქალს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, —
გამარჯობით!

ხათუნა ერთხანს კიდევ იდგა იმ ად-
გილზე, სადაც ბორისმა დასტოვა. აღარც
კი გახსენებია, რომ ჭიშკართან პეტრე
მიროტაძე ელოდებოდა. როდესაც ჭიშ-
კარში გამოვიდა, პეტრე იქ აღარ დახ-
ვედრია. ხათუნამ გზას გაჰხედა. სიმინ-
დის ყანის სიღრმეში, საიდანაც საურმე
გზა წყაროსაკენ ეშვებოდა, ნელი ნაბი-
ჯით მიმავალი ბორისი დაინახა იქვე
მოკრა თვალი მიროტაძესაც. კაცები
ხან შეჩერდებოდნენ, ხან ისევე განაგრ-
ძობდნენ გზას. პეტრე უკან-უკან მის-
დევდა თავმჯდომარეს, ყელგამოწეული
რალაცას უმტკიცებდა, მაგრამ ბორისი
ჯიუტად იქნევდა თავს და ყურებში
თითებს იცობდა.

ხათუნა აღარ წავიდა. გაკვირებული
უყურებდა ამ ორის ლაპარაკს. ნიავი
სწორედ ფერმის მხრიდან უბერავდა და
სიტყვების მაგიერ კაცების ნაწყვეტ-
ნაწყვეტი წამოძახილები ისმოდა.

ლოლაძე მგონი პეპიჩას დაემუქრა და
ჩქარი ნაბიჯით დაეშვა დუბეში. ხელებ-
გაჩაჩხული პეტრე სერზე დარჩა.

„ნეტა რა მოუვიდათ?“ — ხათუნამ
თვალები მოკუტა.

— პეტრე!

მიროტაძემ მოიხედა.

— ზურიას ზომ არ ამოუვლია აქეთ?
ეს მხოლოდ საბაბი იყო. ხათუნას
გამოლაპარაკება უნდოდა.

პეტრემ უნდილად უპასუხა, არ ამო-
უვლიაო და თავჩაქინდრული აქეთ წა-
მოვიდა.

„ნეტა რისთვის გაჯორა?“ — ფიქ-
რობდა ხათუნა.

— ცოლ-შვილი დამეხოცოს თუ ამ
სოფელში ღირდეს ცხოვრება! — მოვი-
და პეტრე, ქუდი გზაზე დაახეთქა, თვი-
თონ ჭიშკართან ჩამოჯდა ქვაზე და
ორად მოკეცილმა ნიდაყვები მუცელზე
დაიკლო.

— რა მოხდა? — ღიმილი ძლივს შეი-
მაგრა ამის შემხედვარე ხათუნამ.

— გადარეულია თუ რა არის! —
ცეცხლს აფრქვევდა პეტრე, — ამისთანა
შემოჩენა გაგონილა?

— რა იყო, რა? — ცნობისმოყვარეო-
ბამ წასძლია ხათუნას.

— მაგის გადაშენება იყო, აბა! მაგი-
სი გადაქუხება იყო ამ სოფლიდან! არ
შეგვიპა, არ ჩაგვიდგა მუცელში? ერთი
წუხელ ვყოფილიყავი იქ, მაგას ვაჩვენ-
ებდი თავის სეირს, ვაი, დედა, ვაი... —
დაწვრილებულ შავ კბილებს კრეკდა
პეპიჩა და თან მუცელატკივებულოვით
იკუნტებოდა, — მაგას გონია, ისე გა-
უვა ჩემთანაც, რაეარც სხვასთან გასე-
ლია? მოკვდეს პეტრე მიროტაძე მაშინ!
მნახა დაბალი ლობე! არ დამაჯდა
თავზე?

— რა იყო მაინც? — ფრთხილად
ჩაჰკითხა ქალმა.

— სიკვდილი! მაგის სიკვდილი იყო!

— რაეა ქალივით იწყევლები შეკა-
ცი!

— ქალი კი არა... უ, მაგისი!...

— რას გერჩოდა?

— კითხე! მუნჯი რომ ყავდათ ლაშ-
ხებს, ზომ იცი შენ?

— კი, — ხათუნას სინათლე მოემბა
თვალებში.

— უ, მაგისი! მოსაკლავია, მარა ვინ უყავს პატრონი!

— მუნჯი რა შუაშია!

— გინახავს ი მუნჯი? — პეტრემ ცერად მოაბრუნა სახე.

— კი... როგორ არა!

— გააგდეს ამას წინაზე.

— რატომ?

— რა ვიცი მე!

— მერე ბარუსიმ რაიო?

— ჯანდაბა! — ხელახლა აფეთქდა პეტრე. — ჩამცივებია, გინდა თუ არა, გადადი და გადმოიყვანეო. სადგურზე გდია ი ქალი. მე რომელი გადმოიყვანი ვარ, აღამიანო, რა ჩემი საქმეა! მამიდაშვილია ჩემი, ბიძაშვილია... თავათ გადაეთრეს და გადმოიყვანოს თუ გულის შესტკივა. სხვას კი არა, ჩემ თავს ვერ ვუვლი მე!

„ეჰე, — თავი გადააქნია ხათუნამ და მწარე კეხივით წამოგრძელებულ, თითქმის შიშველ კეფას ზემოდან დაჰხედა. — ეს კი აღარ არის ხუმრობა საქმე!“ ხმამაღლა კი თქვა:

— გასაკვირალია, რაღა მაინცადა მაინც შენ გავალბებს?

— წადი და კითხე! მუშახელი ჭირდება კოლექტივში.

— გადმოიყვანე, მაგაზე ადვილი რა არის!

პეტრემ იქნეულად ამოხედა.

— მართალს არ ვამბობ? — გაღიმება სცადა ხათუნამ.

— ეჰ, — ამოიოხრა პეტრემ და ხელი ჩაიქნია.

— მე ვნახე მუნჯია, — თქვა უცებ ქალმა.

— როდის?

— კრამიტის გადმოსატანად რომ მიდიოდით, გახსოვს? ძმას ველაპარაკები, და... მძიმედ არის.

— ვიცი.

— შენ ვინ გითხრა?

— ქალს ცხვირზე ჰკიდია მუცელი, მაგას ვერ მივხვდები? — პეტრეს კისერი გაუწითლდა და ეს რომ დაემალა, თავი მხრებში ჩარგო.

სიჩუმე ჩამოვარდა. პეპიჩას კეფაზე

მზემ დააცხუნა. ამან ქული გაანსენა. მუხლებს შუა ჩაიხედა, სად წამყვარავო. ხათუნამ სიმიწმინდებში გულდასრულებული ქული აიღო და გაუწოდა.

— მაგის ამბავი არ იცი შენ! — წამოისროლა პეტრემ.

— ვისი?

— ვილაცა არის! — ბორისის სახელი აღარ ახსენა გაბრაზებულმა შიროტაძემ, — შენ რომ მაგის ამბავი იცოდე, აქედან გადაასახლებდი!

— მე ვისი გადამსახლებელი ვარ, პეტრე!

— ხარ თუ არა, მაშინ გაიგებოდა!

— ბორისის ჩემთვის არაფერი დაუშვებია.

— არ დაუშვებია, არა? — სილაში ამოგანგლული ქული კი არ დაიხურა, კეფაზე დაიღო პეტრემ, — ეგნატეს კარზე რა გინდოდათ შენ და ზურბის?

— როდის?

— ამ ზამთარში.

— ზამთარში? — ქალს ფერმა გადაჰკრა.

— ხომ მოგიხტა ლამე ვილაცა, ხომ ეძებდი?

ხათუნა გაშრა.

— ხოდა, ეგ ვაეხტონი ბრძანდებოდა, მთვრალი. დასაზოგოა ახლა?

— შენ საიდან გაიგე? — კინალამ ხმა ჩაუწყდა ხათუნას.

— მითხრა.

— თვითონ გითხრა?

— მითხრა, ასე და ასე გავაკეთეო.

ხათუნას ეკვი შეეპარა. პეტრეს გამოცდელად შეაქცერდა თვალბში.

— მერე რატომ არ გამაფრთხილე?

— რისთვის უნდა გამეფრთხილებინე, რა ჩემი საქმე იყო!

— ფუ, შენს კაცობას!

პეტრე წამოხტა. თავზე წამოკოსებული ქული დაუვარდა. გინებით დასწვდა, დაიხურა, მაგრამ ხათუნა უკვე შორს იყო. ბევრი არ უფიქრია, უკან გამოეღვენა.

— რა გინდა! — მოუტრიალდა ქალი.

პეტრე უცებ წახდა, მაგრამ გამბედაობა მაინც მალე მოიკრიბა:

— ხათუნა...

პასუხად ქალმა ძირს დაიხედა, მაგრამ არამეტოუ ჯოხი ანდა ქვა, კენჭიც კი არსად იყო, რომ აელო და: „ამ ობრისათვის“ შიგ ჩაფეცქვნილ კბილებში ჩაეთხლიშა. გვა ჩქარი ნაბიჯით განავრძო.

— ხათუნა... — პეტრე შეუპოვრად მისდევდა, — შენ თუ მაგას ეს აპატიე, ქალი არ იქნები, დედის სული წამიწყედეს, თუ პირში არ ჩაგაფურთხოს ყველამ...

— მომცილდი, ადამიანო! — ღვარძლიანად ამომარცვლა ხათუნამ.

— რა გინდა, განცხადებას მე დაგიწერ, მოწმედაც მე დაგიდგები. — არ თმობდა პეტრე, — შენ ოღონდ წამომყევი... პროკურატურაში მივიდეთ. დედას ვუტირებთ მაგას!

— პეტრე, მომცილდი, გეუბნები, ამ არეშარეზე გავლილი არ დაგინახო!

— აგრე ხომ?

— მომცილდი, ადამიანო!

პეტრემ საშიშროების მოახლოება იგრძნო. შეჩერდა და თავი უიმედოდ გადააქნია, თან თვალს არ ამორებდა სიმინდებში მიმავალ ხათუნას. უნდოდა დაეძახა, ახიო, შენისთანებზე ყველაფერი ახიო, ბორისის მამა ვაცხოვნე, რატომ შინ არ შემოგივარდა და არ ავაწიოკაო, მაგრამ ვერ გაბედა, კუდამოძებებული უკან გამობრუნდა და კვლავ ძუნძულით დაადგა ამაოდ გამოვლილ გზას.

თავი ორმოცდამეხრთე

ელეფთერი გვიან ღამით დაბრუნდა შინ. წიფლისწყაროში მიმავალი მესხის მანქანა უკვე გაცილებული იქნებოდა სოფლის შემოგარენს. ელეფთერი ჰიშკარში შევიდა და ერთხელ კიდევ გადაახედა ქალას. ყველაფერი სიბნელეს მოეცვა მხოლოდ ერთგან, მგონი ფერმის ვხოში ბეუტაედა სინათლე.

ელეფთერი დაღლილი იყო. აღმართის ამოვლის შემდეგ გული გამალეებით უტემა.

ელენეს დერეფანში დაკიდებული ნა-

თურა ჩაექრო. შუქი არც სწავოთისე-ბიდან გამოდიოდა.

„მინც როგორ ბნელა! — ელეფთერმა, — ასე გგონია, არასოდეს აღარ გათენდება“.

გაოფლილი შუბლი შეიმშრალა და ძლიესძლიეობით განვლო მოკლე გზა, რომელიც ჰიშკარს დერეფნისაგან ამორებდა. ნაშუადღევს აქეთ უქმელი იყო. თათბირი ძალიან გაქიანურდა-ყოყმანობდა, შესულიყო თუ არა პალატაში. ბოლოს ისევ დაძინება არჩია; სიბნელეში ხელი მოაფათურა, კიბის სახელურს მიაგნო და ზემოთ ასვლას შეუდგა. გული აწუხებდა. სუნთქვა უჭირდა. ადრე ოდნავ მინც ეწყინებოდა ელენეს უყურადღებობა. ახლა არც კი შეუმჩნევია საწოლი ოთახის კარს მიაწვა. კარა მგონი დაკეტული იყო. უფრო ღონიერად მიაწვა და როცა მინც ვერ გააღო, ხმადაბლა უხმო ცოლს.

ვეება სახლში სიჩუმე სუფევდა.

„რამ დააკეტინა!“ — გაღიზიანდა ელეფთერი.

— ელიო! — დაიძახა, მერე კარს იმდენი ეჯაჯგურა, როგორც იქნა, გააღო. საკეტი ჰქონდა კარს მოშლილი. ალბათ, ენა მოხურვისას გამოუვარდა.

სინათლე არ აღნთია. ჯიბეში ნაგულ-ვეები ასანთი გაჰკრა.

ოთახის უკანა კედელთან თავით მიდგმული ორივე საწოლი აშლილი იყო.

ელენე არ ჩანდა.

ელეფთერს თითის წვერი დასწვა ასანთის ყუნწამლე მისულმა ალმა. ხელი გაიქნია და ნაწევი ძირს დაავდო. ერთხანს აქ იდგა, მერე, თითქოს, ეშინია, ვისმე ძილი არ დაუფრთხოსო, აივანზე ფეხაკრეფით გამოვიდა და გამეფებულ სიბნელეს მიაჩერდა.

„სად წავიდა?“

ანახდელულად წამოკრილმა კითხვამ შეაკრთო.

— ელენე! — დაიძახა მთელი ხმით.

ბედლის ქვეშ ჯალხანამ გაიღვიძა და შეტყევა.

ელფთერს ნამალევმა შიშმა გაურბინა, ზალის კარი გააღო და ასანთი ხელახლა გაჰკრა.

ელენე არც ზალაში იყო.

ელფთერს დასცეცხლა. „ხუმრობს თუ?“ — გაიფიქრა თავის დასამშვიდებლად. არა, ხუმრობას არ ჰგავდა. ელენე ათ საათზე წებობდა თუ სტუმარი არავინ ჰყავდათ და ამ დროს ყოველთვის გულის ძილში იყო.

აუხსნელმა შიშმა, რომლის ყურის დაგდებაც არ უნდოდა, ელფთერი ისევ აივანზე გამოაგდო. აქ ერთხელ კიდევ დაუძახა ცოლს იმ იმედით, იქნებ გარეთაა გასული და გავაგონო.

ცლა ახლაც ამო გამოდგა. ელფთერს წელანდებურად დაეუფლა აუხსნელი, უთქმელი შიში.

„სად წავიდე? სად ვეძებო?“

დაღლილობამ ერთბაშად გაუარა. აღარც გული აწუხებდა, აღარც დასახუჰქად გამზადებული თვალეზი ებლიტებოდა. კიბე ბრახაბრუხით ჩაიარა. დერეფანში კინალამ ზედ წაემტვრა პატრონის ხმის გაგონებაზე ბუნავიდან გამოშვებულ ჯალხანას.

— გადი, ძაღლო, იქით!

დერეფნის ნათურა გადამწვარი იყო. ელფთერმა კედელზე ხელების ფათურით მიავნო კარს. პალატში შესვლისას მაშინვე ელექტროჩამრთველს წაეტანა და როდესაც პალატი თვალის მომჭრელმა სინათლემ გაანათა, კართანვე გაშეშდა.

ჩაცმული ელენე გულაღმა იწვა ხის ძველებურ ტახტზე, ბუხრის მახლობლად, ფეხები იატაკზე ვადმოეყარა, ხელეზი თავქვეშ ამოელაგებინა და პალატში შემოსულ ქმარს მშვიდად შემოჰყურებდა.

— ეს რაღა ამბავია! — კინალამ ენა დაება ელფთერს და ასანთის კოლოფი ხელიდან გაავდო.

ქალი კვლავ გულაღმა იწვა. თვალს არ ამორებდა ქმარს.

— არ ვესმის?! — ელფთერი ერთბაშად შეიპყრო აქამდე უცნობმა რაღაც ძალამ, ცოლს მივარდა, საესე მკლავში

ხელი წააელო და ღონიერად წამოხსწია.

ეს გალახვას უდრიდა. კაცი თავისმადე სიბრაზემ დააფრთხო და შეშინებულმა, უარესი რამ არ ჩაედიდნო, სამიოდე ნაბიჯით უკან დაიხია.

— რა ვაშფოთებს? — მხოლოდ ხორციანი ტუჩების მოძრაობით ჰკითხა ელენემ, თვალეზი და სახის ნაკვთები კი ისევ უძრავი იყო.

ელფთერი გაფართოებული თვალეზით უყურებდა ცოლს და მძიმედ სუნთქავდა. როგორ, ელენე ეუბნება ამას, ასე, ამნაირად?

ალშფოთება, რომელიც წამის წინ დაეუფლა, ძრწოლვაში გადაზრდილმა ყოყმანმა შესცვალა.

— თავს რისთვის მაძებნიან?! — წაილაპარაკა გაუბედავად, ისე, რომ არ იცოდა, მოთმინება სანამ ეყოფოდა, თან თვალს არ ამორებდა ტახტზე გამოშვებულ წამოწოლილ ცოლს.

— რისთვის მეძებდი, — ნელი ცეცხლი შემოენთო ელენეს — ხომ ხედავ, არსად წავსულვარ. შენს სახლში ვარ.

— ელენე! — დაიღმეულა მამაკაცმა და წინ წარსდგა ბიჯი, — სრულ ჰქუთუხე ხარ?

— არ მომეკარო, — მშვიდად წარმოსთქვა ქალმა.

— ელენე, რას ამბობ, ელენე..

— ვახშამი მზად არის. მიირთვი.

ელფთერმა ახლალა დაინახა ხელსახოცგადაფარებული ტაბაკი, რომელზედაც ცარიელი თეფშის ფარფლი მოჩანდა.

— ივანშემე, რას მიყურებ, — მშვიდადვე გაიმეორა ქალმა.

— რატომ არ გძინავს?

— ჩემი ნება არ არის, დავიძინებ თუ არა?

— რატომ ხმა არ გამეცი, როცა დავიძინებ?

— ვერ გავიგონე.

— როგორ წყევხარ!

— არ მოგწონს?

ერთი წუთის განმავლობაში ელფთერს ათასნაირმა ეჭვმა გაურბინა.

ცდილობდა ყოველი მათგანი ჩაეხშო, მაგრამ ვერ მოერია და ხმის კანკალით იკითხა:

- აქ ხომ არავინ ყოფილა?
- ეკვიანობ?
- მიპასუხე, რასაც გეკითხები!
- არ ყოფილა.

— მართალი მითხარი! — ჯერ არავინ ყოფილა. ხომ იცი, მე ტყუილს არ გეტყვი.

— როგორ ჯერ... ჯერ რას ნიშნავს?! ელენემ ღრმად ამოისუნთქა, ამობერილ მკერდს დაჰხედა და თვალები დახუჭა.

— შენ გეკითხები! — დაიყვარა ელენე.

— ნუ ყვირი, — თვალი არ გაუხელია ქალს, — რა საჭიროა ყვირილი...

ელენე მოწყდა. ფეხზე ძლივს იდგა.

— წყალი მომაწოდე, — თითქოს აქ არაფერი იყო, წაიჭურჩულა ქალმა.

ელენე უანგარიშოდ მიბრუნდა, კედლის განჯინის კარი ახსრია. კიქის გამოღებისას მგორე კიქას სახელო გამოსდო და იატაკზე გადმოუვარდა. კიქა ნამსხვრევებად იქცა.

ელენეს თვალი არ გაუხელია. მოთმინებით ელოდა, როდის მიუტანდნენ წყალს.

ელენე გაოგნებული იყო. ვერ გავგო, რას მოასწავებდა ეს ამბავი, რა დაემართა ყოველთვის უწყინარ, სათნო ელენეს, რომლისგანაც ერთი ხმამალალი სიტყვაც არ ახსოვდა.

რეტი დაესხა მარჯვენა ხელით ბუხრის ფიტონს ეკიდებოდა, როცა ქალმა კიქა გამოართვა.

— ელენე... — წაიჭურჩულა ელენე, მაგრამ ეს ჩურჩული ყვირილზე უფრო შემაზრუნე იყო, — ხომ არაფერი გტყვი, მართალი მითხარი!

ქალმა წყალი მოსვა და კიქა უკან დაუბრუნა.

— ელენე, გესმის?

— ეკ, — ამოიხვენემა ქალმა, ფეხები ტახტზე აიკრიფა და კედლისაკენ გადაბრუნდა.

— ელენე... — იქვე ჩამოუჯდა ელენე თერიც, — მითხარი... იქნებ რაიმე მკურნალობა არის საჭირო. ექიმებს გადმოვიყვანე.. იმ დღეს ბედლის წინ დაგმინებოდა. თითქმის შიშველი იყავი. რომ ვისმე დაენახე... არ მომწონს ეს ამბები, საერთოდ ვეღარ გცნობ. სულ გამოიცვალე. გესმის? ელენე...

ელენემ ხმა არ გასცა.

— ზევით არ წამოხვეალ? — ჩაჰკითხა ბედს შერიგებულმა ელენეთერმა.

ქალი კვლავ გაყუჩებული იყო.

როცა შეატყო, ლაპარაკით ვერას გავხდებო, ელენეთერი წამოდგა და უაზროდ დაბორილდა პალატში. რადიკის გაკეთება უნდოდა, მაგრამ რის, დავიწყდა და ვერ მოეგონებინა. ჰო, გაახსენდა! კარი გაიხურა, სასწრაფოდ ზევით ავიდა. საბანი და ბალიში ჩამოუტანა ცოლს.

ელენე ფარდაგადაფარებულ ტახტზე იწვა. ელენეთერს გული შემოჰკენესოდა, რომ ქალის წამოყენება და ქვეშაგების დაგება არ შეეძლო. თავი ფრთხილად აუწია, ბალიში ამოუღო, მერე საბანიც დაახურა.

ელენე არ განძრეულა. კვლავ გაყუჩებული იყო.

არასოდეს არ შეშინებია ელენეთერს ასე, როგორც ახლა.

„ამას რომ რამე მოუვიდეს, მე რაღა ექნა?“ — ჩურჩულებდა და უაზროდ დაბორტებდა პალატში.

ცოტა ხნის შემდეგ ელენეს მშვიდი ფშინევა მოესმა.

კაცმა კინალამ პირჯვარი გადაისახა. ფეხაკრეფით მიეახლა ტახტს და მძინარეს სასოებით დაჰხედა.

ელენე ღრმად და ზომიერად სუნთქავდა.

„ღმერთო, შენით!“ — უანგარიშოდ წაიჭურჩულა ელენეთერმა და რამდენიმე წუთს გაუნძრევლად იდგა ცოლის სასთუმალთან. განძრევის ეშინოდა, ვაითუ წამით ჩაინებულ ქალი გამოვლიძობო. ძილი უებარი წამალია ძილი გონებას ასვენებს, ნერვებს აწყნარებს. იქნებ დილამდე ელენეს ყველაფერმა

გაუაროს! ელეფთერი თავს პირობას აღევნა, დღევანდელი უცნაური შემთხვევა არასოდეს არ გაეხსენებინა ცოლი-სათვის...

ბნელი ფიქრების გასაფანტავად მჯიხის საათს დაჰხედა. ოთხს აკლდა ოცდახუთი წუთი. ორი-სამი საათიც და გათენდებოდა...

მოაგონდა, რომ ჩაცმული იყო, შინ მოსვლისას ტანზე არ გამოუცვლია.

„დიღას ადრე ვარ წასასვლელი, — გაიფიქრა ელეფთერმა, — რაღა დროს გახდა!“

საქათმეში მამალმა იყვილა.

ელეფთერი ცოლის სასთუმალთან დაჯდა სამფეხა სკამზე და სახე ხელზე ში წარგო. არ შეუშინებია, რამდენ ხანს იჯდა ასე.

მეხსიერებაში ნელ-ნელა ამოტივტივდა ელენესთან პირველი შეხვედრის დღეები. ელენე მომავალი მეთულის ლექციებს ისმენდა თბილისის უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე. ელეფთერმა მხოლოდ ზამთრის სესიაზე შეინშნა ქალი. ჰკითხა კიდევ, ლექციებს არ ესწრებოდით?

როგორ არა, ელენეს არცერთი ლექცია არ გამოუტოვებია, — ქალს რატომღაც გული ამოუჯდა, — ყოველთვის პირველ მერხზე იჯდა, კათედრის პირდაპირ...

ელეფთერი ჩაფიქრდა. მოაგონდა თუ არც მოჰგონებია. სულ ერთი იყო. და განა მართო ეს, ყველაფერი სულ ერთი იყო. მთელი წლის მინძილზე აჩრდილივით დაიარებოდა. მამა ახალი მკვდარი ჰყავდა. უნივერსიტეტში აღმაცერად უყურებდნენ კულაკის შვილს. იმხანად საქმე გაძევებამდე კი მიღგა. დღე ერთი იყო და ათ ახსნა-განმარტებას თხოვდნენ. ელეფთერი იძულებული გახდა: კრებაზე გამოვიდა ჭა საჯაროდ უარჰყო მშობელი მამა...

ვერ გაიგო, რისთვის აიღეწა ქალი. კითხვაზე პასუხის მაგიერ ელენემ რვეულს ხელი დასტაცა და უკან მოუხედავად გაეარდა გარეთ.

ელეფთერი გვიან მოვიდა გონს.

ელენე აღარ შემოსულა.

მასწავლებელმა გადაწყვიტა, ელენე, მომზადებული არ იყო ფიქრით დღე, ელოდა სტუდენტის გამოჩენას, ხოლო როდესაც ელენე არ გამოჩნდა, მოვალეობისამებრ შესაფერი ნიშანი დაუსვა და საგამოცდო ფურცელი დეკანატს ჩაბარა.

ორიოდე წლის შემდეგ სიღნაღში გადაწყდა გამხდარ. ლურჯთვალეზიან გოგონას.

ელენემ ვერ იცნო. ამა როგორ წარმოიდგენდა გულმაკიწყი მასწავლებლის აქ გამოჩენას! სამაგიეროდ ელეფთერმა იცნო, რადგან გულში ღრმად ჩაბეჭდილი პატარა, უკარება ქალის სახე...

ელენეს დედა, — მამა იმთავითვე არა ჰყავდა, — სიხარულით შეხვდა დაბრძენებული კაცის წინადადებას.

ელეფთერმა მაშინ იგრძნო სიტკბოება ამა ქვეყნისა. მაშინ ინატრა ამაოდ დახარჯული ახალგაზრობა, რომელსაც თითქოს სიზმარ-ცხადის ზღვარზე გაეცლო.

ცოლ-ქმრის ცხოვრებაში არაფერი მომხდარა ღირსშესანიშნავე. წერილმანი წუთისოფელი მდორედ მიედინებოდა.

ელეფთერი კმაყოფილი იყო. სხვაგვარი ცხოვრება არც არასოდეს უნატრია. გულჩახვეულ, ჩუმ, უწყინარ ქმარს ახალგაზრდა ცოლი თვალეში შესცივნიდა.

ღმერთმა შეილი არ მისცათ, მაგრამ რა ვუყოთ. ადრე ელენე არც ესწრაფებოდა შვილის გაჩენას. არ უნდოდა, ელეფთერსა და მის შორის ვინმე მესამე, თუნდაც ღვიძლი შვილი ჩამდგარიყო და ცხოვრების შეჩვეული წესი დაერღვიო.

ელეფთერს იმნაირი თანამდებობა ჰქონდა, ერთ ადგილზე წელიწადსაც არ აჩერებდნენ. წელს რომ აქ იყვნენ, კახეთში, გაისად აფხაზეთის რომელიმე მიყრუებულ სოფელში ამოჰყოფდნენ თავს, იქიდან საქარაში, საქარიდან ამბროლაურში და ამ აღმა-დაღმა ხეტიალს შეუბრალებლად მიჰქონდა დღეები, კვირეები, წლები...

ელეფთერს მოეჩვენა, რომ სიზმარში იყო, ყველაფერი ისე ცხადლევ წარმოუდგა. თავი ასწია, ელენე კვლავ გაუნძრევლად იწვა კედლისაკენ პირმიბრუნებული და ეძინა.

პალატის ორივე ფანჯარაში დღის სინათლე იჭვრიტებოდა.

ელეფთერმა ახლავ იგრძნო დაღლა. თავი უზურდა, თვალებს რული ეპარებოდა, მაგრამ გონება საოცრად ნათელი იყო. ასეთ დროს ძნელია დაძინება.

როგორც არ უნდა ეცადო, ვერ დაიძინებ. ფრთხილად წამოიწია, თან თვალი ცოლისაკენ ეპირა. ფეხაქრეფით კარავა მთელი პალატი და დერეფანში გავიდა. ადრიანი დილის სიგრილე ისე შემოეგზნო ყვრიმალეებს, თითქოს სახეზე ცივი წყალი შეესხას.

„რა მალე გათენდა, ჩემი საათი უკან თუ არის,“ — გაიფიქრა ელეფთერმა.

მაჯა ყურთან მიიტანა. საათი ზომიერი წიკწიკით მუშაობდა.

(გაგრძელება იქნება)

გაიიე ჭანუკია



შვიდი წელი

იყო სისხლის წვიმა,
და ტყვიების წვიმა,
მაგრამ გადიყარა,
ზეცამ დალოცვილმა!
ცისარტყელა გამობრწყინდა, შვიდფერი!...

არა მხოლოდ მიწას
და მახლობელ მთა-ველს,
ფერად ფრთებით მისწვდა
ვარსკვლავებს და მთვარეს
შვიდი წელი, — ცისარტყელა შვიდფერი!...

სინათლეზე ჩქარით
და დროზედაც ჩქარით, —
რაკეტებით გახსნა
ზეცის შვიდი კარი
და კაშკაშებს ცისარტყელა შვიდფერი!...

ბევრი იყოს პური,
ყველას ჰქონდეს ბინა,
სახნისისთვის მკედელს
არ მოაკლდეს რკინა,
ბევრი იყოს ოქრო, ვერცხლი, თითბერი, —

მობრიალე ასე
და იმედით საესე
მისთვის ნათლობს შუქად
საბჭოეთის ცაზე
შვიდი წელი, — ცისარტყელა შვიდფერი!..

სიმღერა

ელვარება ძველი,
იყალთო და გრემი.
მოლანდება ძველი,
რომულის და რემის,
მოლანდება ძველი
ზოხობის და ქორის,

თბილისი და მტკვარი,
ლიახვი და გორი
თვალი მუდამ სველი,
ბაგე მუდამ ჩემი,
სიყვარული მწველი
ნესტანის და ჩემი,



ვით შეენოდა ქალა
ლურჯი აბრეშუმის,
და ღრუბლების ზღვაში
დათოვლილი გემი.

იყალთო და გრემი.
ხოხობი და ქორი,
ჩემი, მხოლოდ ჩემი
თბილისი და გორი...



თუ ნაღვლიანს,
თუ ფიქრიანს არ ეძებს,
რა იყო, რომ შიგ თვალებში მომანათა.
წუთით მაინც, — ამხყვანა მთვარეზე,
წუთით მაინც, — დედამიწა მომანატრა,
ახლოს ვიგრძნო ვარსკვლავების ალერსი,
მთებს განეშორდე აღმასისას, თემისას
წუთით მაინც, — ამიყვანა მთვარეზე,
წუთით მაინც, — მომანატრა დედამიწა.

მიწაზე რომ არ ვიქნები,
მიწაშიც რომ არ ვიქნები,
შენ... რას იგრძნობ მაშინ...

იხვ და იხვ...

სულს მოგონება აწვეთავს ცრემლად
და ცრემლი ხშირად არის მისწრება,
ისევ მიპოვა ჯიბეში ხურდა
და გულმოსული დედა მიწყრება...

თითქო შენს ხმაზე ვაწყობ გიტარას
და დაჭიმული სიმი მიწყდება,
ან სხვის კარებთან მიგორავს ბურთი
და გულმოსული დედა მიწყრება...

დანგრეული და დაშლილი ბუდე
დიდხანს იტირეს თურმე მერცხლებმა,
სად გაათიონ მერცხლებმა ღამე,
და ნაღვლიანი დედა მიწყრება...

სინათლისა და სიცოცხლის ტოლი
არის სიბნელე და დამიწება,
მეზობლის ცხედარს დაგვხედავ ჩემად
და მოწყენილი დედა მიწყრება...

უსაზღვროების დუმილში ფეთქვით
დაშერება გული და დამიცხრება,
მე მუხლმოყრილი სიკვდილთან მოველ
მაგრამ... ძვირფასი დედა მიწყრება...

რიგა იპარავა



ზღვა სავესე არის ღელვით, ვნებებით
 და მისი ბედი შემშურებია, —
 ტალღები თრთოლვით და იმედებით,
 ნაპირებისკენ ეშურებია.
 რას დაეძებენ, რა დაჰკარგვიათ,
 რად არ გვიმხელენ გულის ხეაშიადს, —

მოვლენ ნაპირთან, უკან გარბიან, —
 ყველა ტკივილი ერთად აშლიათ!
 ზღვას ვინ უბოძა სიცოცხლე ასე,
 ხმაურითა და სიჩუმით სავესე,
 ვინ ამოავსო ქარით, ვნებებით,
 იმედთა მსხვერვეთ და... იმედებით!

მეზღვაურები

მეზღვაურები ტოვებენ ხმელეთს,
 მეზღვაურები ზღვაზე გადიან: —
 ნაპირებიდან დარჩეულ ხელებს,
 ზღვა შლის ნელი-ნელ — მათი გაღია-
 მეზღვაურები ტალღებს ანდობენ

თავიანთ ბედის სუნთქვას და ხშიადს; —
 ცისფერ მზეფეებით მკვრივ მკერდს
 ალბობენ
 და სულს ზღვასავით
 ბობოქარს ხდიან.

მ ნ გ უ რ ს

მღვრიე ტალღათა ტეხვა, დინება,
 რა გასავლელი,
 რა მძაფრი შარა!
 მარტოდენ შენ ერთს გეცოდინება.
 რამ ჩააფიქრა უშბა და შხარა.

მარტოდენ შენ ერთს გეცოდინება,
 რად რბი ხმაურით, მტკრევით,
 დარდებით, —
 მინც რად გხიბლავს ეს ქვედინება
 და ასე ჩუმად ზღვას რად ბარდები?!

დიოსკურია

ნელი-ნელ ზღვაზე ეცემა მწუხრი,
 თითქოს ზღვას რაღაც მძიმე წყლული
 აქვს, —
 მითხარი, ზღვაში ორივე მუხლით,
 ვინ ჩააჩოქა დიოსკურია...
 ტალღათა ლაწანს, მითხარ, ვით ერთვი,
 ზღვის ფსკერზე თვლემ და კაცი არ
 გშველის.
 სად არის შენი უღმერთო ღმერთი
 ყველა ტკივილის ერთად ამშლელი.
 მომსწრევე ათასი წარღვნის, ქარ-წვიმის,

სულით მიწაზე დაუტყეარო, —
 ოდესღაც პონტოს ღელვის არწივო,
 ზღვას ჩაწურვილო ყურძნის მტკევანო...
 მე მინდა შენი სიცოცხლის ნახვა, —
 შენი ქუნები, შენი ტაძრები,
 გავიგო მინდა, რა ბოღმა გასაბრავს, —
 ზღვაში ხარ, — ცეცხლად რად ინაცრები!
 ...ყველაფერსა აქვს თავისი ბოლო,
 ზღვაში დამთავრდა შენი ზღაპარიც...
 ოდეს აქ — ბუხრის მოლურჯო ბოლით
 სიცოცხლეს სჭვრეტდნენ პაპის-პაპანი!..



მედინას გული

1

ივერს ძალიან უყვარდა თავისი ცოლი მედინა და თავს ბედნიერად გრძნობდა. როგორც ზამთრის ღრმა ძილისაგან გამოღვიძებული ხეები დახარბებულნი ისწრაფვიან გაზაფხულის მზისაკენ, მისი მაცოცხლებელი მხურვალე სხივების დასაწაფებლად, რათა გაფურჩქნონ კოკორი, ასევე ივერიც განიცდიდა მედინასადმი უსაზღვრო სიყვარულს და ეს გრძნობა მას მატებდა ძალას და რწმენას. ამაღლებული გრძნობა, მისი ცხოვრების დიდი ბედნიერების სხივმა და ტკბილმა ოცნებებმა შეავსო. გაახაროს მედინა, დაიშასტროს მისი კმაყოფილი ღიმილი. — ივერი აქეთვე ისწრაფოდა, ეს იყო მისი ფიქრი. მედინა არ იყო ჩაცმა-დახურვის დიდი მოტრფილვე. მიუხედავად ამისა, ივერი მაინც ცდილობდა, არ იშურებდა ძალ-ღონეს, რომ მედინასათვის შეეძინა რაიმე ახალი ყუილის ტანსაცმელი ანდა საზაფხულო კურორტზე წასასვლელად წინასწარ დაეზოგა ფული. თუმცა ყველაფერი ეს საჭირო არ იყო, რადგან მედინას არ უყვარდა ფუფუნებისათვის ფულის ფლანგვა. ივერის მასწავლებლის ხელფასის კვალობაზე ისინი ცუდათ არ ცხოვრობდნენ. მედინას სძულდა ის ქალები, რომლებიც, ფულით, ავტომანქანებით და ქმრის განდიდებით ყოყლოჩინობდნენ, არ უყვარდა ისეთი ქარაფშუტა ქალებიც, რომლებიც დიდის გატაცებით ლაყობდნენ, თუ როგორ იყვარავენ ახალ კაბებს და ხუთჯერ მეტად ტანზე არ იცვამენ. მედინა ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყო ასეთი ქალებიდან... ასეთებისათვის არც ჰქონია არავითარი სიმურის გრძნობა. არც

კორებში ერეოდა. როდესაც კი საჭოროდ სიტყვას ჩამოაგდებდნენ, მედინა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით წამოდგებოდა და სტოვებდა მათ საზოგადოებას.

მედინას უყვარდა თევზები და ყვავილები. თქვენ არ იფიქროთ რომ აქ ლაპარაკია ტაფაზე შესაწევ თევზებზე. არა, მედინას ბინას ამშვენებდა აქვარიუმში მოთავსებული შესანიშნავი ულამაზესი თევზები. ამიტომ იყო, რომ ივერი, თქმის ყოველ კვირა დღეს ჩამოუვლიდა იმ მაღაზიებს, სადაც ასეთი თევზები იყიდებოდა. ეკითხებოდა ნაცნობ მეგობრებს, ეძებდა სულ ახალ, უფრო ორიგინალურ თევზებს. მედინას აქვარიუმში დაცურავდნენ სხვადასხვა სიდიდის ფერად-ჭრელი თევზები.

ივერის ფეხის ზმას შორიდანვე სცნობდა. მის ზარის დარეკვაზე უმაღლესი მიხედვებოდა ხოლმე, რომ ის ხელცარიელი არ ბრუნდებოდა და თან მოპქონდა თევზებით სავსე ქილა. მედინაც ასეთი ყურადღებისათვის კოცნით აჯილდოვებდა. რა თქმა უნდა, ივერი, რომ მართლ ამ მოფერებისა და ტკბილი კოცნისათვის გარკვეულიყო. ვიფიქრებდით, რომ მას მედინა კი არა საკუთარი თავი უყვარს. მაგრამ, ეს ასე არ იყო, ივერს დიდ სიამოვნებას გვირგვინებდა მედინას ბავშვური სიხარული. მისი ბედნიერება.

მედინას ასევე გატაცებით და ნაზად უყვარდა ყვავილებიც. ჩვენ ელაპარაკობთ არა ვარდებზე, შროშანასა ანდა ნარგიზებზე, რომლებიც საყვავილე მაღაზიებში, ღერო ორმოცდაათ კაპიკად იყიდება. არსაკვირველია მედინა მუდამ ალტაცებით ხედებოდა ივერს, როდესაც

საც მაისის დამდეგს, იგი სურნელოვანი ვარდების თაიჯულით ბრუნდებოდა შინ. ამ ვარდებს მედინა ანაწილებდა ლარნაკებში და მაგიდაზე დგამდა, უვლიდა. ყოველდღე უვლიდა წყალს, ღეროებს ბოლოებს აკვეცდა, რომ ერთი კვირით გაეხანგრძლივებინა მათი სიცოცხლე.

მედინას, ყველაზე ძალიან უყვარდა ჩინური ვარდი და სხვა ქოთნის ყვავილები, რომლებიც ზამთარში მუდამ მწვანედ გამოიყურებოდნენ, რადგან ზაფხულში კარგად ახარებდა. მისი აივნის წინ ვამპლელები მუდამ ჩერდებოდნენ და ტყებოდნენ კარგად მოვლილი, ლამაზი, მომცრო ტანის ხეებზე ნაირფერის თვალწარმტაცი ყვავილების მხერით. მათი უმრავლესობა იავერის საჩუქრებს შეადგენდა.

იავერი კარგად იცნობდა მედინას კეთილ გულს, ისიც იცოდა რომ ქვეყანაზე ის ცუდს არავისთვის არ ისურვებდა და, როდესაც ნაცნობ-მეგობრები და მეზობლები გასაჭირში ჩავარდებოდნენ, ან თავს დაატყდებოდათ რაიმე უბედურება, მედინა იყო მათი მხსნელი. იგი მთელი არსებით განიცდიდა და იზიარებდა მათ სევდასა და ნაღველს, და როგორც შეეძლო, ისე ეხმარებოდა გაჭირვებულს. განსაკუთრებით სტანჯავდა და სასოწარკვეთილებაში ავლებდა სუსტს, უძლურ ქალებზე და უმწეო ბავშვებზე თავსდატეხილი უბედურება. მედინა ამის გამო ხშირად ატირებულა.

მათ მეზობლად ცხოვრობდა ერთი უწიგნური ღარიბი ქალი, სახელად მარიამი. მისი ქმარი ბალაში ოცდაათიან წლებში სოფლიდან ბაქოში ჩამოვიდა და ნავთის სარეწაოებში უბრალო მუშად დაიწყო მუშაობა, თანდათან დაწინაურდა. უკანასკნელ წლებში ბალაში ითვლებოდა მბურღავ ოსტატად. ომის წინ, ორმოც წელს ცოლად შეირთო თავის თანასოფლელი მარიამი, იგი მაშინ მხოლოდ ოცი წლისა იყო. მეტად მორცხვსა და გაუბედავ მარიამს ოთხი-

ოდე წელი ესწავლა სკოლაში. იგი სულ არ გავდა ჩვენი დროის ადამიანებს. ამიტომ მთლიანად მისი ცხოვრება ქმარზე იყო დამოკიდებული და საუბედუროდ წელიწადნახევრის უკან, ბალაშს მოულოდნელად კუქის კიბო აღმოაჩნდა. ცუდი ავადმყოფობა — ძნელია მისი დროზე აღმოჩენა. ბალაშის კიბოთი დაავადება ძალზე გვიან გაიგეს, ამ ვერაგ ავადმყოფობას უქვე საკმაოდ ღრმად ჰქონდა სხეულში გადგმული თავისი მავნე ფესვები. ექიმებმა ვეღარ შესძლეს ბალაშის ხსნა. საავადმყოფოში ექვსი თვის წოლის შემდეგ გარდაიცვალა. მარიამის ოჯახს დასაყრდენი ბურჯი გამოეცალა, დარჩა ორი უმწეო ბავშვი, ხუთი წლის გოგონა სონია და ათი წლის ვაჟიშვილი ნაზიმი. როდესაც ბალაშის ნეშტი ბინაზე გადმოსაცვენეს, დაშუშბრებული მედინა მარიამთან ერთად მწარედ ტიროდა. ბოლოს მიხვდა, ჰირისუფალს ეს ტირილი კი არ ანუგეშებს და ამხნევებს, პირიქით, უფრო უღრმავეებს დარდს და მწუხარებას. მარიამს კი მოხმარება სჭირდებოდა. მედინამ უცებ ღონე მოიკრიფა და ამ მწარე დღეებში მეზობელს გვერდიდან აღარ მოსცილებია. მარიამის მაგიერ ის აკეთებდა ყოველგვარ საოჯახო საქმეს. ბავშვებს უვლიდა, ღებულობდა და აცილებდა სამძიმარისათვის მოსულებს. მარიამს არ აძლევდა საშუალებას სასოწარკვეთილებას მისცემოდა, სულით დაცემულიყო, დაღლილ, დაქანცული გვიან ღამით ბრუნდებოდა სახლში, მიუხედავად ამისა, მათზე ფიქრი მაინც მოსვენებას არ აძლევდა და სულ მეზობლის გაჭირვებასა, დარდსა და მწუხარებაზე ლაპარაკობდა.

— გამიგონე, იავერი, ის ქალი მეტად საცოდავია, შენ გესმის, უკანასკნელი ლუქმა პირიდან რომ ვინმემ გამოსტაცოს, ხმას ვერ ამოიღებს.

იავერის რჩევით და მითითებით, მედინამ დაიწყო რბენა სხვადასხვა დაწესებულებებში. მოახერხა და მარიამის ბავშვებს პენსია დაუნიშნეს, ხოლო მ-

რიაში ნავთის სარეწაოში სამუშაოზე მოაწყო.

მარიამი სამუშაოზე დილით ადრე მიდიოდა და საღამოს გვიან ბრუნდებოდა, მისი სამუშაო ადგილი ძალზე შორს იყო. კარგად აღზრდილი, შეგნებული ნაზიმი სკოლიდან დაბრუნდებოდა თუ არა, ჯერ გაკვეთილებს დაამზადებდა, შემდეგ ეზოში გავიდოდა სათამაშოდ. მხოლოდ ერთი პატარა სონია-ლა რჩებოდა უმეტესადაა უფროსი. დედას მეტად უძნელდებოდა მისი სახლში მარტოდ დატოვება. რამდენიმე დღეს, ვიდრე მარიამი სამუშაოდან დაბრუნდებოდა, მედინა ფავისთან იტოვებდა პატარა სონიას. „რას იზამ? ადამიანი ადამიანს გაპირებებაში უნდა მოეხმაროს. ნათქვამია: „მშა მშისთვისაო, შავი ღღისთვისაო“, იტყოდა ხოლმე მედინა. სულ მალე, სონიაც მოაწყო ერთ-ერთ მახლობელ საბავშვო ბაღში. როდესაც მარიამის ცხოვრება ცოტა თუ ბევრად კალაპოტში ჩაღდა, მედინა მეტის-მეტე სიხარულისა და ბედნიერებისაგან კინალამ აცეკვდა. იავერიც თავს ბედნიერად გრძნობდა:

— აბა, აბლა ხომ დაწყნარდი ჩემო მშვენიერო? — შეეკითხა ქმარი.

— ისე დაეწყნარდი, რომ სიტყვებიც კი ვერ მომიძებნია, როგორ გამოვთქვა. როდესაც გრძნობ, ვილაყას სჭირდები და სასიკეთოდ ეხმარები. საკუთარ თვალშიც მალდები.

— მართალია, ჩემო მშვენიერო. — ალერსით უპასუხა იავერმა, — მაგრამ გახსოვდეს, შენ ყველაზე ძალიან მე მჭირდები... უშენოდ ერთი წუთითაც არ შემიძლიან სიცოცხლე..

„რა ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში შეგვხვდი ისეთ კარგ ადამიანს როგორც იავერია,“ — გაიფიქრა მედინამ და ქმარს გაუღიმა.

2.

ასე მყარი და დაუღრვეველი იყო ბედნიერება იავერის ოჯახში. ყოველ შემთხვევაში, თვით იავერი ასეთი აზრისა

იყო. მას სწამდა, მედინა მისთვის მართლად სიკვდილს შეეძლო დაეშურებინა და კიდევ: არ არსებობს ჭეჭნაღობა. მართალია, რასაც შეეძლო მათ დამოკიდებულებაში სიცივე შეეტანა. და მართლაც, ისინი არ შეუერთებია მარტო ქორწინებას, ადათს და ჩვევებს ან და მშობლების პატივისცემას და მეგობრების ანგარიშის გაწევას, საზოგადოებრივ მორალს. საერთოდ, დღემდე არც წამოჭრილა ამ სფეროში ოფიციალური დამოკიდებულების აუცილებლობა, რადგან ცოლქმრობის შემაერთებელი ძაფები უფრო მტკიცე იყო, საფუძვლიანი, ვიდრე ოფიციალური კავშირი. ცნობილია, რომ იქ, სადაც არის ბუნებრივი სწრაფვა, ბუნებრივი ურთიერთგაგება, აღარ საჭიროებს გარე დამაკავშირებელ ძაფებს.

იავერი არ იყო მეჯნუნი და მედინა არ გვაგონებდა ლეილის. მაგრამ იავერს მართლაც სიცივემდე უყვარდა ცოლი. ცოლი კი ჭეშმარიტად ლამაზი ჰყავდა. იავერმა კარგად იცოდა, მედინას მწყაზარი აგებულება, კვლავი ტანი, თოვლის ფიფქივით ნაზი სახე, წაბლისფერი ხუჭუჭი თმა, გიშრის თვალები. ბევრი მამაკაცის ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ იავერს ეს სულაც არ აფიქრებდა, იგი მედინაში ღრმად იყო დარწმუნებული. ყველას აქვს უფლება დატკბეს მშვენიერების ცქერით. ჯერ ერთი — ყველა თვალი როდია ხარბი და გაუმაძღარი. ყველა მათგანი არ იყურება აღმაცერად, ცუდად. არის მამაკაცთა უმრავლესობა, რომელიც პატიოსნად ტკბება მშვენიერების ცქერით და მხოლოდ ამით კმაყოფილდება. ასეთები ცდილობენ გულში შეინახონ და დაიცვან მისი სიწმინდე. მეორეც ისა — მედინა მთელი თავისი სინთორჩის სურნელებას. საკუთარი მშვენიერების მიმზიდველობის ძალას, სულერთიან უთომბდა მხოლოდ იავერს. ქმრისადმი ერთგულებაში მართლაც იყო ისეთი რამ, რაც რაღაცით მოგვაგონებდა ლეილის.

იავერის გულის სიღრმეში მაინც

იკვებოდნენ ექვიანობის ნაპერწყალი. ზოგჯერ იყო წუთები, როდესაც უნებურად ჰკარგავდა მოთმინებას, აღელდებოდა და თითქმის უხეშობდა კიდევ ოჯახური ცხოვრების ათი წლის მანძილზე, იავერმა ასეთი წუთები ორჯერ თუ სამჯერ განიცადა. ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მედინა თავის შინაგანი სიწმინდის ცეცხლის ნაპერწყალს სხვას ღიმილით უწყალობებდა, იმ ღიმილით, რომელსაც ქმრისათვის მოჰქონდა ბედნიერება.

იავერს, ერთი ძველი მეგობარი ჰყავდა — ქერემი. მუდამ ჩუმი და მოლუშული ადამიანი, სალთად ცხოვრების წლებში, ისინი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მედინას და იავერის შეუღლების ორი წლის შემდეგ პირველად ქერემს ისინი შეხვდნენ ოპერის თეატრში. სრულიად შემთხვევით მათი ადგილები აღმოჩნდა ერთი მეორის გვერდით. მუდამ ჩუმმა და მოლუშულმა ქერემმა მედინას დანახვისთანავე მოჰკიციე ჩიტივით ენა ამოიდგა და აღარ ჩერდებოდა. ზოლო სამი დღის შემდეგ იავერს დაურქვა:

— ეხ, მეგობარო, ცოლი რომ შეგირთავს, ოჯახს მოჰკიდებია, მისამართი მაინც მოგეცა. ნუთუ ჩვენ იმის ღირსი არ ვიყავით, რომ შენს ოჯახში აგვეწია თუნდაც ერთი ჭიქა ჩაი?

ქერემმა ათასგვარი მიზეზებით მოუხშირა მათთან სიარულს. იავერის თვალს არ გამოჰპარვია მისი ენისანი შტერა. მის მოთაფლულ ენასა და მიხვრამოხვრახზე შეატყო, რომ ის იყო ყოველად ურცხვი ადამიანი და იავერი გაწყრა. ერთხელ, ქერემის წასვლის შემდეგ იგი ფრთხილად შეეკითხა თავის ცოლს:

— მედინა, ეს ქერემი, მე რაღაც არ მომწონს. რას იტყვი შენ?

მედინამ ცბიერად გაიღიმა:

— ცუდ კაცს არ უნდა გავდეს. რა იყო?

ცოლის ასეთმა გულმართალმა და გულუბრყვილო დამოკიდებულებამ ამ

სერიოზული შეკითხვისადმი იავერს ცეცხლი წაუქოდა. უჩვეულ შეკვებით ძლიერ წარმრთქვა. **გინჯილითქვა**

— შენ სრულებით არ შეგძლება ადამიანის ცნობა. მედინა, შენ ყველას ენდობი. გგონია, ქვეყანაზე არც ერთი ცუდი ადამიანი არ არის. შენთვის ყველა — მამა აბრამის ბატკანია, წმინდანი იმამი, ღვთის მოციქული.

მედინას სძულდა ქერემი, მაგრამ თუკი კარებს უღებდა ისიც იავერის დიდი პატივისცემით და ამიტომ ქმრის ეს სიტყვები სასაცილოდ მოეჩვენა. მედინას უნდოდა, ქმარი ეწვალეზინა, გაეთამაშებინა მისადმი ექვიანობისათვის და ისიც ისეთ ჯიჯიკანს, როგორც ქერემია.

ო, არა იავერ, ქერემი ჩემს თვალში სწორედ არ სტოვებს არც იმამის არც ღვთის მოციქულის შთაბეჭდილებას მით უმეტეს წმინდანისას. ქერემი რომ იმამი ან ღვთისმოციქული ყოფილიყო ახლოსაც არ გაეკარებდი რადგან, ამ წმინდანებისა არა მწამს რა. მე მას ვთვლი ადამიანად და ადამიანებს უნდა ვენდოთ, ვერწმუნოთ.

იავერი უკვე ჰკარგავდა თავშეკვეთების უნარს. ეს რას მელაპარაკება? განა ახლა ხელშობის დროა? მე ვეუბნები, ისე მოაჩვენე თავი, რომ მეორედ აღარ მოგიხდეს მისთვის კარების გაღება. ეს კი მიპასუხებს: უნდა ვენდოთ ადამიანებსო. ეს რას ნიშნავს — ნუთუ ვერ ხედავს, რომ ქერემი ადამიანი არ არის? ეს გაიფიქრა და კინაღამ შეურაცხყოფილი სიტყვებით არ მიმართა მედინას. მაგრამ დიდი გაქირვებით თავი შეიკავა. გული ბრაზისგან ეთუთქებოდა. და მან ისე გადაყლაპა ნერწყვი თითქო ძირმწარე ჭონდეს პირში გამოვლებული, რის გამო გულს აზიდებდა და ვერ ამოეღო ეს გულის ამრევი ლუკმა. ერთი სიტყვით წუთში დაჰკარგა ის რწმენა, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში ელოლიავებოდა და მან უქმყოფილოდ გააქნია თავი:

— შენ თუ ყველა ამისთანას მიენ-

დღე, მე არ ვიცი, ჩვენს შორის რა მოხდება.

მედინას იავერის ნაღველნარევი სიტყვები გულზე მოედო. მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით, მიმზიდველობის სიწმინდით, მაგრად მოხვია ქმარს ხელები და უკვე სერიოზული ტონით უთხრა.

— დარწმუნებული იყავ, ჩემო ძვირფასო, ამაზე ოდნავადაც არ შეწყუბდე. ჩვენ შორის ცუდი არასდროს არ მოხდება. როგორც პირველ დღეს ვინახავს შენი მედინა, ისეთივე დარჩება ბოლომდე. მას შეხი ხელებით ჩააწვენი საძარეში შეუბღალავს.

საკმარისი იყო მედინას მხოლოდ ერთი სიტყვა, ერთი გაღიმება, ერთი მიმოხვრა, რომ იავერის ეჭვები მყის გაფანტულიყვნენ, გახაფხულის ღრუბელივით. იავერი იღიმებოდა. ცოლს თავზე ხელს უსვამდა. თითქოს აქ არსებითად არაფერი არ მომხდარიყოს. იგი გულის სიღრმეში არცხვენდა და ესაყვედურებოდა თავის თავს. უნდა იყოს ყველაზე უსაშინელესი ადამიანი, რომ ეჭვები აღძრა მედინას მიმართ.

ამის შემდეგ მედინა ისე შეხვდა ქერემს, რომ მან სრულიად მიატოვა მათთან სიარული.

3.

იავერი იყო ფიზიკის მასწავლებელი. მასწავლებლობა მან ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტობის დროიდან დაიწყო. ეს აიძულა ოჯახურმა პირობებმა. მამამისი სამამულო ომიდან მძიმე მდგომარეობაში დაბრუნდა. იავერის მამა სულთანის ფრონტზე ოფიცრის ჩინით წაეიდა. ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით იბრძოდა. ომის ქარცეცხლმა, ტყვიამ და ყუმბარამ თავზე გადუქროლა. მისი ნაცნობ-მეგობრები მის თვალწინ იჭრებოდნენ, იხოცებოდნენ. საბიჩრდებოდნენ. მას კი ტყვია იბრალებდა, ზოგავდა, იგი უვნებელი იყო იმ დღეებშიაც კი, როდესაც ჩვენი ჯარის ნაწილები გერმანიის ტერი-

ტორიაზე შევიდნენ. სულთანის უკვე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მედინა და, სულ მალე სახლში ასევე შევნიშნული დაბრუნდებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს, ბედი, როგორც ჩასაფრებელი მძარცველი ქურდი, ყოველ მის ნაბიჯს კვალ და კვალ მისდევდა. ეჭვბედა მოხერხებულ წამს და მოულოდნელად თავს დაატყდა. ბერლინის მისაღვომებთან, ერთ-ერთი უკანასკნელი ბრძოლების დროს, მისი შტაბის ახლოს აფეთქდა ყუმბარა და ირგვლივ ყველა შენობები დაანგრია. დიღუპა სამი ოფიცერი... მფეთქებმა ტალღამ სულთანთან ერთად ჰაერში აიტაცა ორი მეომარი და ისე მაგრა დაანარცხა მიწაზე და დამარხა შენობების ნანგრევებში, რომ აღარაფერი გაუგია და სულთანის მხოლოდ მოსპიტალში მოვიდა გონს. შარჯვენა ხელი დასახიჩრებული, კანტუზიისგან დაბრმავებული, ხანგრძლივი მეურნალობის შემდეგ დაბრუნდა შინ. დაწყებული ვანგრენის გამო ხელი მოჰკვეთეს. იავერი და მისი მახლობლები არაფერს არ ზოგავდნენ, რომ მწარე ხვედრი შეემსუბუქებინათ ტანჯული მამისათვის. არ დაუტოვებიანთ საავადმყოფოები, ექიმები, სამკურნალო საშუალებები, წამლები. ყველა საცდელი სცადეს, ოღონდ კი ოჯახს დაბრუნებოდა, მაგრამ ამაოდ. იავერის დედა ბადმი-ხალა, სულთანს ჩრდილივით მუდამ თან დაჰყვებოდა. ქმრის საწოლს არ შორდებოდა და იავერიც იძულებული იყო თავისი პატარა დამამისათვის დედობაც გაეწია და მამობაც.

ცხოვრების მწარე გამოცდილება სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს ადამიანებზე. ერთნი გულქვანი ხდებიან, მეორენი პირიქით, გულკეთილნი, მოწყალენი თავიანთ მახლობლების მიმართ. იავერი მიეკუთვნებოდა მეორე ჯგუფს. მამის სიკვდილმა უდროოდ გაქაღარავებული დედის მწარე ნაღველმა, პატარა დამამის თვალეში მამისგან გამოწვეულმა სევდამ, იავერის სულსა და

ხსიათზე წარუშლელი კვალი გაავლო. ამ მოვლენებმა იგი გახადეს მეტის-მეტად გულსხმიერი, ადამიანებთან დამოკიდებულებაში დიდი თანამგრძნობელი. სკოლაში ბავშვებთან მუდმივმა ურთიერთობამ უფრო გააღრმავა კეთილი გრძნობები მის გულში. ცხოვრების ზოგიერთი იდუმალი კუნძულები, თაობიდან თაობაზე საუკუნეების მანძილზე გადმოცემული ჰუმანი და მკაცრი ჩვევები ჯერ კიდევ არ იყო მისთვის ცნობილი. ეს ადამიანი, რომელიც მედინას ბრალს სდებდა გულმართლობასა და გულუბრყვილობაში, თვითონ იყო ბავშვივით გულმართალი და გულუბრყვილო.

ამიტომ მედინა მას უყვარდა განუზომელი სიყვარულით და კიდევ იმიტომ რომ მას საერთოდ უყვარდა ადამიანები და ენდობოდა მათ. მაგრამ ქერემთან შემთხვევამ სულ სხვა გრძნობები აღუგზნო გულში. მედინასთან ხუთი დღით განშორებაც კი ერთი წლის წამებად ეჩვენებოდა, გულმომწყველელი კაეშანი ეფინებოდა მის სულს. უნდა შეგეხდათ იავერისათვის, როდესაც ის სკოლიდან შინ ბრუნდებოდა, როგორ რეკავდა იგი ზარს ორ ოთახიან ბინაში, რომელიც მოთავსებული იყო ბაქოს კორტოხიან ადგილზე გადმომდგარ ერთ-ერთ საუკეთესო ახალ შენობაში, როდესაც ის გაიგონებდა მედინას მომხიბვლელ ხმას და კარის გაღებისას პირისპირ შეხედებოდნენ, იავერს სახე გაუბრწყინდებოდა უსასრულო ბედნიერების სხივით. იგი დერეფანში შედიოდა თავისი თავით კმაყოფილი, კმაყოფილი მუშაობით, ხალხით და მთელი ქვეყნიერებით. ჯერ ცოლს მიესალმებოდა, შემდეგ, სამი წლის ქალიშვილს ლეილას ხელში აიტაცებდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა, მერე ლოყას მიუშვებდა და ეტყოდა— აბა მაკოცე. როცა მამიკო გაპარსული იყო, გოგონაც მაგრად ჩაჰკოცინდა, ხოლო თუ გაუპარსავე, გაბანჯგლული წვერით შემოვიდოდა, ქალიშვილი მაგ-

რად მოკუმავდა პაწია ტუჩებს, ფუნთუშა თათებს ლოყაზე მსჭრებდა— მართკერდა და მოიცილებდა!

— ფუ, ბუხები...

აი დღესაც, როდესაც გაისმა ზარის წკრიალი, მედინამ წყნარი მომხიბლავი ხმით გასძახა „მოვდივარ“. კარებთან მისვლისას მან იგრძნო, რომ იავერი მარტო არ მოვიდა. გააღო კარი და თვალს არ დაუჯერა — იავერის გვერდით იდგა, ტანმაღალი, თაფლისფერ-თვალემა ახალგაზრდა კაცი. თავზე ქუდი არ ეხურა და ხშირი თმები კულულებად ჩამოჰყროდა შუბლზე. მის შავგვრემან სახეზე საკუთარი ბედით კმაყოფილი ადამიანის ღიმილი კიაფობდა. თეთრი აბრეშუმის გრძელი ხალათის კალთები, რუხი შალის შარვალზე გადმოჰქვენოდა. განიერი სახელოების სამაჯური დილილოებით არ ეკვრებოდა, რის გამო ხელებს თავისუფლად და ხალვათად ამოძრავებდა. მედინამ დანახვისთანავე იცნო იგი. ეს იყო რასიმი, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა მეშვიდე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე.

აბ, როგორ გამოცვლილა! რასიმი ტანადობით გოლიათ ფარხადის მოგაგონებდათ, როგორ ფერმკრთალად, სუსტად და პატარად გამოიყურებოდა მის გვერდით იავერი! თითქო პრაქით განათებულ ოთახში უცებ აანთესო კამკაშა ელექტრონის ნათურა, ისეთი ნათელი სხივი შემოაფრქვია რასიმში. რა თქმა უნდა ახალგაზრდა კაცმაც იცნო მედინა და თითქოს შეკრთა კიდევ გაკვირვებისგან. მისი თაფლისფერი დიდრონი თვალემა ნაპერწყლვად აცემციმდნენ, როგორ დაშვვენებულა, გაფურჩქენილა ვარდივით, ერთ დროს სკოლაში გამხდარი, შავგვრემანი მედინა!

ჯერ კიდევ სკოლის პერიოდის წლებში რასიმი ლამაზად ხატავდა. კედლის გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ათავსებდნენ მის მინიატურულ ნახატებს. ამხანაგები, განსაკუთრებით კი უფრო-

სი კლასელი გოგონები რასიმს მოსვენებას არ აძლევდნენ. თხოვნით აიძულებდნენ სამახსოვროდ დაეხატა, ვისთვის ზღვის პეიზაჟი, ვისთვის ოცნების კოშკის ხედი, ვისთვის თვითონ მთხოვნელის პორტრეტი ან სკოლის შენობა. უკანასკნელი სამი ოთხი წლის განმავლობაში, მედინას ხშირად ამოუკითხავს გაზეთებში მხატვარ რასიმის სახელი. რადიოთი მოუსმენია „ნიჰიერი ახალგაზრდა მხატვრის ნაწარმოების“ ქება. მაგრამ მედინას აქამდე ვერ გაეგო სად და როგორ ვაიციო მისმა ქმარმა რასიმმა. მან ისიც არ იცოდა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინედ, როდესაც ივერი მოსკოვიდან ბრუნდებოდა, მის თანამგზავრად აღმოჩნდა რასიმმა. სამი დღე კუბეში ერთად მგზავრობდნენ, ერთად ჰამდნენ, სვამდნენ. თბილად საუბრობდნენ და ძალიანაც მოეწონათ ერთმანეთი. დღეს კი სრულიად შემთხვევით შეხვდნენ ქუჩაში და ივერი აღარ მოეშვა, შინ წამოიყვანა.

მედინა მთლად აყირმიზდა ამ მოულოდნელი შეხვედრით. ვერც კი მოასწრო ეთქვა, რასიმთან ნაცნობობის შესახებ, რომ ივერმა ისინი ერთმანეთს გააცნო. მედინას, კუბოკრული წინსაფარი კიდევ ზედ ერტყა, ჯერ მასზე შეიწმინდა ხელი და მერე რასიმს გაუწოდა.

მხატვარმა, ძველი ინტელიგენციისათვის დამახასიათებელი თავაზიანობით და მოწიწებით ჩამოართვა ხელი მედინას და ივერს მიუბრუნდა:

— ჩვენ ერთმანეთს დიდი ხანია ვიცნობთ, მედინა — ხანუმი და მე სკოლაში ერთად ვსწავლობდით.

მედინა უფრო გაწითლდა. მას უნდოდა პირველს ეთქვა ქმრისათვის ამის შესახებ, მაგრამ მერყეობდა. ამოდ. რატომ არ დაასწრო რასიმს, — ერთიც ვნახოთ და ივერმა იეჭვიანა... მაგრამ ივერს ამისათვის მნიშვნელობა არ მიუცია:

— ხო? მით უკეთესი! — თქვა მან მისთვის ჩვეული რიხიანი ხმით. შემდეგ

მედინას გაუწოდა თევზებით საცხე პატარა ქილა. — ეს ჩინური თევზებდეს იშვიათი ნიმუშია!

მედინას გაელიმა, ქმარს ქილა ჩამოართვა. ივერმა მხატვარი ოთახში შეიპატიჟა.

— შევიდეთ ოთახში, ვიდრე მედინას სუფრას გაგვიშლიდეს, მე გაგაცნობთ მის ყვავილებს.

მედინამ მსუბუქი საყვედურით შეხედა ქმარს და ერთ წამს დერეფანში გაიხმო, წასჩურჩულა:

— მაინცდამაინც დღეს არა მაქვს გამოსაჩენი სადილი. შენ კი ყოველთვის ასე იცი, რა ჩვეულებაა, რომ გაუფრთხილებლად თავზე დამაყენებ ხოლმე სტუმრებს. დილას მაინც მცოდნოდა, მოვამზადებდი რაიმეს სტუმრის საკადრისს.

მედინას ჩურჩულზე ივერმა უეცრად ხმამალლა უბასუხა:

— არაფერია, ჩემო კარგო. უსაყვედურით მოიტა რაცა გვაქვს. ხომ გაგიგია: ხახვი და პურიო, კეთილი გულიო. რასიმის არ მერიდება, დღეს მე მას სრულიად შემთხვევით შევხვდი.

რასიმმა მიუხედა ცოლქმრის ლაპარაკს და საუბარში ჩაერია:

— ივერმა გულით დამპატიჟა, მასთან უარი არ გამივიდა და მეც მოულოდნელად გესტუმრეთ.

მედინამ ვერ გაუძლო მისი დიდრონი თვალების გამქვალავ ისარს და სადღაც შორს, მისი განიერი მხრების იქით დაიწყო ცქერა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მე დღეს სადილად მაქვს დოგვა და ვაზის ფოთლის ტოლმა.

— ო, ეს ხომ დიდებულა! — თავის აღფრთოვანება გამოსთქვა რასიმმა, და დაბნეული ადამიანის მსგავსად, რაღაცაზე დაფიქრდა. მაგრამ ეს მისი დაბნეულობა ივერს თითქოს არ შეუნიშნავს, რადგან ყურადღება არ მიუქცევია. „კარგია რომ ჩემი ქმარი კარგ გუნებაზეა დღეს. იგი არ არის ზედმეტად ყურმანვილი და ფხიზელი, რო-

გორც უოველთვის“. გაიფიქრა მედინამ და თავისი აზრის თვითონვე შეტყობა. „აბა, აქ ისეთი რა არის მას კი მუდამ ეჩვენება, თითქოს მე მისგან რაიმეს ვმალავდე“.

— გამარჯობა მამიკო, — შესძახა ბატარა ლეილამ, რომელსაც მოკლე კიკინებზე წითელი ბაბთები წაეჭირებინა. გამოხტა მეზობელ ოთახიდან და იავერს კისერზე ჩამოეკიდა. მედინა სამზარეულოში გავიდა. ქალიშვილთან ჩვეულებრივი შეხვედრის შემდეგ, იავერმა იგი გასაცნობად რასიმს წარუდგინა.

— აბა, შენ იცი ახლა, როგორ დაუმეგობრდები ბიძიას. იცი ეგ ბიძია ლამაზად ხატავს, ის შენ ქონდრის კაცს დაგიხატავს, მამალს, მელიას.

ლეილამ ჯერ მორცხვად შეხედა სტუმარს, მერე როგორც კი რასიმმა დაუძახა. გაშალა ხელები და გაექანა მისკენ. ამან მამამისი დიდად გაახარა. საოცარი ის იყო, რომ ამ სახლში ლეილა იყო სინჯვის ქვა, სტუმრების ღირსების განმსაზღვრელი. თუკი ლეილა პირველ შეხვედრისთანავე სტუმარს დაუმეგობრდებოდა, მასპინძლებიც მას სთვლიდნენ კარგ ადამიანად, ანდა პირიქით, თუკი ბავშვი სტუმარს არ მიეკარებოდა, იუცხოებდა, მას სთვლიდნენ ცუდ ადამიანად.

— მედინა, ერთი ამას შეხედე! — გასძახა იავერმა სამზარეულოში, ერთი შეხედე, როგორ შეეთვისა ლეილა რასიმს!

— მედინა არ გამოსულა დერეფანში. ისე უპასუხა სამზარეულოდან: „კარგია, ძალიან კარგია“. ლეილამ რასიმს ცხვირზე ხელი წაავლო და წაიტრიალა:

— „კარგი ბიძია!“

და იმ დღიდან რასიმს შეარქვეს „კარგი ბიძია“.

4.

რატომ გაწითლდა მედინა რასიმის დანახვაზე და გულმა რა უგრძნო? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არც ეგრე

ადვილია. იქნებ მათ სკოლის წლები აკავშირებდა, ან მედინას რასიმს უყვარდა, ის კი ყურადღებამაც არ აქცევდა, როგორც ეს სხვებსაც სჩვევიათ? რასიმს ხომ მაშინ უფრო ლამაზიც იყო, გარეგნობით, თვალტანადობით და უბადლო ნიჭით ტოლებში გამოირჩეოდა. ზოგიერთი ქალიშვილი მისი ეშხით დნებოდა. მაგრამ, არა, მედინა მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა. სკოლის წლებში ერთი თვალითაც არ შეუხედავს რასიმისათვის. მედინას მის ახლოს ფერი არასდროს არ შესცვლია. მაშ, იქნებ, რასიმს იყო მედინათი გატაცებული და მისგან სიცივე იგრძნო. გულგრილობა? არა, არც ეს არის მართალი. იმ ხანად რასიმს ფიქრადაც არ მოსვლია მიეტოვებინა უფრო ბევრად ლამაზი, ალერსიანი, სანდომიანი ქალიშვილები და მედინას ასდევნებოდა. რასიმს კარგად ახსოვდა, რომ მედინა ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი იყო. მათემატიკაშიც კი მუდამ ხუთიანს ღებულობდა. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ქალიშვილში მარტო იმიტომ არ არიან შეყვარებულები, რომ ის ფიზიკაში და მათემატიკაში ხუთიანებს ღებულობს.

მაშ, რატომ ეგრე მოუსვენრად უცემს გული მედინას? რატომ არ უნდა გამოვიდეს სამზარეულოდან, რა ათრთოლებს, რა ამინებს? რატომ არ უნდა რასიმთან ერთად ისიც დააჯდეს მაგიდასთან? ამ საკითხებმა შეაშფოთა მედინა. მასაც ის აკვირებდა, რომ მისი გული უჩვეულო მოჩქარებით სცემდა. „რა შემართება?“ — უსაყვედურებდა თავის თავს.

ხედავთ, მედინამ თვითონ არ იცის ამ უცნაური მოვლენის მიზეზი. ადამიანის გული ხომ საკვირველი რამ არის. თმათეთრ მეცნიერებსაც კი მთელი თავისი სიცოცხლე გულის შესწავლის საქმისათვის დაუთმიათ. ათასი გულის ცემა მოუსმენიათ, მრავალი გულის ტყვილი დაუცხვრიათ, მაგრამ მაინც ხშირად ამაოდ დამშვრალან. მე

მინახავს ბევრი გულით ავადმყოფი, რომლებსაც სინჯავდნენ, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ექიმი გულის ცემას უსმენდა. და ყველა მათგანი ერთნაირ დასკვნას იძლეოდა: „აქ განსაკუთრებული არაფერია, გული ჯანმრთელია“. ავადმყოფი კი განუწყვეტლივ ტყავილს უჩიოდა, წუწუნებდა, მკერდალს არწმუნებდა რომ გული უცნაურად იკუმშება და ძალზე აწუხებს. მაშინ თმათეთრი სწავლულები საკუთარ ყურებს, ხელებს, ცოდნას და ვრძობებს აღარ უჯერებდნენ. გააკეთეს ელექტროდიოგრაფია, გულდასმით დაათვალიერეს, შეისწავლეს; ითათბირეს და ერთხმად იგივე განაცხადეს: „აქ იმისთანა არაფერია, განსაკუთრებული“. ავადმყოფს კი გული მწარედ წიწინდა. ის, მკერდში მძიმე ქვასავით ეკიდა. დიახ, ბევრი ამოუხსნელი საიდუმლოება აქვს გულს.

მედინას ახლა ერთი სურვილადა ჰქონდა, მალე დამთავრებულიყო სადილი, ჩქარა დაეღიათ ჩაი და ჩქარა წასულიყო რასიმი, რომ მარტო დარჩენილიყო თავის საყვარელ ქმართან. ტიტიკა — ლეილასთან. დე, დღე! — აცნურავინ ნუ დაარღვევს ამ მოსიყვარულე ოჯახის მყუდროებასა-სამშვიდეს და ბედნიერებას. მაგრამ მედინას სურვილი საწინააღმდეგოდ რასიმი სულაც არ ჩქარობდა წასვლას და არც იავერი ფიქრობდა მის ადვილად გაშვებას.

სადილის დროს დაწყებული საუბარი გაგრძელდა. ჩაის სმის დრომდე, თანდათან გაღრმავდა და მიიღო საინტერესო ხასიათი. საუბარი მალე ცხარე კამათში გადაიზარდა. კამათი ზოგჯერ მთის ჩანჩქერით აბობოქრდებოდა, ზოგჯერ მიწყნარდებოდა და მდელივით მორაკრაკე წყაროს წყალს ეშხავებებოდა. როდესაც კარგად შებინდა და აკომიცმდნენ დიდი ქალაქის კაშკაშა ელნათურები, იავერმა მეორედ მოითხოვა ჩაის ადუღება.

როგორც იქნა შუალამე გადასულს რასიმი წავიდა. მედინას ეს არც სწყე-

ნია, მხოლოდ ერთი სურვილი კიდევ ჰქონდა გულში, — რასიმი ალარ მოსულიყო მათთან.

5.

ორი დღის შემდეგ, საღამოთი გაისმა ზარის წკრიალი. ამჯერად რასიმი მოვიდა მარტო. თან მოიტანა ილიაში ამოღებული ხანგრძლივად დამკრეველი ფირფიტები. მან სავსე ყუთიდან ამოიღო უფერტიურა „ჩენლიბელის“ სცენისათვის ოპერა „ქორ-ოლიდან“. აზერბაიჯანული მუსიკა სიმფონიური ორკესტრის შესრულებით გრგვიანვდა, ლელავდა, როგორც მშობთვარე ზღვა.

რასიმი მუდამ გულდასმით და მოწიწებით უსმენდა თანამოსაუბრეს. ადამიანის კარგი მხარე მას მუდამ ახარებდა. თვითონ საუბრობდა უბრალოდ და თავაზიანად, მიმართვა ჰქონდა არაჩვეულებრივი რბილი და ზრდილობიანი. მედინა დარწმუნდა, რასიმთან საუბარსა და ურთიერთობაში. ადამიანი როგორღაც საკუთარ თვალში მალღებდა, ცდილობს იყოს წესიერი, ლამაზი — ჩაცმა, დახურვით. მეგობრებთან სჯა ბაასში და საქმეში.

საე დამსახურა მხატვარმა გულკეთილი, გულთბილი სასიამოვნო მოსაუბრის სახელი იავერის ოჯახში, სადაც მას დიდის თავაზიანობით ხვდებოდნენ. იგი აქ მოდიოდა ყოველ ორ-სამ დღეში. ისხდნენ და ტკბილ მეგობრულ საუბარში ატარებდნენ საღამოებს.

ერთხელ კიდევ ჩამოვარდა ხელოვნებაზე ლაპარაკი, ამჯერად შეეხნენ მხატვრებს, რასიმმა შეხედა მედინას ხელით კედლებზე დაკიდებულ ფერად სურათებს. ერთზე გამოსახული იყო ყურძნის მკრეფავი გოგონა, მეორეზე დათოვლილი მთები. ორივე სურათი მხატვართა ფონდის გამოცემას ეკუთვნოდა, იაფი ღირებულების გამო სურათის როგორც წესი, ავტორი ხელს არ აწერდა.

—მედინა ხანუმ, როგორც ჩანს, მოგვიხსდება თქვენც გაგატაროთ კრიტიკის ქარცეცხლში. ეს როგორ გავიგოთ,

თქვენ ერთ დროს თავს ესხმოდით მხატვარ-მღებავებს, აქ კი მე ვხედავ თქვენი ოთახის კედლები დაგიმშვენებიათ მათი ნაწარმოებებით. — ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ რასიმმა სიტყვა წამოკრა მედინას.

— რა გვნათ, რაც გავაჩნია, გულსაც ის აჩნიაო, იტყვიან. კედლებზედაც ის დავეიდეთ, რის შოვნაც შევქელოთ.

— ერთი ჩემი ნაცნობი ჰყიდის ბეკრუხა კენგერლის სურათს „გზა იამხანისკენ“-ის შესანიშნავ ასლს. მე თქვენ გირჩევთ ეს სურათი შეიძინოთ და ამის ადგილას ის დაჰკიდოთ, რასიმმა მიუთითა ყურძნის მკრთავის გამობატულეებაზე. იმ ნაწარმოების მშვენიერებით პეიზაჟის სიმდიდრით, რომელიც შექმნილია ოცდაათი წლის წინათ თქვენ მიიღებთ დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას. მაშინ თქვენ განთავისუფლდებით ამ საბრთხუნესაგან. ამ სურათის ადგილას კი... რასიმმა უჩვენა დათოვლილი მთების უშნო, ულამაზო გამოსახულებაზე... მაგრამ იავერმა აღარ დაამთავრებინა:

— ამის ნაცვლად მე დაგკიდებდი აი ამ სურათს. — თქვა მან და გაღიმებულმა შეხედა მედინას.

ორი მამაკაცის თვალთა ისარმა მედინა გააწითლა და ქმარს შეესიტყვა:

— ო, ერთი, შენც იტყვი ხოლმე. აქ როგორ შეიძლება ფოტოსურათის დაკიდება. თუკი ვიშოვნი, მაგ ადგილას დავეიდებ რაიმე მხატვრულ პორტრეტს.

უცებ უცნაურმა აზრმა გაასხივოსნა რასიმმა. სიხარულისაგან ფართოდ გაღებულ თვალებით ხან მედინას შეხედავდა, ხან იავერს;

— თუ ნებას მომცემთ, მე შევასრულებ თქვენს სურვილს, იავერ, თქვენსასაც, მედინა-ხანუმე. ეს იქნება ერთსა და იმავე დროს მედინა-ხანუმის პორტრეტიც და მხატვრული სურათიც.

მოისმინეს რა ეს მოულოდნელი წინადადება, ცოლ-ქმარმა უნებურად გადახედეს ერთი მეორეს. მედინას ჯერ

არც გადაეწყვიტა, რომ იავერმა უპასუხა:

— შესანიშნავი აზრია... დიდმა ხანია, მინდოდა მედინას პორტრეტის ნახვა.

რასიმმა ოცნებამ წაიღო. ის ფიქრობდა შეექმნა ლამაზი, კეთილშობილი ქალის, დიდბუნებოვანი, ფაქიზი გულის ადამიანის მხატვრული პორტრეტი. მედინა ჯერ კიდევ მერყეობდა. იგი უაზრობად თვლიდა პორტრეტის გულისათვის საათობით პოზაში მდგარიყო მხატვრის წინ. უარის თქმაც ეუხერხულეობდა, მით უფრო, რომ ქმარმა მისცა ამის თანხმობა. რასიმსაც ეტყობოდა გულით სწაღდა. აქ სხვა რამ საწინააღმდეგო მიზეზები კი მედინას ნაცვლად გულს მოუკლავდა. ამიტომ მას აღარ უნდოდა მალე დაღამებულიყო. რასიმმა აღრე არ გამოთხოვებოდა, ის თავისი სუნთქვით ოთახის კედლებსაც ათბობდა. მისი მალალი ნათელი შუბლის, ბრგე გულმკერდის, კუნთმაგარი მკლავების მზერით თვალი ისვენებდა და ყურს არ ბეზრდებოდა, მარად ესმინა მისი ხვერდოვანი ხმა.

— კარგი, როდის დავიწყოთ? — მიმართა რასიმმა.

მედინამ ჯერ ქმარს შეხედა, მერე რასიმს. თვალი თვალს შეხვდა. მედინამ მხატვრის თვალბეჭდში დაინახა შვიდფერა ცისარტყელის ბრწყინვალეობა, დღემდის მისთვის შეუცნობელი რალაც იღუმალეებით მიმზიდველი წარმტაცი სამყარო, რომელიც თავისთან იხმობდა. ეს იყო მისი თვალების ცეცხლიანი, აალებული ამალელებელი ზღაპრული ძახილი, რომელიც ჰპირდებოდა დაუსრულებელ სიხარულს, ცხოვრების უტკბეს სიამოვნებას, ფერიულ სილამაზეს. მაგრამ რა ბოლო მოსდევს ამ სამყაროს ზმანებას, ამ ტკბილ დაპირებებს? მედინამ ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა, რომ მოესმა შორეული ხმა:

— რადგან ეს ჩვენ ყველას გულით გვინდა, უნდა შესრულდეს რაც შეიძლება ჩქარა.

ეს შორეული, უცნობი, ხმა მედინას

პირველად ჩაესმა, ნამდვილად კი ეს იყო მისი ქმრის ხმა, რომელსაც ხელმოკიდებული თვითონ მიჰყავდა მედინა იმ მომზიბველესა და წარმტაც, ამავე დროს საშინელ საწყაროში, სადაც მას იხმობდა მხატვარი.

— ეს თქვენ არ დაგლით? — ძლივს შესაძინევი მაგრამ თბილი, ადვლეგებული ღიმილით შეეკითხა მედინა სკოლის ძველ ამხანაგს და გაწითლდა. ამ ღიმილმა, მხატვარს სული აუფორიაქა.

— ჩემთვის სასიამოვნოა! — უბასუხა მხატვარმა და კვლავ მიაპყრო გარეგნულად არაფრის გამომხატველი, მაგრამ სავეს იღუმალი დაპირებებით, თავშეკავებული — დამპყრობელი დიდრონი თვალებით მზერა. მედინამ ამ მზერაში დაინახა მბრძანებლური ძალა. აღმაინის ნებისყოფის დამორჩილების უნარი მედინამ თავი დაბლა დახარა და გაუბედავი ხმით, თანხმობა განუცხადა:

— კარგი...

6.

მეორე დღის საღამოსათვის მედინა მოეშადა. პატარა ლეილასთან და ქმართან ერთად სადილის შემდეგ, ოჯახში ყველაფერი მოაწესრიგა. ყველამ ერთად დაუწყო ლოდინი რასიმს. საათმა შვიდი დარეკა, მაგრამ, რასიმე ჯერ კიდევ არ სჩანდა. დარეკა რვა — ის მაინც არ მოვიდა. მედინა მოუსვენრობდა.

— ვაი თუ, საწყალს რაიმე დაემართა? — თქვა მან და ქმარს შეხედა.

— რა უნდა დამართოდა? ალბათ სადმე კრებაზე შერჩა. სხვაგვარად, დაგვირეკავდა მაინც, ის მეტად წესიერიია, თუკი დაგვირდა აუცილებლად შეასრულებს კიდევ. მას ნიჭიერ მხატვრად სთვლიან და მცოდნენი დიდ იმედებსაც ამყარებენ.

— სკოლაშიაც ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდათ ითვლებოდა, — დაუდასტურა მედინამ, — საკმარისი იყო მასწავლებელს ერთხელ აეხსნა გაკვეთილი, მას სამუდამოდ ახსოვდა.

— განსაკუთრებით მომწონს მისი უადრესად თავმდაბლობა, არ უყვარს თავის მეობაზე ზედმეტი გადაჭარბებული ლაპარაკი. ხომ არიან ისეთები, რომლებიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ, ეძებენ უფასო შემქმელებს. მათ სიტყვა ისე არ მოუბრუნდებიათ, თან არ დააყოლონ მე, და მხოლოდ მე! სადაგლობაა სწორედ.

რასიმზე ქმრის დადებითი აზრი, მედინას მოეწონა. რა კარგია, რომ ესენი ასე დამეგობრდნენ! როდესაც ოჯახს ასეთი მეგობრები ჰყავს, დღეები სასიამოვნოდ მიჰქრიათ. მედინას უნდოდა კიდევ ეკითხა: „აქამდის რატომ არ მოდის“ მაგრამ დაფიქრდა და თავი შეიკავა. სწორედ ამ დროს ტელეფონის ზარიც დაირეკა. მედინამ აიღო ყურმილი, ლაპარაკობდა რასიმე. მან მაშინვე იცნო მედინა.

— გამარჯობათ მედინა-ხანუმ. — უთხრა მან და წამიერი სიჩუმის შემდეგ ნაღვლიანი ტონით დაუმატა: გთხოვთ, მავატიოთ, იმის გამო, რომ ვერ შეეძელი პირობის შესრულება. იცით, კავშირში გვქონდა მეტად მნიშვნელოვანი კრება.

— მე რა ვუყოთ, მოხვალთ ხვალ, — უბასუხა მედინამ და თვითონვე შეეშინდა თავისი აკანკალებული ხმისა.

— საქმეც მაგაშია, რომ ხვალაც ვერ შევძლებ მოსვლას, — დარცხვენით უბასუხა რასიმმა და გაჭირვებით განაგრძო: ათი-ხუთმეტი დღით მივდივარ ნუხაში, კახსა და ზაქათალაში, მშვიდობით დარჩენას გისურვებთ. დავბრუნდები, გინახულვებთ.

რასიმმა კიდევ რალაც თქვა, მაგრამ მედინა ვეღარ ერკვეოდა მის სიტყვების აზრში. ახლა მთელი ყურადღებით მიეჯაჭვა ქმარს. მედინა ნანობდა, რომ თავიდანვე ქმარს არ გადასცა ყურმილი. და თან დამნაშავეის თვალთ უცქერდა იავერს. ესეც თავის მხრივ თვალს არ აშორებდა ცოლს, მაგრამ მის თვალეში საყვედური კი არ გამოსჭვივოდა, არამედ დაბნეულობა, ჩაფიქრებული სიჩუმე. თითქოს ცოლის

პასუხებით უნდოდა მიხედვრილიყო, თუ რაზედ ელაპარაკებოდა რასიმი.

მედინა ერთის მხრივ სწუხდა რასი-
მის მოულოდნელად რაიონებში გამგ-
ზავრების გამო, მეორეს მხრივ კიდევ
გაეხარდა, რადგან აქამდე კიდევ ვერ
წარმოედგინა, როგორ უნდა მდგარიყო
საბრთხოებელასავით მხატვრის წინ გა-
უნძრევლად რამდენიმე საათს. იქნებ
შეიძლებოდეს ამ ამბის თავიდან აცი-
ლება. ჯერ კიდევ საცქაო დრო არის
მოთქმებისათვის, ამ აზრის შესაგუ-
ებლად. მაგრამ, მოხდა ისე რომ, მედი-
ნას, ამაზე ფიქრი კი არა ქმრის აზრიც
ვერ მოისმინა რასიმის გამგზავრების
შესახებ. ის ის იყო დადო ყურმილი,
რომ დაირეკა ზარი. კარებიდან მოისმა
მეზობელ მარიამის მწარე ქვითინი და
მედინაც საჩქაროდ მისკენ გაექანა.

— რა დაგემართა მარიამ-ბაჯი?

მარიამი უფრო ძლიერად მოჰყვა
ტირილს:

— დავიღუპე მედინა, ბიჭი დააპა-
ტიმრეს უხ! უხ!

მედინა ყურებს არ უჯერებდა, რო-
მელი ბიჭი, ვინ? ყველა მეზობლებმა
კარგად იციან რა ბიჭიც არის ნაზიმი.
რა ჭკვიანი, რა წყნარი ბავშვი. სკო-
ლაშიაც არავინ ჰყავს მომჩივანი. მას-
ზე ცუდს ვერავინ ვერ გაიფიქრებდა.
სკოლიდან დაბრუნდებოდა თუ არა
ეზოში თამაშობდა, ყველა თვლიდა ამას
ბუნებრივად, და აი უცებ ის აღმოჩნ-
და მილიციასში. მედინა გაოცებული
იყო.

მან მარიამი ოთახში შეიყვანა.

— კი მაგრამ, რაზე დააპატიმრეს?

— არ ვიცი, ჩემო კარგო, არ ვიცი!
მომეხმარეთ, დამიბრუნეთ ჩემი ბიჭი.
მე-ამას ვერ გადავიტან, მოგვკვდები,
ოხ! ოხ! — ტირილით თავს იკლავდა
მარიამი.

მედინამ ქმარს შეხედა. იავერი მიხე-
და, რომ ქალები მისგან დახმარებას
შოითხოვდნენ. დარეკა, მოძებნა მილი-
ციის უფროსი და გამოარკვია რომ უკა-
ნასკნელ აფეთქებაში ნაზიმი დაუკავშირდა
მეტად ცუდს, საექვო ახალგაზრდების

ჯგუფს. დღისით, მზისით ზღვის პირა
ბალის ბოლოს, მიყრუებულ ქვიფანში
ატეხეს ჩხუბი, ერთერთი დანახი დასუ-
რეს და გაიქცნენ, მაგრამ ყველა დაი-
ქირეს და დააპატიმრეს.

მარიამისათვის ეს იყო მოულოდნე-
ლი მეხის დაცემა. სასოწარკვეთილ,
შეძრწუნებულ დედას მწუხარებისგან
გული მისდიოდა. მედინა და იავერი
დიდხანს ცდილობდნენ მის დაწყნარე-
ბას. გვიან ღამით სახლში გააცილეს.
იავერი შეჰპირდა: „დილა გათენდება
და რაიმეს ვილონებთ“. რასაკვირვე-
ლია მეორე დღეს ვერ მოხერხდა მი-
ლიციიდან ნაზიმის განთავისუფლება.
ისინი ჯერ მხოლოდ მოქმედების გეგ-
მას აღგენდნენ.

მედინა ათასგვარ მიზეზებს იგონებ-
და, რომ მარიამი თავისთან მოეყვანა,
ან თვითონ მისულიყო მასთან, რომ
მისი დარდი და ვარამი გაეზიარებინა.
ბიჭის გამოსახსნელად ის ეძებდა გზებს
და საშუალებებს და, როდესაც შინ
ბრუნდებოდა, სევდანარევი სიბრალუ-
ლით ამბობდა:

— ეს რა საშინელებაა, იავერი! შესა-
ნიშნავი ბიჭი იყო, უცებ ჩვენ თვალწინ
ბოროტმოქმედად გარდაიქმნა!

დიდიხანს ფიქრის შემდეგ ქმარს
შეუთანხმდა, მოელაპარაკა რამდენიმე
მეზობელს. დაწერეს განცხადება. მი-
მართეს მილიციის პროკურორს, დაუ-
დეს სათავადებო ხელწერილი და ბოლოს
მიადრეის იმას რომ ბიჭი დედას დაუბ-
რუნეს პირობითი სასჯელით.

ამ შემთხვევამ იავერი როგორღაც გა-
მოაფხიზლა. მან თვალყურის დევნება
დაუწყო ბავშვებს, რომლებიც ეზოში
თამაშობდნენ.

სამსახურში წასვლისას და დაბრუნე-
ბისას, ეზოში შეჩერდებოდა და სხვის
შეუქმნევლად ბავშვებს უთვალთვა-
ლებდა. ხშირად, სადილის შემდეგ მო-
ვიდოდა ფანჯარასთან და მესამე სარ-
თულიდან ეზოში მოთამაშე ბავშვებს
გადმოსხედავდა, აკვირდებოდა მათ ურ-
თიერთ დამოკიდებულებას, ყოფაქცე-
ვას. მან შეამჩნია, რომ ეზოში სათამა-

შოდ უცხო ბავშვებიც შემოდინან. ათითორამეტი წლის ბიჭუნებს თავი კარგად ეკირათ. თამაშობდნენ ჩუმად და წყნარად. ერთმანეთს თავაზიანად ექცეოდნენ, ეზოს საზღვრებს არ სცილდებოდნენ. მაგრამ ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭებს, თითქოს ადგილი არ ჰყოფნიდათ, აღარ იცოდნენ როგორ და რაში დაეხარჯათ მჩქეფარე, მოზღვავებული ენერგია. ეს ეზო ევიწროებოდათ და სხვა ეზოებში, ქუჩაში გარბოდნენ. ეს კი სახფათო იყო, რადგან ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ბაქოა, ამ ბავშვებს ყველა არ იცნობს და ყურადღებას არაფერს აქცევს. ბავშვებიც ამით სარგებლობენ და აკეთებენ იმას, რაც მათ მოეპოვებათ. აქედან იწყება მათი წახედვა, გზიდან აცდენა. შესაძლებელია, ხვალ იავერიც კი მოატყუონ და გააცრუონ ასეთმა ბავშვებმა. რა ეშველებათ? განა შეიძლება ბავშვებს უთხრა: იჯექი სახლში. ოთახიდან ფეხი არ მოიცივალო, ტოლებს არ შეხვდე, მათთან არ ითამაშო, არ გაერთო? იცოდე სკოლა და სახლი, მეტი არაფერი! იავერმა, როგორც მასწავლებელმა კარგად იცოდა, რომ ბავშვებს ასე არ უნდა უთხრა:

— ჩემო მედინა, მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები რჩებიან უპატრონოდ, მეთვალყურეობის გარეშე. უწესო ბიჭები დღეს ნაზიმს მოისყიდინან, ხვალ რომელიმე გულუბრყვილოს ჩააბამენ თავიანთ ბნელ საქმეში, გზიდან გადააცდენენ. მოდი მოველაპარაკოთ მეზობლებს. ჩამოვყალიბოთ ეზოს კომიტეტი, დავაწესოთ მორიგეობა, დე, უფროსებმა ითავონ თამაშობების სხვადასხვა გასართობების და დასვენების ორგანიზაცია. შენ რას იტყვი?

— ქმრის წინადადება მედინას მოეწონა. მან სინანულიც კი გამოთქვა, რომ მას პირველს არ მოუვიდა აზრად ასეთი ღონისძიება. და გაიფიქრა: თუკი იავერის მიერ დასახული გეგმა განხორციელდება, თვითონაც დიდის ხალხით ჩაებმება საზოგადოებრივ საქ-

მეში. როგორც დიასახლისი, ხომ მუდამ მოწყენითა ზის სახლში, მოწყვეტილია საზოგადოებრივ დატვირთვას, მოკლებულია მჩქეფარე ცხოვრებას. მან პედაგოგიური ტექნიკური დაამთავრა, სამი წელი იმუშავა საბავშვო ბაღში. შემდეგ ისე მოხდა, დატოვა სამსახური. პირველ ხანებში მას ეს კიდევ მოსწონდა. სიამოვნებდა — მეტს ისვენებდა წიგნებს კითხულობდა, მაგრამ ჩქარა მოწყენილობამ დაპრია ხელი და თავს დაუწყყო გამტყუნება.

მედინა, ქმრის წინადადების შესახებ მეზობლებს მოელაპარაკა. საბინაო სამმართველოშიაც თვითონ წავიდა. შეგროვდნენ, აირჩიეს ეზოს კომიტეტი ხუთი დიასახლისის შემადგენლობით, თავმჯდომარედ დანიშნეს მედინა. ახლა კი იავერი ხშირად ნახულობდა ცოლს, ახალ საკითხებზე დაფიქრებულს. მედინას აღელვებდა ახალი იდეები, იგი ამით ცოცხლობდა. იავერი რჩევა დარიგებას არ აკლებდა, მოჰქონდა წიგნები. ბავშვები დიდის გატაცებით ებმებოდნენ თამაშობა-გართობებში.

ამ მშფოთვარე მოღვაწეობის დღეებში იავერმაც და მედინამაც, თითქოს სრულიად დაივიწყეს მხატვრის არსებობა. ერთხელ მედინას დაესიზმრა ადამიანი, რომელიც საოცრად ჰგავდა მხატვარს. ეს იყო უცნაური სიზმარი. მედინა ნაზიმის საქმეზე მთელი დღე აქეთიქით დაბობდა, ბოლოს, ღამის პირველ საათზე ბიჭი შინ მოიყვანა. ამ ამბით კმაყოფილსა და ბედნიერს დაღლილ დაქანცულს, დაწოლისთანვე ღრმად ჩაეძინა. დაესიზმრა: თითქოს საღდაც დაბურულ უღრან ტყეში ერთი ვიღაც სახე გაბანჯგვლილი კაცი ასწლოვან მუხაზე იყო მიბმული და ამაოდ ცდილობდა ჯაჭვის გაგლეჯას. თან საბრალოდ მღეროდა, ვიღაცას საშველად უხმობდა. ეს კაცი თავისი თაფლისფერი დიდრონი თვალებით ძალიან ჰგავდა მხატვარს. მედინა გაეჭანა მუხისაკენ იმ ადამიანის მისახმარებლად, მაგრამ მთაც, ტყეც და ველოც უეცრად გაქრა.

ზაქათალის მშენიერ ბაღებში გადა-
კარგული მხატვარი ისევ მოულოდნე-
ლად გამოჩნდა, როგორც მოულოდნე-
ლად წვიდა. იავერი და მედინა სალამოს
ჩაის შეექცეოდნენ, როგორც ყოველ-
თვის, ჩვეულებრივად საუბრობდნენ,
უსმენდნენ რადიო გამოცემას, ერთო-
ბოდნენ, პატარა ლეილას ტიქტიკით,
ათვლიერებდნენ ჟურნალ-გაზეთებს.
გაისმა ზარის ხმა. კარი იავერმა გაღო:

— ა, ა, ძვირფასო მეგობარო, „კარ-
გო ბიჭია“ — ხმაძალა შიამხა იავერ-
მა — სად დაგვეკარგე, ადამიანო?

მედინამ დააბირა ღერეთანში გასე-
ლა, მაგრამ სიხარულით ატყვევებულმა
გულმა იგი შეაჩერა. შემოვიდა მხატვა-
რი და დიასახლისს თავაზიანად მიესალ-
მა. მედინამ შეხედა თვალებში და
დაინახა, გაზაფხულის დილა ჰორიზონტ-
ზე მოღრუბლულიყო.

— ძალიან დიდხანს გაგრძელდა
თქვენი მოგზაურობა, დაბრძანდით, —
უთხრა იავერმა. მხატვარი, თითქოს
ოდნავ სახე ჩამომკნარი, ჩაჯდა სავარ-
ძელში. დაჯდა ისე, როგორც ხანგრძ-
ლივი სევდით და მწყურვალეობით მოქან-
ცული ადამიანი. იავერის შეკითხვების
პასუხად, იგი ყვებოდა რაც ნახა სოფ-
ლებში. აუწერა სამი კუთხის თვალ-
წარმტაცი შესანიშნავი ბუნების სიმდი-
დრე დასახელა თავისი ახალი ნაწარ-
მოები, რაზედაც უკვე მუშაობს. მთელი
სალამო სოფელზე საუბრობდნენ. მხო-
ლოდ, წასვლის წინ, რასიმმა გაახსენა,
რომ ხვლიდან დაიწყებს მათთან სია-
რულს მედინას დასახატად:

— მე მზად ვარ. — თქვა ეს და ხელო
მკერდზე დაიდო. — შეეთანხმდით?

— ეშიშობ, რომ კიდევ რაღაც შე-
ვიშლით ხელს. ამჯერად ალბათ, ალ-
ტაიზე წახვალთ — უპასუხა მედინამ
გალიმებით.

— არა, მეტი აღარსად წავალ, ხვა-
ლიდან დაიწყებთ.

ყოველ საღამოს შეიძინა საათისათვის,
მედინა საძინებელ ოთახში შეიკეტებო-
და. ჩაიცვამდა ხან წვრილ ყვითელ ყვა-
ვილებით მოფრქვეულ აბრეშუმის კა-
ბას, რომელიც მას ძალიან უხდებოდა.
ხან გადაიცვამდა შალის კოსტუმს. იცე-
ლიდა წინდებს, ისწორებდა წაბლისფერ
მშენიერ თმებს. რამდენიმე წამით შე-
ჩერდებოდა საჩკის წინ და თავის თავს
შეფრთხინებდა. ის არ ეკუთვნოდა იმ ქა-
ლების რიცხვს, რომლებიც სარგებლო-
ბენ კოსმეტიკურ საშუალებებით,
როგორც მსახიობი გრძობთ. ტუჩებზე
არასდროს საცხი არ წაუსვია. უყვარდა
მხოლოდ, ცოტა პუდრის წასმა და სუ-
ნამოს სხურება, ისიც ორჯერ-სამჯერ
თვეში. როდესაც ქმართან ერთად კინო-
ში, თეატრში ან თუ რომელიმე მეგო-
ბართან სტუმრად მიდიოდნენ ახლა კი
აქურატულად აქცევდა ყურადღებას
თავის ტუალეტს. პირველად ეს კიდევ
მოსწონდა იავერს, რადგან მუდამ ხე-
დავდა თავის ცოლს მიწვიდველს და
უფრო ლამაზს. იგი ვერ ეგუებოდა მე-
დინას დიასახლისის მდგომარეობას, რო-
მელიც მიჯაჭვული იყო მხოლოდ სამ-
ზარეულოზე. მაგრამ, შენიშნა, უკანას-
კნელ ხანს ცოლმა, მეტისმეტად დაიწ-
ყო თავის მოვლა. იავერი დატყვიანდა.
მან კიდევ გაიხსენა, თუ წინათ როგორ
იშვიათ შემთხვევაში იკაზმებოდა, ყვი-
თელ ყვავილოვან კაბის ჩაცმავზე რამ-
დენჯერ უთქვამს უარი, არ შეუსრუ-
ლებია ქმრის თხოვნა:

— რატომ არ დაეთხოვები ამ სამზა-
რეულოს, ადექი ჩაიცივი აბრეშუმის
ახალი კაბა!

— სახლში ვსხედვართ, ტყუილბ-
რალოდ რატომ უნდა მოვსრისო, ასე
სჯობია.

ახლა კი ყოველ ორი-სამი დღის
შემდეგ გულმოდგინედ აუთოებდა,
იმავე ყვითელ ყვავილოვან აბრეშუმის
კაბას, რომელიც განსაკუთრებულ სი-
ლამაზეს მატებდა მედინას ოდნავ დამ-
ვებულ მხრებს და გამოკვალთულ

წელს. იავერს არ უნდოდა ცოლზე ცუდი რამ ეფიქრა. მედინა მას უაღრესად სწამდა და არც დაუშვებდა ცუდ აზრს. მაშინ ის იქნებოდა ამქვეყნად ყველაზე უბედური ადამიანი, თუკი მედინას ნახავდა, თუნდა ერთი წუთითაც, ბოროტ ზრახვებზე დაფიქრებულს. ამიტომ იყო, იავერი ცდილობდა გულში ჩაეხშო მედინას მოხშირებული სიკეკლუცით გამოწვეული ექვები. იავერი ამაზე კრინტსაც არ სძრავდა, სდუმდა, მაგრამ ცოლს მაინც დაუწყო დათვალთვალება.

მედინა კი ყოველივე ამას ბუნებრივად თვლიდა. ის ცდილობდა თავი დაერწმუნებინა იმაში, რომ აქ ცუდი არაფერია. მათთან ხომ უცხო ადამიანი დადის, და ის როგორც ქმრის მეგობარი საათობით ზის, საუბრობს, ჩაის სვამს, მუსიკას უსმენს, ზოგჯერ დიდხანს ნარდაც თამაშობენ. ეს ხომ ულამაზო იქნებოდა და თან უხერხულიც გამოხვიდე მასთან, სტუმართან, სამხარეულო კაბით, რომელსაც შორიდანვე ასდის შემწვარი კარტოფილის და ხახვის სუნი. ამით იმართლებდა თავს მედინა, იმ დროს, როდესაც მასში მისდა უნებურად აღძროდა სურვილი — მოეწონოს რასიმს. ყვითელი ყვავილებიანი კაბა, სუნამო, ყველაფერი ეს რასიმის მოსახიბლავ ჯადოდ იგებოდა. მედინას მიხვრა-მოხვრას: ლაპარაკს, თვალების გამომეტყველებას დაეტყო რაღაც არაჩვეულებრივი გამოცოცხლება. ახლა ის მოგვაგონებდა ოცნებით შეპყრობილს, ზამთრის ცივსა და მოღუშულ ღამეში მთელმთარე ადამიანს. რომელსაც უცურად გაუბრწყინდა გაზაფხული მთელი თავისი მშვენიერებით. და უცებ თითქოს ცამ ღრუბელი გადიყარაო, ნაპირს გადმოსული აზვირთებული მდინარეები, გაზაფხულის მქუხარე ჩანჩქერები აღვიძებენ მძინარეს და გულში აღუძრავენ გაურკვეველ, მშფოთვარე სწრაფვას, დიახ, ასევე თვალების სიღრმეში აღმოჩენილი მედინასათვის შეუცნობელი ფერიული სამყარო თანდათან უფრო ძლიერად უხმობდა თავისაკენ — ეს

ღრმა, ლაყვარდოვანი თაფლისფერი დიდრონი თვალები კი — რასიმის თვალები იყო, რომლებიც მედინას ხიბულად ღწენდნენ და ატყვევებდნენ.

რამდენადაც უფრო გულმოდგინებით და ხანგრძლივად ხატავდა მხატვარი მედინას პორტრეტს, იმდენად ძლიერდებოდა და ღრმავდებოდა მიშვიდველობა. პირველად, რასიმო კვირაში ორჯერ მოდიოდა. შემდეგ ყოველ დღე დაიწყო სიარული. მედინა აწყობდა მაგიდას. უმასპინძლებოდა ჩაით, საკუთარი ნახელავი მურაბებით, ნამცხვრებით და სხვადასხვა ტკბილეულით. შემდეგ ჩაჯდებოდა სავარძელში და მიიღებდა პოხას. ისინი თან საუბრობდნენ და ამ საუბარში, რასიმო შეუშინველად აიღებდა ფუნჯს, დინჯად და აუჩქარებლად შეუღვებოდა მუშაობას. საუბრის დროს ზშირად მიმართავდა იავერს. უსმენდა მას. ისეთს სახეს ღებულობდა თითქო მთელი ყურადღება იავერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, მაგრამ მედინამ კარგად იცოდა, ეს იყო მხოლოდ თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანის განსაკუთრებული თავაზიანი ქცევის ფორმა. სინამდვილეში სიფრიფანა აბრეშუმის ფარდა იფარავდა, მედინათი დატყვევებულ მთელ მის არსებას, აზრსა და გონებას. ექვით შეპყრობილ მამაკაცის ფართოდ გაღებულ თვალთა ნაპერწკალსაც კი ვერ შეეძლო, ამ სიფრიფანა ფარდაში შეღწევა, რომ დაენახა თუ რა ხდებოდა მის იქით. რასიმს თავი ეკავა ისე, რომ იავერში იოტის ოდენა ექვსაც კი არ იწვევდა. პირიქით, ამწვიდებდა მას. ხოლო მედინას, დაუცხრომლად ეპატიებოდა იმ მრავალ-აღმთქმელ ჯადოსნურ სამყაროში.

ასე გადიოდნენ კვირები. სულ უფრო და უფრო ნათლად ირკვეოდა პორტრეტის ნაკეთები. ქაოტიურად არეულ ფერ-საღებავებს თანდათან უფრო იმორჩილებდა და ერთ მთლიან, დაურღვეველ პარმონიაში ნათლად ისახებოდა მშვენიერება, ღრმა აზრი და ვნებანი.

თითქოს სულ არაფრისაგან ღრუბელთ შორის ჩნდებოდა სინათლის სხივი და თანდათანობით, იგი ქმნიდა ხატოვანების მომხიბვლელ სახეს. ერთხელ მედინამ შეხედა პორტრეტს და განცვიფრდა. მხატვარმა მის თვალებში არეკლა, მისი გულის გაურკვეველი სწრაფვა, ტანჯვა, წამება, რომელსაც იგი ყველასაგან ფარავდა. მთვარესავით ნათელი მედინას სახე, წაბლისფერთმების დალალებით განებივრებული კისერი იწვოდა ფარულად, მაგრამ მშფოთვარე სწრაფვით. ამავე დროს პორტრეტში იგრძნობოდა გულის ძახილი, მისი სევდა და წყურვილი. ეს იყო მხატვრის განცდები.

იავერმა შეხედა თუ არა პორტრეტს, ვერ დაჰფარა თავისი აღფრთოვანება.

— მშვენიერია! თვით რემბრანტსაც კი ასე შთამაგონებლად არ უმუშავნია თავის სასკიას პორტრეტზე! — ეს თქვა და უცებ შეკრთა მენახარავეით. იმიტომ, რომ ამ პორტრეტში მან დაინახა ურთიერთ გატაცება. მიმოკაში, ქვევავში, თვალთ თვალში მზერით მეღაღნდებოდა მათი გულისთქმა, თითქო ეს პორტრეტი კი არ იყო, არამედ თქმულება სიყვარულზე. ეს თქმულება ამცირებდა იავერს. მედინაც და მხატვარიც აშკარად მიუხედავნი იავერის გულისტკივილს. მხატვრის თვალები სიბრაღულით თანაუგრძნობდნენ იავერს. მედინამ პირველად ნახა იავერი ასე უმწეოდ დაქმარებული. თითქოს ქვეყნის გადაუქრელ საკითხებს დაეფიქრებინოს, ან და მხრებზე დასწოლოდეს მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვაც გასჭირვებია და მოხსნაცო, იწვოდა, იკრუნჩხებოდა მეტოქეების დამცინავ გამოხედვაზე, გაიფიქრა: რა ქნას? გაუწყურეს მედინას, გააგდოს რასიმი? განა შეიძლება ამ გზით ჩააქრო ცეცხლი, რომელიც მოსდებია ქალის გულს, აღლევებს და უხვევს თვალებს? შესაძლებელია თუ არა განუმარტო რასიმს, თუ რა სახითათოდ თამაშობს? არა, ამას შეუძლიან მხოლოდ დააჩქაროს

კარზე მომდგარი უბედურება, და ამით უფრო გასწმინდოს გზა, ღრმელთა შესაძლებელია, მხოლოდ ექვიანის ფანტაზიის ნაყოფია? აქ იავერმა გაიხსენა თავისი ბიძაშვილის ოჯახური ტრადიციის ამბავი: მისი ბიძაშვილის ცოლი ერთ წვეულებაში გადაქარბებული აღერსიანობით მიმართავდა ერთ ძველ ნაცნობს. ეს შეუშინებელი არ დარჩა მის ქმარს: ექვიანობისაგან გაღირია, გონება დაჰკარგა. მან საყვარელ ცოლზე ხელი ასწია, გალანძლა, შეურაცხყოფა მიაცუნა ძველ ნაცნობს. მეორე დღეს სამსახურიდან სახლში დაბრუნებისას მაგიდაზე დახვდა შემდეგი შინაარსის ბარათი: „არ მეგონა თუ ის ადამიანი ასე ძლიერად მიყვარდა. მე კი ჩემს თავს შთავაგონებდი, რომ მიყვარდი მხოლოდ შენ. დღეს შენგან გარტყმულმა სილამ გამომაფხიზლა, მიმხვედრა, რაშიც მე დღემდის სასტიკად ვცდებოდი. მშვიდობით სამუდამოდ, ეტოვებ შენს სახლს“.

არა, იავერი ვერ დაუშვებს ასეთ უხეშ, ველურ საქციელს! და მერე, ვის უნდა ისეთი სიყვარული, რომელმაც პირველი სერიოზული გამოცდების დროს თავი ვერ შეიკავა? თუკი ქალი, შეხვდა ადამიანს, ქმარზე ულამაზესს, მასზე მალა მდგომს, უფრო განთქმულს, სახელმოხვეჭილს, ამისათვის იგი წყევს ყველაფერს, მაშინ რა სარგებლობა მოაქვს მის სახლში ყოფნას? დე ასეთი ქალი, როგორც უნდა ისე ნოიქცეს, საითაც სურს იქით წავიდეს!

იავერმა, რასიმის თვალის არიდებით, ცოლს უთხრა:

— იცი, მედინა, სულ გადამავიწყდა, რომ ჩვენთან სკოლაში კრება დანიშნული. ჩემი იქ დასწრება სავალდებულოა. თქვენ იყავით, მე მალე დავბრუნდები. — არც კი დაუცადა მედინას პასუხს, ერთხელ კიდევ გადაალო ცოლს თვალი, ხანგრძლივი გამსჭვალავი მზერით და გავიდა. არც თუ ეგრე დიდხინის წინათ ამ თვალთა მზერა ათბობდა მათ ოჯახურ კერას, მედინას

სულს. ახლა კი გვაგონებდა ჩადვალულ კოცონის დანაცრებას. მედინასათვის გაუგებარი რჩებოდა იავერის საქციელი, ვერ მიუხვდა. განრისხდა? თუ უკვირანა? თუ, მას უნდა უჩვენოს, რომ აველა წვრილმან გრძნობებზე მალაღგას და კიდევ უსაზღვროდ ენდობა ეკოს?! საგონებელში ჩავარდნილი მედინა დიდხანს გასტკეპროდა იავერის კვალს, ყურს უგდებდა მისი ფეხის ხმას, ვიდრე ის კიბეზე არ ჩავიდა და ეზოს არ გასცდა. მერე გადაწყვიტა, მივიდეს და სთხოვოს მხატვარს: „ადექით, წადით, დატოვეთ ეს სახლი, რა საჭიროა წამება? განა ის ბედნიერი არ არის ქმართან? მართალია, მათი ბედნიერება წყნარსა და მშვიდ პატარა მდინარეს წააგავს, რომელიც არ შფოთავს, კიდევებს არ ეხეტყება, ნაპირზე არ გადმოდის, მაგრამ მერე რა, ყველა თავისებურად ცხოვრობს. თვითუფლს თავისებურად ესმის ბედნიერება და, ბოლოს, თვითუფლს აქვს თავისი ბედი. ჩემი ბედიც ასეთია! დიანს, უნდა გამოვეთხოვო“ — მტკიცე გადაწყვეტილებით მოტრიალდა მედინა და მხატვრის პირისპირ აღმოჩნდა. და, როდესაც მედინას თვალები რასიშის თვალებს შეხვდა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება გაქქრა, როგორც ბურუსი. იგი შეჩერდა და სიტყვა ჩავარდნილი კედელს მიეყრდნო. რასიშის თაფლისფერ თვალეში, მაღალ შუბლსა და სახეზე დაუსრულებელი ნაღველი გამოიხატებოდა. საწამებელ, ტუბილ სიჩუმეში, ისინი უცქერდნენ ერთი მეორეს. მედინას მოეჩვენა, ამ წუთს, მთელი მისი ნებასურვილი, სიცოცხლე, ბედი მხატვრის ხელთაა და შეუძლია, რაც მას სურს, ის ჩაიდინოს. თითქოს ამ აზრს მიუხვდაო მხატვარი, ხელი ხელზე წაავლო, მიიყვანა სავარძელთან და დასვა.

— მე ვიცი, ცუდად ვიქცევი, მაგრამ რა გქნა, ეს ჩემს ხელთ არ არის.

მედინას ციებით დაავადებულივით გააეჩყოლა, განზე გაიწია და ხელი გაასასვავა.

— მე გთხოვთ, ნუღარაფერს მეტყვი. თქვენ ხომ ხედავთ, ქმარი მყავს, ხომ იცით, პატარა გოგონა მყავს, თქვენ შეგიძლიათ სხვაგან იპოვნოთ ბედნიერება. თქვენთვის სასურველი ქალიშვილი სიამოვნებით გამოგყვებათ ცოლად.

მხატვარი თვალს არ აშორებდა მედინას და მედინაც თხოვნა-მუდართით მიშტერებოდა მხატვარს თვალეში, რომელსაც აღბეჭდოდა სიცხადე და სიმტკიცე, წარმოშობილი არა წუთიერი სწრაფვისაგან, არამედ მარტოოდენ გულის სიღრმეში ძვრების ნიადაგზე.

— მე ვერ გეტყვი, რომ თქვენ სკოლის მერხიდანვე მიყვარდით, არაა საჭირო ასეთი სიკრუე, ვერც იმას გეტყვი, რომ წლები, რაც ჩვენ გვიცხოვრია და ერთმანეთის არა გეცოდნია რა, ჩემს ცხოვრებას ვწირავდი მხოლოდ ხელოვნებას, არც ეს იქნებოდა მართალი. იყვენ ქალები, რომლებსაც ვეჭვოვდი და სრულიად სერიოზული განზრახვითაც, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მოუხიბლივარ ისე ძლიერად, როგორც თქვენ. არც ერთი მათგანი არ დამპირებია ესოდენ დიდსა და განუსაზღვრელ ბედნიერებას.

მხატვარი, რომ სიტყვებად იფრქვეოდა, მედინას გული ერთსა და იმავე დროს კიდევ იღვერებოდა, კიდევ კაუღებოდა, ნაღვერდალზე იწრთობოდა. თანდათან უფრო დიდი რწმენა ისადგურებდა მასში, რადგან მოსალოდნელმა ხიფათმა განვლო და უკან მოიტოვა ის წუთები, როდესაც ადამიანი აღარაფერზე აღარ ფიქრობს და თვალახვეული მიდის უფსკრულში გადასაჩხებად. ეს წუთები შორს დარჩა!

— მე მჯერა თქვენი გულწრფელი სიტყვებისა, თქვენი გრძნობის. მაგრამ ჩემგვარმა ქალებმა თავისი გრძნობები და გზნებები, ყოველთვის უნდა დაუმორჩილონ გონებას. შესაძლებელია მე თქვენთან მივალწიო მართლაც დიდ ბედნიერებას, მაგრამ რა ფასად? ადამიანის მოწამლული ცხოვრების ფასად. ადამიანისა, რომელმაც გულწრფელი

ჩამაბარა თავისი გული. მიამიტი პაწაწა გოგონას მოშხამული მომავლის ფასად, რომელიც სიხარულით ეგებება ცხოვრებას! არა, რასიმ, არც თქვენ, არც მე, ასეთი ბედნიერება არ გვინდა.

— თქვენს ქალიშვილზე მე ვიზრუნებ, მშობელ მამაზე უკეთესად. მენდეთ, რომ არა ვარ ქარაფშუტა ადამიანი. მე ყველაფერი წინასწარ მაქვს მოფიქრებული. ორი თვის განმავლობაში, მრავალი წლების ტანჯვა განვიცადე. აი, მაშინაც ტყუილებრივად არ წავსულვარ სოფელში. მინდოდა საკუთარ თავს გავქცეოდი. არ მოხერხდა. იავერი ჩვენ გავგიგებს. ნუთუ ის ბედნიერი იქნება, როდესაც დაინახავს, რომ თქვენ მის მიმართ გული გავიცივდათ, რომ მისი კერა, მისი ოჯახი აღარ თბება წარსული სულიერი სითბოთი?!

— შეიძლება ყოველივე ეს მართალი იყოს, მხოლოდ ჩემთვის კი არა, სხვა ქალებისათვის. მე ვიცი რომ არიან ქალები, რომლებიც ისე შეიყვარებენ სხვა მამაკაცს, რომ არაფერს ანგარიშს არ უწევენ, მიდიან, სტოვებენ საკუთარ ბავშვებს, ანგრევენ კერას. მე მათ არ ვაღიანაშაულებ. შეიძლება ეს მათი უფლებაა, მაგრამ მე პირადად, ჩემს უფლებას ვხედავ სხვა რამეში. თქვენთან შეხვედრა ეს იყო, მხოლოდ სიზმარი, სწრაფწარმავალი გატაცება. ყველაფერი გათავდა. ასეთი ქალები, როგორიც მე ვარ ბედნიერებას, პატივს ეძებენ სინდისის აკვანში. პირველ წაბორჩილებით დაცემულნი, მთელი სიცოცხლე რჩებიან ხეიბრებად. ზეწამოწევა მათ აღარ შეუძლიათ. მე ისიც ვიცი, მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დაასახელებენ ასეთ სუსტებს, მშიშრებს, გულქვას, როგორიც მე ვარ. დე, იყოს მათებურად. ასეთი პრაღლებები არ მაშინებენ.

მხატვარი შეტრიალდა და ამით მოარიდა აცრემლებული თვალები.

— თქვენ უსაზღვრო სიყვარულს იმ-

სახურებთ, მედინა! — წაიხურეს მხატვარი. შემდეგ აჩვენა პორტრეტი. ნება მომეცით კიდევ ერთ საღამოს მოვიდე, რომ დავამთავრო ეს...

გულაჩუყებულმა მედინამ აკანკალებული ხმით თავშეკაცებულად უთხრა:

— უკეთესია აქ შეწყვიტოთ. დამთავრებას აღარ საჭიროებს:

და ის კარებისაკენ წავიდა.

რასიმმა პალტო ჩაიცვა.

ნება მომეცით უკანასკნელად ჩამოვართვათ ხელი. სიტყვა მომეცით. რომ ჩემზე, ცუდად არ იფიქრებთ, და კიდევ დაიხსოვებთ, რომ თქვენ გყავთ მეგობარი, რომელიც ცხოვრების მძიმე წუთებში შეასრულებს თქვენს ნებასურვილს როგორც მონა მორჩილი. კარგი?

მედინამ პასუხი თავის დაქნევით დაუდასტურა, სწრაფად ჩაჰკეტა კარები და იქვე ჩაეცა სავარძელში. ერთი სურვილი ჰქონდა: ატირებულიყო, გულიდან მოეხსნა მძიმე, ბუნდოვანი გრძნობები, ბოლმა ჩაეხშო ცრემლის ნიაღვარში. მაგრამ მას არ შეეძლო ტირილი, რაღაც აღრჩობდა. სწორედ ამ დროს გაისმა ზარის ხმა. ეს იყო იავერი. მედინა ფიქრობდა, რომ ის დაბრუნდებოდა გაჯავრებული, განრისხებული. მაგრამ, იგი თითქო წინანდებურად იყო ისევ ალერსიანი. წყნარი. მშვიდი. თუ ცდილობდა ყოფილიყო ასეთი?! ეს კი იყო, თვალებთან გაწოლილ სევდის შავ ჩრდილს ვერ ჰფარავდა. მედინას მოეჩვენა, ვერასოდეს ვეღარ შესძლებს ამ ჩრდილის წაშლას იავერის სახეზე. შემოუშვა თუ არა დერეფანში უმაღლე მოეხვია ქმარს. მხარზე თავი დაადო და ტირილი ვეღარ შეიკავა.

— იავერ, ჩემო ძვირფასო...

იავერმა მოსწმინდა ცოლს ცრემლები, დაუკონა თმა, მოფერა.

— რაო ჩემო ვიყო, რა დაგემართა, ნუ ტირი. ბავშვს გაეღვიძება.

ოსმან საჩივარი



ბაქოს ჩირაღდნები

შევცქერი ლამეს,
უჭარო ცას,
ვარსკვლავებიანს.
მოგორავს ტალღა,
გემთან შებმას სულ არ აპირებს,
ზვირთნი ღელავენ,
მაგრამ მაინც მშვიდად გვხედებიან,
მე გემბანიდან
სალამს ვუძღვნი
მშობელ ნაპირებს!
მიცურავს გემი
და მიაბობს სიერცეს ლამეში,
აი, ქალაქიც...
ჩირაღდნებით და შუქფარებით,
სიცოცხლის სხივნი ეღვარებენ
ყველას თვალეში,
აფშერონს ჩვენთვის
გაულია ფართოდ კარები.
აი, კიროვი!
მოჩანს მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი,
ბაქოელები ამ ძეგლს სცნობენ
ძლიერ შორიდან,
ამ კაცმა ერთ დროს
ბოროტებას უმტვრია კარი
და ჩვენთან მხოლოდ
სიხარულის მაცნედ მოვიდა.
ნაპირთან წყალი
ცისარტყელის ფერებად ელავს,
ათას ლამპიონს
შთაუნთქია ღამის უკუნი,
კასპიის წყალი
ტუმბოების დგაფუნით ღელავს
და დღე და ღამე
მოტორების ისმის გუგუნი.
სხვა იყო ძველად...
ქალაქს აკლდა
შუქი და ბრწყინვა,
დიდი ხანია
უმეტრების ყინული ვალხვა,



თუ დედამიწას
 მზე აფრქვევდა
 მწველ სხივებს წინათ
 დედამიწიდან ანათებენ
 კაბადონს ახლა.
 დღეს თუ გამლილა
 ცხოვრების გზა
 სწორი და წმინდა,
 შავი წარსულის უკუნეთი
 გუფარაედა გუშინ...
 ბაქოელი ვარ! —
 ახლა ყველას ვახარო მინდა
 და მშობლიური ქალაქი მსურს
 ჩავიკრა გულში.
 ჩემო ქალაქო! —
 სიხარულის ცრემლებით ვამბობ,
 და შორს გავცქერი
 კვარტალების უსასრულ სივრცეს.
 მინდა ვემთხვიო,
 მაგრამ ვერც კი ვახერხებ ამბორს,
 და ჩირაღდნებით
 თვითონ ბაქო მეხვევა ისევ.
 მიწიერი მზე,
 ვიცი, მხოლოდ ჩვენით ანთია,
 ჩემო ქალაქო,
 არ დავზოგავ
 სიცოცხლეს შენთვის,
 ვამაყობ, —
 მუდამ გაბადრული
 ვხვდები განთიადს,
 რადგან ჩირაღდნებს
 ჩემი სარკმლის სინათლემც ერთვის!

თარგმანი აზერბაიჯანულიდან ლეილა მარაქიზა



მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

რისთვის მოხვედი ამ შუალამით?
ვინ მოგასწავლა შენ ჩემი კვალი?
...შვილი სიცხისგან დამეწეას ლამის,
არ ძალმიძს წამით დავხუჭო თვალი.
ო, ეს ყრუ დამე როგორ მაშინებს,
და შვილის საწოლს დავყურებ

თრთოლვით...

შენ მოხვედი და მითხარ მაშინვე:
— ნუ გეშინია, ორნი ვართ, ორნი...
მწუხარ დედასთან მოხვედი კდემით
დიდსულოვანი, კეთილი ქალი,
მიშველე, თუმცა და არ ხარ ჩემი,
არც დედა ჩემი, არც დოსტაქარი.
შენით ვაჯობე სენსა და სიცხეს,
მომირჩა შვილი, არ ვდარდიანობ,
შენც საუკუნოდ არ დაგივიწყებ...
— მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

მზიანი დღეა. სულ ხუთი წუთით
მატარებელი შედგა ბაქანთან,
ბაღებს ახურავთ აპრილის ქუდი,
ცად გაზაფხულის დროშა აქანდა.
იასმენები, იასმენები...

ნელსურნელებით ფეთქავს ნიავე,
ბაღებში დგანან ღია სახლები,
ეით პატარძლები თეთრკაბიანი.
იასმენები, იასმენები...

მათი სიმრავლით გადაირევი.
ჩვენს მატარებელს მიესალმება
მთელი სოფელი ვარდყვავილებით
მადლიერ ღიმილს ფანჯრიდან

ვფანტავ.

და თითქოს ჩემი ღიმილს პასუხად
გოგომ, რომ მოჰგავს ფეხადგმულ
ატამს.

დიდ თაიგულით შემომამუქა.
შემომაწოდა.

— მადლობა, დაო!

ის კი მპასუხობს;

— კეთილი გზაო!

მატარებელი დაიძრა რწყვეთ,
ეს გოგოც მოსდევს თავშალის ქნევით
და გზას მილოცავს ვით ახლობელი,
თითქოს და ვიყო, ანდა მშობელი.
წამით შეხვედრილს არ დაგივიწყებ,
თუნდ საუკუნე გადავიარო...

— შენ ხარ უსაზღვრო სიკეთე,

სიბრძნე

მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

ზოგიერთებმა იქნებ თქვან ასე:
ეს აბსტრაქტული გმირი ვინ არი?

— ის, ვინცა მხედება სამშობლოს
გზაზე —

ძმა, მეგობარი პირმომღიმაირი.

ის, ვისთანაც მე ვიყოფდი მუდამ
ანკარა წყაროს, პურსა და მარხის.

ის, ვინც ჩემს ტკივილს ატარებს
გულთან.

და ჩემი ღზინით მომღზინი არის.

იგი იცინის ჩემი სიცილით,
იგი წუხს ჩემი წუხილით, წყლულით.

არ მაგრძობინებს გულის სიცივის
და რაც მას უყვარს, მეც მიყვარს

გულით.

სწორედ ამიტომ მუდამ ვხშიანობ,

— მე შენ მიყვარხარ, ადამიანო!

ა. შარვაშიძე



3. ო. ღენინი და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა საპარტიველოში

დიდი ბელადის, ვ. ი. ღენინის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს შრომელების გმირული ბრძოლების ისტორია ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ღენინი ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

რევოლუციის აღმავლობისა და მსოფლიო ომის წლებში ვ. ი. ღენინს სისტემატური მიმოწერა ჰქონდა ი. ბ. სტალინთან, ს. შაუშინთან, ა. ჯაფარიძესთან, ფ. მახარაძესთან და სხვებთან. ესმარებოდა მათ მითითებებითა და რჩევებით პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხების გადაჭრაში. თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თავის „წერილებში შორიდან“, ხოლო რუსეთში დაბრუნებისას „აპრილის თეზისებში“, ვ. ი. ღენინმა პარტიას მისცა გენიალური კონკრეტული გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები ფართოდ ამტკებდნენ და დიდ მუშაობას ეწეოდნენ აპრილის თეზისების და VII (აპრილის) სრულიად რუსეთის კონფერენციის დადგენილების განსახორციელებლად. ვ. ი. ღენინის მითითებით ბოლშევიკები საბოლოოდ გაეთიშნენ მენშევიკებს და განამტკიცეს თავისი რიგები. ვ. ი. ღენინის ყოველ მითითებას, მის თვითრეულ სტატიას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკებისათვის.

ქართველი მუშები და გლეხები ვ. ი. ღენინს იცნობდნენ, როგორც თავიანთ უანგარო ბელადს და მასწავლებელს და, როდესაც ცნობილი გახდა დროებითი მთავრობის ბრძანება ვ. ი. ღენინის ღვენის შესახებ, შრომელთა აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თბილისში, ბათუმში, სუხუმში, ქუთაისსა და სხვაგან ჩატარდა — მრავალი საპროტესტო მიტინგი. 9 ივლისს თბილისში, აღექსანდრეს ბაღში (ახლანდელ 26 კომისრის) შეიკრიბა მუშებისა და ჯარისკაცების გრანდიოზული საპროტესტო მი-

ტინგი. მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია აღშფოთება და პროტესტი საყვარელი ბელადის ვ. ი. ღენინის ღვენის წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პრესა ზნაზად ბეჭდავდა არა მარტო ვ. ი. ღენინის სტატიებს, არამედ ცნობებს მისი ბიოგრაფიიდან, ცნობებს მისა რევოლუციური საქმიანობის შესახებ. ხაზს უსვამდა ვ. ი. ღენინის, როგორც ბოლშევიკური პარტიის შემქმნელის როლს.

როდესაც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა სოციალისტური რევოლუციის — შეიარაღებული აჯანყების მოზადებას და გატარებას, 1917 წ. 5 აგვისტოს სხდომაზე გაანაწილა თავისი ძალები — ო. კ. წევრები მხარეების მიხედვით, დადგენილებაში წერია: „უწევციების განაწილება მხარეებას მიხედვით...: კავკასიაზე — შორიგეობით ორი, ჯაფარიძე (ალიოშა) და შაუშინი“.

1917 წლის 10 ოქტომბრის ისტორიულ სხდომაზე, ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ვ. ი. ღენინის მოხსენება და მიიღო დადგენილება:

„ცენტრალურა კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებულ აჯანყება გარდუვალია და საელებით მომწიფებულა, და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციის ისეღმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი“ (ზაზვასმა ჩემია მ. ც.).

უღიდესი საორგანიზაციო და საავტორიო-პრობანდისტული მუშაობის შედგება, ძლევა-მოსილმა შეიარაღებულმა აჯანყებამ გამომარჯვა. მისი სელისამდგმელი და წამმართველი იყო ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ღენინის ხელმძღვანელობით.

1917 წლის 25 ოქტომბრის სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ გამოაცხადა ხელისუფლების მუშათა და გლეხთა ხელში გადასვლა. შეიქმნა, პირველად კაცობრობის ისტორიაში, მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა, დიდი ბელადის ვ. ი. ღენინის

¹ Протоколы ЦК РСДРП (6) стр. 6.
² ვ. ი. ღენინი, თხ., ტ. 26, გვ. 247.



მეთაურობით. საბჭოების ყრილობამ მიიღო ისტორიული დეკრეტები მიწისა და ზღვის შესახებ და მით განახორციელა შრომელთა საწესდგარი ოცნება. რევოლუციამ იწყო გაერყელება მთელი რუსეთის ტერიტორიაზე.

• •
•

ცნობამ, ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისა და ვ. ი. ლენინის მეთაურობით საბჭოთა მთავრობის შექმნის შესახებ, აღაფრთოვანა ამიერკავკასიის მეშუბი, გლეხები და ჯარისკაცები. მეშუბი, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, ჯარისკაცები ფრინტზე და ზურგში, გლეხები სოფელში აღფრთოვანებული იყრიებოდნენ კრებებსა და მიტინგებზე და გამოქონდნათ რევოლუციები, რომლებშიაც იწონებდნენ პეტროგრადის მეშუბისა და ვარნიზონის ჯარისკაცების მოქმედებას; ესაღმებოდნენ ზელად ვ. ი. ლენინს და ზარობას ოქლოდნენ მხარს დაუჭერდნენ და მკერდით დაიცავდნენ რევოლუციის მონაპოვარს. 1917 წ. 27 ოქტომბერს თბილისის მეშუბათა კრებამ (რომელიც არსენაღის რაიონში შედგა, და რომელსაც 2000 მეტი კაცი დაესწრო), განიხილა პეტროგრადის ამბები და მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„პეტროგრადში შექმნილი დებუტატთა საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობის მთავრობა, წარმოადგენს მეშუბის, ჯარისკაცების და გლეხების მთავრობას, რომლის დასაცავად, ვფიცავთ, აღეშართათ რკინის კედლად კონტრ-რევოლუციურ ბურჟუაზიასა და მის ნებისმიერ და დაჭირებულ მსახურთა ყველა ძალებს — ხახალბო თავისუფლებისა და სახალხო ხელისუფლების გაღათებას წინაღმდეგ“¹ ხალხთა მრავალი აღმართოვანებული მიტინგი იმართებოდა ბათუმში, სუხუმში, ქუთაისსა და სხვაგან. ყველგან ესაღმებოდნენ და იწონებდნენ კერძნის მთავრობის დამხობას და მეშუბათა და გლეხთა მთავრობის შექმნას.

28 ოქტომბერს თბილისის ვარნიზონის ჯარისკაცებმა, მეშუბეკერ-ესერული საბჭოს საწინაღმდეგოდ, შექმნეს ნამდიღად რევოლუციური საბჭო „დელეგატთა კრება“. „დელეგატთა კრებამ“ ხელთ აიღო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მხარდაჭერისათვის ბრძოლის საქმე, ჯარისკაცების შეიარაღება, ჯარისკაცთა საბჭოების გადარჩევის ჩატარება და არმიის მეორე ყრილობის მოწვევა, რომელსაც რევოლუციური სამხარეო საბჭო უნდა აერჩია.

ბოლშევიკური გაზეთები — „ბრძოლა“, — „კავკასიი რაბოჩი“ და სხვები — აცნობდნენ მით-

ხელებს რევოლუციის გამარჯვებას, ლენინის სახეობსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევას.

იმ შემთხვევაში, რომელიც ამიერკავკასიის მეშუბებმა გასწიეს ოქტომბრის რევოლუციის პოპულარიზაციის მიზნით, დაღებითი შედეგი გამოიღო. მეშუბი, გლეხები და ჯარისკაცები აღიერებდნენ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ზაქოს პროლეტარიატმა პირველმა აიღო ხელში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, სცნო ცენტრალური საბჭოთა ხელისუფლება.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით შეშინებული მენშევიკები და ესერები ბლოკს ჰკრავდნენ ექსპლიატატორულ კლასებთან, შეთქმულებას აწუბონდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. შრომელთა ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ ნაჭქარეად შეაკოწრეს ვერტოწოდებული ამიერკავკასიის მთავრობა. ამიერკავკასიის ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა მოუწოდა შრომელებს არ იცნონ და მხარი არ დაუჭირონ ამიერკავკასიის თვითმარქვი მთავრობას, აღფრთოვებული შრომელები მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე გულის წყრომას გამოთქვამდნენ ამიერკავკასიის კონტრ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, უარს აცხადებდნენ მხარი დაუჭირებდნენ მათთვის და მოითხოვდნენ „ვ. წ. ამიერკავკასიის მთავრობის“ დაუყოვნებლივ დამლას.

„მეუესალმებით საბჭოთა ხელისუფლებას, და შრომელი ხალხის ინტერესებისათვის ქემზარიტ მებრძოლს, მზანაგ ულიანოვს — ლენინს“ — ვკითხოვდით ერთ-ერთ რეზოლუციაში. — „პროტესტს ვაცხადებთ ამიერკავკასიაში თვითნებურად ხელისუფლების ხელში ჩაგდებას გამო — ბურჟუაზიის ლაქების მენშევიკებისა და ესერების მიერ, რომლებიც შედიან (1 მოწვევის) კადეტების სამხარეო საბჭოში“¹.

ანდ „ამიერკავკასიელ ჯარისკაცთა გუბუფო — ხაჭამსულთა მეორეში — აღფრთოვებულ ვართ და პროტესტს ვაცხადებთ გეგეჭკორის და კომპ. მიერ ხელისუფლებას დაპყრობის გამო შრომლიერ ამიერკავკასიაში, წყველა-კრულვას უგზავნით და მოვითხოვთ ამ თვითმარქვია ხელისუფლების დაუყოვნებლივ დამლას. მეუესალმებით მეშუბის, ჯარისკაცების და გლეხების პეტროგრადის ერთიან ხელისუფლებას. ვფიცავთ ჯარისკაცთ — მეომრის ღირსებას მხარი დაუჭიროთ და იარაღით ხელში დაეღვებთ ერთადერთი ხელისუფლების დასაცავად, რომელიც შექმნა ჯარისკაცთა, მეშუბათა და გლეხთა 1917 წლის 25-26 ოქტომბრის რევოლუციამ. გუგმარჯოს ჯარისკაცთა, მეშუბათა და გლეხთა რევოლუციურ-პროლეტარული არმი-

¹ გაზეთი „კავკასიი რაბოჩი“, 1917 წ., 10 დეკემბერი.

¹ გაზ. „კავკასიი რაბოჩი“, 10 დეკემბერი, 1917 წ.

ის კემარიტ ბელაჟს ულანოვ-ლენინს. ძირს შემთავსებლები¹.

ასეთი ხასიათის რუზოლუციები მასობრივად გამოქონდათ ყველგან — ქალაქად და სოფლად, ფრონტისა თუ შერტში. მაგრამ ხალხის გულისწყრომისათვის, ხალხთა განწყობილებებისათვის, კონტრრევოლუციონერთა ჯგუფს ყურადღება არ მიუქცევია. პირაქით, ზაიგდო რა ხელში ძალუფლება, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერმა მთავრობამ შეტევა დაიწყო შრომელთა კლასების წინააღმდეგ. 1917 წლის 28—29 ნოემბერს, ღამით, შეიარაღებული ძალის დახმარებით რეაქციონერებმა ხელთ იგდეს თბილისის არსენალი, საარტილერიო საწყობი, რომელთაც ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები იცავდნენ, გაანადგურეს და დაარბიეს ბოლშევიკური განუთების სტამბები და რედაქციები, დააბათილეს ბოლშევიკთა ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგი და თბილისში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს.

არსენალისა და საარტილერიო საწყობის დაკარგვა დიდი დანაღლისი იყო ბოლშევიკებისათვის, ეს საწყობი მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ ბოლშევიკურად განწყობილი შეუიარაღებელი ჯარისკაცების, მუშებისა და ბოლშევიკური პარტიის წევრების შესაიარაღებლად. ამიტომ საყოველთაო როდია ის გულისწყრომა, რომელიც ვ. ი. ლენინმა გამოსთქვა კ. ცენკაძესთან საუბრის დროს თბილისის არსენალის დაკარგვის გამო.

ამ საუბრიდან ორიოდე დღის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა, მიიღო რა სათანადო ინფორმაცია ამიერკავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, სასწრაფოდ დააყენა საკითხი რსდსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე.

1917 წლის 16 დეკემბერს რსდსრ საბჭომ საბჭომ, რომელსაც ვ. ი. ლენინი თავმჯდომარეობდა, განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება კავკასიის შესახებ და მიიღო საგანგებო დადგენილება. ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრის, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარის ს. შაუმიანიას კავკასიის საგანგებო კომისარად დანიშნვის შესახებ.

1917 წლის 18 დეკემბერს ს. შაუმიანის სახელზე გაკემულ მანდატში აღნიშნულია: „მანდატის წარმომდგენი, პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე, სტუფანე შაუმიანი დანიშნულია კავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისარად, კავკასიაში სამხარეო საბჭოთა ხელისუფლების შექმნამდე“.

მანდატს ხელს აწერენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

მთლიანად კავკასიისათვის შეტევა დიდ მოვლენას წარმოადგენდა კავკასიის არმიის შორეული 1917 წ. ბოლოს. ყრილობამ გამოაცხადინა ძალთა განლაგება, კავკასიის არმიის ბოლშევიზაცია. ყრილობამ მიიღო დადგენილება საბჭოთა ხელისუფლების ცნობისა სამხედრო მმართველობის სფეროში, აირჩია არმიის სამხარეო საბჭოს ახალი შემადგენლობა ბოლშევიკ კორდონოვის თავმჯდომარეობით (100 წევრიდან 52 ბოლშევიკი და შემარცხენი ესერი იყო). 1917 წ. 28 დეკემბერს საბჭომ დეკრეტით მიმართა ვ. ი. ლენინს და აცნობა, რომ ის აცხადებს თავის თავს უმაღლეს ხელისუფლებად სამხედრო მმართველობის სფეროში და სთხოვს ყველა განკარგულება უგზავნონ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს, როგორც არმიის უფლებამოსილ ორგანოს.

სამხარეო კომიტეტთან ერთად, ვ. ი. ლენინის დირექტივების განსაზოციებლად დიდი მუშაობა გააჩაღა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ცნობისა და დამყარებისათვის სტ. შაუმიანმა. მან საეკონომიკური ვაჭრით „ვესტნიკ სოვეტა ნაროდნი კომისაროთ“-იც კი გამოსცა, რომელთაც რაზმავდა ყველა ძალად ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად. აცნობდა მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს, დეკრეტებს და მოუწოდებდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შექმნისაკენ.

ს. შაუმიანი, როგორც ვ. ი. ლენინის, საბჭოთა ხელისუფლების საგანგებო კომისარი, სისტემატურად აწვდიდა ცნობებს მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ცუკას, პირადად ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს:

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებას საგანგებო კომისარის ს. შაუმიანის გაღაშწყვეტ და გაბედულ მოქმედებებს. ვ. ი. ლენინი თავის დეკრეტში ს. შაუმიანს აცნობებდა.

„...ალტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედულ პოლიტიკით“¹.

1918 წლის 10 თებერვალს კონტრრევოლუციამ ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტის გაფორმების მიზნით დანიშნა ევრაქთოლდებული სეიმის მოწვევა. ამ შორიგმა კონტრრევოლუციონერმა ნაბიჯმა, შრომელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია.

ბოლშევიკებმა სეიმის მოწვევის წინააღმდეგ, რომელიც შრომელთა ნებასურვილის, მათი ინტერესების საწინააღმდეგო აქტი იყო, დანიშნა თბილისის შრომელთა საპროტეს-

„ამირანი“ სახელის ეტიმოლოგიაზე რეცენზიის ავტორები დიდ იმედს აყვარებენ. ნ. შართან ერთად, იგი სპარსული ტიტულის — „ამირ-ანდრე-ჯეჰან“ ნაწილად მიიხიბათ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სპარსული ფრაზის არაბუნებრივად დაყოფა და ორ სახელად ქცევა („ამირანი“, „დარჯანი“) თავისთავად გარკვეული ტრადიციის არსებობას მოასწავებს. იმავე ნ. შარს აქვს შეორეგვარი ეტიმოლოგია, სადაც ამირანი-აბრსკილი მხის შეიღს ნიშნავს¹. ჯერ არაის დამტკიცებია, რომ საქართველოში მოსე ხონელამდე „ამირანი“, როგორც საკუთარი სახელი, არ არსებობდა. პირაქით, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, ასეთი სახელი გავრცელებული იყო და ადრე მან ბერძნულ მწერლობაში პოვა ასახვა. კონკრეტულად ამაზე უნდა მივითითებდეს აპოლონიის როდოსელის „არგონავტიკა“. სადაც ნათქვამია: „იქ კუთისის (ქუთაისის) ხმელეთზე და კირკეს ველზე (რიონის დაბლობზე) ამირანტის (ამირანის მთის) შორეული მთებოდან გამოშდნაჲ შორეული ფასისი (რიონი) შოაგორებს თავის ფართო ნაყადს ზღვისაჲნ“ (შავი ზღვისაკენ)². მე-19 საუკ. შორეუ ნახევრიდან მკვლევარები ფიქრობენ, რომ „ამირანტა — ამირანტოს“ ქართული სახელის „ამირანის მთის“ ბერძნული ტრანსკრიფციაა და იმ მთის სახელწოდებას გადმოსცემს, საიდანაც ფასისი (მდ. რიონი) იღებს სათავეს. ე. ი. დღევანდელი ფასის მთა.³ სქოლასტიკ ერთგან ფიქრობს, რომ „ამირანტა“ ქალაქსაც აღნიშნავს. მაგრამ შემდეგი დანამდელებით ამბობს: კოლხებს აქვთ ამირანტის მთებიო. ამირანის სახელი მართო ტოპონიმიკაში არ იჩენს თავს, მთა ბერძნული ფორმა ენთიერ სახელადაც გვევლინება; ამირანტები ბარბაროსი ზალხია და კოლხების ზემოთ ცხოვრებენო⁴. ბიზანტიელი მწერლებიც დაახლოებით ამავე იმეორებენ. სტეფანე ბიზანტიელის „ეონიკა“-ში ნათქვამია: „ამირანტები კოლხური ტომია; მათი ქვეყნიდან გამოდის ფასისი. ამიტომ არის, რომ ფასისს „ამირანტოს“ ეძახიან.“⁵

¹ H. Mapp, *Истор. пап.*, т. IV, гл. 73—75.

² აპოლონიის როდოსელი, *არგონავტიკა*, 1948, გვ. 82.

³ შ. ჩიქოვანი, ამირანის ტყველებაში შესული გეოგრაფიული სახელები. კ. კეკელიძის საიტიბალო კრებული, 1959 წ. გვ. 368-69.

⁴ B[ი]H. III, 1947, გვ. 284.

⁵ იხ. პარალელური ტექსტები: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველომ შესახებ, ტ. 111, სვ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1936, გვ. 275

კლასიკური ფასისი დღევანდელი მდ. რიონია, რომელიც სათავეს კავკასიონის ქედის ფასის მთაში იღებს და მთელ საქართველოში ქართულად მოუღინება შავს ზღვასთან მდებარე თემაღე.

თუ აქ იმასაც ვაიხსენებთ, რომ რომელ მითოლოგიაში, როგორც აღნიშნულია რ. სტივენსონისა და შ. ნუცუბიძის შრომებში, ზევსის სახელი „ზეუს-პრომეთეოს“ „ეტიმოლოგია-არანუსად“ გადმოიკემა და „ამირანტს“ იგივე ამირანია, მაშინ ამჟამა ვახდება, რომ კოლხეთში გავრცელებული ეპონიმიური სახელი დღემდე შემონახულია ქართულ ფოლკლორსა და ტოპონიმიკაში.

ამირანის სახელის ეტიმოლოგიას, მის ისტორიას უფრო შორეულ ეპოქაშიც ვადავყავართ, როგორც ფიქრობენ ბოლო ხანებში. ამირანის ანის მეგრულ ენისათვის ამირანს აბამ ზეტუ სეცელის. ამ მიჯაჭვული გვირის სახელი ორი ნაწილისაგან შედგება: არამ-ხეტუ. არსებობს ანგარიშგასაწევი საბუთები, როგორც ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ შესაძლებელია არამ ზეტუს პირველი ნაწილი „არამ“ „ამირანად“ გადაკეთდა¹. უახლოესი გამოკვლევების მიხედვით „არამ“ ზურბიტული წარმოშობისაა, ამ სახელს ატარებდა ურარტუს პირველი მეფე და ცხოვრობდა ასურეთის მეფის საღმანასარ მესამის (859—824) დროს². ზემოთქმულს შემდეგ ვფიქრობთ, შეუძლებელია დავეთანხმოთ ლენგისა და მერკედიტ-ოუფენის კატეგორიულ განცხადებას: „არც ლიტერატურა, არც არქეოლოგია არ გვაძლევს ამირანის სახელის წანაწერს, რომ იგი გვხვდებოდეს მოსე ხონელის ლატერატურულ ნაწარმოებებში. რაც ჩვეულებრივ XII საუკუნით თარიღდება“ (რეც., გვ. 469). ჩვენი დასკვნა ასეთია: როგორც ეთნოლოგიაში სახელი ამირანი, ისე თეოლოგიაში ამავე სახელის მატარებელი ეპოსი დიდი ხნით უსწრებს წინ ამოსე ხონელსა და მის ეპოქას.

ამირანისმი სხვათი სახელები იპოვება, რომელთა მატარებელი ისტორიული პირები არსებობდნენ, მაგრამ ჯერ არც ზეპორსიტევიერების და არც შვიგნობრული „ამირან-დარჯანიანის“ მიმართ დამტკიცებული არაა, რომ მხატვრულ ნაწარმოებებში ამ სახელს პერსონაჟთა პროტოტიპებს სწორედ ისტორიული პირები წარმოადგენენ. ამგვარ სახელთა გავრცელებულია ამბრ. მენანდრე პროტიკტორი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის სვანეთის დაის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. I, 1928, ტფ. 149.

² ვ. ეორდანი, მეზურელი, 1956, გვ. 110, 118, შორ. ჩვენი „კვლე ამირანის შესახებ“, მნათობი, № 6 1956 წ., გვ. 181.

აღწერაში ასახელებს ალაშქმარისძე ამბრის, სარკინოზთა ფილარქს. I სენიანს საქართველოს მნიშვნელოვანი მხარე იყო ყოველთვის. ამიტომ მეს ირგვლივ ორ სახელმწიფოს შორის, მე-რ საუკუნის შეაპერიოდში, ატებულ დაეაში მონაწილე პირთა სახელები ქართველთა შორისაც კარგად იქნებოდა ცნობილი. ამის გამო ამბრის ამირე არაბთან — ამირ ჰამ-ზასთან უშუალოდ დაკავშირება გვეს ბა-ღებს. ²

ახლა საკითხავია როგორ უნდა გვესწოდეს ამირანისა და პრომეთეს თქმულებათა ურთი-ერთ დაშორებულება? ჩვენ პრინციპულად არ ვართ მიგრაციული თეორიის მომხრე, მაგ-რამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა საამ-სო ფილოლოგიური მონაცემები მოგვცოვენ, ვალაგრებთ კონტაქტის ნიადაგზე აღმოცენე-ბულ ერთ ერთ გავლენებს. ფოლკლორული კონტაქტი და ურთიერთ კავშირი საუოველთაო მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად ენობრი-ვი ზღუდეებისა, კაცობრიობა ერთ დიდ ოჯახს წააგებს, რომლის წევრებაც მსხვილი საზოგ-დოებრივი კონტაქტები გვედინებია. სრულ იზოლიაციაში ისტორიულად არც ერთ ერს არ უცხოვრია. მეზობლიდან მეზობლებზე ზეი-რად თუ წერილობით, უშუალოდ და შუალო-ბით ყოველთვის გადადიოდა ფოლკლორული მარაგის რაღაც ნაწილ, სიტყვები და მოტი-ვები, სიტყვები და გამოთქმები, გავლენა ყო-ველთვის უარყოფითი მოვლენა არაა, ხშირად მის ურთიერთ გამდიდრება და სტიმულირება მოსდევს.

ამირან-პრომეთეს კონკრეტულ შემთხვევაში თავს ვიკავებთ ამ ორი გმირის ურთიერთ პრო-ტოტიპობის აღიარებაზე, რადგან ისინი ისე შო-რველ ეპოქებში გაფორმდნენ, რომ იმ დროიდან ჯერჯერობით რაიმე პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება მათი არატოლოგიურ დანათე-სავენისათვის. მეტი საფუძველია ვიფიქროთ მათი დამოუკიდებლად წარმოშობა, როგორც, მაგალითად, წყნარი ოკეანის ქუჩნელ სულა-ბესზე მსოფრთვე ტორაჯებს არ უნდა მიელოთ ევროპიდან ან კავკასიიდან ცეცხლის მომტა-ციბელი ტამბოლის და მისი დამსჯელი ღვთა-ება ა ღა ტალას სახელები ³.

ბერძნებისა და იბერ-აკოლხიდელთა ურთი-ერთობა დამოწმებულია ისტორიულ საბუ-

თებში, მაგრამ ეს შედარებით ახალ პერიოდს განეკუთვნება, უმთავრესად ელინურ და ბი-ზანტიურ პერიოდებს. რა იყო უფრო უძრე, კერძოდ მეოთხე ათასწლეულს დამაწყისა, ღმ-მის მომდევნო დროში, როცა ამირანანის წარმოშობას ვეარადობთ, ჯერჯერობით დი-დი კვლევა-ძიების ობიექტს წარმოადგენს. ამის გამო არსებული მასალებით შეუძლებელია ხელშესახებად დაეამტკიცეთ პრომეთეს მითის ან, პირაქით, ამირანის თქმულების ნასესხობა. მხოლოდ მსგავსება ნასესხობის საბუთს არ წარმოადგენს. ამაკარი მსგავსებანი ხშირად ტიპოლოგიური შეხვედრების დროსაც იჩენს თავს. ყოველივე ამან გვაიძულა თავი შეგვე-კავებინა ადრე გამოთქმული ჰიპოტეზის მიღე-ბად და ეს ორი მათგლით მნიშვნელობის სა-ხე დამოუკიდებელ ორელებად მიგვეჩინა.

ასეთ სიფრთხილეს არ იჩენენ ლენგი და მერადიტ-ოფენსი ამ შემთხვევაში, თუმცა ქართველ მეცნიერებს ხშირად მოუწოდებენ თავშეკავებისაკენ ისინი იმ აზრს იყენებენ, რომ მიჯაჭვული ამირანის თქმულება პრომე-თეს მითის საფუძველზე აღმოცენდა. „მხო-ლოდ გეოგრაფიული საფუძვლებითაც, შეე ზღვაზე აფხაზეთი შესაძლებელია ყოფილიყო ისეთ ადგილად, სადაც საქმარია უშუალო კავშირი ბერძნულ მითსა და იესო ქრისტეს მიერ კლდეზე მიჯაჭვული ამირანის ქართულ მოთხრობას შორის“ (რეი, გვ. 469). ქვენიშ-ნავთ, რომ დ. ლენგსა და გ. მერადიტ-ოფენ-სის წერილში თავს იჩენს ადრინდელი შეხე-დულება ამირანის თქმულების ქრისტიანულ ლეგენდად გამოცხადებისა (კრონი, ანპოლში) ¹, მაგრამ აქ მეორადი მოვლენა წარმართული თქმულების ქრისტიანიზაციისა სწორად არ არის გაგებული და ქრისტიანული მითოლო-გიის ნაწილდაა მიჩნეული ის, რაც ისტორი-ულად მას არ ეკუთვნის. ²

ამირანანის აფხაზური ვერსია ანუ აბრსკი-ლის თქმულება სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერად არის შეფასებული ³. აბრსკლის თქმულების მონაცემებზე ანგარიში ეწევა, რად-გან მასში ზოგი ისეთი მოტივია შემონახული, რაც სხვა ვარიანტებში არ ჩანს. აფხაზეთის გადამცემ პუნქტად წარმოგვეცა სერბოთულ დაზუსტებას მიითხოვს რეცენზენტთა თვალ-საზრისის გაზიარების შემთხვევაშიც. ჯერ ერ-თი, ძველი და თანამედროვე აფხაზეთი ისტო-რიულად ერთმანეთს არ ფარავენ, მეორე, თი-ნამედროვე აფხაზურში ამირან-აბრსკლის

¹ ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქარ-თველოს შესახებ, ტ. III, სვ. ყულხჩიშვილის გამოცემა, 1936, გვ. 222, 233.

² ალ. ბარამიძე, ამირან-ღარაჯანიანის ორი-გინალობისათვის, სპ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 6, 1943, გვ. 596; მ. ჩიქოვანი, ქართუ-ლი ეპოსი, I, 1959, გვ. 186.

³ მ. ჩიქოვანი, ინდონეზიელთა ამირანი, „მბილისი“, № 79, 1959.

10. „მნათობი“, № 4.

¹ Finnisch — Ugrische Forschungen, VII, 1907, № 1 — 3, გვ. 147.

² მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 173 — 191; ქართული ეპოსი, I, გვ. 281 — 307.

³ ქართული ეპოსი, I, გვ. 44 — 45 და სხვ.

თქმულება გარედან მიღების აშკარა კვალს ატარებს და, შესაშვ, აბრკილის თქმულება არ არის ისე დამორბეული ქართული ჩანაწერებიდან, რომ მას რაიმე უბრატესობა შეეანიჭოთ სვანურ, მეგრულ, ფშურ, ხევსურულ, ქართლ-კახურ, მესხურ-ჯავახურ და სხვა ჩანაწერებთან შედარებით.

შეკვლევართა თაობები ამირანის თქმულების მიგრაციას აღიარებდნენ, ხოლო თვითონ პრომეთეს მითის სხვა ხალხში გადასვლაზე ლაპარაკი იშვიათ გამონაგლის წარმოადგენს. ამ გარემოებასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. არაა შეკვლევარები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თეორიები პრომეთესმცოდნეობაში მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა. ეს გაუგებრობაა.¹

პრომეთეს მითის მიგრაციას თვითონ ძველი ბერძნები აღიარებდნენ. ამირან-პრომეთეს თვალსაზრისით საგანგებო შესწავლას მოითხოვს სტრაბონის „გეოგრაფია“. აქამდე ამირანოლოგიაში სტრაბონი სათანადოდ გამოყენებულ არ ყოფილა. ამგვარად შევეცდებით მითისმით მხოლოდ სადისკუსიო საკითხებთან დაკავშირებული ცნობები.

ვითარცა გეოგრაფოსი სტრაბონი პირველყოფილსა ამა თუ იმ ადგილის ლოკალიზაციას ცდილობს. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ მისი მოსაზრებანი კავკასიისა და კავკასიონის თაობაზე. სტრაბონის გავებით ორი კავკასიონი არსებობს: ერთია ძველი, კოლხიდის, ექსონის ზემოთ მდებარე, მეორე, შედარებით ახალი, ინდოეთისა, და დღევანდელ ჰინდიუსტანშია. ინდოეთის კავკასიონის წარმოშობა სტრაბონს ხელოვნურ მოვლენად მიაჩნია. მისი აზრით ამაში წილი მიუძღვის ალექსანდრე მაკედონელის მწერლებს, რომლებიც ცდილობდნენ რა თავიანთი მეფის მოღვაწეობის გაზვიადებას, თანდათან შორს გადაქონდათ მის ლაშქრობათა სახელები. ასე მოხდა აქაც. შვი ზღვის კავკასია ინდოეთში გადაანაცვლეს, რათა უფრო გრანდიოზულად წარმოედგინათ მაკედონელთა ლაშქრობანი. მოყვანილი სტრაბონს: „მრავალთა მიერ განსაღილებლად გადმოცემული მოთხრობები (მათ შერსახებ), თუ ერთსა და იმავე აზრს შეიცავენ, ეს იმიტომ, რომ შემთხვევები მლიჭნელობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე კენსარიტებაზე. ასეთია, მაგალითად, კავკასიონის გადატანა ინდოეთის მთებთან და მახლობლად მდებარე აღმოსავლეთისაკენ — ზღვასთან, კოლხიდის და ექსონის ზემოთ მდებარე მთებიდან. ამ (მთებს) იყო რომ ელინები კავკასიონს უწოდებდნენ, და ისინი დამორბეული არიან ინდოეთს უფრო მეტით. ვიდრე 30,000 სტადიონია; და ამასვე ასახელებს მითი, რომელიც

უხება პრომეთესა და მის ბორკილებს“² იქვე ისიც გავითვალისწინოთ, რომ პრომეთეს მითი, სტრაბონის აზრით, მოგვიანო წარმოშობასაა. „დონისისა და ჰერაკლეს ლაშქრობა ინდოეთებზე ამკლავნებს გვიან წარმოშობას მითისას, რადგან, როგორც ამბობენ, ჰერაკლემ პრომეთე განათავისუფლა ათასი წლის შემდეგ.“³ სტრაბონის აზრით პრომეთეს სახელი თავიდანვე შავი ზღვის კავკასიონთანაა დაკავშირებული. საერთო მითობა პირველად ესტილესთან გვხვდება. პენიოლუ არ ასახელებს იაპეტის შვილის მიუკლავის ადვილს. ზემოთ აღნიშნული ვითარების გამო მითაც მიგრაცია განიცადა, მთის სახელწოდების გადანიცვლებასთან ერთად მან კოლხიდიდან ინდოეთისაკენ გადაიწია.

„გეოგრაფიაში“ სტრაბონი პრომეთეს მითს სამკერ ასხენებს და სამივეჯერ კავკასიონთან ერთად ერთგან ერკლად ჩერდება მითის მოძრაობაზე და ის, არგონავტების ლაშქრობის შვაგასად, კოლხიდა-იბერიის კავკასიონთან დაკავშირებულად მიაჩნია.

ასეთია ორი კავკასიონის პრობლემის ახსნის ერთ-ერთი უძველესი ვერსია.

გეოგრაფიის XV წიგნში, ინდოეთის დახასიათებისას, სტრაბონი ცვლავ ამხვილებს უურადლებას პრომეთეს მითის მიგრაციან კოლხეთიდან. „ამ მითს ამტკიცებს კავკასიონისა და პრომეთეს შესახები (ამბებიც): ესენი ვადმოაქვთ პონტოდან აქ მცირე მიხეზით, რაკილა ხედავენ რომ პარობამისადეში არის წმინდა გამოკვებული და მიუთითებენ (თითქოს) აქ ყოფილიყოს მიუკლველი პრომეთე და აქ მოსულყოს ჰერაკლე პრომეთეს გასათავისუფლებლად, და ეს იყო ის კავკასიონი, რომელსაც (თითქოს) ელინები თვლიან პრომეთეს მიუკლვის (ადგილად)“⁴.

მასმსაღმე, სტრაბონის მტკიცებით ბერძნებმა მიუკლველი ტიტანის თქმულება, ანალოგიის საფუძველზე, კოლხიდიდან ინდოეთში გადაიტანეს. სტრაბონი ფიქრობს, რომ თავდპირველად პრომეთეს მითი კოლხეთის კავკასიას მიეკუთვნებოდა, ისე როგორც მედიასა და იაზონის შესანიშნავი გადმოცემები.

პატრიოტიზმის მომხრეებით პრომეთეს მითის ქართულ-კოლხური წარმოშობის ანსა მერტი თუ არა, გულუბრყვილობა იქნებოდა, ვთქვათ, ამგვარი აზრი ზელოვნურად მივწერეთ ქართველ მოღვაწეებს: აყაი წერეთელს, ნიკო მარს. პავლე ინგოროყვის, შალვა ნუცუ-

¹ თ. უახშიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. 1957, გვ. 139 — 40.

² იქვე, გვ. 140.

³ იქვე, გვ. 223.

ბიძეს, მიხილ ჩიქოვანს და სხვებს, ვისაც კი ბერძნული მითების შესახებ უწყობიათ, მაგრამ საკითხავია, ამ აზრს მხოლოდ ქართველი მეცნიერები აყენებდნენ? პროშეთს მითის შესწავლის ისტორია საშინაოდმდგვოს გვიჩვენებს. მაგალითად, ამგვარ აზრს იძლეოდნენ რუსი მეცნიერები ვსევოდოვ მილერი¹ და ალექსეი ვესელოვსკი² მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან. ანალოგიური შეხედულება გეროპელთაგან გამოითქვამს არა ერთ მოღვაწესა და მეცნიერს. მე-17 საუკუნის ბოლოსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში იგივე აზრია გარტარებელი ენგ. კენფლერის შრომაში, რომლის 1724 წლის თარგმანი დაეუღლა სიბრძნე მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივის ვორონცოვისეულ კოლექციაში. ენგ. კენფლერი ამბობს: „ვით ყველა სხვას, ისე ამ ფაბულასაც ისტორიული კვშიარიტება უნდა ჰქონდეს საფუძვლად, რომელიც მრავალი დამატებით არის გამწვენიერებული. ზოგერთმა ფიქრობენ, რომ პროშეთე განსაკუთრებული გონიერი ადამიანი და გასაოცარი ვარსკვლავმორიხეული იყო, რომელიც კავკასიონის მთაში ცხოვრობდა. იგი დიდი მონდომებით ცდილობდა გავეო პლანეტებისა და ვარსკვლავების მოძრაობა“.³

ანტიკური მითოლოგიის მრავალი სახის წარმოშობა არაბერძნულად არის მიჩნეული. „ასეთივეა ფეროდიტე, რაც უფრო მიეყვებით მის აზურ წარმოშობას, — ამბობს ჰეგელი. — მით უფრო მელანდებდა ბუნების ძალათანი კავშირს“.⁴ კიდევ უფრო ზოგად ფორმალში იგივე ჰეგელი წერს: „ასეთი შემოქმედების მტკიცების წინააღმდეგ ლაპარაკობს თითქოს ის ფაქტი, რომ ბერძნული მითოლოგია დამყარებულია უფრო ძველ ტრადიციებზე და მის ვარდნად, აღმოსავლეთიდან სესხებაზე მითითებს“.⁵

ვფიქრობთ, დ. ლენგი და გ. მერდიტ-ოუნენსი დაგვეთანხმებიან, რომ ქართული პატრიოტიზმი არ ამოძრავებდა არც ჰეგელსა და კენფლერს, არც მილერსა და ვესელოვსკის, და არც სხვა მეცნიერებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, როცა ისინი პროშეთეს ან სხვა მითების სამშობლოს კავკასიაში და აღმოსავლეთში ეძებდნენ. მით უმეტეს ასეთ რამეს ვერ შევწამებთ ძველ ბერძნებს, რომ-

ლებიც ანალოგიურ შეხედულებას ამკითარებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. **საქმე**
დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სპარსელების შემდეგ რომაელებიც ანტიკური მითოლოგიის ისეთ სახელგანთქმულ მითთა სამშობლოს, როგორცაა პროშეთეს, მედასა და იანთას, დოსკესების და ჰერაკლეს თავდასავალი, ოქროს საწმისის ამბავი, კავკასიაში ეძებდნენ. ამ მხრეზე მეტად საინტერესოა აპიანეს ცნობები, რომელიც მას შეტანილი აქვს „მითრიდატეს ომების“ ისტორიაში 160 წლის მახლობლად⁶.

ზოგერთი დახუტებას საკურობს დ. ლენგისა და მერდიტ-ოუნენის ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ამირანის თქმულების ოსურ ვერსიაზეა საუბარი.

ანგლისელი ქართველოლოგები „დარეჯანიანთა ეპოსის“ 14 ნიმუშს ასახელებენ, თითქოს ამირანიანის ოსური ვერსიის ვარიანტებს, მაგრამ აქ სრული საბით ვთვალისწინებელი არ არის. თუ რას წარმოადგენს დარეჯანიანთა ეპოსი და როგორია მისი შედგენილობა. „ოსური ხალხური შემოქმედების ძეგლების“ მიხედვით ჩამოთვლილი ყველა 14 ჩანაწერი არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება ამირანის ციკლს, ასეთთა მხოლოდ 7 (რეცენზიაში წარმოდგენილი სიის 1, 2, 3, 4, 9, 11, 14 ნომრები), დანარჩენები სულ სხვა სიუჟეტებს შეეკავნენ. ჩვენ საკუთალური შრომა მივუძღვევით ამირანიანს ოსურ ვერსიას; ახლა გარკვეულია როგორც დარეჯანიანთა ციკლის წარმოშობა, ისე მისი შედგენილობა.⁷ ჩვენ „დარეჯანიანთა ეპოსის“ მეცნიერულად სანდო 25 ფოლკლორული ტექსტი მოვაგროვეთ. ხალხური ტექსტების ანალიზმა უჩვენა, რომ ამ ზოგად სახელწოდებაში გაერთიანებულია ბერთი სხვადასხვა ციკლის სიუჟეტები, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს მიჯაჭვული ამირანის ციკლს. შემდეგ მოდის ხალხური ვეფხისტყაოსნის (№ 12), როსტომის (№ 5, 6, 10), ყარაბაღის (№ 7, 13) და მადლიერი მეცდრის (№ 8) ციკლები.⁸ ხარლად გმირთა საკუთარი სახელებია, ამ ხალხური მოთხრობების ქართულ ფოლკლორულ წარმოშობას ამტკიცებს მათვე მხატვრული მხარე. ეს გარემოება შემწველი იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში და აღიარებულიცაა მეცნიერთა რამდენიმე თაობის მიერ ვს. მილერიდან დაწყებული⁹. როსტომიანის ელემენტები

¹ В. Миллер, Кавказские предания о великанах, прикованных к горам. Журнал мин. нар. просвещения. I, 1883, გვ. 101.

² А. Веселовский, Этюды и характеристики, 1907, გვ. 784.

³ შ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 54.

⁴ Гегель, Соч., т. XIII, 1940, გვ. 48.

⁵ იქვე, გვ. 51.

¹ აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, 1959, გვ. 198, § 103.

² ამირანის სიუჟეტი კავკასიის ხალხთა ფოლკლორში. ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958, გვ. 345-78.

³ იქვე, გვ. 351, 355.

⁴ იქვე, გვ. 352.

ამირანიანს ოსეთში საქართველოდან გადაყვა. თეთონ ოსურ გარემოში ორი სხვადასხვა წარმომადგენელი სიუჟეტის შერწყმა არაა მოსალოდნელი, რადგან ოსურ ენაზე შაჰ-ნამეს თარგმანი არ არსებობს. როსტომიანისა და ამირანიანის სიუჟეტური შერევა პირველად ქართულ ფოლკლორში მოხდა, შერე ეს შერწყმული ვარიანტები ოსეთშიც გავრცელდა. ხალხური ნაწარმოების მოძრაობის ამნაირი გზა ნათელი ხდება სამხრეთ-ოსურა და ქართლური ვარიანტების შედარებით. ქართლას მხარეში ფოლკლორული ერთეულობის ძირითად ფორმას მოსახლეობის მეზობლობის ნიადაგზე განვითარებული ზეპარი და წერილობითი კონტაქტი წარმოადგენს; სამხრეთ-ოსეთის მეოხებით ამირანის სიუჟეტი ჩრდ. ოსეთსაც გადაეცა.

ამ წერილში ჩვენ აღარ შეეხებით ლენგისა და მერედიტ-ოუენისის შრომაში დასმულ ზოგიერთ ლოკალური მნიშვნელობის საკითხს. გაეკეთებთ მხოლოდ საერთო დასკვნას. ცეცხლის მომტაცებელი და ღმერთთან მებრძოლი გმირის თქმულება მსოფლიოს მრავალ ხალხს მოეპოვება. ამგვარი სიუჟეტები ფექსირებულა დედამიწის ერთმანეთისაგან მეტად დაშორებულ კუთხეებში. თქმულების ყველაზე აღრიდელი ლიტერატურული გადამუშავება საბერძნეთშია ცნობილი (პესიოდე, VIII სუეტ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე). საქართველოს ტე-

რიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ძეგლები საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ, რომ მიჯაჭვული ამირანის თქმულება ძველი კოლხიდისა და იბერიის ტერიტორიაზე მეორე ათასწლეულიც არსებობდა. პირველ საფეხურზე ამირანიანის მთლიანი სახე ჰქონდა: დროთა განმავლობაში სიუჟეტმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა და ამგვარად წარმოიშვა ვარიანტები და ვერსიები. ქართული, იბერიულ-კოლხური თქმულება სხვადასხვა დროს ფართოდ გავრცელდა როგორც ქართველურ, ისე კავკასიურ ხალხებს შორის. საქართველოში, კოლხიდისა და იბერიაში გავრცელებული თქმულების კვალი შეიმჩნევა ბერძნულ მითში, პრომეთეს მიჯაჭვის ადგილის ლოკალიზაციისა და მღვიმეში მოთავსების მოტივის სახით, მაგრამ საერთოდ ამირანიანი და პრომეთეს მითი დამოუკიდებელი ნაწარმოებებია. ძველმა ეპოსმა, კერძოდ ამირანის თქმულებამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საერო მწერლობის შექმნაში. XII სუეტ. თვალსაჩინო მხატვრული ნაწარმოები „ამირან-დარეჯანიანი“, ერთი მხრით, ფოლკლორული მასალის გადამუშავების ნიადაგზე ჩამოყალიბდა. მსგე ხონელი თავისი დროის ორიგინალური მწერალია. მიჯაჭვული ამირანი ძველი ქართული ეპოსის ნამდვილი ეროვნული გმირი არის.



ბაბი-ქართველი მის ისტორიის გვგვარი

მეცხრამეტე საუკუნემ ქართული ხალხის მოწინავე ძალებს წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დააყენა: ჩვენი ერის წინაშე მოიხსნა ფიზიკური განადგურებისა და სარწმუნოებრივი გადაგვარების საფრთხე, ერაყენული და სოციალური კეთილდღეობისათვის ბრძოლის გზაც ამოვირჩინა. სხვა მიმართულებით წარმართა. სწორედ ამაზე მთელითუბნა ჩვენი სსიქადელო მგოსანი აკაკი წერეთელი, როცა ამბობდა: „თუშეა ხმაღდახმაღ დღეს აღარ ვგახეყვიან მტრები ყოველის კეთხით, მაგრამ მშეიდობიანობა ეი მინც არსად არის და ბრძოლა საჭირია, მაგრამ ბრძოლა უფარხმალო, სადაც არცელად სისხლსა პატროსანი ოფლი და ცრემლი უნდა იღვრებოდეს, მაშასადამე, საჭირო არიან მეომარი-გმირი მამულიშვილები იმავე გრძნობითა და გონებით სრულნი, რა გრძნობითა და გონებითაც ჩვენი წინაბრები იმსჭვალბოდნენ“ (აკაკი წერეთელი, ტომი 6 გვ. 72).

ამეთი გმირი მამულიშვილები იყვნენ უწინარეს ყოვლისა ილია ქაქუცავაძე და თვით აკაკი წერეთელი, რომლებმაც წარმატებით ვაართვეს თავი ისტორიის შიერ წამოჭრილ დიად ერაყენულ ამოცანებს. ამიტომაც იყო ასე მრავალხრივი მათი შემოქმედება; ისინი ერთნაირი შემართებით იბრძოდნენ ამ დიდი ამოცანების შესასრულებლად, როგორც მხატვრული სიტყვით, ისე პუბლიცისტური შემოქმედებით.

თუ ვაგიხსენებთ ჩვენის ცნობილ სიტყვებს იმის შესახებ, რომ „პუბლიცისტებს მუღმივი საქმეა თანამედროვეობის ისტორიის წერა“, აკაკი წერეთელზე როგორც პუბლიცისტზე შეიძლება ვთქვათ — იგი თავისი ეპოქის დიდი მემკვიდრე იყო, მაგრამ ამ მხრივ მასზე მეტის თქმა შეიძლება: მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად პუბლიცისტური მემკვიდრეობით აკაკი წარმოგვიდგება როგორც ქართული ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ბრწყინვალე გამშქმებელი და მკვლევარი.

ამ პატარა წერილში ჩვენ ვინდა აკაკი წერეთლის შემოქმედების მდიდარი და მრავალფეროვანი სამყაროდან გამოვეყოთ აღნიშნული საკითხი და შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ იგი. უფრო სწორად, მოგვიხდებ-

და დავეყოფილდეთ საკითხის მხოლოდ მონობილით, თანაც არასრული მიმობილით.

თუ ვაგიოთავლისწინებთ ამ ვარემობებს, რომ აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანაში ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფია ის-ის იყო ფეას იღვამდა და ნიდაღს იმტყციებდა — ერთი-ორად მეტი ფასი დედება პოეტის მოსახრებებს ამ საკითხებში. უმჯობესია სიტყვა თეითონ აკაკის მივეთუ: „მოვე დრო როღესაც მომავალი ჩვენი ისტორიკოსები მოუყრიან თავს ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტებს¹, გამოარკვევენ და ისე, როგორც ხელოვან-მოსაქმნარზე სხვადასხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფერადღმისაგან მოქარგოს ძვირფასი სამოსელი, შეადგენენ ერთ ვრცელ ისტორიას ჩვენი საშობლობისას“ (აკაკი წერეთელი, ტომი 6, გვ. 40).

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქართული ისტორიოგრაფია მძლავრ მეცნიერებად იქცა და მართლაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფერადღმისაგან ძვირფასი სამოსელად მოიქარგა ჩვენი საშობლობის ისტორია.

აკაკის მიერ საქართველოს ისტორიის საკითხებზე დაწერილი წერილებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თავისი შინაარსით გაზეთ „ნოვოე ობობრენიში“ 1888 წელს გამოქვეყნებული სტატია „Историческая справка“. წერილის მწვავე პოლემიკური ხასიათის მიუხედავად, მისი ავტორი გვეცლინება ენციკლოპედიურად განსაზღვრულ ისტორიკოსად, რომელიც ისტორიული ფაქტების ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად აღადგენს გაზეთ „კავკასიის“ შიერ უბეზად დახმინებულ სიშართლეს. ამასთან ეს წერილი იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორი მეცნიერული შემართებით უნდა იბრძოდეს მოუღვალო მკვლევარი ისტორიის ფაქსიფიკატორთა წინააღმდეგ...

„კავკასიში“ დასტამბული სტატიის მტყციებიდან გამოლიოდა, რომ ქართულები არ იყვნენ ისტორიულად საქართველოს მკვიდრნი, რომ ისინი უცებ გამოჩნდნენ მე-11 საუკუნეში

¹ აკაკის მხედველობაში აქვს საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული მასალები.

საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე, რომელიც თითქოს იმ დროისათვის სომხეთს ეკუთვნოდა. ამ კერიონის განხილვისას აკაცი მიუთითებს ანალოგიურ უმეტრულ გამოცდომებზე. რომელსაც ადგალა ქონია 50 წლის წინადაც: იმ დროისათვის ცნობილია ისტორიკოსმა პოგონდომმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ თითქოს საქართველოში ქრისტიანობა თამარ მეფემ გაავრცელა. მაგრამ ეს ადრე იყო, — აღნიშნავს აკაცი, — და ახლანდელ დროში განსაკუთრებულ უაზრობად გვეჩვენება, როცა ზოგიერთი ისტორიკოსი, საჩვენებლობს რა ავტორიტეტით, მსგავსი რამეების დამტკიცებას ცდილობსო.

ამ ფალსიფიკატორული სტატიის დედაწილთან მწვევე გააპერების შემდეგ აკაცის ბუნებრივად მოაქვს შეუვალი არგუმენტები იმის შესახებ, რომ ჩვენი ტერიტორიას ქართველი ტომებით დასახლება შორეულ საუკუნეთა სიღრმეში იწყება, რომ ქართველები საუკუნეთა მანძილზე ქმნიდნენ და ავითარებდნენ თავიანთ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას და სათანადო წვლალს შექმნიდნენ საკაცობრიო ცივილიზაციის საფაძურში, პირველ პუნქტში პოეტის მუთითებს: კლხიდა და იბერია მდინარეებით ფაზისით (ჩიანის), კურით (მტკვარი) და არავითი ცნობილი იყო შეისტორიკე კლასიკოსებასათვის. ქართველი ტომები: მესხები, თებალები და კოლხები მოხსენებულნი არიან პეროდოტესა და სტრაბონის მიერ. იგივე ჰეოდორის დროის შემტარანევი ამტკიცებენ, რომ ქალაქების — სურამისა და შორაპნის და ფაზისის შემეყოებით ხორციელდებოდა იბერიის სავაჭრო ურთიერთობა ინდოეთთან. რიტერის მიითხებით კოლხებს ბერძნებზე ადრე ქონიათ კარტოვარფია; სამეხი მწერალი მოსე ხორენელი ქართველებს მე-5 საუკუნეში იმავე სახელწოდებათ იხსენიებს, რომლითაც ისინი ცნობილი არიან დღეს. იმავე საუკუნეში ქართველ მეფეებს ჰყოლიათ რეგულარული მეომრები ეგრეთწოდებული სეფეწულები" და ქართველებს სამხედრო სისტემა სომხებსაც გადაუღოთ. სომეხი ისტორიკოსი კავანაძეც იყავი სიტყვით საქართველო მე-9 საუკუნეში აყვავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამავე ადასტურებენ ბერძენი მწერალი. კონსტანტინე პორფიროგენეტი, ისტორიკოსები ვარდან დიდი, სტეფანე თორონელი, ელიშე და სხვები.

ამ ფაქტების გამოწვევებთან შემდეგ აკაცი ამბობს: „კავაძის“ სტატიის ავტორს შეუძლია თქვას, რომ ყოველივე ეს ენება არა ქართველებს, რომლებიც ქვეყნად მე-11 საუკუნეში გამოიხდნენ, არამედ იმ იბერიელებს, რომლებიც თითქოს აქ ცხოვრობდნენ მე-11 საუკუნემდე და ერთბაშად გაქრნენო. ყოველივე ეს გონებასამხილურია, — დასძენს ავტორი. — მაგრამ რით ახსნება ის ფაქტი,

რომ ამ ქვეყნიდან უკუალოდ გამოვიდა ტომი ზესტად იმ ენაზე მტკიცდებოდა, რომელზედაც დღევანდელი ქართველები დასაბუთდნენო.

ამ მსჯელობის შემდეგ ავტორი კვლავ ფაქტობრივ მასალებზე გადადის, საჭიროდ მიგვიჩნია სრულად მოვიტანო ეს მასალები.

1) ნემამატური ფაქტები ქართველი მეფეებისა:

ა) სტეფანოს II (639—663) მონეტა ქართული საეკლესიო ანბანით შესრულებული წარწერით.

ბ) ჯუანშერისა (718—767)

გ) ბაგრატ მესამისა წარწერით — ბაგრატ და დავით

დ) სტეფანოს II მონეტის ეკანა მხარეზე დასმულია არაბული ციფრი 17. ამ ციფრების არსებობა ქართულ მონეტებზე მე-8 საუკუნიდან მოკლებულია, სხვათა შორის, აბათილებს მეცნიერთა იმ აზრს, რომ არაბული ციფრები ცნობილი გახდნენ მხოლოდ მე-12-13 საუკუნეებში.¹

2) ძველ, წინაქრისტიანულ ერაში არსებული მცირე აზიის ჩრდილოეთ ნახევრის ქალაქთა და ადგილთა სახელწოდებები პანდ კლერისი, ავრედე პროფესორ ნუბინოვის გამოკვლევით წმინდა ქართულია.

3) ქართველების მიერ აგებული მონასტრები, როგორც საეკლესიო საქართველოში, ისე შიხ ფარგლებს ვარეთ, იმის აშკარა მოწამენი არიან, რომ ქართველები არსებობდნენ მე-10 საუკუნემდე და ქონდათ ორგანიზებული სახელმწიფო.

4) წმინდა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში დაარსებულია ქართველების მიერ მე-5 საუკუნეში, ამას მოწმობენ როგორც ბერძნული წარწოებით, ასევე ქართული წარწერები ჯვრის მონასტრის კედლებზე.

5) მე-9 საუკუნეში დაარსებული იქნა იბერიული ლარა იმ დღით ამისი სამახსოვროდ, რომ ქართველებმა თორნიკე ერისთავის მეთაურობით გაანადგურეს ბარდასკლაროსი და იხსნეს კონსტანტინოპოლი.

6) ენის ღერსმული წარწერები მიჩნეულია ქართულია.

7) მცხეთა—თბილისის ვზის მშენებლობასას ნაპოვნი წარწერებანი ქვა, რომელიც ახლ თბილისის მეჩუქში ინახება, დათარიღებულია 75 წლით ქრისტეს შემდეგ. წარწერაში ნათქვამია, რომ რომის იმპერატორი ქართველ მეფეს ფარსმანს, კვისრისა და რომაელი ხალხის ამ მყოფობას უწყევებს ცხუბ-სიმავარეს.

8) რომაელი ისტორიკოსების გადმოცემით

¹ აკაცის ამ აზრს ადასტურებს აგრეთვე ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შემორჩენილი წარწერა, რომელშიც თარიღები არაბული ციფრებითაა შესრულებული.

ბეგრის მეფეს ფარმანს რომში, ბელონას ტაძარში უღვას ძველი.

3) მე-13 საუკუნემდე გამომწვევბელი არქიტექტურული სტილი მეცნიერებაში ცნობილია ბეგრის ანუ ქართლის სახელწოდებით.

4) ქრისტიანობის მიღება ქართველთა მიერ 318 წელს წმინდა ნინოს მეშვეობით.

5) სირიის 13 შამის ჩამოსვლა საქართველოში მე-11 საუკუნეში

6) სახარების თარგმნა მე-7 საუკუნეში.

7) ქრისტიანობის გავრცელება დასავლეთ საქართველოში მოციქულებს ანდრეასა და სიმონ კანანატის მიერ.

8) ძველი და ახალი ანდერძების წიგნის საბეჭდო თარგმნა მოაწინადებლის მიერ.

9) დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის შექმნა. (იხ. აკაკის თხზულებათა VI ტომი, სადაც დაბეჭდილია აღნიშნული სტატია).

ამ საფუძვლიანი არგუმენტების წარმოდგენის შემდეგ პოეტა ისტორიკოსი დასძენს:

«Мы бы могли привести бесчисленное множество непроверенных фактов, но полагаем, что и этих достаточно для вразумления заблуждающихся. Что же касается до автора статьи, напечатанной в «Кавказе», то ему все равно: он не хочет признавать ничего и никого, ибо это не входит в программу его публицистической деятельности» (იქვე, გვ. 375).

მართალია, აქ გადმოცემული ბეგრა ფაქტობა და მასალის ინტერპრეტაცია შემდგომში შეიძლება დახუტდეს ბეგრა დებულება, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ, როგორც ამ სტატიიდან ჩანს, აკაკი არა მარტო ზედმიწევნით იცნობდა მეცნიერების მიერ მოცემულ ისტორიულ მასალებს, არამედ მათ საფუძველზე შექმნილ კიდევ გაცილებიან პირველხარისხის დასკვნები. ზეენც ამიტომ საგანგებოდ გადმოვიცით ასე ვრცლად ეს სტატია.

როგორც ცნობილია, მსგავსი უკუღმართი მისაზრებები, რომელთა წინააღმდეგაა მამართლი აკაკის ეს წერილი, სხვა დროსაც ბეგრეკერ გამოთქმულა ისტორიულ ლიტერატურაში. მათი საქვეყნოდ გამოტანა და გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გატარება უპირველესად ილიას და აკაკის უნებებოდა.

აკაკი წერეთელი ილია ჭავჭავაძისთან ერთად ყოველთვის გამანადგურებელი კრიტიკით ეპასუხებოდა პროგრესული აზროვნების ყველა ჯერის ჯალათებს, რომლებიც რეაქციული, შერაზბული პრესის ფურცლებიდან ცინიკური პასკვილებით შეურაცხყოფდნენ ერის ღირებებს, ცილს სწამებდნენ მის ისტორიას. ამ მხრივ დამახასიათებელია ილიას და აკაკის ბრძოლა ავადსახსენებელი კატკოვის წინააღმდეგ, კატკოვისა, რომელიც ყოველნაირად აქაზებდა ცილისმწამებლებსა და მახე-

ღარებს. მათი მონანმახებით ხომ საესე ეროკატკოვისეული „მოსკოვისე ვედომოსტის“ ფურცლები, აი რა ისტატურად დახასიათდებდა ილიას კალმის ავანჯაცია ამ ხროვის ბნელი საქმეები: „რაც კი უწმინდურება მოგუბდება ხოლმე მის (კატკოვის დ. ნ.) დამქაშების უწმინდურს გულში, სულ ერთიანად სანაპირო ქვეყნებიდან მიედინება ბან კატკოვისაყენ და შესაფერის სერნელებით გროედება ამ თავახლილ და პირმოხელელ აუზში, რომელსაც „Московские ведомости“ ჰქვიან. ოღონდ კი ორგელობა შესწამეთ რომელსამე ერს რუსეთისას და ბანი კატკოვი ხელაპყრობით მოგვეუბებათ“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი 2, გვ. 146) „მოსკოვისე ვედომოსტის“ 1882 წლის № 44-ის უხარცხვილო გამოზღომის გამო, რომლითაც შეურაცხვეს ქართული დროშა, ილია ჭკაკრად დასძენდა: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუწიკველად ვარდუთია, გაქარგების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუდგრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად“ (იქვე, გვ. 148)

ილიასთან ერთად ამ რეაქციულ ორგანოს პასკვილს ჯეროვანი მიუღლო აკაკიამაც. ვახუთ „დროების“ 1882 წლის 45-ე ნომერში დაიბეჭდა მისი პატარა, მაგრამ შეტად ბასრე სტატია — „ეურა ხედავთ?“, რომელშიდაც ძირითადად იგივე აზრია გატარებული, რაც ილიას წერილში: „არა გეგონია, რომ პატრიონის და რიგანის რუსს მოციქონოს ის კორესპონდენტი, სადაც ყოელის უმიზნზოდ ლანდღვენ ქართველებს და აწმყოს გაკაცებას რომ აღარ აქმარებენ, მამა-პაპის საფლავსაც კი უბრუნებენ. ქართველების დროშას ცოტა საზახურია არ მიუძღვის ქრისტიანობასთან. მის ქვეშ რგულისათვის სისხლი იფრადან... ეს რომ არ იყოღნენ ამ ზემოხსენებულმა ბატონებმა, არ გვიკვირს, რადგანაც ეს ამხანგი წარსულ საუკუნეებს ეუთონინაის მაგრამ ეს როგორდა დაავიწყდათ, რომ ისვე დროშა, რუსეთისაგან უმაღლესად ბეგრეკერ დაჯილდოვებული, დღეს რუსეთს ემსახურება!“

(აკაკი წერეთელი, ტომი VI, გვ. 371).

ისტორიული კვლევა-ძიებისას წერილობით წყაროებთან, მატერიალური კულტურის ძეგლებთან და სხვა მასალებთან ერთად, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს ენობრივი მონაცემების შესწავლას. ამის მვგალიათად

1 ხანი ზემია დ. ნ.

შეგვიძლია დავასახლოთ იგანე ჯავახიშვილის ღრმამეცნიერული შრომები, სადაც ენობრივი მასალების მარჯვე გამოყენებით შექმნილია მრავალი საკითხი. პაეღუ ინგოროვეის წიგნის „გვიორგი მერჩულას“ მეცნიერული სიღრმე მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული ენობრივი მასალების ბრწყინვალე ანალიზმა, იგივე ითქმის გ. მელიქიშვილის შრომებზედაც, რომელი ერთი მოთვალათ.

ფრიალ საგელისხმა აკაიის შეხედულება ამ საკითხზე. ეხებოდა რა საქართველოს ისტორიის ისეთ საკითხებს, რომლებიც არცერთ წერილობით წყაროში არაა მოხსენებული, პოეტა წერდა: „მაშ, თუ ისტორიაში არ არის მოხსენებული ეს ამბები, საიდან ვიცით, წარმოდგენით ეგვილსხმებთ თუ კვლი რამე დავარჩენიათ? არაა ნაშანი: ეს ის კვლია, რომელიც არა თუ ადამიანის მოქმედებას, არამედ მის გულის მოძრაობასაც გამოვცხადებს ზოლმე. ეს არის ენა, უტყუარი და ძვირფასი განძი ხალხისა“ (აკაი წერილები, ტომი 6 გვ. 40)

აკაიის ეს სიტყვები უბრალოდ დეკლარაცია როდია იყო. იგი თვითონ უჩვენებდა იმის ნიმუშებს, თუ როგორ უნდა ენობრივი მასალებს მეცნიერულად განაწილება ისტორიული კვლევა-ძიებასა. აი ამის ერთი მაგალითი: დღემოყრებულ პოემას „მედიას“ აკაიომ თავის ღრმად წაუშლვარა შენიშვნები, რომლებიც უცხო საკითხებია და ბუნდოვანი ადგილების უბრალო განმარტება როდია. შეიძლება ითქვას, რომ, მცირე მოცულობის მიუხედავად, ეს შენიშვნები წარმოადგენენ ღრმამინაარსიან ისტორიულ გამოკვლევას. პირველ შენიშვნაში ლაპარაკია ბერძნულ თქმულებათა წარმოშობის შესახებ. ავტორი წერს: „ისტორიის წინასწართქმულობასა და მითების სამშობლოდ საზოგადოდ საბერძნეთია ცნობილი... უმეტესობა დღემდისაც დაჯერებულია, რომ ისინი შექმნა ელინელების აღტყინებულმა ფანჯარებმა და მერე ვადმოსაც მან კაცობრიობას. აგრამ ზეენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირველთ, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეისისხლბორცეს, თავისებურად გადაკეთეს და ფერცვლილი უკანე დაბრუნეს“. (აკაი წერილები, ტომი 3 გვ. 679).

ამ მოსაზრების დასაბუთებლად აკაი მიუთითებს ძველ-სქველ მითებზე „პრომეთეოსისა“ და „იანონ-მედიას“ შესახებ.

ბერძნული პრომეთეოსისა და ქართული ანირანის მითების განხილვისას აკაი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ პრიორიტეტი ქართულს ეკუთვნის. აკაის მიერ პრაქტიკული საბუთები ძირითადად ეყრდნობიან ენობრივ მონაცემებს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: ბერძნულად „პრომეთეოსი“ ნიშნავს „შორსმჭვრეტელს“. ქართული თქმულების ამირანსაც

შორსმხედველობას მიაწერენ. „ბერძნის მჭერლები ამტკიცებენ, რომ პრომეთეოსი ამირანტის მოაზე იყო კავკასიაში მჭერტლით“. შესამე საუკუნეში ტრისტეს წინ ამოღონ ქრისტესული ამტკიცებს, რომ მდინარე ფაზისი ამირანტის მთიდან ვადმოდისო“. (იქვე) აკაიის აზრით „ამირანტა“ ის ადგილია, რომელსაც ზეპირსიტყვაობა „ამირანთას“ უწოდებდა. კიდევ უფრო საინტერესოა შენიშვნის ის ნაწილი, სადაც აკაი არგონავტების შესახებ გავრცელებულ ბერძნულ თქმულებას ეხება. ადგილმდებარეობათა და პიროვნებების სახელების ეტიმოლოგიური სათავეების მიკვლევით ავტორი ნათელს ხდის იმ უცილობელ წინაპიტებას, რომ ეს სახელები ბერძნული წარმოშობის კი არ არიან, არამედ მათ ქართული ენობრივი საფუძვლები უდევთ. მაგალითად, თქმულებაში მოხსენებული მდინარე ფაზისი რიონია. სახელი „ფაზისი“ ქართულია. იგი წამოდგება ფაზის მთიდან, რომლისგანაც სათავეს ღებულობს მდინარე რიონი, წლას განმავლობაში მცენარეებით ახვევებულა ქალაქი აქა“. რომელსაც ბერძნები იხსენებენ, არის ნავლაქეი, ანუ ზღაპრული „იას“ ქალაქი. ამავე სახელწოდებას უკავშირდება ეტიმოლოგიურად მეფე „აიეტას“ ანუ ქართულად „იათას“ სახელი, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ქალაქი იაში იჯდა იათა მეფე, ან ამასახლისი. როგორც აკაი მითითებს, ასეთ შემთხვევაში ქართული ენის თვისებაა მრავლობითი რიცხვის ხმარება. მაგალითად, ამბობენ „ზღვათა მეფე“, „ხელთა მეფე“ და არა „ზღვის მეფე“, „ხმელეთის მეფე“ და ა. შ., მაშასადამე, „იათა“ ქართულა ენის ამ თვისების შესატყვისის სახელებით იანონომიერი ფორმად, ასევე ქართული საფუძველი აქვს მოძებნილი სიტყვებს „ციოციკისა“ (ქართულად „თირითია“ წამოდგარი უნდა იყოს სიტყვა „თირიდან“ ანუ ქვადან) „ყვენაქს“, რომელიც „ქვენაქარიანას“ წარმოებულა, აკაის მიერ მოწოდებული ცნობით ბერძნული „პიოუს“ იგივე მდინარე ცხენის წყალია. მეტად მოხდენილია და შენიშვნებში დამტკიცებული ამ თქმულების მთავარი მოქმედი პირის სახელის — „მედიას“ ქართული წარმოშობა. აკაი მიუთითებს, რომ სიტყვა „ქალი“ ქართულ ენაში შემოდის არაბთა შემოსევების შემდეგ, რომ „ქალიშ“ არაბულად დედააკაც ნიშნავს. აღერ დედააკაცს ქართულად „და“ რქმევია. აქედანვეა სახელები „ლიაკი“ და „ლიასახლისი“. ავტორს მოაქვს იმის მაგალითები, რომ არსებობს პიროვნებათა ასეთი სახელები „მევიარაკი“, „მევიარქალი“. ასეთივე ფორმით უნდა არსებულიყო სახელი „მედიას“, რაც შინაარსობრივად „მევიარქალის“ იგივეობრივია.

შენიშვნებში მეცნიერულად და განმარტებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის მრავალი

საკითხი, ამისათვის დამოწმებულია ბერძენი ისტორიკოსების შრომები და სხვა წყაროები. ამ საკითხთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აკაის მეორე მოწოდებულ ცნობა უკველუსი ქართველი ტომის — ხალაბების შესახებ. ამ იგვე. „ხალაბები ბერძენულად და ჩვენებრივად — ქლები ქართველთა ტომის ხალაბი, კოლხეთში ცხოვრობდნენ ერთ ზეობად. ყველაზე პირველად იმთა დაიწყეს რაინის ხელობა. ესხილი (525—456. ქ. წ.) ამ რას ამბობს მათზე: „პონტოს მარცხენა მხარეზე ცხოვრობენ რაინის მოხელე ხალაბები. ავთებენ რაინის იარაღს, რომელსაც ქლები ჰქვიათ და მოაქვთ ელვადში ვაიაციდად“ (ივე).

ცნობილია, რომ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ოდითგანვე სერიოზულ როლს თამაშობდნენ ქალები. საქმარისია ითქვას, რომ თამარის მეფობის ხანაში ქართველმა ხალხმა თავისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება ათეუნი მანამდე უნახვად დონეზე. გავითიანებულ საქართველო წინააღიწი უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცა და თავზარისასცემდა მახლობელ შამხალთან დამპყრობლებს... მაგრამ ისტორიულ ლიტერატურაში მანამდე ცნობილი ეს აზრი მხოლოდ ბანალობად მოგზევენება აკაც აკაის ღრმამინაარსიან და გონებამახვილურ მოსარებებთან შედარებით, რომლებიც გამოთქმულია სტატიაში — „თამარ მეფე“. მართალია, სტატია კვლევითი ხასიათისა არ არის, მაგრამ ეს როდი უშლის მის ხელს, რათა ღრმად ჩაახედოს მკითხველი თამარის ეპოქაში, თვალათლევ დაანახოს სახელოვანი მეფე ქალის ლეაქლის სიდიადე.

სტატიის დასაწყისში ავტორი მამოხილავს ქალების შესახებ არსებულ იმ უძველმართ შესხედლებებს, რომლებიც გავრცელებული იყო სხვადასხვა ეპოქების ხალხებში. „ძველთაგან დაწყებული, — წერს აკაი, — კერა არ ყოფილა დედა-მეორე ზურგზე მისთანა სასურათო ერა, რომელსაც სხვადასხვაგვარს უბედურების მიზეზად ქალი არ დაესახებლებიოს... საკვირველია, ცასქვეშეთში ყოლიფერი იცულება, დრო და ეპო თაისის წესრიგს არ იშლის, საუთნე საუთნეს ენაცულება, ახალ-ახალს მოთხოვნალებითა და პირიბებით. ხალხი იცულება, ძველნი ვადადიან და მათ მოადგილედ ახლები შემოდიან ისტორიულ სარბიელზე, რკული რკულს ენაცულება, ეშობიან ძველ კრებები ქვეყნის თვალში და ქალების შესახებ აზრი ერთხელვე გადარჩენილა შეურყეველია“ (აკაი წერეთელი, ტომი II, გვ. 460) როგორც აღვნიშნავ ჩანს, სტატია შორს სცილდება სათაურით დამსულ საკითხის ფარგლებს. მაგრამ მომდევნო სტატიკონებში აკაი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის და გაბედულად აყენებს

და ასაბუთებს მამაკაცთან ქალის თანაწრობის იდეას. პოეტი მტკიცე რწმენით დაასკვნის, რომ მოვადრო, როცა ქალების შესახებ შემოიღებოდა „მამაწაწა აზრი“ შეცვალდა ინტენსივადგამობილი, რომ „კაცობრიობა შეიგნეს ქემ-მარიტებას და ქალს დასახავს ევად, მაგრამ იმ პირველ ევად კი არა, რომელმაც ეთომ ედემი დაეკარგვიანა, არამ იმ სხვა ევად, რომელიც ქვეყნად გაუღებს მას სამოთხის კარებს“ (ივე, გვ. 461).

ამ მსჯელობის ფონზე შეაფიქრდა გამოკვეთილი იმ უცულობელი ისტორიული ქემმარიტების დიადი მნიშვნელობა, რომ საქართველოს ისტორიაში მრავალი მავალითა ქალის ღირსებებს: კეროვანად დაფასებისა და საქვეყნოდ აღიარებისა, და მართლაც, როგორი საყვარელით შემოინახა ქართველმა ხალხმა საამყო ქალების ნინო, თამარის, ქეთევანის, კრავი კავკელის, ხომავის, სავაძირისა და სხვათა სახელები, რომლებსაც ასე ხშირად იხსნიებს აკაი, ამ თამარ ვაშლოვანელისა და მათა წყნეთელის მშენდარელი სახეები როგორი სათათფიოთაა უგუნდო ცრის სივანში. მართო რა ღირს, რომ მე-12 თე მე-13 საუკუნეში, როცა მრავალი ქვეყნის ვანდალები ცეცხლითა და მახელოთ ანადგურებდნენ კაცობრიობას მატერიალური და სულიერი კულტურის საუნჯეებს, როცა ქალის ღირება ბევრგან მხოლოდ იმდენად ფასდებოდა, რამდენად გამოდგებოდა იგი პარამანის საკაულად, ჩვენმა ითქვა უღრმესი შინაარსის აფორიზმი: „ლკვი ღომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხეადია“.

აკაის ამ სტატიის მეორე ნაწილში ღამარიათა თამარის გამეფებაზე, მის მოღვაწეობაზე, ღაკონიურადაა ჩამოთვლილი ის დიადი საქმეები, რისთვისაც ქართველმა ხალხმა უკვდავყო და დიდების კვარცხლბეკზე იფუნა თამარის სახელი. ამის საფუძველზე ავტორი დასკვნის: „შთამოვალობამ აღარ იცუდა, რავგარი სამადლობელი უნდა შეწყვირა ამ საარაკო ქალისათვის. და ისტორიამაც სხვა უკეთესი ევალის მოკონანარა, „თამარ მეფე“ უწოდა—მამაკაცის სახელი მიანიჭა და მით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გვირ მარონცხებულეს“ (ივე, გვ. 463)

იმ განსაკუთრებულ ღვაწლზე, რომელიც ქართველ ქალებს მიუძღვით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, აკაი იყენებს მამოხილველად მოუთხრობს სხვა სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „თანამედროვე აზრები რუსთაველისაგან მე-12 საუკუნეში ნაწინასწარი“. ავტორის მსჯელობა ამ საკითხთან დაკავშირებით გამოილია ზემოაღნიშნული აფორიზმის ვარშემო. როგორც პოეტი მიუთითებს, მამაკაცთან ქალის თანაწრობის იდეა, რომლის განხორციელების ამოცანა მხოლოდ მე-20 საუკუნემ წამოაყენა, საქართველოში შემოხვევით არ უნდა

აღმოცენებულყო, მას გარკვეული ისტორიული მიზეზები უნდა ჰქონოდა: „იმ დროში, ამ რეაქციონერულ წინააღმდეგობაში, საიდან შემოიტანა ეს პარტიკულარული რუსთაველი? — კითხვობს ავტორი და იქვე აძლევს ხატოვან პასუხს, — როგორც ფურცალი თავის სამხალის ნაწილ-ნაწილად ავრთვებს თავსაც, ქვეყნის ყველაგვარიდან, ასე იმანაც ესევეა: რუსთაველი თავისი გრძნობა-გონების მასალა იპოვა ქართველებშივე, აქა-იქ გახვეული მოავროვა და გაავროვინა (აქაც წერეთელი, ტომი 6, გვ. 171).

აქვე ავტორი თავისებურად ხსნის იმ ისტორიულ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ქართლის დედათა მიმართ ისტორიულად ენობურ დიდ და განსაკუთრებული მოვალეობას დაყარება, მოვალეობისა, რომელიც ფართოდაა ცნობილი არა მხოლოდ ისტორიკოსებისათვის, უმჯობესია აქაც პოეტი ვსაუბრობს: „ამ წვენი პატარა სამეფოსი, საქართველოს ისტორიულა მამლინარება ისეთი იყო, რომ მამა-ქალები ნიადვ საზღვარზე იდგნენ, ყოველ კუთხით შემოსული მტრების მოსაგვრებლად და რთული საოჯახო საქმე და შეილთა აღზრდა დედებს რჩებოდათ ხელში (აქვე, გვ. 172).

ქალისა და მამაკაცის უფლებებს შორის რომ დიდი განსხვავება არ იყო მაშინდელ საქართველოში, ავტორს აზრით, იმაში თვალწინადაც დავაჩვენებთ სიტყვიერა მასალის ენათმეცნიერულა ანალიზიც. აი ავტორს მიერ მოტანილი მაგალითები ამხატ: „დედაცა“ და „მამაკაც“, ერთი და იგივე დამოლოება თანასწორობაზე უნდა მიუთითებდესო, შემდეგ, სიტყვა „ცოცხალი“ „ცოცხალი“ წარმოადგება, რაშიდაც ის აზრი იყო გამოხატული, რომ ცოცხალმა ცხოვრებაში მიერ დაყენებულა საქმეების შესრულებაში თანასწორად ენაცულებოდნენ ერთმანეთს.

უფრო საყურადღებოა შემოგანვიხილოთ სტატიის მომდევნო ადგილები, სადაც გარკვევითაა გადმოცემული ავტორის სოციალურა შეხედულებები ქართული ფეოდალიზმის ადრეული პერიოდის შესახებ.

განვიხილავს რა ცნობილი ქართული ლექსის სიტყვები: „თუ კაცა კაცად არ ვარგა, ცუდია ვეარა შეილთა“, რომელსაც ავტორი რუსთაველს მიაწერს, ავტორი დაასკვნის, რომ ეს სიტყვები შეიხილები არ უნდა იყოს ნათქვამი, მისაც ისტორიულა სოციალური და პოლიტიკური მიზეზები უნდა ჰქონოდა.

ამ ავტორის-ს განხილვის ფონზეა ძირითადად გაშლილა ავტორის მხედლობა, რომელშიც სისტემატურადაა გადმოცემული ავტორის თეორიული თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხზე. ამ თვალსაზრისის მიხედვით ფეოდალური წყობლება საქართველოში ადრე, მაგ. მე-12 — მე-13 საუკუნეებში მიჯნებზე არ იყო ისეთი სასტატო და უფრობელი, როგორც იგი შემდეგში ვახდა. ჩვენში კი ეს არასტატული მოვ-

ლენა, ბატონყმობა იყო პირისპირა და არა ძალმომრეობითი, — წერს ავტორი და ამ აზრით დასაბუთებულ არგუმენტებს შორის მახებულს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სიტყვებს: „მეც გლახათა საჭურჭლე, ათავისუფლე მონება“, შემდეგ პოეტი მიმოიხილავს აღნიშნულ საქართველოში არსებულ პატრონ-მეწარმე წყობას, რომელიც პოეტის აზრით მხოლოდ უმცროს-უფროსული ურთიერთობის სახით უნდა წარმოვადგინოთ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ავტორის ეს შეხედულება ძირითადად, მკვლარია, რომ ფეოდალური წყობლება ყველგან და, მაშასადამე, საქართველოშიც მის ყველა სტადიაზე ხასიათდებოდა ექსპლოატაციის მეტნაყლები სისასტატო.

მაგრამ ავტორის ამ მსჯელობას მაინც შეიძლება მოეწინააღმდეგოს ერთგვარი გამართლება. ჯერ ერთი, ავტორს მოღვაწეობის პერიოდში, როცა განსაკუთრებით საქართველო იყო ერთგული ძალეობის კომსოლიდაცია კოლონიური ჩაგრვის წინააღმდეგ, პოეტის მოწოდებისათვის ხშირად უხდებოდა წინაპართა ხსენება, რასაც თან ახლდა წარსულის იდეალიზაცია. ამდენად ეს აზრები მოწოდებაც იყო ერთგული ერთმანობისა და საყოველთაო მშობიანკენ. მეორეც, და ეს მთავარია, — ფეოდალური წყობლება მე-12 — XIII საუკუნეების საქართველოში მართლაც არ ყოფილა ისე მწვავე, როგორც შემდგომში ვახდა. ცნობილია, ბატონყმობამ როგორც ფეოდალური ურთიერთობის სასტატო ფორმამ, თავისა რელიეფურად გამოხატული სახე მიიღო მე-15 საუკუნიდან, როცა მთლიან საქართველო პოლიტიკურად და გეოგრაფიკურად უკვე დაშლილა იყო, ამ პირობებში ვაჭრა თავისუფალი მიწის მფლობელის ფენა, მოსასო უფლებებიც განსხვავება მათ შორის, უზომოდ გაზარდა საბატონო ბეგარა და მეწარმობა, დაწესდა სხვა ახალი გადასახადებიც. კიდევ უფრო შეიზღუდა გლეხთა იურიდიული უფლებები. ამას თან ერთვოდა ვარემ მტრების გამდგმებელი რბევა-თარეში, რომლისაგან მიყენებულ ზარალს მებატონეები გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებით ინახლავდნენ.

სულ სხვა სურათი იყო, მაგალითად მე-12 — 13 საუკუნეების საქართველოში, ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებასთან ერთად უმაგალითოდ განვითარდა მისი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. ამდენად სასახლეები, გზები, ხიდები, სარწყავი არხები, ტაძრები, გაიფორმდა ხელოსნობა, შეიქმნა ლიტერატურასა და ხელოვნების შედარება, რომელიც ერთი მოკვთავლობა ბუნებრივია, ქვეყანაში დავარდნილი მატერიალური და კულტურული ღირებუთით მეტნაყლებად ყველას შეეძლო ესარგებლნა, რუსთაველის ის მაღალი იდეალებიც, რომლებ-

ზედაც აკაკი ლაპარაკობს, მცოდნად დგანან თავისი ეპოქის ნიადგაზე. იდეოლოგია ხომ თავის ბაზისს ემყარება და, მამასადამე, რუსთაველის ეპოქის იდეებზე ეპოქის ბაზისის თავისებურია ანარქული უნდა იყოს!

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აკაკის სწორად უხდებოდა გამოკვლა ქართული ერის ისტორიის ფანტაზიატორთა წინაღობაზე. აქვე დავსძენთ რომ იგი ყოველთვის ერთნაირი მეცნიერული პირუთენელობით ეყრდნობდა ნებისთ თუ უხელოდ დაშვებული შეცდომების საშეკაროზე გამოტანის საქმეს.

ამ მხარე შეტად დამახასიათებელია აკაკის პოლემიკა ავადმეიკოს ნიკო შირთან.

გაკერით შევხვით აკაკის წერაღს „მცირე რამ პროფესორ შირის უკანასკნელი თხზულების გამო“. სტატიის დასაწყისში ავტორი გაკერით იხსენიებს ამ უთანხმოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აკაკისა და შირის შორის საქართველოს ისტორიის ბევრ კარდინალურ საკითხში. ამ პუბლიცისტურა მსჯელობა ზომიერადაა შეზავებული აკაკისეულ ბასრ სტილისათვის: „ჩვენს კრებულში მცირე რამ შენიშვნა დავებუდ სომეხის შესახებ და თურქი ის ეწინაა ბატონ პროფესორს, შეხება და შეხებრილდა, ახა ვაგლამეო, ვინ გაზედა ჩემი სტატუსის სხენებში! გადალენა ისტორიული მშვილდი, გამარტდა ისარი და ამოიღო ნიშნა... გამიყვირდა და, რომ გამოკერია ეს უცნაურობა— სიმდაბლათა და შირანობით წარუდგინე საბუთები. მაშინ სულ მოთმინებლად გამოვიდა და უფრო ახირდა, რა საბუთა და რისი ქვეშაირებზე? შენ რა იცი ჩვენ სამეცნიეროში გოჭს ეუდა სად აბიო, რომ სიტყვას მიბრუნებო? და სხვა“ (აკაკი წერეთელი ტომი 6, გვ. 158 — 159).

შეზგომ სტრიქონებში კი ავტორი დამსახურებული ქებით იხსენებს ნ. შირის მეცნიერულ მოსაზრებებს, რომლებიც მან გამოთქვა ნაშრომში — *Древне грузинские однопцы* (XII в.), I певец Давида строителя, II певец Тамары“ აკაკი წერს: „ეს უკანასკნელი შრომა შირთაე რომ მოსაზრნა, რვა საუღუნის განმავლობაში გადამწერლებისაგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა ბატონ შირს წესიერად აღუდგენია და შესაფერის ლექსიკონიც ჩაერთავს“ (იქვე, გ. 159) და მინც წერაღში მოუბრუნებლად გამოთქმულ საფუძვლიანი შენიშვნები ნ. შირის შრომის ხარეზებისა და შეცდომების მიმართ, რომელთაც აკაკი უპირისპირებს საკეთარ მოსაზრებებს.

არქეოლოგიისათვის გამართულ ქართულ წარმოდგენაზე წარმოთქმულ შინაარსიან სიტყ-

ვაში, რომელიც თავის დროზე ცალკე სტატიად დაისტამბა, აკაკი საქართველოს ბედს მხატვრულად აღარებს პრომეთეოსის, ივერე ქიტიანის ბედს: უსსოვარ დროიდან, ვეფხე იქიტიანს შავი ყორანა, საქართველოს მტრების ურუხები გუნდები გულ-ღვიძლს უკოტნიდნენ, მგვრამ რაღაც სასწაუღებრივი ძალებით იგი მინც ინარჩუნებდა სიცოცხლეს და არა თუ ინარჩუნებდა, აშენებდა და ქმნიდა, ბევრჯერ მესრსაც აელბდა თავგასულ მომხდურებს...

დროთა მსვლელობაში წარსული დადების მოწამე ბევრი ნაშთი მიწის ღრმა ფენებში მოექცა. მათ ამოწურებას, დამუშავებას და აქტივოგაიერ შეზღუდავას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, სწორედ ეს შირია ვატარებელი ქვემოთ მოტანილ სიტყვებში: „ქართველებს ცხოვრებაში ბევრი სხვადასხვა დროები ყოფილა, ღირსი სამეცნიეროდ შეზავებისა და საჭირო არა თუ მარტო კავსიის და საქართველოს, თვით მათელი ისტორიისათვის. — მგვრამ ის ნიშნები და ის ნაშთები ჯერ ღარბად არიან ნანგრევებში ჩამარხულა და მიბნელებულა. მეცნიერნი დღეს თქვენ მოსულხანთ მისთვის, რომ გასჩხრიკოთ ნანგრევები, ამოაღოთ იქიდან ის ნაშთები და შემოფხვროთ მათი შეტი მეცნიერებს.“ (აკაკი წერეთელი, ტომი 6, გვ. 167).

როგორც ცნობილია, ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ქართულმა არქეოლოგიებმა მეცნიერებაშიც, ამაში თვალნათლივ დაგვიარწმუნებს საქართველოს სიძველესადაცემში შენახული აუარხელი მატრიალური კულტურის ძეგლებისა და მათ საფუძველზე გამოქვეყნებულა მეცნიერული შრომების უბრალო თვალის გადალუბაც კომ პერიოდში კი, როცა პოტი არქეოლოგებს ამ საბატო საქმეებისაყენ მოუწოდებდა, ქართული არქეოლოგიები სკოლა, თითქმის, არც კი არსებობდა.

აკაკის მიერ თვალაში წარმოთქმული სიტყვათვის, ფორმით ორატორული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშადაა მიჩნეული. მგვრამ იგი მარტო ამ ღირსებით არღი ბრწყინავს. ცნობილია, რომ ამ სიტყვის გაცნობამ უსაზღვრო აღტაცებაში მოიყვანა მეორე ჩვენი დიდი მამულაშვილი ილია ჭავჭავაძე. და ეს იმითომ, რომ მასში უბადლო ოსტატობითაა დახასიათებული შრავალ ქამთა სიძველა და ქართველებში გამოვლელი ქართული ერის გმირული თავგადასავალი. სიტყვის წაითებისას, დიდი ილიას არ იყოს, მართლაც ვერ იტყვით — რომელი რომელს ამჯობინოთ — სიტყვას ანბი, თუ ანბს სიტყვა. განა ვინმეს უყუთსად გამოუხატავს ეს ქვეშაირება: „ჩვენს სამშობლოში მასთანა აღებულზე ფებს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენის წინაარბის ძელებით არ იყოს დაბოხებულა

და მათის სისხლით დაშალი, — ისე ლექსი პურს ვერ ჩავიდებთ პარში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწალი არ ჩავყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავუღამათ, რომ შიგ ჩვენი თავგანწირულ გმირების სისხლიც არ ვრთოსა“. (ავაგი წერეთელი, ტომი 6, გვ. 73).

საქართველოს ამერეთ-იმერეთისა და მთაში მოსახლე ყველა ქართველი ტომის შვერთება-შემტკიცების იდეა ავაციის უოველთვის მიანდა პირველი რაგის დიდ ეროვნულ ამოცანად. ამი-ში პოეტის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად მტკიცედ გავრწმუნებს მისა წერილების გაც-ნობაც ერთი ასეთი ხასიათის წერილთაგანია — „უბრალო სუბაჩი“ (ასეთი სათურით ავაცი მრავალი წერილი აქვს გამოქვეყნებული, ამიტომ უნდა შევნიშნოთ: ლაპარაკია ავაციის კრებულის 1899 წლის № 1-ში დაბეჭდილ წერილზე). ეს სტატია უმთავრესად საზღვრდება და მეგრე-ლებს შეეხება. მასში მოხდენილია ვაგმოცე-მული იმ დეტქს მნიშვნელობა, რომ მეგრელებ-ში (იმ უტყველსა ქართველმა ტომმა) მთელი თავისი მშვენიებით შემოინახეს საუკეთესო ეროვნული თვისებები და ტრადიციები. ავაცი ამასთან დაკავშირებით დაუწვლილად ამბობ-ებს უოველა ჯერის უმეცარ ნილიოსტებს, რომლებიც თავიანთი უმეცრებით იქამდე მიდი-ოდნენ, რომ მეგრელების ქართველობას უარ-ყოფდნენ.

ზედმეტ არ იქნება თუ აქ მოვიტანთ საგმოდ კრებულ ამონაწერს: „თუ არ მხაყვრობა და უფნე-რობა, გონიერება და სპართლე იმ ს ევრ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყნ და მეგრულიც ძირითადი ქართული!... ძველად კოლხეთი ანუ ბერძნების კოლხიდა, ეს დღევან-დელი სამეგრელო, უმტკიცესი და უკეთესი ნა-წილი იყო მთლიანად საქართველოსი, მაშინ, როდესაც ამერ-იმერთა მეფეები, აღხზთან მუ-ფეებად იწოდებოდნენ როდესაც მონღოლობამ საქართველო დასპარა და ერთიანი საქართვე-ლო არ სამეფოდ, იმერ-ამერად გაჰყო, მაშინ პატარ-პატარა საერისთაობებამაც დამოუკიდებ-ელი მთავრობა მოიწოდოეს და მათ უფრესს და ქვეყნისათვის მარადობას გარეშე პოლიტიკამ ხელი შეუწყო. ამან გამოიწვია შა-ნაღური კინკლაობა, მშები ერთმანეთს ჩამთაშორა, მაგრამ მაშინ კიდევ არც ერთ სამთავროს, არც გუროს, არც აღხზეთს და არც სვანეთსა და არც სამეგრელოს არ დაეწყებიათ, რომ ქართველები იყნენ!... წირაბ-ალეცია, მწიგ-ნობრობა და სადარბაისლი საუბარი მათი იყო ქართული და ქართული. თავის თავის სხე-ეინმედ წარმოადგენა არ შეეძლოთ, და სხვებს რომ ეთქვათ, შეურაცხყოფათა და გაყიცივთ მიიღებდნენ. მართალია, ერთმანეთში ხშირად მჭონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ

ავიწყდებოდათ თავისი ერთობობა, სისხლ-ხორციობა და აკვირის ვაუწყებლობა (ავაგი წერეთელი, ტომი 6, გვ. 340) **საქართველო**
 მრავალ სხვა საინტერესო მხარეებთან ერთად დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ავაციის ლექციებში „ეფესის ტყაოსნის“ შესახებ. ჩვენ არ შევებებით აქ პოეტის მიერ გა-მოთქმული შეხედულებების ლიტერატურულ განხილვას — ამაზე თავის დროზე ბევრა თქმელა და დაწერია. ცნობილია ისიც, რომ ილიამ არ გაიზიარა ლექციების დედაზარი, — ვიტყვით მხოლოდ, რომ ავაციმ შეუვალი არგუ-მენტებით დაასაბუთა ის ქვეშაობიტება, რომ „ეფესის ტყაოსნი“ გმირების ქართველობის მტკიცებით სრულწესობაც არ მტარდებოდა მათ საკაცობრიო ღირსებები და, მაშასადამე, არც პოემის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა. (ი. ავაციის პასუხი ილიასადმი). ამასთან დაკავში-რებით უნდა აღინიშნოს: ავაცი იყო პირველი რუსთველოლოგი, რომელმაც დაამტკიცა, რომ „ეფესის ტყაოსანი“ არის ორიგინალური ქარ-თული ნაწარმოები.
ნიშნავია მხატვრის ბრწყინვალე კომპოზიციო-
რი ოსტატობა და ფერთა ხილება. ამ მხრივ
დიდ ყურადღებას იქცევს ტალა „იმერეთის
პეიზაჟი“ სადაც ხეობებით, ბორცვებთანა
გორაკებით დაფარული მიდამო, რომელიც
ქართული მთადაბარის ერთობლივ სურათს
იძლევა, მზით გაქდნული მწვანე ფე-
რით არის დაფარული. მწვანე ფერის დიფს-

რღებელი ლევილი თანდათან ღერჯ ტონებში გადადის და მთელ მიღამის ლარიკულ ელფერს აძლევს. მხატვრის კომპოზიციური ნიჭი და ფერათა მგრძნობელობა კიდევ მეტი ძალით არის ნაჩვენები „ზამთარში“ სადაც თეთრი თოვლი საბანოეთ გადაფენია გორაკებზე მოთავსებულ მშრომელთა უბანს. მცხოვრებლებს, ამ მზიან ზამთრის დღეში, სარეცხი გაუფენიათ. მხატვარი სარეცხის კონტრასტულ ფერებს ოსტატურად იყენებს და ერთფეროვან თეთრ მიღამის დაურსლებელი მრავალფეროვანი ტონალობით ავსებს. მათერბელი დიდ ესთეტიურ სიამოვნებას განიცდის.

დამახასიათებელია, რომ მხატვარი მიღწეული წარმატებით არ კმაყოფილდება და მუდამიანი განაგრძობს ძიებას ქართული პეიზაჟის „სულის“ მოსაძებლად. მისი ეტიუდები „გომბორის უღელტეხილზე“ და „აქეთი“ ამ ძიების საგულასში შედეგს წარმოადგენს. კავბაძისებური მკვეთრი თვალთ და მხატვრული ინტუიციით არის დანახული კახეთის ბუნება. ამ ეტიუდებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მალე ჩვენ ენახილავთ დიდ ტილოს სადაც, მთელი თავისი მრავალფეროვანებით და თავისებურებებით, ამტყვევებდა საქართველოს ბუნება.

ქართული პეიზაჟი დიდად აღლევებს ჩვენს მხატვრებს. გამოფენების თითქმის ორ მესამედს „პეიზაჟები“ შეადგენენ ხოლმე. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ქართული ბუნების ნამდვილი სურათი, ჯერაც არ შექმნილა. დღემდე არ არის გამოვლენებული ჩვენი მხატვრების შემოქმედებაში ის თავისებურება და შინაგანი ძალა, რომელიც ამ ბუნებას ახასიათებს.

ამიტომ, უადგაო სარ იქნება თუ ვაყრიათ ამ საკითხსა შეეხებით და მკითხველს უცრადლებას ცოტა ხნით მასზედაც შევანებებით.

მრავალსაუკუნოანი ცხოვრების მანძილზე, ქართული ხალხი ისე შეეგუა და შეეზარდა ციად ატყორცნილ მთებ, მუქი ტყით დაბურულ ხეობებს, ამ ხეობებში გიჟური სისწრაფით მომდინარე წყლებს, ზღვის ჭაობიან დაბლობებს და ალაგალაგ ვადახსრულ მინდვრებსა და ქედებს, რომ ამ ბუნების ვარეშე სიცოცხლეც წარმოუდგენლად ეჩვენება.

მრავალი მსხვერპლი გაიღეს ქართველებმა ამ მიწაყლის დასაცავად და არა ნაკლები ოფლიადღვარეს მის ასათვისებლად. ყოველივე ამან ქართული ხალხის ვარეგნობის და ხასიათის ნამოყალიბებაზე ღრმადი დაამწინა, ვაკი-ვა და ჩაუნერგა ის ძალა, რომლითაც შეუპოვარ და უთანასწორო ბრძოლებში თავისი მიწაყალია გადაარჩინა მომხდურ მტაცებლებიდან.

ჩვენი წინაპრები თავისი საცხოვრებელი სახლებსა, მონუმენტური ტაძრებსა და ციხეების არქიტექტურულ ანსამბლისათვის მუდამ ითვალისწინებდნენ სამშობლოს პეიზაჟს.

ვთავს უკვდავ ლექსებში და სიმღერებში, ვახზეგის ამაღლევებელ მოფხრებებში და მთელ რიგ ქართველ კლასიკოსებში წარწერებში, ქართული ბუნება თავისი მრავალფეროვნებით და სიმღერით არის წარმოადგენილი. ქართული სახეითი ხელოვნება ამ მხრივ მუდამ წამოირჩებოდა. ხშირად ჩვენი მხატვრები მზის სხივებით გაგლენილ ქართულ ბუნებას, ამათში უცხოელი დიდი ოსტატის გავლენით ხატავენ და ვერ ამჩნევენ, რომ ქართულ ბუნებას საყუთარი პაერს, საყუთარი ვახიოისუნება აქვს, რაც თავისებურ ელფერს აძლევს საგნებს, ადამიანებს და მიღამს.

თავის დროზე ქართული პეიზაჟის შექმნაზე ბევრს მუშაობდა ჩვენი „პერადევიჩია“ ალ. მრველიშვილი, რომელმაც სცადა ჯვარში სამხატვრო ატლევის მოწუზობა და იქიდან ქართული პეიზაჟის შექმნა, პეიზაჟის პრობლემით ფინტერესებულ იყვნენ აგრეთვე როგორც უფროის თაობის (გ. ვახაშვილი, მ. თოიძე, ვ. სიღამონ-ერისთავი), აგრეთვე უმცროსი თაობის (დ. კაკაბაძე, ალ. ციმაყურიძე, მ. შიშალაძე) მხატვრები. მათ შორის ნაწილობრივად მხოლოდ დ. კაკაბაძემ შესძლო ქართული პეიზაჟის (იმერეთის) საიდუმლოების გასსნა და მისი მხატვრული განსაზღვრება.

დიდი ადგილი ეკვია გამოფენაზე პორტრეტულ შემოქმედებას. ვანსაკუთრებით საყურადღებო იყო ჩვენი გამოჩენილი პორტრეტისტის ქეთი მალალაშვილის მხატვრობა. ყველა კარგად იცნობს ამ მხატვრის მიერ შექმნილი ჩვენი მოწინავე ადამიანების, მწერლების, მხატვრების, საზოგადო მოღვაწეების და კომუნისტური მშენებლების ვიროთა პორტრეტებს. ამ სახეებში ინდივიდუალურ მსგავსებასთან ერთად გავმოცემულია ზოგად-ადამიანური თვისებები, ჩვენი ეპოქის ხასიათი და მატის-ციმე. გამოფენილ პორტრეტებს შორის (ელ. ახლუაფია, თ. ლობაძე, გ. ცერაძე, ლ. იშხნელი, ნ. ჩიქოვანი, ელ. ვირსალაძე, რამიშვილი, და სხვ.) გვინდა შევჩერდეთ ჩვენი ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის მ. ხიდაშელის პორტრეტზე რომელმაც საზოგადოების ყველაზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

მხატვრის ამ პორტრეტის სრულსაყოფად მოუნახავს მეტყველი საშუალებანი და ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილის ლამაზ ვარეგნობასთან ერთად მოცუდა მისი სულფერი სიმოდღარ და ეპოქის ხასიათი.

ნეიტრალურ ფონზე გამოსახულია მეტად კოლორიტული ვოკონა, რომლის სანდომიან სახეს კიდევ უფრო ასხივოსნებს შავი სამოსი, რომლითაც მხატვარი ხაზს უსვამს მისი სახის პროპორციებს და ტანწირწეტობას. მწუკობრი ვერტიკალთ კიდევ უფრო წარმოსადგება ხდის მის თეთრ სახეს, ჩაჟიქრებულ და დაკრირებულ თვალებს. ეს თვალები საყუსა შინაგანი

ხედვით და ღრმა შეტყვევებით. ფერებს თავდაპირველი გამოყენება მხატვარს საშუალებას აძლევს უფრო აამბუცველოს პორტრეტი, და მისი ხანითი გაგაცნოს. ბრწყინვალე დაწერილი ხელები კიდევ უფრო ახსებს ამ გოგონას ხასიათს. ჩვენს თვალწინ დგას სათუთი და იმავე ღრის ანჩხლი, ოღონე შემკრთალა და თან ქედმაღალი ქალაშვალა, რომელიც ფიქრს მისცემია. მისი შინაგანი ხედვა ამ ქალწულის რთულ ბუნებას უფრო მკვეთრად ამბუცველებს და თანამედროვეობის გრძნობას არტისტულად ამხვილებს. მხატვრის სხვა პორტრეტებშიაც მენტაკლები ღირსებით არის გამოვლინებული ასეთი ტიპური თავისებურებანი და ეპოქის სუნტვა.

ზევთ ჩვენ გავრით აღვნიშნეთ, რომ ფოტომეგნაჟური ტექნიკის განვითარება ახლებურად აყენებს პორტრეტის საკითხს. ეს საკითხი უმთავრესად შეეხება პორტრეტის დოკუმენტური და ზედამირული მსგავსების გადმოცემას რომელსაც დღეს ზედმიწევნით ასრულებს ფოტოაპარატი. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პორტრეტულ შემოქმედებას იგვეთმოვლინოს, რაც ბატალერს თუ პორტრეტის მთავარ ამოცანად მართო ზედამირულ მსგავსებას დავსახავთ, ცხადია, რომ მხატვარი მექანიკურ აპარატს კონკურენციას ვერ გაუწევს და ის მოიპოვებს როგორც სახეითი ხელოვნების ცალკე დარგა, მაგრამ პორტრეტისტი მხატვრული ამოცანა მართო მსგავსების დაღვით არ შემოიფარგლება. ასე რომ იფოს მამინ მხოლოდ ისეთი პორტრეტის ღირსებაზე შეიძლება საუბარი, რომლის ობიექტსაც ჩვენ ვიცნობთ, შეგვიძლია პორტრეტის შედარება ორიგინალთან. ხოლო ვინც არ იცნობს პორტრეტზე გამოსახულ ადამიანს მისთვის მას არ ექნება ღირებულება. საბედნიეროდ სანამდვილეში ასე არ არის, ჩვენ ვხედავთ, რომ როდესაც კვამარიტ მხატვრულ პორტრეტს ვუცქერით ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის ვიცნობთ თუ არა პორტრეტზე გამოსახულ ადამიანს, არამედ ის თუ როგორი ოსტატობით არის შესრულებული პორტრეტი. ჩვენ შეიძლება აღტაცებაში მოვვიყვანოს ისეთი ადამიანის პორტრეტმა რომელსაც არც კი ვიცნობთ, ხოლო სრული გულრილობა გამოვინიშნათ ჩვენთვის ყარგად ნაცნობი ადამიანის პორტრეტის ხილის დროს, სადაც ინდივიდუალური მსგავსება ზედმიწევნით და ცოცხლად იქნება დატული.

ასე რომ მართო მსგავსება არ განსაზღვრავს პორტრეტის მხატვრულ ღირებულებას. თუ პორტრეტს აქვს მხოლოდ დოკუმენტური ანუ იკონოგრაფიული მნიშვნელობა, მაშინ ისეთ პორტრეტს არაფერი აქვს საერთო მხატვრობასთან, მისი შესრულება ფოტოს საშუალებითაც შეიძლება. არსებობს მეორე ნაირი

მსგავსება, მხატვრული მსგავსება, სადაც მთავარი ურადლება ესთეტიკურ მხარეს ექცევა, სადაც საკმაო დამაჯერებლობით არც გადმოცემული საერთო საკაცობრიო, ტიპური ელემენტები. ასეთი პორტრეტის ხილის დროს ჩვენ შინაგანად ეგრძობთ მის მსგავსებას ორიგინალთან, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ორიგინალს არც კი ვიცნობდეთ. როგორ ხდება ეს როგორ შეიძლება ორიგინალს არ ვიცნობდეთ და ორიგინალი დავინახოთ? ეს მხატვრული საიდუმლოება დამყარებული მაღალი ნიჭის განკურებისა და ხილის უნარზე, რომელიც დამყარებულია იმ შეგნებაზე, რომ ადამიანებს შორის მეტია საერთო მსგავსება ვიდრე განსხვავება. მაღალი ნიჭითა და გრძნობით დაწერილი პორტრეტი უფრო „შემოქმედებითი ხილვა“ ვიდრე მოდელის ნიღბ აფარებული საიდუმლოდობის ასლი. მხატვრული პორტრეტი ნიშნავს შემოქმედებითი განსაზღვრებას და არა პასიურ გამოსახებას. ამით აიხსნება, რომ ჩვენ დღესაც აღტაცებაში მოვდევართ პორტრეტის დიდი კლასიკების შემოქმედებით. მათ მიერ შექმნილ პორტრეტებში ჩვენ ვხედავთ საერთო, საკაცობრიო გრძნობებსა და იდეალებს, ისტორიას და ეპოქას, ვხედავთ ყველასათვის გასაგებ და თათქოს ნაცნობ ტიპებს.

როდესაც ამ თვალსაზრისით ვუდგებით გამოფენაზე გამოტანილ პორტრეტებს ვხედავთ, რომ მათში ნაკლებათ საიის გამოვლინებული პორტრეტული შემოქმედების ეს თვისებები და ისინი უფრო ობიექტის შეფერადებულ ასლებს წარმოადგენენ ვიდრე მხატვრული ხილის ნაყოფს.

ამ წერილში არაფერს ვამბობთ ჩვენს გამოჩენილ მხატვრისა და მოქანდაკის თამარ აბაქელიას შემოქმედებაზე, რომელიც ისევე ბრწყინვალედ გამოიყურებოდა როგორც წარსულში. მათზე ზეური გვითქვამს და გვიწერია ამიტომ აღარ გავიმეორებთ ნათქვამს.

გამოფენაზე საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა ნათელა ინაშვილის პორტრეტული შემოქმედება, რომელმაც სამართლიანად მიიპყრო საზოგადოების ურადლება და გრძობარი მოწონებაც დაიმსახურა.

როგორც სჩანს პორტრეტულ შემოქმედებაში მხატვარი უარყოფს აკადემიურ გზას და გამოსახებს ახალ ზერხებს ქებას. ეს ძიება უმთავრესად მისი ნაშუშვიძის კოლორიტულ ფერადობას ემჩნევა. ამ გზით ის ზოგიერ ყარგ შედეგაც აღწევს, განსაკუთრებით მაშინ როდესაც რეალისტურად შეტყვევებს და ფერთა შეხამებაში შეტ თავდაპირვლობას იჩენს. (მაგალითად „გელდიაშვილის პორტრეტი“) ამ პორტრეტმა, მსგავსებასთან ერთად, მხატვარი თანამედროვე მანდილოსნის განზოგადებულ სახესაც იძლევა.

ფერთა გაბედული გამოყენებით შთაბეჭდილებას ახდენენ აგრეთვე მისი სხვა პორტრეტებიც, მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ „გაბედული“ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გაბედულება ყოველთვის გამარჯვებას ნიშნავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მხატვრის თვალი ბევრად უფრო მგრძნობიარეა ფერებისადმი, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის. თუ მხატვარი ამ უპირატესობას ფართო ვასაქნის მიხედვით თავის შემოქმედებაში და ფერთა მგრძნობელობას ისე ამეტყველებს, რომ მისი ათვისება შეუძლებელი გახდება ჩვეულებრივი მკურნებლისათვის, ზოგჯერ მხატვრისათვისაც კი, მაშინ შემოქმედება კარგეს აზრს. ამიტომ ფორმალური მხარის პორტრეტ გამოყენებამ შეიძლება მხატვარი მიიყვანოს იქამდე, რომ მისი შემოქმედება ზედმეტი გახდეს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ ნ. იანჭყელიას შემოქმედება ამ კუთხიდან შევაფასოთ, პირიქით: მისა ფერთა მგრძნობელობა და მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალური ხელი, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უფროდ საინტერესო მხატვართან და ამავე დროს ვაფრთხილებთ მას არ გადაუხვიოს რეალისტური მეტყველებიდან და „ფერთა თამაშის“ ტყუილობაში არ აღმოჩნდეს.

ნელი ჩიჭოვანის პორტრეტები და ეტიუდები მხატვრის ფაქტ გემოვნებაზე და პროფესიულ ოსტატობაზე ლაპარაკობენ. ვფიქრობთ უფრო მეტყველი იქნება მისი ინდივიდუალური ხელი და მხატვრული მეტყველება, თუ ის მეტ გამბედაობას გამოიჩინს ახლის ძიებაში და უფრო მკაფიოდ დაეკავშირდება აწმყოს.

ზოგიერთი ჩვენი მხატვარი ამ გამოყენებაზე წარმოდგენილი იყო არაერთხელ გამოყენილი სურათით, რომელთა შესახებ საყმოდ თქმულა და დამერილა. ასე მაგალითად ნ. ფალავანდიშვილის და თ. ლბრძაძის გრძნობით დამწერილი ჩანახატები არც ერთხელ გვინახავს და გვითქვამს, რომ მათი შემოქმედება კარგა და პაეროვანი.

ბ. გუბერის სენანთით ვატყუების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ერთი კოცხადია, რომ „უკან ხედვა“ კარგს არაფერს მოგვტანს. სენანტი კომედი უფრო ეთნოგრაფიული რეკვიზიტია ვიდრე თანამედროვეობის ხილვა. უმჯობესი იქნებოდა, რომ მხატვრის ოსტატური ხელი ახალი სენანთის ვალმოყვებაში გვენახა.

ასევე ბერძენურ ვინახავს ე.ე. ბალდავანის ფერტიერა და ყოველთვის იმ აზრის გყოფილვართ, რომ მხატვარი ფერისა და კომპოზიციის კარგი ოსტატია, ნაყოფიერადაც მუშაობს, მაგრამ ბოლო დროს უკვე ერთხელ ნაბიჯს ფერთა ხილვამ და გამოუმჯობესებულმა ტექნიკამ ერთფეროვნების დალი დაასვა მის კლორიტულ შემოქმედებას, სიახლის გრძნობა დაუ-

კარგა მას. გვიკ არ გვეპარება, რომ ის ამ ერთფეროვნებას დასაძლევს და ახლებერად ამეტყველებს თავის პალიტრასში.

რ. ჯავრიშვილის გრძნობით გამოყენებული მკვირვებებიდან გამოირჩეოდა „მცხეთა“, როგორც კომპოზიციური სიახლით ისე შესრულებით. კარგი იყო მ. თარიშვილის „სილნალი“, ნ. თამაშვილის „ნატურმორტები“, ნ. კანდელაკის „სოსხტის პლაჟე“, ე. გრიგოლიას აქვარებები, ე. ბელუცაიას დალესტანის ჩანახატები, ე. თედამვილის ლითოგრაფიები, დ. ნიდიას „მათურა“, თემანიშვილის „აზარი თბილისში“, გ. ქუთათელაძის „პლაჟე“ და მთელი რიგი ძველი ლიტერატურის მონღვემთა გრაფიული ფერადი პორტრეტები (მხატ. ნ. ბრაილშვილი), ოსტატურად შესრულებული ძველი საერო ხელნაწერების ილუსტრაციების ასლები (მხატ. ს. შირაშვილი) და ძველი ქართული ორნამენტების ნიმუშები (მხატ. შვეიაკოვა).

გამოყენებაზე გამოირჩეოდა და სამართლიანი ყურადღებაც დაიმსახურა ე. ბუნიაშვილის „ჩინეთის მოტივებმა“.

რამდენიმე სიტყვით გვირდა შევეხოთ ახალგაზრდა მხატვრის ბ. ბერძენიშვილის თავისებურ ხელს და მის ახლის ძიებას. მის დეკორატიულ „ნატურმორტებში“ ცოცხლად იყო გადმოცემული ქართული ხელსაქმის საგნები. ამ კომპოზიციებში საგნების ლამაზიანი განლაგება და სისიამოვნო კოლორიტული ჩრდილშეტი ტექნიკური ოსტატობით და გემოვნებით იყო გამოვლენილი. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ მხატვარს ქართულ „ნატურმორტის“ ენაში ერთგვარი სიახლე შეაქვს. სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით მის სურათებზე: „წყაროსთან“ და „ქართული ქალები“. ამ მანკერ სტილიზატორულ ვარჯიშს ვერც ფერწერას დაეარქმევთ და ვერც ხელსაქმის ეკონებს ვერწოდებთ. ეს ვარჯიშობა უნდა გათავალისწინოს მხატვარმა და თავის ნიჭს შესთვრი რეალისტური ფორმა გამოენახოს და სალი გრძნობებით ამეტყველოს.

ამ გამოყენების ექსპოზიციამი შემთხვევით ვერ მოხვდა ეთ. ანდრონიკაშვილის ორი გრაფიული პეიზაჟი, სადაც ბერძენ უფრო მკვეთრად და თანადროულად არის წარმოდგენილი მხატვრის საყთარი ხელი და თანამედროვეობის გრძნობა, ვიდრე იმ კომპოზიციებში რომლებიც გამოყენებულ იყო. იმ ორ სურათიდან ერთი არბის გაყვანას შეეხება, მეორე ქობების ამოშრობას. პირველი ჩვენ ვხედავთ, მზით ვადამწერარ ყამირზე აღმართულ მაღალი დენის ანძას, რომლის გვერდით საბჭოთა ადამიანებს არხი გაუყვანიათ. მკურნებელი გრძნობს, რომ მალე ამ გადახატულ მიდამოებს წყალი შორწყავს და ადამიანი შრომის ნაყოფს მიიღებს. კარგათ არის დაეკავშირებული ანძა

არხთან, რაც ბუნებრივად ეხმარება ჩვენს ეპოქას. მეორე სერიაში საბჭოთა ადამიანების გამაღებელი შრომა მიმდინარეობს. ისინი თანამედროვე ტექნიკის დახმარებით ქაობებს აწრთებენ და ამ ქაობების მკვიდრ უანებს მოსვენებას უღრთობენ. წინა პლანზე დაბატვლია ველმოღობელი უანა, რომელიც გაკვირვებით უყურებს დაუპატივებელ სტუმრებს, თითქოს გრძნობს რომ დადგა მისი მუდროების აღსასრული. ჩვენი ფიქრით მხატვარმა შესძლო ჩვენი პეიზაჟის ახალი თვლით დანახვა და მისი მხატვრული გადმოცემა. ეს მისაღებელია.

დასასრულ, ერთხელ კიდევ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო და ხაზი გავუსვა იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელსაც იდგელი აქვს ხოლმე ჩვენს გამოფენებზე და საბედნიეროდ ამ გამოფენაზე ეს ნაელი ნაწილობრივ გამოსწორებული იყო.

მე ვლანაკობ სახვით ხელოვნების იმ დარგზე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ცხოვრებასათვის ვიდრე არის ფერწერა და ქანდაკება. ეს დარგი არის წიგნისა და ნაბეჭდი პროდუქციის გრაფიკა. ზედმეტია იმაზე საუბარი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ლამაზად გაფორმებულ წიგნსა და მის ლაზათთან შექმობას. მილიონობით ადამიანები კითხულობენ ამ წიგნებს და მათი მხატვრული სახის ზეგავლენით უმუშაოდებთ მათ ესთეტიკური გემოვნება. ამ თვალსაზრისით უთუოდ სასიამოვნო იყო ჩვენი ცნობილი წიგნის მხატვრის ი. დიონოგორცევა-გრიგოლის შემოქმედების უშუალოდ გაცნობა. დიდი ხანია რაც ეს მხატვარი ბეჯითად და პასუხისმგებლობის შეგნებით ემსახურება ქართულ წიგნს, მის შროსა და ლაზათს. ის კარგი ოს-

ტატია წიგნის ყდების, ორნამენტული და სიუეტური თავსაქაულების, ტიტულუბისა და ილუსტრაციული ხელოვნების მკვლევარს შედგებას შეუდგებოდეს საფუძვლიანად ეცნობა წიგნის შინაარსს, ეს სწავნის მის მიერ შექმნილ ყდებიდან და თავსაქაულებიდან, მათი გაზარება მუდამ წიგნის შინაარსთან არის დაკავშირებული.

ამ ოსტატის ნაშრომების გაცნობა არა რეპროდუქციების, არამედ ორიგინალების მიხედვით ერთხელ კიდევ გვიჩვენებს თუ რამდენად ზამორჩენილია ჩვენი პოლიგრაფიული საშუალებანი, რამდენად დიდი განსხვავება არსებობს ორიგინალსა და რეპროდუქციის შორის. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მხატვრის მიერ შესრულებული „სპარტაკის“, „ფარაონის“, „ღმერთების სწყურიათ“, „ამაობის ბაზარის“, „ლაშვი შეგობარის“, „მამულეის“, და სხვა ნაწარმოებთა ორიგინალების შედარება მათ რეპროდუქციებთან, სადაც დაკარგულია მხატვრის მიერ გემოვნებით შეზავებული ფერები, დაწვეტილია ელასტიური გრაფიკული ხაზები, შეცვლილია კომპოზიციები.

ეს გარემოება გვაიძულებს ერთხელ კიდევ ვთქვათ, რომ მტვი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი წიგნების ოსტატების შემოქმედებას და თავისებურ მხატვრულ გემოვნებას, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია პოლიგრაფიულ წარმოებაზე.

გამოფენა აპრილის სამში დაიხტრა. ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოფენამ გამოიწვია მაჩვენებელია საქართველოს მხატვარ ქალთა შემოქმედებითი მრავალფეროვნების, მხატვრული ტალანტის და იმ სიყვარულისა, რომელიც მათ აქვთ სახვით ხელოვნებისადმი.



საქართველოს ახალგაზრდა მხატვრებმა გამოფენა

საქართველოს ახალგაზრდა მხატვრებისა და მოქანდაკეების გამოფენა, რომელიც თბილისში იყო გახსნილი თებერვლის თვეში, რუსუბელიის ენობურულ ცხოვრებისა და, კერძოდ, ქართულ სახეობი ხელოვნების ისტორიაში ფრიალ საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ამ გამოფენამ არა მარტო გამოამჟღავნა ის, თუ რა წარმატებები და მიღწევები აქვს დღეს ჩვენს მხატვრულ ახალგაზრდობას, არამედ ეს იყო აგრეთვე ფართო ჩვენება იმისა თუ რა შესაძლებლობანი აქვთ ჩვენს მხატვრებს მომავალში.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე დაჯილდოებულია მხატვრული ნიჭით, ქართველ ახალგაზრდობის სისხლში სამხრეთული ცეცხლი ლვითის, ხელოსნობა და „ოინაზობა“ უცხო მისთვის. გამოფენამ გამოამჟღავნა მისი მონაწილეების ტლანტი, არჩვეულებრივი ოსტატობა და პროფესიონალიზმი, ახალგაზრდები ერთიანი უნარით დაუფლებული არიან ზეთის საღებავის ტექნიკას, ტემპერას, გუმას, აჭვარულს, ფანქარს, ტერაკოტას, მარმარილოს, თაბაშირს და სხვ.

ყველა ნამუშევარი არაა მალაღი ოსტატობით შესრულებული, ყველა ძიება როდია წარმატებით დასრულებული და განხორციელებული, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ასეთია: საქართველოს ხელოვნება საიმედო შევსებას მიიღებს. ვეახსენდება ვასელი საუკუნის დასასრული, თუ როგორ ხედებოდა მაყურებელი მაშინ ფერწერის ახალ ნაწარმოებებს: ჯერ ველგრლობა, შემდეგ სასტიკი პროტესტი და დაცივნა. სურათების წინ შეყრილი მათერებლების ჯგუფებიდან მოისმოდა წამოძახილები, სიცილი, ხუმრობა, ვაიარა რაღვენიმე ათუელში წელმა და იგივე სურათები ახლა ამშვენებენ მსოფლიოს მუზეუმებს და არც ერთ მაყურებელში არ იწვევს გაკვირვებას, და თუ იწვევს, მხოლოდ აღტაცებულ გაკვირვებას. სეზანის, გოგენის, მატისის და სხვათა ტილოები დაკუთლა ლერწმში (პარიზი), ხელოვნების ნაციონალური გალერეაში (ნიუ იორკი) და პეშინის სახელობის სახეობი ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი).

ღროა ხელოვნების მოყვარულმა ადამიანებმა შეიგნონ და გაიგონ, სურთ ეს მათ თუ არა, რომ ფერწერა ცხოვრებით საზრდოობს და არა დოგმებით და წახსელის კანონებით. რაც დი-

დებული და აუცილებელი იყო მე-16 და მე-17 საუკუნეებში, არ იყო გამოვრბული მე-19 და მე-20 საუკუნეებში. ამ საქირთ არაა ფერწერის ყველა სკოლები დამომართლებანი დავასახელოთ. ცხოვრება ახლეუბა და ვითარდება, ასევე იცვლება და ვითარდება სახეობი ხელოვნებაც.

აქაც, ამ გამოფენაზე ზოგჯერ ჩვენ ვესმენია ახალგაზრდა მხატვრების მიმართ უსაფუძლო კრიტიკა და მეცხე სიტყვები. ჩვენ ამას ახლა არ გამოუდგებოთ. უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდობა არ გაყვა გათელილ გზას, მისთვის უცხოა თვითმკაცროფილება და შაბლონი, იგი ეძებს ახალ ფორმებს თავისი მისწრაფებების გამოსახატავად, გაბედულ, მახვილ და მეტყველ ფორმებს. ახალგაზრდობა ეძებს ფერების ახალ შეხამებას და ელერადობას, და ხშირად გაბედულად და წარმატებით წყვეტს დასახულ ამოცანას.

სულწაული კრიტიკოსები ზოგჯერ ბრალდებენ ახალგაზრდა მხატვრებს, რომ ვითომ მათ გადაუხვიეს სოციალისტური რეალიზმის გზას და დღევანდლობის თემატიკას უგებულებოფენ. უმართებულო ბრალდებაა! ნატურის რეალისტური აღქმა, რეალიზმი ყოველთვის იყო და დარჩება ახალგაზრდა მხატვრების უმრავლესი საშუალებების შთავარი პრინციპი.

ახალგაზრდობა აყვირდება ცხოვრებას, ეძებს ნატურას და ისეთ ხერხებს, რითაც შეიძლება უფრო მეტი სისავსით გადმოცეს ახალი ადამიანი, სოციალისტური ადამიანების ცხოველი ურთიერთობა. ახალი სოციალისტური ყოფის აღმცენებას ახალგაზრდობა სიყვარულით აკვირდება და ეს მისი სურათების ერთ-ერთი შთავარი თემად იქცა. ამავე დროს ნათლად ემჩნევა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევარს მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლა. ქართველი მხატვრების უფროსი თაობის მაცოცხლებელი გავლენა ეტყობა ზოგი ახალგაზრდის ნაწარმოებში, მემკვიდრეებმა კარგად განავითარეს წინა თაობების მხატვრებისა და მოქანდაკეების მიერ მიღწეული. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოქმედებითად ახალგაზრდობა ჯერ კიდევ ფორმირებისა და დაფაცკეების პროცესში იმყოფება. მათ წინ იშლება ფართო შესაძლებლობა ხელოვნების ყველა სახეობის დაუფლებისა. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მზრუნველობას არ იშურებს იმისათვის, რომ ახალგაზრდა მხატვრებმა მიადწინო პროგრესს და

სრულყოფის ხელოვნებაში, რადგან მტკიცედ სწამთ, რომ ხალხის შეილება გამართლებენ მათ ნდობას და ხალხს მიიღებს ხელოვნებას, რომელიც ფეხდაფეხს მისდევს სოციალისტურ მშენებლობას. საქართველოს ფერწერისათვის უცხოა დაცემულობა, და თუკი ოღესღაც მას ემჩნეოდა ასეთი რამ, ეს იყო მხოლოდ დროებითი და მონათანი მოვლენა. საქართველოს ფერწერა ჯანსაღია, ჰუმანისტური, ცხოვრების დამამკვიდრებელი, იგი ქადაგებს მშობას, მეგობრობას და მშვიდობას.

ახალგაზრდა მხატვრებმა ქართული გრაფიკული ხელოვნების ახალი ფერცული გადაშალეს. მათი ნაშრომებია მნიშვნელოვანია და ახლებურად გადმოცემს სამყაროს, ამავე დროს ისინი გვიჩვენებენ თავიანთი სიმატელები. რ. თარხან-მოურავი ცნობილია ზვეთის წინა გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული ცუკვის დინამიკური და გროტესკული გამოსახულებით ლინოლეუმზე კონტრასტულად: შავი ფიგურებით თეთრ ფონზე. მოცუქავეების მსხვილ დახასიათებამ და მხატვრის გულკეთილ ირონიულმა დამოკიდებულებამ თავისი პერსონაჟებისაღმძიმე შიშინ კარგე შთაბეჭდილება მოახდინა და მკურნებელი ინტერესით მოელოდა ნიჟიერ მხატვრის ახალ ნაშრომებს. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული ხალხური სიმღერების გრაფიკული ილუსტრაციები ახალ ორიგინალურ გამოსახველ ხერხებითაა შესრულებული. ნახატების ფონი შავია, აღმზიანის ფიგურები თეთრი ხაზებითაა შემოვლებული. თეთრი ფიგურა და მღინარისი, მთების თეთრი გამოსახულებანი შვეფონზე კარგად ითხზება და ქმნის მრავალხაზიანი სივრცის ილუზიას. მკეთობადაა გადმოცემული სიმღერების გმირების ხასიათი. ავილოთ მავალითად „თებრონე შიღის წყალზედა“. მთების ორი ხაზი მალა იკრება თეთრივე მითი, ქვეითი ასევე მარტხნივ კუთხებით თეთრი ნაკადულია. გოგონას თეთრი სახე აქვს და თეთრი ფეხები, მგტად გოგონიორად არის გამოყენებული თეთრი ფერი. გოგონასი და ქაბუცის ფიგურა კარგადაა გამოხატული. მართლაც, თითქოს სიმღერა მოისინი პატარა შავ კეარბარტიდან. „მერევენი მ პატარა ლამა“ — სახეობრა სიმღერა მკორე ფერცულზე. აღმფოთებული დედამთილისა და მამამთილის ფიგურები შესრულებულია ძუნქი თეთრი ხაზებით, რაალი კი მგტად ექსპრესიულად გამოხატული თეთრი ფიგურით შესანიშნავადაა დაკავშირებული მთელ კომპოზიციასთან. „გუშინ შვიდნი გერჯანენი“ გამოხატავს ნადირობიდან დაბრუნებულ მონადირეებს, შვიდ კაცს მოაქვს მოცული ტახი. ნახატის კომპოზიციის ძველი გამოხატულ ნადირობის სკენებს მოგვაგონებს, მაგრამ ამავე დროს მას მოაქვს რაღაც სრულიად ახალი, დანარჩენი ნახატები ასევე მარჯვედაა გადაწყვეტილი კომპოზიციურად.

ა. ანტონოვიკიასის რომანის „დიდი მოურავის“

ილუსტრაციები მხატვარ ა. ბანძელაძის მკორე შესრულებულია მისივე „არსენას სიმღერის“ ტრადიციის მიხედვით. ეს კარგა და ამავე დროს ცუდი. პირველი სერიის კარგად შექმნილი სახეები, ფერები, ფორმები, კომპოზიური ამოხსნა გამოკრებულია მკორეშიც, გამოკრება კი... იქნებ მხატვარს სურს განავითაროს ადრე მოპოვებული, ეს კარგია თუ შემოქმედებითი წინსვლა დაეკრუ, თუ გაუმკორეებულა ფორმა, ფერი და სხვ. ელსტრუბუბ ნიჟიერ მხატვარს მომავალ წარმატებას ახალ ძიებებში. ხელოვნებაში ერთ ადგილზე გაჩერება შეუწყნარებელია.

დ. ნოღია მიყვება ადრე მოძენილ გზას. ჰეათორის მოტივების ფიქსაცია შესრულებულია მეტყველი, მტკიცე ნახატით, ლაკონური დამაჯერებლობით. „შემდღებებში“ ფერის შეტანა ამდიდრებს ნიჟიერ მხატვარ-ჭალის შემოქმედებით არსენალს. მას აქვს დაკვირვების უნარი რომ ზოგიერთ ნაწარმოებში გამოხატოს სოციალისტური საზოგადოების ახალი აღმზიანება.

თუ შავი ტუში დ. ნოღიასათვის დამახასიათებელია, თულაშვილისათვის ფანქარია მთავარი. მხატვარი კარგად ფლობს ფანქარს და ქმნის თბილისის პერსპექტივის მეტყველ სურათებს. შესანიშნავია ბარათაშვილის ხიღის ნახატი, ფერების კონსტრუქციის გაბედული რაკერსი და მთაწმინდა მკორე პლანზე. წითელი ინტენსიური ფერი კარგად გადმოცემს მზის ჩასვლის მომენტს. სხვა ნახატებში ფანქარს ენერგიულად გამოიყენებს სახლებში მოხაზულობა და უველაფერი ის, რაც ახალი თბილისის არქიტექტურის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ნ. მალაზონიას პლაკატები გამოირჩევიან პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სიმახათით. „ეს აღარ გამოერდება“ — მწარე ანტიმილიტარისტული პროტესტია ომის წინააღმდეგ მიმართული. „დავიცვათ განადგურებისაგან ჩვენი ძველი ძველები“ — მოუწოდებს უველას დაიცვან საქართველოს ძველი ძველები განადგურებისაგან. მხატვარი ა. გორდელაძის სამ პლაკატს მეტყველი ნახატი ახასიათებს, თუმცა მასლის გადმოცემაში ახალი არაფერია. ზ. ლუკაიამ შექმნა ვარშავის ჩანახატების სერია, რომელიც ამდღევნებს მხატვრის დამკვირვებლობას და მასლის გადმოცემის ელტურას.

დ. ერისთავმა წარმოადგინა რამდენიმე ნამუშევარი შესრულებული ფერით. აქ გრაფიკული ნახატი ფერწერისადაა გაშლიდრებული, თუმცა გრაფიკა უფრო სჭარბობს. მხატვრის თვალი ამჩნევს ბავშვების და მოზრდილთა ხასიათის ფაქიზ, ძნელად შესამჩნევ თვისებებს (საბავშვო ბალი, ვასიკრენება). იქნებ ჯერ კიდევ არა საქმარისად მტკიცეა ნახატი, მაგრამ მხატვარი ამქვანებს მკვეთრ დაკვირვებას და თავის პერსონაჟებისაღმძიმე დიდ სიუვარულს. აქ-იქ გამოსუვივის დ. ერისთავის ზოგიერთ ნაშრომებში

ქართული ფრესკის ნაყოფიერი ტრადიცია, რაც მხატვარს გამოყენებულა აქვს ახალი მიზნების განსახორციელებლად.

ლ. ტუციჩის მიერ შესრულებულ ვაჟ ფრეველას ილუსტრაციებს ახასიათებს სინტერესო ნახატი და ვიზუალური თავისებური გაგება, მაგრამ მაინც ვერ დაკმაყოფილებს დიდი პოეტის შეთხოვლებს. ვაჟს ვიზირი დაჯილდოებული არის მქალაქი ჩახაითი, კეთილშობილებით, ვაჟაკობით. ჩვენი აზრით ტუციჩის ნახატებში სწორედ ეს თვისებები აქლიათ ვაჟს ვიზირებს.

თეგვიზ მირზაშვილმა ვაჯახარა თავისი ნახატებით. კოლორიტს და ფერის ფაქტობა გრძნობა. ლაქონერობა, მეტყველი ხაზები და ახალი ცხოვრების ორგანული შეგრძნობა — აი რა არის დამახასიათებელი ამ ნიჭიერი მხატვრის ნამუშევრებისათვის. „მეტრეოლოგიურ სადგურთან“ — უბრალო თემაა. გოგონა აწარმოებს ამინდის შესახებ მიღებული ცნობების ჩაწერას. წითლად ქვედა ტანსაცმელი და შავი ქურთუკი — ეს ორი ფერადოვანი გამა მწვანე ფონთან და თეთრ ახარატებთან ერთად შეადგენს ლაქონერობით და პარპონიულობით აღსასვლელ ერთ ფერადოვან მთლიანობას. ამავე დროს თქვენ ნახატურლით აღნიშნავთ რომ ეს გოგონა — თემა, დაეწაფა მეცნიერებას, ახალ ცხოვრებას. უბრალო სიუჟეტი, უბრალო ამოსნა და რა მრავალსმეტყველია ეს პატარა ნახატი.

მირზაშვილის ნახატები ბევრს გვიამბობენ მთიელების, კერძოდ თუშების ყოფა-ცხოვრების გამოცდაზე, ამ დიდი და კეთილსმყოფელ გარდაქმნაზე, რაც სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა ჩვენი ქვეყნის სოფელში.

რამდენიმე ახალგაზრდა ზის მწვანე მთაზე, წიგნს კითხულობს. თქვენ ვგრძნობთ ბავშვებზე უდიდეს სწრაფას ცოდნის მიღებისადმი. მირზაშვილმა შესანიშნავად შეამჩნია და გადმოსცა თავის ნახატებში ეს ახალი, რაც მძლავრად შეიქცა მთიელების სოფელში. ნახატის ლაქონერობით და მეტყველი ხაზებით მხატვარი ამაღლებულ სურათებს გვიშლის თვალიან. „წინდის მქალაქები“ — ნატურიდან ჩანახატია, აქ რამდენიმე ცხოველ ფერით მიღწეულია ფრადი გამოთ გაუღწელობის შთაბეჭდილება. „მოსავლის ცრეფა მოსი“, „სახელები მთაზე“ — სინტერესო ჩანახატებია, მხატვრის ორიგინალი და დამაჯერებელი, თავისუფალი მანერა შესრულებისა გვიხატავს სიფაქიზით და უშუალოებით. მირზაშვილი უთუოდ საიშველო ძალაა.

გ. ფირცხალავა მხატვარი, კარიკატურისტი და მოქანდაკე — ნიჭიერი მხატვარია. ყოველი მისი ნამუშევარი პროფესიულადაა შესრულებული. მათად მსხვილი კარიკატურები, რომლითაც მან საკაემრო აღიარება მოიპოვა, თბილი იუმორი, დახასიათების სიმკვეთრე — აი მისი მთავარი ნიშნები.

ბელა ბერძენიშვილი თავის ორი ნატურმორ-

ტით აგრძელებს დ. კაკაბაძის ცნობილ ნატურმორტის ტრადიციას. მხატვარი კეთილარებს და ამდიდრებს ამ ტრადიციას ფეროა შინაარსიან, განსაზღვრულ გამო, კარგი გუმრეხებით და ტაქტიით. დანარჩენ მის კომპოზიციებს ძიების პროცესი ემსწევა.

გ. ონიანი სინტერესო მოვლენა ხელმოგება. მოქანდაკე და ფერმწერი, სენი, რომელმაც დამათავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (მოქანდაკე მერაბიშვილის კლასი), მეტად თავისებური და მთლიანი ნატურაა. მისი გრაფიკული სერია თითქმის უცნობ ხალხურ მხატვრების ნაკეთობაა, რომლებიც მოხატავდნენ ტაძრებს, სასახლებს, უბრალო ქოხებს. ონიანის თვითღებული ნახატი, შესრულებული შავი ფანქრით და ფერადი ცვილით, სენათის ცხოვრების ნაწილია. მისი პირქვეში, ზოგჯერ უხეში ყოფით (ორთაბრძოლის ნახატი), ზოგჯერ ნახატი თითქმის ფრესკადან არის აღებული, თუმცა ის ნამდვილად ფრესკაა, ყოველგვარ იმიტაციურ სიყალბის გარეშე შესრულებული. სენათის, განსაკუთრებულად ძველი სენათის, სახეები მძლავრადაა გადმოცემული ამ მცირე ფორმის ფერცლებზე. შავი, პირქვეში კოლორიტი; მეტად ძეწწად მოცემულ წითელ, ცისფერ, მწვანე ფერების მრავალფეროვნება კონტრატების მკვეთრი, შავი ხაზები — ყველაფერი ეს ქმნის ფანტასტიკრობის შთაბეჭდილებას.

ონიანმა წარმოადგინა სენათის სოფლის ცხოვრების აღმშენებელი ნახატების სერია „ქალღელ“. თითოეული ნახატი — აღმოჩენა მყარებისათვის. „ურვა“ — სამი სენათის ტანობრძოლი ფიგურა მთისკენ იყურება. „საცილო“ ორი სენათის წითელი ფიგურა ორთაბრძოლით შეებზე. ვა მიწისათვის ცილობაზე. შოა და ცა სავსედრამატული, „მომტირალი“, „დეშტე“, „სენანი ქალბი“ და მრავალი სხვა — სენათის თავისებური ბატანაია. მშვენიერია „მტლქანი“ შესრულებული მე-17 საუკუნის ნახატების სტილში. თქვენ წინ თითქმის გაყოცხლებული ფრესკაა. პორტრეტი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართული ქანდაკება აღიარებულია სამკოთა კავშირში როგორც საყოფარი ფენომენი, რომელიც აღმოცენდა რამდენიმე ათეული წლის წინათ თითქმის ცარიელ ადგილზე. ქანდაკებისა და ბარელიეფის ნაწარმოებები საქართველოში თითქმის მთლიანად გამარცხელი და განადგურებული იყო სხვადასხვა ბარბაროსების შემოსვლის დროს. მით უფრო განსაკუთრებულია რომ დღეს მოქანდაკეთა მრავალრიცხოვანმა რაზმმა შეძლო ასე სწრაფად საყოველთაო აღიარების მოპოვება.

ა. გორგაძის „რუხოს“ და ბ. ციბაძის „ქალის პორტრეტი“ (მარმარალი) მიუხედავად ზღლის სხვადასხვაობისა, აერთიანებს სიყვარული ნატურისადმი, აღმანიის ახალი თვისებების ძიება. ა. გორგაძემ წარმოადგინა რუსეთის მეტალურ-

გების სამი ბარელიეფი. ფიგურები თავისუფლად არიან დალაგებული სიბრტყეზე, მოქანდაკემ შეძლო თავი დაედო ბარიელიეფის ფიგურებით გადატვირთვისაგან, რაც ასე ხშირად ვხვდებით ხოლმე გამოფენებზე.

გ. ონიანთმა წარმოადგინა „მელიტას პორტრეტი“. ამ მასალის დამუშავების სხვა ზერხია გამოყენებული, ელინისტური კულტურის შორეული რემინისცენციები გამოსკვევის ნიჭიერ მოქანდაკის ამ საყურადღებო ნამუშევარში. „1905 წელი“ გ. ონიანთის დინამიკური ნაწარმოებია, მუშის ფიგურა რომელიც მოუწოდებს აჯანყებისაკენ, კარგად ვაღმოსცემს ეპოქის რევოლუციურ პათოსს.

სულ სხვა ხასიათისაა ე. მხარეულიშვილის მუშის პორტრეტი ქვისაგან გაკეთებული. მუშა მკვლარად და ძლიერად არის გამოქანდაკებული, იგი ახალი სამყაროს ნამდვილი მშენებელია. ასეთი შეგრძნება რჩება როდესაც უცქერით მოყვითალო ქვისაგან გაკეთებულ ამ სკულპტურას.

მსოფლიო ჩემპიონის, მოჭიდავე კარტოზიას სკულპტურული პორტრეტი გამოაქანდაკა გ. ლორცხალავამ. იგი გამოირჩევა სახის ძლიერი გამოძირწვიით, ოღონდ ნატურის ფიზიკური ძალა და სიღამაზე ჩრდილოეფი ადამიანის, საბჭოთა მოქალაქის თვისებებს. ამ შემთხვევაში კობა წაქაძის პორტრეტი უფრო კარგია. „ბაკურიანის არწივის“ სახე კარგადაა გამოძირწვილი ბ. ყაზანიშვილის მიერ. ოღონდ სასურველი იყო ქანდაკების უფრო გაღრმავება, მცირე ფორმა ანულებს საერთო შთაბეჭდილებას.

გ. მიქაქემ წარმოადგინა ზ. რუხაძის პორტრეტი. პროფესიონალიზმი, მხატვრული გემოვნება და ფორმის გრძობა გამოსკვევის ნიჭიერი მხატვრის ამ ნამუშევარში. საშუალოდ გ. მიქაქე ცოტას მუშაობს პორტრეტის და კომპოზიციური ქანდაკებებზე. თუმცა შრავალგებობიან სკულპტურაზე ძალიან ცოტა მოქანდაკე მუშაობს.

ლ. ცოშიას „მსახიობის პორტრეტი“ ტრადიციული ფორმის კარგი ნამუშევარია. ვითრც კაცობის და მერი სარაულის მარშალიზაციან გაკეთებული პიონერების პორტრეტები ოსტატობის ამტკიცებენ. ტერაკოა „ნინა“ კარგი ნიმუშია იშვიათად გამოყენებულ ამ მასალის დამუშავებისა.

რამდენიმე წლის წინათ ახალგაზრდა მოქანდაკე ა. კორძაბია სახელი ვათქვა თავისი „მთავარსკვლავეთი“. მას შემდეგ ამ თემაზე კიდევ გაკეთდა ქანდაკებები, მაგრამ არ იქნება ვადაპირბეჭდილი თუ ვიტყვით, რომ გ. კორძაბიას ნამუშევარი ახლაც ჩაითლება საუკეთესოდ მთ შორის. ფიგურა ქალისა ყვედილით ხელში სულ სხვა პლანისაა. ამ ნაწარმოებში ქალის ფიგურა კომპაქტურია, შეკრმული. ყვადილის დეტალი სიახლეს ანიჭებს სკულპტურას. მთლიან-

ად იგრძნობა სხეულის წონადობა. ეს ფიგურა, ჩვენი აზრით, მოქანდაკის აქტუალური ჩინოვლებს.

გ. კალაძის მეგვიდრეობითი „გადაცემის“ მუშის დედის გამოქანდაკა მოქანდაკისა და ფერწერის თამარ აბაყელის პლასტიკურობის გრძობა და პოეტურობა. ახალგაზრდა ქალის სკულპტურულ ფიგურაში დიდი გრძობითი გამოსახულია სიღამაზე, მოქანდაკე და პოეტურობა, კარგი დასაწყისია ახალგაზრდა მოქანდაკისათვის!

ე. ონიანის სკულპტურული ნამუშევრები ისევე როგორც მისი გრაფიკული ნაწარმოებები მნიშვნელოვანია მოვლენა, ონიანი გულწრფელია, თვითმყოფელი. მის ნამუშევრებში აჩაივითარ სტილიზაციასა და ნაჯახიერებს ადვილი არა აქვს. ყველაფერი, რასაც იგი აკეთებს — მისთვის ორგანიულია, შემოკმულებითია. იგი ისეთივეა, როგორც ის ბუნება და ადამიანები რომელთა შორის მხატვარი აღიზარდა. სიყვარულე, მონუნებლობა, ძველი ქართული ხელოვნების ღრმა ძირები ისევე ბუნებრივია მის ნაწარმოებებში, როგორც ნიკო ფიროსმანთან. საშხატრო აჯადმამ ვერ შეძლო მისი ტალანტის ნიველირება, იგი იქ დაეთვლა ქანდაკების ტექნიკას, შინაარსი კი ისეთივე თვითმყოფელი დარჩა, როგორც ეს მის ბუნებას შეეფერებოდა. სვანი ქალების სკულპტურული სახე აღსავსე იმ ცხოვრებით, რომელიც საუკუნეების სიღრმიდან მოდის, და თუმცა დღესაა გამოქანდაკებული, შეიძლება შექმნილი ყოფილიყო ორისამი ათასი წლის წინათ. ნიშნავს ეს იმას რომ მოქანდაკე მხოლოდ წარსულს ხედავს, მხოლოდ წარსულისკენ იხედება? ჩვენ გვინახავს მისი ახალი ნაწარმოებები გრაფიკის დარგში, სადაც ახალი ცხოვრება დღეს და ვაღმოდღეს. ე. ონიანი ნიჭიერი მხატვარია, ვუსურვებთ მას დაკვირვებით შეისწავლოს ის, რასაც იგი ხედავს თვალწინ, ესე იგი ახალი სოციალისტური საქართველოს ყოფა-ცხოვრება, რათა ჩვეული მხატვრულობით აღბეჭდოს იგი თავის სურათებსა და ქანდაკებებში.

ბორის ციბაძის სკულპტურა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ უფრადღებდა იპრობს თავის კომპოზიციური აღნაგობით, ოღონდ უნდა ითქვას რომ პოეტის სახე ვერ არის სათანადოდ დამუშავებული.

გურამ გელოვანის დიდი სურათი „ე. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია რახლიეში“ იწვევს მაყურებლის ყურადღებას, დიდი ლენინისა და მისი მეგობრის და თანამებრძოლის კრუპსკაიას სახეების გამოხატვა მებედა საბასუხისმგებლო და კეთილშობილური საქება, მით უფრო სანიამოვნოა აღინიშნოს, რომ ძირითადად მხატვარმა დასძლია ეს ამოცანა. ლენინი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე კარგადაა გამოხატული სურათზე, აგრეთვე კრუპსკაია. ჩვენი აზრით სურათის ფონი — ეს გადატვირთულია იმდენით. საჭირო იყო კოლორიტული გამოსახვის გაგრძელება, მისუქნებურობა და დეკორატიუ-

ლობა ნიშანდობლივია ამ ახალგაზრდა მხატვრისათვის.

ო. სულავამ წარმოადგინა დიდი ტილო „მოზაიკის აღდგენა“, სურათის ნახატი და მისი კომპოზიცია არაა გამართლებული ტილოს სიღლით. ახალგაზრდა მხატვრისაგან მოველით ახალ, უფრო გააზრებულ, სურათებს. ლევან ძაძაძიმე მხატვარ კიმაქურთაძის რეალისტური პეიზაჟის შემკვიდრება მაგრამ ქართული პეიზაჟის დახატვის საქმეში მისი სურათები წინ ვადაღვამული ნაბეჯია. რბილი, თავისუფალი მანერა წერისა, დამატრებლობა, ფერის გრძნობა, გააზრებული ნახატი — დამახასიათებელია ლ. ძაძაძისათვის. „შემოდგომა“, „ვარა“ და მის სხვა ნამუშევრებს შეუძლიათ დამაშვენიონ რომელიც ვინღა გამოიყენა. ზ. წერეთელმა წარმოადგინა ფრაგმენტი „მეზობილმხრენი“. სურათში ბევრი დინამიკა და მოძრაობაა.

მ. ღერგლიშვილის ნატურმორტიც მთავარი ამოცანაა შინაგანი კომპოზიციით მიაღწიოს საგნების განლაგებამაი წონასწორობას, ნაწარმოებში ეს ამოცანა კარგათაა შესრულებული. ხეივანამ წარმოადგინა ორი პეიზაჟი, ამ სურათებში მხატვარმა უარყო ვარდისფერი და იისფერი გამა. ფერები უფრო შინაარსიანი და პეიზაჟი უფრო კომპაქტური გახდა. გრაფიკულობის ელემენტები ემჩნევა მის ნამუშევარს, თუმცა თვალში არ გვეჩვენა მინდვრების მკაფიო ხაზების ფონზე, ხეიტაის პეიზაჟები მოწმობენ რომ მხატვარი თანდათან ეუფლება მხატვრობის ოსტატობას. ს. ჩახოიანციის „რუსთავი“ ნიჭიერ მხატვრის მიერაა შესრულებული. თემცა სურათში ჩანს ფერადი გრაფიკების ჯერ დადამდეველი გველენა.

ბერძენიშვილმა წარმოადგინა ორი პეიზაჟი, ამ სურათებში მხატვარმა გვიჩვენა პეიზაჟის ახალი ვაგება. „შემოდგომა“ — ყვითელი, ნარინჯი, წითელი და იისფერი გამა. ხეები უფრო გადიდებულად ჩანს სურათის ქვემოთ გამოხატულ სოფელთან შედარებით, მაგრამ ეს გარემოება, აგრეთვე სიბრტყილობა არ უქარგავს სურათს დამაჯერებლობას. „ალვის ხეები“ (მწვანე, ლურჯი და იისფერი გამა რამდენიმედ მოკვავგონებენ უკვე ნანახ სურათებს, თუმცა ოგრძნობა ბუნების ახლებული შეგრძნობაა.

ნატურმორტები, პორტრეტები, პეიზაჟები, რუსთავის ფრაგმენტები — ასეთია თემატური დიაპაზონი მხატვარ ე. კალანდაძისა, რომელიც დაჯილდოებულია ფერების საოცარ გრძნობით, მათი ინტენსიური შეხამებისა და კონტრასტულობისაკენ ტრეოლით. ფერების ახალ-ახალ შეხამების ძიებასთან ერთად იგი დაუღალავად ხატავს ნატურლიდან, თანდათან აუზოჯობებს თავის ოსტატობას, ვითარდება და იზრდება. დამაბული ფერი, მკერძი ფაქტურისა, თითქმის თეთრის გაურველად ქმნის არაჩვეულებრივ,

ამაღლებულ ტილოებს. ე. კალანდაძის სურათები კარგადაა შეკრული არა მარტო-ფერების შეხამებით, არამედ ფორმების მოკიდევებით და ხაზების აღნაგობით. უბრალო სურათში — ყავისფერ დაფაზე ერთი ქილა დგას, და მწვანე მოყვარე ფოთლებზე ერთი ყვავილია. ლურჯი ფერის ღრმია, ცისფერისა და მწვანის ნიუანსების ლოკლივით. ყვავილი იმფუნად მდიდარი ფერებითაა გარემოცული რომ გვეგონებათ თაიგულიაო. მწვანე ფოთლები მწვანე ელვისებურ ხაზებით სერავენ სურათის სივრცეს, რუსთავის მოტივები საბაზის მხატვრისათვის შექმნას მამაფერი განათება. დამდნარი ფოლადის წითელი გრიგალისებური ნაკადი უფრო ძლიერდება წინა პლანის მრავალფეროვნებით.

ნატურმორტი ხელადით და ტყიით მკერივი ფერწერითაა შესრულებული. ოღონდ ტყის გვერდით დაღვრილი ღვინო ზედმეტად ნატურალისტურია. „კომპაქტურიელ ქალის პორტრეტში“ გადმოცემულია ახალგაზრდობის, მომხიბლობა. იგი ახალი ადამიანის გამოხატულებაა.

ე. ნიჭარაძეს მხატვრის მხევილი თვლი აქვს, იგი ამჩნევს იმას, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის შეუძნეველი რჩება. ვარდისფერი, იისფერი, ყვითელი — მისი სურათების კოლორიტის საფუძველია. შემთხვევითი არაა, რომ თავისი დიდი ტილოს თემად მან აირჩია „მეშახტეები“. მიწისქვეშეთის სიბრტყე საშუალებას აძლევს მხატვარს განათოს ადამიანის სახეები და შახტის კედლები მისთვის საყვარელი გამით. „მეშახტეები“ განაცხადია მომავალ სურათისა; ჯერჯერობით კი შესრულება დამამკაყოფლებელი არაა. საჭიროა მხატვარმა მერი ეპირის რეგორი კომპოზიციის მხრივ, ასე უმთავრესად ფერების შეხამებამი.

გურამ ქეთათელაძე თავისებური მხატვარია. მის სურათებს ახასიათებს მომხიბლავი კოლორიტი და პეიზაჟის ფაქიზი შეგრძნობა. იგი ზოგიერთ ახალგაზრდა პეიზაჟისტებთან ერთად უარყოფს ეფლავრეს შახლონტის მშობლიური მთების, მინდვრების და ტყის წარმოსახვისას. მის სურათებში საყურადღებოა ახლებურად ათვისება საქართველოს ბუნების ფერადი პარმონისა.

ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქვს ამ წერილში ყველა იმ ახალგაზრდას შევხებით, ვისი სურათებიც წარმოდგენილია ამ მდიდარ გამოიყენაზე. ერთი რამ ცხადია, ახალგაზრდები ნაყოფიერად მუშაობენ, ისინი ხელოვნებით ცხოვრობენ. მართალია, ერთს ნახატში შეუძნეველ ნაქვს, მეორეს — კომპოზიციასი, ან ფერში, მაგრამ ყველა ცდილობს პატიოსან ყოველდღიურ მუშაობით შექმნას რაღაც ახალი, როგორც თემტიკურად ისე მხატვრულობის თვალსაზრისით, და იმედი გვაქვს, მათი შრომა ყოველწლიურად უხე ნაყოფს გამოიღებს.



თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში



თბილისის 1500 წლისათვის დაკავშირებით უნავერსიტეტში გამართულ საიუბილეო სამეცნიერო სესიასზე, სომხეთიდან ჩამოვიდა მეცნიერი ვანე ნალბანდიანი და თან ჩამოიტანა ვრცელმა გამოკვლეული თავისი წიგნი — „თბილისა ძველ სომხურ მწერლობაში“, რომლის უღა და თავფურცელი სომხური ხელნაწერებიდან ამოღებული თავსარიებით იყო შეკვლილი. ამ პატარა წიგნში სომხ მეცნიერს თავი მოეყარა იმ წერილობითი ცნობებისათვის, რომელნიც სომხურ ხელნაწერებში, სხვადასხვა სახეობებში ყოფილა გაბნეული. ვანე ნალბანდიანის ეს ნაშრომი სომხ მისახლეობას აცნობდა ჩვენი თბილისის ისტორიას, როგორც იგი საუკუნეთა განმავლობაში სომხ მწერალ-ისტორიკოსებს წარმოედგინათ.

ახლანდელ „საბჭოთა საქართველოში“ გამოცემა ვანე ნალბანდიანის წიგნის ქართული თარგმანი — „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე“, რომლის უღაზე გამოხატულია მტკვრის პირის კლას ქიმი მეტების საუღარით, ე. ნალბანდიანის წიგნი სომხურიდან უთარგმნით ნ. ჯანაშიასა და ე. ცვაგრიშვილს, ოღონდ იგი არ ყოფილა ზუსტი გაჟორება სომხურად დაწერილი წიგნისა. ქართული ოღაზე განსხვავდება დედნისაგან იმ შესწორებებითა და შენიშვნებით, რომლებიც ავტორს მოეწოდებოდა ქართული გამოცემის რედაქციისათვის წიგნის თარგმნის დროს.

ვანე ნალბანდიანს წიგნში ყველა ცნობა, ე. ი. სომხურ წყაროებში თბილისის ყველა და ყოველგვარი ხსენებამ არ შეუტანია, არამედ, როგორც „არაოღა სიტყვაში“ ვკაუწყებს — „ამ წიგნის მიზანია შეიკვლინ წარმოედგინოს მხოლოდ ერთი წყება მნიშვნელოვანი ცნობებისა, რომელნიც დაცულია სომხურ მწერლობაში... აუცილებელია აღნიშნოს, რომ სომხურ ლიტერატურაში შემონახული ეს ცნობები შეეხება უმთავრესად უცხოელთა შემოსევებს, დარბევებს, ტყვეთა წასხმას და

სხვ“. ცხადია, ეს მხარეც მეტად მნიშვნელოვანია, საინტერესოა, თუ თბილისიდან შორს მყოფი სომხი ისტორიკოს-მწერტიანე არ მწერალი როგორ განიცდიდა თბილისის ბედს, როგორ მიდიოდა მასთან ამხები თბილისზე ლაშქრობისა და ჩვენი დედაქალაქის ბჭეების დანგრევისა ამათეიმ სისხლით გაუმალარი დამარბველის შიერ. ე. ნალბანდიანის წიგნი, ამრიგად, არ აღწერსავე ყველა იმ ცნობას, რაც სომხურ ძველ მწერლობაში შემონახულია თბილისზე, არამედ მხოლოდ გარკვეულად ერთ ნაწილს, თუმცა, რამდენად უფრო ღირსმნიშვნელოვანი იქნებოდა ყველა ცნობათა თვამოყრელი წიგნი. ამ ცალმხრივობას ავტორი თითქმის ბოდიშსაც ხდის, როცა „არაოღა სიტყვის“ დასასრულს ამბობს „საქართველომ დედაქალაქის მტოვრებთა ყოფის, წესა-ადამებისა და სოციალური ისტორიის შემკველი მასალაში ჩვენს ლიტერატურაში (იგულისხმება სამხური ლიტერატურა — ს. ხ.) სამწებაროდ, ცოტა შემოიანახაო“ და იქვე უმატებს ფრჩხილებში ჩაყენებული წინადადებით: ეს საერთოდ დამახასიათებელია სომხური ლიტერატურისათვის.

რასაკვირველია, ლაბარაკი აღარ უნდა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსა და თბილისზე ცნობები არაქართველთაგან შექმნილ ლიტერატურაში. საკმარისია გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილმ პირველივე სიტყვები მისი „ძველი სომხური საისტორიო მწერლობიდან“ (თბილისი, 1935 წ.): „სომხებს ძველად მდიდარი საისტორიო მწერლობა ჰქონდათ. ისტორიკოსთა სიმრავლეს მხრითაცა და ცნობათა სიუხვითაც იგი ყურადღების ღირსია. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და სხვა მიზეზების წყალობით, სომხთა ისტორიკოსები მართო თავიანთ სამშობლოს ამბების მოთხრობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ სხვა სახელმწიფოებისა და ერთა პოლიტიკური ისტორიაც აწუთ ხოლმე ნაამბობი, ზმირად ვრცელად და ქრონოლოგიური ცნობებით შეკველი, ამიტომ სომხურ საისტორიო მწერლობაში სპარსეთის, ბიზანტიის, არაბთა, თურქთა და მონღოლთა, ისევე როგორც

ვანე ნალბანდიანი — „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში“ „საბჭოთა საქართველო“.

საქართველოს ისტორიის მკვლევარნი თავიანთის გამოსაღვე ბევრ ცნობებს აბოვნიან. რასაკვირველია, სომხურ საისტორიო მწერლობაში საკმაო რაოდენობით მოიხილება მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რაც საქართველოს ისტორიის ქართულ და არაქართულ მკვლევართაგან დიდხანია გამოყენებულა.

ვანე ნალბანდიანი, ცხადია, სწორად ვერ თავსდება მხოლოდ თბილისის შესახებ არსებული მასალის ფარგლებში და საქართველოს ზოგადი ისტორიის დამახასიათებელ საბუთებად ამოკრფის ესეც გასაგებია — საქართველსა და თბილისის ისტორია ერთი იყო.

თბილისის ისტორიისათვის უმთავრესი და პირველბარისხვანი მასალა ქართულ წყაროებში მოიხილება, რაც ბევრი ქართველი მკვლევარისა და ისტორიკოსისაგან ყოფილა გამოყენებული ძველადაც. მე-19 საუკუნეშიც „დაახლაც, განსაკუთრებით თბილისის 1500 წლისათვისათვის, ვანე ნალბანდიანისაგან თავმოყრილ მასალას, ისე როგორც ამ მასალათა შემკრებს პრეტენზია არა აქვს იყოს ერთადერთი წყარო ჩვენი ქალაქის ისტორიისათვის, ბოლოსდაბოლოს, წიგნი დაწერილია სომეხი მკითხველისათვის, რომელსაც ავტორი აწვდის სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრფილ და ერთად თავმოყრილ ცნობებს თბილისზე. ქართულად ამ წიგნის თარგმნი არის ისეთივე ღირებულების ფაქტი, როგორც სომხურად მისი შექმნა-დაწერა. ამდენად უპირველეს ყოვლისა, ვანე ნალბანდიანი ძიური მადლობის ღირსია.

ვანე ნალბანდიანი ასე იწყებს თავის წიგნს: „საუცუენეთა სიღრმიდან მოდის ორი მოძმე ხალხის, ქართველებისა და სომეხების მეგობრობა: იგი ისევე ძველია, როგორც ეს ხალხება“ (გვ. 9). ეს ძველი სინამდვილეა ისევე, როგორც ის, რომ ამ ხალხებმა — ქართველებმა და სომეხებმა მეტად ადრინდელ დაიწყეს კულტურული ცხოვრება და ადრინდელ გამოიმუშავეს ერთნელად დამოუკიდებელი აზროვნებისა და მწერლობის სტილი, რაც მათ სპეციფიკად ქვედა. სომხური ტრადიციული კულტურის მეცნიერული კვლევის ცენტრი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე იყო, ახლა კი იგი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქშია, ახალ ერევანში, რომელშიც ერთნელად კულტურის ისტორიის შემსწავლელი დიდი მეცნიერული შენობაა მიმდინარეობს და რომელსაც ამჟამინდელ სხვა ღირსშესანიშნავ დაწესებულებათა შორის „მეტენადარანი“ — სომეხეთში დატული ხელნაწერების საცავი, ეს თავისა შინაარსითა და გარეგნობით მონუმენტური ნაგებობა, რის მსგავსიც ყველა კულტურულ ერს უნდა გაჩნდეს, თუკი ამ ერს თავისი წარსულისადმი რაიმე პატივისცემა მოგვარება. ამ „მეტენადარანში“ სწორედ თავმოყრილი ის მასალა, რაც საუფქველი გამზდარა ვ. ნალ-

ბანდიანისაგან თბილისისათვის დაწერილი წიგნისა.

ამ წიგნის პირდაპირ მკვლევარებმა შეადგენს იმის აღნიშვნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მასალა (ამხე თვით წიგნის დაწერილობისაგან), არც ის, თუ როგორი სახესტესთაა შესრულებული თარგმანი (ქართული წიგნის რედაქტორია წვენი არმენოლოგი ილია აბულაძე, რომლის თვალსაც არა გამოვიტყობოდა რა), არამედ აღნიშვნა იმისა, თუ რა დამოკიდებულებითა და გრძნობით შეუქმნიათ ადრინდელ მწერლებს, ისტორიისა თუ წიგნის მოღვაწეებს ტრადიციით თბილისის სენებისა, როგორ აღნიშნავთ მათ ქართველთა დედაქალაქის სახელს, როგორ განიხილავთ მათ ამ ქალაქის ბედს თუ უბედობა, რადგან ზოგიერთი და ზოგიერთი ბევრი მოღვაწე, თავისი ქვეყნიდან ქირსა და ვარაშ გამოქცეული, თბილისში იყო თავმჯდომარეები.

ვანე ნალბანდიანი ლონტი მროველის ლეგენდის ციტირებით იწყებს და შემდეგ მამყვება ძველი და შუა საუკუნეების სომეხი მწერალ-ისტორიკოსების ცნობებს. წიგნის ავტორის მასალა დასაგებელი აქვს თბილისის ისტორიის ეტაპების მიხედვით — თბილისის დაარსებიდან თვით მე-18 საუკუნის გასულამდე. უცანსეულ ცნობები შეუგება ძველი საქართველოს ერთ-ერთ დიდ ტრადიციას — გამოკრებილი საჭურისის აღაპამად ხანის, ლაშქრობას და თბილისის დაქცევას 1795 წელს.

სომხურ წყაროებში თბილისი თერამე მე-7 საუკუნეიდან იხსენიება ისეთ თხზულებებში, როგორიცაა ანანი შარაყელის გეოგრაფია, სემეოსის ისტორია, მოსე კალანკატელის ისტორია. ამ უცანსეულს აღწერილი აქვს სპარსეთისა და ბიზანტიის ომი, ლევანდ ვართაპეტს — არაბების შემოსევა, შემდეგ სტეფანოს ტარონელის ასოლკის, პოპანეს დრასხანაკერტელს, თომა არწრტს... საქართველოსა და თბილისის თავგადასავალს ნაბიჯ-ნაბიჯ მამყვებთან სომეხი ისტორიკოსების სამეულ ანულის, მათეოს ურპელის, ვარდან ბარაპეტრელის, კირაკოს განმკველის, მიქაელ ასურის ჩინაწერების და მკითხველის თვალწინ იშლება საუკუნეთა მანძილზე თბილისში გათამაშებული ისალა-ახალი ტრადიციები, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ამოცუტასა და ქალაქის ნგრევა-მოხრებებს ნიშნავდა.

ვანე ნალბანდიანის წინამე იშლება პერსპექტივა მომდევნო ისტორიული ეპოქის მანძილზე არსებული ცნობების თავმოყრისა თბილისზე. იქ მასალა უფრო მეტად იქნება და უფრო სრულიც. ეს ეპოქა მე-19 საუკუნე-ბუტყეობის განვითარების ეტაპი, რამაც ზოგიერთ ხალხთა ურთიერთობაში წაშალა ის ძვირფას-

ტრადიცია, რაც მეშვედებოდა საერთო მტრისაგან თავის დაცვის დროს. მართალია ავტორი არსად არ გვიპირდება ამ წიგნის გავრცელებას, მაგრამ დასაწყისი პუნქტებიდან მოიხილვის ამას. დეე წყარო და დასაყრდენი რე იქნება რომელიმე მემბტიანის ჩანაწერი რომელიმე მონასტრის ყრფ საკანში გაკეთებული, იყოს ეს დაბეჭდილი ცნობები, თუნდაც ყოველდღიური ბეჭდითი ორგანოსი თბილისზე — რასაკვირველია, მეტად საინტერესო იქნება.

ეს კარგი წიგნი, რომელიც სამსახურს ვაუწყებს მკითხველსა და სპეციალისტსაც, საკითხის მკვლევარს, საშუალოდ დაბეჭდილია ისე, რომ არაა აღჭურვილი საძიებლებით, მას არ გააჩნია სპეციალური აპარატურა ამის გაკეთება არ იქნებოდა ძნელი (ამისთანა რამ არც დედაწიგნი). წიგნი რომ გეოგრაფიულ პუნქტთა საძიებელი დართეოდა, მასში განმარტებული იქნებოდა ისეთი ადგილები, როგორცაა: ევრის ციხე, ანაკოფია, პარტავაბერდი, კოლბი, კოტაგულევი, ნიზაბინი, პენარაკერტი, ბარდაკი, მზუნუნების ზღვა, აირატატი, ბაბ-ულაფაბი და მრავალი სხვა, რაც მკითხველს გაერაკვედა ზოგერთი ახლა უკვე აღარ არსებულ, ან მცირე მნიშვნელობის მქონე ქალაქის ადგილმდებარეობას. ქართველი მკითხველისათვის, მაგალითად, გაუგებარია ტერმინი — საერნეტერო. თუ ოსტიაში განმარტებულია, რა დასაშვებია სხვა? ამისთანა წიგნი ყოველთვის მკითხველთა ფართო მასის თვლით უნდა შევხედოთ და არა გაწაფული, ვიწრო სპეციალისტისა. შეასაუკუნეების სიძვენი პოეტის ფრაკის ლექსში, რომელიც ქართველთა თანატრელობით არის დაწერილი, შეუძლებელია ასეთი სტრიქონი იყოს — „რამდენი ქართველი ტანჯვით ჩააქალღს“ მონგოლებმა (გვ. 107). ზოგან ზოგეერთი წინადადება მთლად ქართულივით არ ედერს, მაგ. „ამაშინ ზელო იგდეს ყუთები განაძით სასეც. მთელს სიძრაველს უბარისას ზურგით მიქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახვავებდა ერთ-

მანეთზე“ (ყუთებს ს. ბ. გვ. 45); „მათა ხალხმა დააყენეს სისხლის ნაჯადულები (დააყენეს?), ფეხებით სთელადენენ გეჭებზე, თვალებით ხედავდენ მკედრებზე“ დაწერილმა, როგორც სიტყვის დღარს (სიტყვის დღარს? — ს. ბ. გვ. 44). ან „ქვეებით გაქვებელი, გაბერილი უზარმაზარი ტყეები“ (გვ. 39).

ერთ გვერდზე ქალაქების დღინსა და თბილისის ცხოველი საეპრო ურთიერთობის დასახსიათებლად ავტორი წერს, რომ დღინს ქონდა ერთი კარი რომელსაც „ბაბ-თიფლის“ ერქვა, ე. ი. „თბილისის კარი“ და უმატება: „ამ ორი ქალაქის საეპრო კავშირს ისეთი დიდი მნიშვნელობა ქონდა, რომ დღინში განსაყუთრებული კარიც კი უთფილა, რომელიც თბილისის სახელს ატარებდა“ (გვ. 66). რასაკვირველია, ეს განსაყუთრებული კარი არ იქნებოდა, არამედ ჩვეულებრივი ქალაქის კარი, საიდანაც იწყებოდა გზა რომელიმე პუნქტისაკენ, ამ შემთხვევაში თბილისისაკენ, თბილისშიც იყო, მაგალითად, კოჯრის კარი, დღინის კარი, მეიღნის კარი, ავღაბრის კარი, ვანჯის კარი და სხვანი, რაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ ამ კარიდან ამჟამად ადგილამდე მიდიოდა გზა და არა იმას, რომ თბილისის გაცხოველებული ვაჭრობა ქონდა დღინთან, კოჯრთან თუ ავღაბართან.

მთავარი მიზნე ისაა, რომ წიგნი დაწერილია ისეთი ვრცლობით, რაც მის ერთ-ერთ გვერდზეა (გვ. 39-40) გამოთქმული. სახელდობრ: „მართლაც თითქოს იმ გმირული ეპოქიდან მოსდევს ქართველ ხალხს მისი განსაყუთრებული მზარული სული. ხალხს, რომელიც მუდამ მაღლა თავაწეული მიდიოდა, რომელიც ვერაფერში ვერ გატეხა და რომელიც არათრის წინაშე არ შემდრავლა თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთებშიც კი“. მართლაც ამ სულმა გადაატანინა ქართველ ხალხს მრავალი ფიზიკური და სულიერი ტყვეობა-ტანჯვა, რის აღწესებასაც ემსახურება ეს პატარა წიგნი, დაწერილი მეგობრის ხელით.

ს. ხუციშვილი

წიგნი ქართული საგვოთა კულტურის შესახებ



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ აბლახან გამოაქვეყნა ისტორიის

ზურ ბაბუნაშვილი. „საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1960 წ.

მეცნიერებათა კანდიდატ ზურ ბაბუნაშვილის წიგნი — „საქართველოს კომპარტია ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისათვის ბრძოლაში“.

წიგნი თავისი მიზანდასახლებობით წარმოადგენს სერიოზულ ცდას ქართული საბჭოთა კულტურის შესწავლის საქმეში.

წიგნი დაწერილია მდიდარი ფაქტობრივი მასალის შესწავლის საფუძველზე, ავტორს გამოუყენებია პირველი წყაროები, უმთავრესად სპარტიო დოკუმენტები, რომლებიც მოუპოვებია საქართველოს ცენტრ-ლერ საისტორიო არქივში, მარკსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში და სხვაგან. ავტორს გამოყენებული აქვს მარკსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, აგრეთვე სხვადასხვა ავტორების ნაშრომები მიმდევრილი ამ პერიოდისადაც.

ნაშრომში დაწერილებით და თანმიმდევრულად განხილულია სახალხო განათლების დარგში პარტიის როლი პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობასა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ინტერესს იწვევს ბავშვთა სიტყვის შეცნობებისა და ხელოვნების განვითარების საკითხებიც.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი ეხება რამენწევრების პარპაშს საქართველოში, აღნიშნავს იმ მიმეცე ეკონომიერ და პოლიტიკურ შედეგებს, რამაც გამანადგურებელი გავლენა იქონია ქართული ხალხის კულტურაზე, მეცნიერებაზე, განათლებაზე.

ავტორმა „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტიისა და ხელისუფლების ურთაღებანს ცენტრში დადგა ქართული საბჭოთა კულტურის შექმნისა და განვითარების საკითხები, დანგრეული და გაპარტახებული სახალხო მეტრეობის აღდგენისათვის ბრძოლის მიმეცე წლებში დაიწყო საქართველოში ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა კულტურის შექმნა“ (გვ. 3)

ავტორი პირველ თავში „საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯები სახალხო განათლების დარგში“, სწორად განიხილავს პირველ ძეგებს განათლების საქმეში.

სახალხო განათლების საკითხი მენწევეების კონტრარეული შთავრბას მეორე ხარისხივან საქმედ მიანდა, რომელზედაც იხარჯებოდა მენწევეური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 4%, აგრეთვე ქალაქთა და ერობათა სახსრების 10%, ამის შედეგად წერაკითხვის უცოდინართა რაოდენობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს 70% მეტი იყო.

საქართველოს კომუნისტებმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე აქტიური ბრძოლა დაიწვეს უმეცრეების წინააღმდეგ. საქირი იყო არა მარტო სასწავლებლებისა და მედაგოგთა კადრების დადი რაოდენობა, არამედ მათი ახლებურად გადახალისება. ახალი სკოლა ახალ ამოცანებს აყენებდა სახალხო განათლების ფორნტის მეშვეების წინაშე. სარეცენზიო წიგნის ავტორი

სწორად განიხილავს საბჭოთა ხელისუფლების როლს სახალხო განათლების საქმეში, რომელმაც შექმნა სოციალისტური განათლების სისტემა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჩამოყალიბდა გლეხი ახალგაზრდობის სკოლები, მუშა ახალგაზრდობის სასწავლებლები და სხვა.

საქართველოში უდიდესი ურთაღებდა ემეოდა აგრეთვე არა ქართული მოსახლეობის კულტურული აღზრდის საკითხს, გაიხსნა სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური სკოლები, სადაც აგზავნებოდნენ კვალიფიციური მასწავლებლები.

საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებლებში უდიდესი ურთაღებდა მეექვსე რესული ენის სწავლების საკითხს.

სახალხო განათლების საქმეში მიინე იგრბნობოდა მთელი რიგი ნაკლოვანებები. რასაც ავტორი ხაზს უსვამს და დოკუმენტალური მასალით ასაბუთებს.

შრომის მეორე თავში ავტორი ეხება პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას და წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის საკითხს.

რკ(მ) ოქტომბრის რევილუციის პირველი დღეებიდანვე, ვ. ი. ლენინის მეთაურობით უმეცრეების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა. როგორც ერთ-ერთ მასობრივ გროლს პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობას.

სახალხო განათლების სისტემის შეცვლამ გამოიწვია საგანმანათლებლო და პოლიტაღმზრდელიზითი მუშაობის ახალი ფორმის შექმნა საქართველოშიც; რადგან როგორც ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენი წარმოდგენით სახელმწიფო ძლიერთა მსახების შეგებულობით. იგი ძლიერთა მშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეეძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან“ (ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 297).

უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა პოლიტაღმზრდელიზითი მუშაობის ისეთ კერებს, როგორცაა: კლბები, ბიბლიოთეკები, სახალხო ენივერსიტეტები, ქობსაქიოთხველოები და სხვა.

სარეცენზიო შრომის ავტორი იყენებს რამდიდარ ფაქტობრივ მასალას ამ საკითხებზე, სამართლიანად დამსწენს, რომ საქართველოში პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გავლა შესაძლებელი ვახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

ავტორმა იმავე თავში ვრცლად გააშქქა პარტიის ბრძოლა ქართველი ერის მატერიული კულტურის ძეგლთა დაციის, შენარჩუნებისა და ფსეკულობათა დატაცებისაგან გადარჩენისათვის.

სარეცენზიო შრომაში გარყვეული ადგილი აქვს დამთბილი ნაკლოვანებებსაც. რაზეც ავტორი წერს: „წარმატებების მიუხედავად

რესპუბლიკამ ვერ შეძლო შეესრულებინა და-სახელი გეგმა, რომელიც, როგორც აღნიშ-ნეთ, ითვალისწინებდა ოქტომბრის რევოლუ-ციის ათწლისთავისათვის საქართველოში დამ-თავრებული ყოფილიყო წერა-კითხვის უყო-ღინარობის სრული ლიკვიდაცია“ (გვ. 71).

შრომის უკანასკნელ თავში აბუღვითი სიტუ-ციის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარ-ობა შეტანილია დოკუმენტები ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის შექმნელზე ზრუნვას ეკენი პრესისა, მეცნიერებასა და ხელოვნების-სათვის.

ეს მონაკვეთი შრომის წინა თავებთან შედარებით ვრცელ ქრონოლოგიურ პერიოდს მოა-ცავს. 1913 წლიდან 1930 წლამდე. მასში შეტანი-ლია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-ტიის ყრილობებისა და კონფერენციების გადა-წყვეტილებები, ცენტრალური კომიტეტის უმ-ნიშვნელოვანესი დადგენილებები, ინსტრუქცი-ები და წერილები, საბჭოთა მთავრობის დეკ-რეტები. ავტორის გამოყენებული აქვს დიდი-ლი საინტერესო მასალა, რომელიც განსაზღვ-რავს ბუღვითი სიტუციის, მეცნიერებისა და ხელოვნების დონის მაღალ საფეხურზე აყვან-ას ამ ისტორიული პერიოდისათვის. შრომაში მკაფიოდ არის ნაჩვენები, რომ ხალხის ინტე-რესებთან, კომუნისტური პარტიის იდეებთან საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკასთან კავშირ-ში არამარტო უზრუნველყო თავისუფლება ბუღვითი სიტუციის, მეცნიერებასა და ხელო-ვნებასათვის, არამედ განაპირობა კიდევ მისი აყვავება.

მეცნიერობის კვლევაში „უმაღლესი სასწავ-ლებლობისა და სამეცნიერო დაწესებულებების ქსელის ზრდა“ მოგვიხსენიებს იმ დიდ ზრუნ-ვაზე, რასაც საბჭოთა ხელისუფლება იჩენდა უმაღლესი სასწავლებლებისა და მათი კონტინ-გენტის გაფართოებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა შეძლე-ვისდაეცადა ყოველგვარ პირობებს ექმნიდა უმაღლესი განათლების მეშვეობით მეცნიერუ-ლი მემკვიდრისათვის, მათ ეძლეოდათ სხვადა-სხვა შედეგები, მატერიალური დახმარება და სხვა. დიდი ყურადღება მიექცა სტუდენტთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხსაც.

პარტიამ და მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია უმაღლესი სასწავლებლე-ბის მშრომელი ელემენტებით დაკომპლექტე-რების საკითხს, რათა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები მისაწვდომი გამხდარიყო მშრო-მელებისათვის. ეწყობოდა მოსამზადებელი კურსები, სპეციალური სასწავლებლები—მეშ-ფაკები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მშრომელთა ფუნქციად გამოსული ადამიანების მეცნიერული ცოდნის საფუძვლიან-ად შესაიარაღებლად.

ამირკაცაქისის მშრომელთა მარქსისტულ-

ლენინური თეორიით შეიარაღებას საქმეში დიდი როლი შეასრულა 1923 წლის პირველ მარტს სერგო ორჯონიკიძის რეკონსტრუქცი-თბილისში გახსნილმა ამირკაცაქისის მეცნი-რების ინსტიტუტმა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბა-ზაზე შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუ-ტები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს სამეცნიერო მეცნიერების განვითარების საქმეში.

პარტიამ უდიდესი ყურადღება მიაქცია მშრო-მელთა ესტრუქტურად აღზღარას საკითხს. ამი-ტომაც ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხელისუფ-ლება მნიშვნელობას აძლევს მუსიკალური, თეატრალური და სახვითი ხელოვნების განვი-თარებას.

ავტორი წიგნში საქმოდ ვრცლად განიხი-ლავს პარტიის ბრძოლას ამ ეტაპზე ხელოვნე-ბის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის. ავტორი შედარებით ვრცლად ზერდება ქარ-თულ თეატრალურ ხელოვნებაზე, მის შორე-ულ ისტორიულ ფესვებზე, იმ ცხოველყოფი-ველ გავლენაზე, რომელიც ქართულ თეატრზე მოახდინა რუსულმა თეატრმა.

საბჭოთა მთავრობამ სწრაფად გამოასწორა ხელოვნების ამ დარგში არსებული ნაკლოვა-ნებები და ქართული თეატრის განვითარების მიზნით შთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონის-ძიებები გაატარა. პარტიამ ყოველმხრივ წახა-ლისა ქართული თეატრის რეფორმატორი კატე-მარჯანაშვილი, რომელსაც ბრძოლა უხდებო-და ბერძენიზმულ ნაციონალისტური ინტელი-გენციის წარმომადგენელის წინააღმდეგაც. რომლებიც ამ ბატონაკურად უგებდებელ ყოფდნენ ქართულ თეატრს, ანდა ცდილობ-დნენ ქვეშაირი საბჭოთა ხელოვნება გზიდან აეცდინათ. განსაკუთრებით იგრძნობოდა რეპერ-ტუარის სიღარიბე, არ იყო ახალი ორჯონი-ლური პიესები, რომელთა მაღალმატერული დაღვა განსაზღვრავდა თეატრის წარმატებას.

მოთხდებოდა ამ სიძნელეებისა ქართველ ხე-ლოვნება მოწინავე ნაწილში, რომელიც კოტე მარჯანაშვილის გარშემო დაიარსა. პარტიის ზრუნვით საფუძველი ჩაუყარა ახალ საბჭოთა თეატრს.

საქართველოში განვითარება იწყო სიმხერ-მა, აზერბაიჯანელმა და რუსულმა თეატრებმა, რომლებიც საქართველოს მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საქართველოს თეატრებში წარმატებით იღვ-მება გორკის, ლერნევის, ესეილოვ ივა-ნოვის, შალვა დადიანის, სანდრო შანშიაშვი-ლის და სხვათა პიესები, რომლებიც ახალი ყოფისათვის მებრძოლ გმირების რომანტიულ სახეებს ქმნიდნენ.

ავტორი შრომაში საპატიო ადგილს უთმობს ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარ-

რების საკითხებს. მრავალ ფაქტებზე დაყრდნობით წაყოლი ხდება ის დიდი ზრუნვა, რომელიც გამოიჩინა პარტიამ ქართული მუსიკის განვითარებისათვის, რომელიც ამ დროისათვის მსოფლიოს მოწინავე ერების მუსიკალურ ხელოვნებას გვერდით ამოუყენეს. ზაქარია ფალაშვილია, მელიტონ ბალანიჩიანი და დიმიტრი არაყიშვილია თავიანთი უცვლადი ნაწარმოებები.

პარტიამ უდიდესი მზრუნველობა გამოიჩინა კინემატოგრაფიის განვითარებისათვის. იგი გამოყენებული იქნა მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მათი ესტეტიკური აღზრდისათვის.

ქართული კინოხელოვნების მიღწევა იყო: „სამი ხაიციხლე“, „წითელი ეშმაკუნები“, „ელისო“ და სხვა, რომლებმაც ქართულ ფილმს საკუთარი მასშტაბით გაუთქვეს სახელი. კინოხელოვნების განვითარებას ხელი შეუწყო აგრეთვე სახელმწიფოს რეორგანიზაციამ და მყარ ბაზაზე დაყენებამ.

შირიგად სარეცენზიო წიგნი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა იგი დაზღვეული არ არის ზოგიერთი ნაკლოვანებებისაგან: შრო-

მის პირველ თავში ავტორი, მართალია ეხება „სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის“ საქმიანობას, მაგრამ იგი პრაქტიკურ სპინობას „სრულად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის“ შესახებ, ამ ბრძოლაზე, რომელიც მიმდინარეობდა კავშირის რეაქციული ხელშეწყობისა და პედაგოგთა უანსად ნაწილ შორის, რაც უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა.

შრომის უკანასკნელ თავში რატომღაც სრულყოფილი ასახვა ეერ პოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ და სახეიომა ხელოვნებამ.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ საქმოდ წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. ეიღრე იგი დღევანდლობამდე მოვიდოდა. იგი ყოველთვის იყო პარტიის ერთგული მეტრძოლი. მოსახლეობის ფართო ფენების დარჩენის საქმეში და მას დასახელებულ შრომაში გარკვეული ადგილი უნდა ეკიროს. ასევე ითქმის სახეიო ხელოვნების შესახებაც. მიუხედავად ამისა, ზერ ბაბუნაშვილის შრომა გარკვეული წილითა ქართული საბჭოთა კულტურის შესწავლას საქმეში.

თარგმანი რედაქცია

ლესინგის „დრამები“



გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის სახელი მკიდროდაა დაკავშირებული გერმანიელ ნაციონალურ თეატრისა და დრამატურგიის შექმნასთან. ლესინგს სამწერლო მოღვაწეობის დაწყება იმ ხანაში მოუხდა, როდესაც გერმანიაში ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროში გაბატონებული იყო ფრანგული კლასიციტური სკოლის ტრადიციები. ყველაფერი ეროვნული მივიწყებული და მიჩქმალული იყო და არც არავინ ფიქრობდა მის გაღვივებაზე. ამ დროს გერმანიაში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ადამიანი, რომლის დრამატურგიული და თეორიული ნაშრომები უბირველეს ყოვლისა მიმართული იყო, მისა თანამედროეთს, კლასიციტური სკოლის მედროზე — გოტჰედის წინააღმდეგ. ლესინგის ამ ლიტერატურულ კრიტიკულ შემოქმედებებს არა მხოლოდ მამინე ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, იგი საკითხის აქტუალობითა და მკვეთრის ნაციონალური ხასიათით დღესაც ყურადღებას იპყრობს და ამიტომაც მის თარგმნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ სინამდვილეში.

ლესინგი ფრიად მრავალშრიანი ლიტერატურული მოღვაწე იყო. მის კლასს ეკუთვნის დრამატული ნაწარმოებები, კრიტიკულ-ფილოსოფიური წერალები, იგავები და თეატრალუ-

რი დღეობების მსგავსი წერილების კრებული. ამბობენ შეგებლებში იყო ქართულ ენაზე გამოცემულ ერთობელში ამომწურავად წარმოდგენილი ყოველივე ლესინგის შემოქმედების თენდაც ერთი რომელიმე მხარე.

„საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოცემული ლესინგის ერთობელში წარმოდგენილია ლესინგის ოთხი უმნიშვნელოვანესი დრამა, რომლებმაც ავტორის მსოფლიო სახელი მოუხვეჭეს: აქვია „ფაუსტისა“ და „სპარტაკის“ ფრაგმენტები. წიგნს თან ერთვის ერთეული შესავალი წერილი და კომენტარები — წიგნის რედაქტორის ოთარ უნიორისა.

წიგნში წარმოდგენილი პიესები თარგმნილია სხვადასხვა ავტორის მიერ. ერთი მათგანი „მინა ფონ ბარნჰელმი“ ცალკე წიგნდაც იყო გამოსული 1946 წ. — გ. ნადირაძის თარგმანითა და წინასიტყვაობით; ეს იყო ამ დრომდე ერთადერთი პიესა ქართულ ენაზე ლესინგის ერთეული ლიტერატურული შემოქმედებითა. წიგნში წარმოდგენილი დრამები. ლესინგის თავისი შემოქმედების სხვადასხვა პერსონაჟს აქვს დაწერილი. მართალია ზოგიერთი დრამის წერა ხანგრძლივად გრძელდებოდა (ასე მაგალითად „მინა ფონ ბარნჰელმი“ 15 წელიწადს წერდა), მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ

და მხოლოდ ავსებდა პეისს და უფრო მომწიფებულ სახით მიდიოდა მკითხველამდე, რომლებშიც მათში დადი განმანათლებლისა და პე-მანისტის სტლისკეთებითა და მარწრავებით იხილებოდა.

შეუძლებელია ერთ პატარა მიმოხილვაში თუნდაც უყულო იმ საკითხის ჩართულობა, რომის შესახებაც აქციალებელია რომ დააწეროს, ამიტომ შემოვიფარგლებით ზოგიერთი საკითხის გაშლევებით.

უპირველესად თვით თარგმანების შესახებ. რამდენადაც თარგმანები შესრულებულია გერმანული ენის მცოდნეებისა და პროფესორული მთარგმნელების მიერ, ამდენად დრამებში საკამათო და დასაზუსტებელი თაქმის არაფერია. როგორც ვ. ნადორცის, ასევე ვ. ბუწუკლისა და ე. ზომარელის კარგათ ენით ლენინგის პიესების იდეურა აზრი და ზუსტად გადმოკეთ ხოლმე ტექსტიდან ავტორის ესა თუ ის იდეურა შთანაფიქრო. კარგახანია გერმანული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის თარგმნის ხელი მოჰყავდა ვ. ბუწუკლმა და როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო სასურველ შედეგსაც მიიღწია. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა მთარგმნელებიც, ვ. ბუწუკალი მორწმუნების სიმაღლეზე რჩება. მოვიყვანოთ ერთ მაგალითს: სალაღინის სიტყვები

მწუხარება ან რაღას გვარგებს!
ოღნსე ჩვენც ხომ ამ ქვეყნიდან მოგვეყვებს
წასვლა.
ამსთანავე, — ან ვინ იცის? — მხოლოდ
სიკვდილი
ვერ შეიძლება მისი მსგავსა ქაბუცისათვის
მიზანი უცხად შეეცვალა ასეთებს მტერი
ცოტა როდი ჰყავთ და ამიტომ ხშირად
ქლიერიც
შესაძლო არის იან მოკვდეს, ვით სუსტი
კაცო.
მაგრამ დაეხსნათ, მისი ბედი უკვე
აღსრულდა.
მე უნდა ახლა ეს სურათი რანდის სახეს
შევიღარო და გავარკვიო, თუ რაოდენად
მიმტყუნა ჩემმა წარმოსახვამ“.

როგორც არა ერთგვის იყო აღნიშნული პიესის თარგმნა მრავალ სიძნელესთანა დაჯავშობებული. შეიძლება გვირის მიერ წარმოთქმული ამა თუ იმ წინადადებაში სიტყვები არავინ დათვლოს. მაგრამ, ერთი რამ უცხადია: შესატყვისად ორიგინალისა თარგმანში ყოველი წინადადება შენარსობრივად ტყეადი, მოკლე და ლაბიდარული უნდა იყოს; ხშირად ასეთ ძნელად სათარგმნელ დიალოგებში გამოთქმულ მოკლე ქარავმულ თქმას, თუ არ მოჰყვა აზრის გახსნა, საეჭვოა რომ მთარგმნელის მიერ სასურველი შედეგი იქნას მიღწეული. ვარდა ამისა გვესტრს ზოგიერთ ადგაზე

შევაერთოთ მკითხველის ყურადღება. ზოგჯერ თათქოს დედანთან შედარებისას შეეკლამა არაა. დამებული, მაგრამ ქართულსა წინადადების გაგება ძნელი ხდება. „სასა-სადასადასა“ „მის სარა სამსონში“ (თარგ. ე. ზომარელისა) მელეფონტისა და სარას დიალოგში ასეთი წინადადებაა: სარა. „...ისაც დაღუპვისაგან მხოლოდ ერთი მოქანავე ფიცრით დამორბებულს შეუძლია იყოს გულგრილი, იმას ჩემსაზე უფრო მშვიდი და ან უფრო გამოფიტული გული უნდა ჰქონდეს“ — (გვ. 69). შესაძლებელია წარმოედგინოთ „დაღუპვისაგან მხოლოდ ერთი მოქანავე ფიცრით დამორბება“, მაგრამ ეს ზომ ქართულად უნდა ითქვას. ასევე ქართულში არაა მელეფონტის სიტყვები: „მე ზომ ახლანდელი ჩემო მდგომარეობით თქვენი ქმნილება ვარ“ (გვ. 79). მარეუდო: „ჩვენი ბაგე, მართალია მის წინააღმდეგ მქინევატებს, მაგრამ“... (გვ. 87): მაღლერებით აღსაქვ დაიანათის მიმართავს;

„ხოლო თქვენ, ნათან, მაგ კეთილი გულის წყალობით, რითაც შესძელით შეგვესუიღვთ სამარადისოდ, მხოლოდ ნაკერცხლებს არ მოიხვევთ თქვენი თავისთვის“. (გვ. 435)

გერმანულად:
„Das wird Euch nicht genug verdenken können
Nicht Feuerkohlen bloss auf Euer Haupt Gesammelt

თარგმანში თათქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ აზრის გარკვევა შეუძლებელი ხდება: როდესაც წავიკითხავთ „საკეთარ თავისთვის ნაკერცხლებს არ მოიხვევთ“ აუცილებლად დაფიქრება მოუხდება მკითხველს აზრის ვასარკვევად.

რამდენიმე სიტყვით გვესტრს შევეხოთ ლესინგის დრამებისათვის წამდგარებულ წინასიტყვაობას.

შესავალი წერილი დიფერილია ლესინგის მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა ცოდნით. წერილში განხილულია ლესინგის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომები და პიესები. ამავე დროს წერილში გაანალიზებულია ლესინგის ურთიერობა მისი დროის ისეთ ტრანგმანს, როგორებიც იყვნენ გოეთე, შილერი, და სხვები. ცალკეა გამოყოფილია ლესინგის დამოუკიდებელი გოტშედისა და ვინკელმანის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან. ვინკელმანი უდღღესა მცოდნე იყო ანტიკური ხელოვნებისა და სწორედ მის წინააღმდეგ დაწერილ შრომაში შეიმუშავა ლესინგმა თავისი ძირითადი ესთეტიკური იდეალება.

ლესინგის პაქრობას ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე, როგორც მის თანა-

მეფროვებთან ასევე წინამორბედებთან დიდი ადგილი აქვს დათმობილი წერილში. ჩვენი აზრით, საჭირო იყო, რამდენიმე სიტყვით აღნიშნულიყო გოეთეს შრომა „ლაოკონის“ შესახებ, რომელიც ერთგვარი შემოჯამებული სიტყვა იყო ვინკელმანისა, ლესინგისა და გოეთეს შორის არსებული პოლემიკისა.

ერთი შენიშვნა წიგნის შემდგენლების მიმართ. საბერძნელი იყო ლესინგის ამ გამოცემის დაბეჭდვა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების თარგმანი (სულ ორად-ორი გვერდი მაშინ მოდგენილი), რადგან საქმოდ ვრცელ შესავალ წერილში, ასევე ვრცელად მიმოხილული ლესინგის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, თარგმანში კი მათი ვაცნობის შესაძლებლობა არა აქვს მკითხველს. საჭიროა აღინიშნოს წიგნში გაბარული კორექტორული შეცდომების შესახებ. ისინი საკმაოდ კერძოებულად ამბახეჯებენ აზრს, შიშ

უმეტეს როდესაც ეს არც შეცდომებიც კარგაა და მითითებული წიგნის მე-8 გვ-ზე სწერია: „...ერდერისა და შეტერისსაგან უანხვავებით“-ო. აქ, ცხადია, შეტერისსაგან უანხვავებით არის ასევე 450 გვ-ზე წერია — „ნათანას სახის წინ“. უნდა იყოს „ნათანი სახლის წინ“. და სხვ. წიგნში სულ რამდენიმე ფრაზა უცხო ენაზე და მათშიც შეცდომები გვხვდება.

და ბოლოს გვსურს, რომ ჩვენმა თეატრებმა ყურადღება მიაქციონ ლესინგის დრამატულ შემოქმედრობას, კერძოდ აქმალია გალოტის-სეციური განსახიერებას, რომელიც ვფიქრობთ ქართულ სცენაზე საპატიო ადგილს დაიჭერს.

გოეთეს, ლესინგის, შილერისა და საერთოდ სხვა უცხოური კლასიკური ლიტერატურის ნიმუშების ქართულ ენაზე გამოცემით დიდი ეროვნული საქმე კეთდება, რასაც განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციონ და მხარი დაუჭირონ გამოცემლობებმა.

ნოდარ გუბაძე

მეზოსტნეოზა თბილისის სანახევში



საქართველოს სოფლის მეურნეობაში მეზოსტნეოზას ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მას უშუალო კავშირი აქვს საზოგადოებრივი კვების საქმესთან და საქართველოს ბევრ რაიონებში მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. ამის შესახებ მთელი რიგი სპეციალური გამოკვლევებია დაწერილი.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როდესაც მეურნეობის სხვადასხვა დარგებთან ერთად გარკვეული ყურადღება ექცევა მეზოსტნეოზის გვეგამოზიერ შესწავლას, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოგრაფიულ მასალას, კერძოდ იმ ძველი ქართული ხალხური ტრადიციების წარმოჩენას რომელიც მეურნეობის ამ დარგში იყო გამოყენებული და შეტწოდად დღევანდლამდე შემორჩენილი.

მეზოსტნეოზის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება საინტერესო ისტორიული ცნობები, რომელთა ახალნი მოცემულია აკად. ივ. ჯავახიშვილის ორ დიდ ტომად გამოკვეთებულ ნაშრომში — „საქართველოს ეკონომიური ისტორია“. მაგრამ აქ ეთნოგრაფიული მასალა არ იყო განზოგადებული. ჯუანშერ სონღულაშვილის სარეცენზიო ნაშრომში პირველადია მოცემული ამის ცდა.

ავტორი დასახულ მიზნის გადასაჭრელად ფართოდ იყენებს ისტორიულ წყაროებს, სპეციალურ ლიტერატურას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში არსებულ შინაშეწავლობის მასალებს. საველე ეთნოგრაფიულ მასალას და აკად. ს. ჯუანშერის სახ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცულ ექსპონატებს.

სარეცენზიო ნაშრომი შესდგება შესავლისა და ხუთი თავისაგან. შესავალში ავტორი ვეცნობს მონოგრაფიის აგებულებას, კვლევის მეთოდსა და მიზნებს, მეზოსტნეოზის მნიშვნელობას და იძლევა მასზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვას. ნაშრომის ამავე ნაწილში მდიდრადაა წარმოდგენილი ბოსტნეულის, როგორც ვეღური ისე კულტურული სახეობები, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. ავტორი მეურნეობის ამ დარგს ორ მთავარ ნაწილად უყოფს: შინადანიშნულების მეზოსტნეოზა და სამრეწველო მეზოსტნეოზა; იგი ეხება თვითველ მათგანში შრომის განაწილებას, განსაკუთრებით შინადანიშნულების მეზოსტნეოზაში ქალის როლს და განმარტავს ამ ორივე დარგის მნიშვნელობას ყოფაში (გვ. 4). ჯ. სონღულაშვილი მეზოსტნეოზის დარგის დაწინაურებასა და ზოგიერთ რაიონებში წამყვან დარგად გადაქცევის ხსენს ბაზარზე მისი მოთხოვნილების გაზრდით, რაც განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს მეცხრამეტე საუკუნეში.

ნაშრომის, პირველ თავში — „მეზოსტ-

ჯუანშერ სონღულაშვილი — „მეზოსტნეოზა თბილისის სანახევში“ (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). 1959, რედ. პაროფ. გ. ჩიტიანი.

ნების ძირითად დარგებთან დაკავშირებული შრომის პროცესები“ ავტორი ჩამოთვლის ბოსტნეულის სახეობებს, ადგენს მისი გავრცელების არეებს და ისტორიული წყაროების დახმარებით განსაზღვრავს თვით ტერმინ „ბოსტანის“ ქართულ შეწერლობაში შემოხიზნის ხანას. (გვ. 11—12). თავის პირველ პერიოდში — „ბოსტანზე მიწის შემხადების პროცესები“ ავტორი ეხება მიწის მოქმედების საბოსტანე სისტემაში მიწის შერჩევის და დამუშავების ხალხურ პროცესებს, მისი დამუშავების ხერხებს, ტრადიციებს: ხენა, ბარვა, თოსნა, დამარვა, დაყალბა, დაფუტვა, მარგვლა, შალთა, ვამატოვება და სხვა.

ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ნიადაგის „ტანტეობად“ ანუ ტერასებად მოწყობას, დამარვას, ჭობიან ადგილებში კვლების საწრებებად დაყენებას და ჩამოთვლის საქართველოს ამ თუ იმ კუთხეებს, სადაც აღნიშნულ ხერხებს მიმართავდნენ. ჩერდება რა ნიადაგის ზემოთ ჩამოთვლილ ხერხების მნიშვნელობაზე და მის დადებით მხარეებზე ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, იგი ზოგ მათგანს საქართველოს მიწათმოქმედების ცოდნა-გამოცდილებაზე ამოცენებად მიიჩნევს (გვ. 14). ავტორი საინტერესოდ აღწერს მიწათმოქმედების რთულ პროცესებს და შრომით ჩვევებს, სადაც კოლექტიური შრომა იყო გამოყენებული „დაძახლის“, ანუ უღამისა და ანაცვალ-გარდის“ წესებით. იგი აღნიშნავს მიწის დასვენების მრავალგვარ ხერხებს, რომელიც დღემდე შემორჩენილი ტერმინებია: ნარბილი, რცხილა, ყამირი, კორდი, ნასვენები, ანუღლა, მძრალი. ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ავტორი აღასტერებს მიწის დამუშავების, კერძოდ მებოსტნეობაში გავრცელებულ თესლმონაცვლებას და ხშირად სამტრედელ თესლმონაცვლებასაც. იქვე ავტორი იხილავს მიწის ბალახით გამატოვების წესს, რომელსაც ყოფაში „ჩამამბავს“ უწოდებენ, ბალახის მორჩევი მიწის გასუფთავება გალარბების შეტყობას, ბოსტნეულის ადგილებში დამწვარი ჰატიკის ცხერის „დრემლას“ გარეგან და სხვა (გვ. 13).

მომდევნო მეორე კვლევებში „ბოსტნეული კულტურების კლასიფიკაცია“ ავტორი სხვადასხვა ბოსტნეულის მოვლა-მოშენებასთან ერთად იხილავს მასში შემავალ კულტურების კლასიფიკაციას და შრომის პროცესებს. ამ კულტურების დაწვრილებით აღწერილობასთან ერთად იგი გვიჩვენებს მის განვითარების, შემოსულის ვხეობისა და გამოყენების მრავალფეროვნებას ყოფაში.

სარეცხობის ნაშრომის შესამე თავში ავტორი იძლევა ძველი სარწყვა არხების ზოგად მიმოხილვას. სარწყავი არხების სახეებს, მშენებლობასა და წყლის განაწილება-გამოყენებას თბილისის სანაპიროში და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ავტორი ასე-

ნის, რომ ბოსტნეულის მორწყვა კარგად დილის, საღამოს და განსაკუთრებით ღამით — ცივი წყლით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას უკლები „იხარშება“. იგი ამავე დროს უტრადიციულად აწეკვს მებოსტნეთა გამოცდილებას წყლის სადატრობისა და შედგენილობის გამოცნობა-სარგებლობის შესახებ.

ჯ. ნაძღვარაშვილი ნაშრომის შესამე თავში საჭ. სახ. მუხრანის ფონდებში დაკულ დაველზე მოპოვებულ სამეურნეო კოლექციების პეპელიკაციისა და სამეცნიერო ლიტერატურაში მისი აღწერილობათა ნიადაგზე იხილავს მებოსტნეობის დარგებთან დაკავშირებულ შრომის იარაღებს, იძლევა მის კლასიფიკაციას და დამხადების ხალხურ ტექნიკას. ავტორი მებოსტნეობის სამეურნეო იარაღების განხილვისას მას სამ ჯგუფად უყოფს (გვ. 97) და თვითელი მათგანის შესწავლისას ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად არქეოლოგიური მონაცემებითაც უხვად საკვებლობს.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის მეოთხე თავი, სადაც ავტორი იძლევა ველური მხალეულის ზოგად ისტორიულ მიმოხილვას. საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი ყოფილი დამოქმედული ველური მხალეულის მოპოვებისა და საყვებად თუ სამკურნალოდ მისი გამოყენების ხალხური წესები.

ნაშრომის მეხუთე თავში „მებოსტნეობის როლი თბილისის სამეურნეო ყოფაში“ წარმოდგენილია მებოსტნეობის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალები, რძეული მის აღმავალია. სპეციალიზაციის ასახავს კამბოლისის განვითარების პირობებში და გვიჩვენებს მის როლს მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მე-19 საუკუნეში.

თბილისისა და მის გარეუბნის ეთნოგრაფიულ ყოფაში ავტორი აღასტერებს მიწის დაქირავების წესებს: „აჯართ ალება“, „მიწის დაგირავება“. „სანაპერო“, „საშწილად“ მიწის დამუშავება, „ოთხწილად“ ე. ი. ამხანავით დამუშავება და მიწის ბალნარად გაშენება, ანუ „მონაშენებობა“. თბილისის სანაპირო მებაღეობა-მებოსტნეობის ინტენსიურმა გაფართოებამ, როგორც ავტორი აღნიშნავს, ხელი შეუწყო მეურნეობის ამ დარგისათვის საჭირო ნაგებობების ე. წ. „მებაღის კიხის“ შექმნას. ჯ. სონღვარაშვილი ამავე თავში აღწერს ზოგიერთ ბოსტნეულის „ციცხლად“ შენახვის ხალხურ წესებს, დამწვრილებს ხერხებს და სხვა. ბოლოს ავტორი ეხება ძველი თბილისის ბაზრებს, ბოსტნეულით ვაჭრობას, ჩალეადარის, ბაყლის და კინტოს როლს მის რელიგიის სწავლაში.

შრომის ახლავს ეალე თავებში განხილული საითხების შემთხვევებით დასკვნები და რუსულ ენაზე რეზიუმე, ხოლო ბოლოში დართული აქვს ცამეტი ტაბულა.

ამგვარად სარეცხობის ნაშრომი საინტერესო ეთნოგრაფიული გამოკვლევაა, მაგრამ და-

დებით მხარეებთან ერთად მას ახლავს ზოგიერთი ნაეღვი.

1. ნაშრომში გამოყენებულ წყაროებთან და სხვა დამხმარე ლიტერატურასთან ერთად ავტორს კიდევ უფრო ფართოდ შეეძლო ესარგებლნა ისეთი ქართული ეჭრნალ-გაზეთებით, როგორც იყო: „გუთნის დედა“, „მურწანე“, „დროება“ და სხვა, სადაც საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული საკლები საქითის რველოვ.

2. ავტორი ნაეღვად ეხება სათესლე მასალის დამზადების, შენახვის, მისი ავარიაციონის გამოცნობის ხალხურ წესებს, რომლის გა-

მოყოფა ცალკე თავად სასურველოც კი იყო.

3. ნაეღვი მასალებია საეროოდ-წარმოდგნილი ნიადაგის სტრუქტურული შედგენილობის შესახებ.

4. სასურველი იყო ავრთვე შესაღარებელი ენთოგრაფიულ მასალას კიდევ უფრო ფართოდ მოტანა საქართველოს სხვა კუთხეების მუბოსტნეობის გამოცდილებიდან.

5. ავტორი ბოსტნეულის ელტურული და ელტური სახეობების განხილვისას ზოგჯერ ამოწურავ პასუხს არ იძლევა, მაგ. სატაეტრის აღწერისას არ იხსენიებს ქართლში ფართოდ ვარცელებულ „ლაშერა“ სატაეტრს.

დ. კავლიაშვილი

სასარგებლო ნაშრომი საქართველოს სახალხო მეურნეობაზე



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1959 წელს, რუსულ ენაზე გამოცემა დოცენტი ი. ს. მიქელაძის ნაშრომი „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება“. ნაშრომი დაწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების ღრმა შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე.

ავტორი სამართლიანად მიეთითებს რომ სოციალისტური მშენებლობის არც ერთ ეტაპზე წარმოების სპეციალიზაციისა და მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხები ისე მჭიდროდ და ფართოდ არ დამსულა, როგორც საბუთთა კავშირის კონფინსტრუქციის XXI ყრილობასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმზე.

სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის გაღრმავება და სპეციალიზებულ საწარმოთა მიდარაობითი და საზაობნათაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება პარტიისა და მთავრობის რიგ გადაწყვეტილებებში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება არა მარტო მრეწველობის დარგში, არამედ, აგრეთვე, სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა დარგებშიც.

ავტორი შრომაში არცევეს სპეციალიზაციისა და კომპლექსურობის მნიშვნელობას სახალხო მეურნეობისათვის და სათანადო ფაქტობრივი მონაცემების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ სპეციალიზაცია წარმოადგენს შრომის ისეთ დანაწილებას, რომლის დროსაც ადგილი აქვს სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დანაწილებას

უფრო ვიწრო დარგებში, ე. ი. იგი იწყვეს ცალკე დამოუკიდებელი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო დარგების ვადიდებას.

კომპლექსურობა და სპეციალიზაცია ვითარდება ერთიანი სახალხო მეურნეობის გეგმის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს მიზანშეწონილ წარმოებით ერთიერთ კავშირს ცალკე დარგებისა და წარმოყვებებს შორის. აქ ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსურობა გამოდინარეობს სახალხო მეურნეობის გვეზიზიმიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის მოთხოვნებიდან.

სახალხო მეურნეობის გვეზიზიმიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი ისე როგორც საზოგადოების სხვა ეკონომიური კანონები, ობიექტური კანონია, რომელიც ასახავს ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მომდინარე ეკონომიური განვითარების პროცესებს. იგი მოითხოვს სოციალისტური სახალხო მეურნეობის დარგთა შორის პროპორციული განვითარების აუცილებლობას და იძლევა საშუალებას მატერიალური და შრომითი რესურსების პროპორციული განაწილებას დარგებს შორის, რა აბის დარგთა შორის მატერიალური და შრომითი რესურსების პროპორციული განაწილების ბირობა და სიიდან გამოდინარეობს მისი აუცილებლობა? იგი გამოდინარეობს მატერიალური დოვლათის საკვალიტური წარმოების სფეროდან, რაც აბისნება იმით, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების რაფუძველზე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები დაკავშირებულია ერთმანეთთან და განვითარების პროცესში ემსახურებიან ერთმანეთს. მაგალითად,



იმსათვის, რომ მანქანათმშენებლობის მრეწველობამ დაამზადოს ავტომანქანა მის ესპორტება განსაზღვრული რაოდენობის სხვადასხვა სახის ლითონის ნაწილები, რუნჩი, ხის მასალა, ელექტროენერჯია, საწვავი და საარსებო საშუალებები. ასეთივე მოთხოვნილებებია საჭირო ყველა სხვა სახის პროდუქციის დასამზადებლად. სახალხო მეურნეობის გვეგზავნობიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონი მოითხოვს მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით წინასწარ იქნეს გამოყვანილი და აღიკვეთილი საჭირო მასალის რაოდენობა და შემდეგ დაიგეგმოს მისი წარმოება.

ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი სახალხო მეურნეობის გვეგზავნობიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის ობიექტურ მოთხოვნას სთვლის არა მარტო დარჯათმორისი პროპორციების, არამედ სარაიონთაშორისო პროპორციების დამყარებასაც და აღნიშნავს, რომ „რაიონთაშორისი და შიდარაიონული პროპორციების დაცვა სახალხო მეურნეობის გვეგზავნობიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიური კანონის ადვილად მოთხოვნილი, რომელიც თავის გამოხატულებას უნდა პოულობდეს წოდურ და პერსპექტიულ გვეგვებში“.

ავტორი კარგად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის ეკონომიური რაიონების დამახასიათებელ ნიშნებს. ეკონომიური რაიონი, — წერს ის, — არის ისეთი საწარმო-ტერიტორიული ერთეული მდლიანობა, სადაც შიდარაიონული საწარმოო კავშირის არსებობასთან ერთად, უზრუნველყოფილია წარმოების სპეციალიზაცია სარაიონთაშორისი შრომის განაწილების საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მასშტაბით“.

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონები, გამოყოფილი არიან რა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებად, ემსახურებიან მეურნეობის ოპერატიული მართვის ამოცანათა გადაწყვეტას. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ შენარჩუნებული იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების საზღვრები და დაეძღვოს იქნეს მათი სუვერენული უფლებები.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება მიმართული იყო იქითგან, რომ მომხდარიყო ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების სამრეწველო დამუშავება, ხოლო ამას კი ზედიზედ შეეწყობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ჩამორჩენილობის ლევიდაციისათვის და, ამავე დროს, ჩვენს რესპუბლიკას სათანადო წილილი შეეტანა საბ-

ჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვრცოლი აღმავლობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ისტორიულად მოკლე პერიოდში საქართველოში შრომის სარაიონთაშორისო განაწილების საფუძველზე ვითარდებოდა და ვითარდება სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, რომელნიც განსაზღვრავენ მისი სპეციალიზაციის პროფილს, რამაც თავის მხრივ შექმნა შესაძლებლობა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სარაიონთაშორისი სამეურნეო კავშირისა.

სარეცენზიო ნაშრომში ღრმა შეცნობებით ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია საბჭოთა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფორმები და მასშტაბები. ამის საფუძველზე ნათლადაა დასახული როგორც შიდა რესპუბლიკური, ისე რესპუბლიკათაშორისო სამეურნეო კავშირთაშორისი გაუმჯობესებისა და გაღრმავების გზები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების მავალითზე დამატებითი სიცხადით ახსნილია განვითარების ორი მიმართულება; ერთი მხრივ, სპეციალიზაცია რაიონთაშორის შრომის განაწილებაში, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ეკონომიკის კომპლექსური განვითარება.

შრომში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა უკავადი დებულებების გამოყენების საფუძველზე ნაჩვენებია სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი რთული საკითხი — სპეციალიზაციისა და კოოპერირების ურთიერთ შესაბამისობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს საქართველოს საწარმოო ძალთა აღმავლობას, მისი ერთიანი ეკონომიკის განმტკიცებას და ამის საფუძველზე მშრომელი ხალხის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის სისტემატურ გაუმჯობესებას.

ავტორმა, ჩვენს ლიტერატურაში პირველად, საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შესწავლის საფუძველზე, შეიმუშავა კონკრეტული წინადადებანი მეურნეობის ამათვიმ დარგის განვითარების შესახებ. ამ მხრივ საფუძვლიანობა წინადადება ტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის შემადგენლობაში ახალ სამრეწველო საწარმოთა აღმოცენების შესახებ; ელექტროენერჯიტიული მეურნეობის განვითარების ახალი შესაძლებლობანი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები და სხვა.

ინტერესს არ აჩინს მოკლებული, ავრთვე, ავტორის მიერ ვაკეთებული ანალიზი საქართველოს სსრ მრეწველობის ამჟამად არსებული დარგობრივი სტრუქტურისა, ამ ანალიზის საფუძველზე ავტორი შეცნობიერულად ასახუ-

თებს საქართველოში მრეწველობის ახალი დარგების აღმოცენება-განვითარების სპირიტუალს და ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიული სიმშაპრის აუცილებლობას. ამ საკითხის გარჩევას ავტორი უკავშირებს რესპუბლიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული ეკალიფიცირის შრომით დასაქმებას და შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღზედლობის ამოცანებს. ამ შრომის პოლიტიკურ-ეკონომიურ ნარკვევში ავტორი სპეციალურად განიხილავს, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, როგორც შიდარესპუბლიკურ-სამეურნეო კავშირუთარუთობას, აგრეთვე სარესპუბლიკათა-შორისო მიწოდებათა საკითხს. ბუნებრივია თუ რაოდენ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დღეს მრეწველობისა და მშენებლობის მართველობას ტერიტორიული პრინციპის მიხედვით. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა მრეწველობის და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა, ავტორი არა მარტო არკვევს ამ თანამშრომლობის ეკონომიურ ბუნებას, არამედ, სახავს პრაქტიკულ გზებს, რომელიც უნდა მოინახოს (მატერიალური წარმოების) ახალ საწარმოთა აღმოცენების მიმართულებით, რათა შტაკიად იქნეს დატული პრინციპი მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების შესახებ.

ავტორმა განსაკუთრებით საინტერესო ანალიზი მოკვდა საქართველოში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა-გატანის ბალანსის შესადგენად. ამ საკითხის უაღრესად დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შემოტანილი და გატანილი პროდუქციის სტრუქტურა იძლევა საშუალებას სწორად შევფასოდ ეროვნული შემოსავლის საკითხი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში. ვარდა ამისა, ამ საკითხის შესწავლას ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი იძლევა საშუალებას სწორად დავსახოთ მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და შევიწყლოთ სარაიონთაშორისო ურთიერთობის რაციონალიზაციის გზები. ამ მხრივ, ჯერ კიდევ დიდი სამშელო ომის პერიოდში საინტერესო გამოკვლევა ჩატარა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგემ, პროფესორ ნ. ა. ცაგოლოვმა. პროფ. ნ. ა. ცაგოლოვის შრომაში „საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და მისი სამეურნეო კავშირუთარუთობა სსრ კავშირის სხვა რაიონებთან“ (რუსულ ენაზე) გამოყლინებულია ღირებულებითი გამოხატულებით სამრეწველო ტვირთის შემოტანა და გატანა და ამის საფუძველზე დადგენილია, რომ 1940 წლისათვის

საქართველოდან გატანილი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის უახლოვდება შემოტანილი პროდუქციის რაოდენობას. მაგრამ რესპუბლიკის ბალანსი უკიდურეს პასიური იყო, რომ შემოტანა-გატანის ბალანსის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია მოხმარების საგნთა მაღალი ზვედრითი წონა, განსაკუთრებით გატანის მიმართ.

დოქ. ი. ს. შიქლიაძე პროფ. ნ. ა. ცაგოლოვის ამ საინტერესო გამოკვლევას აგრძელებს შემდგომი პერიოდისათვის და იძლევა ნათელ სურათს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა-გატანის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ ავტორის კვლევა ამ საკითხზე წყდება 1950 წლით, საქორია ამ საკითხის კვლევის აგრძელება, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა-გატანის მდგომარეობის გამოკვლევა 1950-1959 წლების მიმართ და აგრეთვე ამ შეფარდებათა გამოკვლევა პერსპექტიული განვითარების გზით.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გარჩევას ავტორი კმაყოფილდება შედარებით მოქვეყნებული მონაცემებით. მაგალითად, საქართველოს უფრგუტიული ბალანსი, რომელიც განხილულია მეექვსე თავში წყდება 1957 წლით, ხოლო სათბობი ბალანსის მონაცემები, ძირითადად, აღებულია 1955 წლისთვის. საქართველოს მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც განხილულია მეორე თავის მეორე პარაგრაფში, მოყვანილია 1955 წლის მონაცემებით.

საქართველოს მეურნეობის განვითარების პერსპექტივები შეზღუდულია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შეიღწილიანი გეგმის ფარგლებით, მაშინ, როდესაც საჭირო იყო 15-25 წლების განვითარების გვერტალური პერსპექტივების მხედველობაში მიღება.

დასასრულს, შრომის იმ ნაწილში, სადაც ავტორი არკვევს საქართველოს სპეციალიზაციის პროფილს სსრ კავშირის შრომის სარაიონთაშორისო განაწილების პროცესში საჭიროდ მიგეანია, თუნდაც მოკლედ, ავტორი შეგნებულყო საქართველოში საკერძოტო მშენებლობის ამოცანებზე, ვინაიდან ამ დარგს ჩვენი რესპუბლიკის სპეციალიზაციის პროფილში უდიდო მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის.

აღნიშნული შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. შრომა დაწერილია უაღრესად აქტიუალურ თემაზე, განხილული საკითხები და თეორიული განხილვებები დიდ დახმარებას და სარგებლობას აღმოუტენს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მომწევე მეწეებს.

3. ღაბუაიანი

დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ ქართულ ენაზე

საქართველო
ბიბლიოთეკა



ქართულ ენაზე ახლანდელად გამოქვეყნდა პირველად „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, რომელიც ინგლისური ენიდან თარგმნეს მერაიანსონის მიერ და ნათელა კეჭელაძის მიერ.

„პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ დაწერილია დიდი დიდი ინგლისური ენით, დიკენსი იყენებს ხალხურ ინგლისურს, დიალექტებს, ეარგონს, იდიომებს, ანდაზებს, დიკენსი მრავალსიტყვიანი და არა ზედმეტსიტყვიანი მწერალია, ლოგიკური და მხატვრული მნიშვნელობის გარეშე იგი სიტყვას არ ხმარობს.

ენა დიკენსთან მხატვრულ ფუნქციას ასრულებს, მისა გვირგვინი, მეორე და შესამებარის-ხოვანიც კი, ინდივიდუალური ენით შეტყუებულენ. მათხველი მათ ცნობს არა მარტო დამახასიათებელი ქცევათა და ვარჯიშობით, არამედ ლაპარაკის ინტონაციით, წინადადებების წყობითა და სპეციფიკური გამოთქმებით: აქტორის ტექსტიც თავისებურია. მახვალ ქვემოთს, სიტუაციებისა და ხასიათების კომიკის დიკენსი აღწევს კონტრასტით სავსის შინაარსსა და მისი გამოხატვის ფორმას შორის. სასაცილო, უმნიშვნელო მოვლენას იგი აღწერს განზრახ პათეტური ტონით. მაღალფარდოვანი ელერალობის მისაღებად მწერალი იყენებს არასტოკიატიკულ გამარჯვებულ სტილს. სენტემენტალური ტონს ან მეცნიერულ ტრაქტიკებსა და სასამართლო ოქმების ენას, კიდევ უფრო აზვიადებს მათ, შემოაქვს ნეოლოგიზმები, ზედსართავებითა და მიმღობებით დატვირთული ჩართული წინადადებები, სინტაქსურად დახლოებული ვრცელი პერიოდები. მთხვე სინტაქსური წყობის ავტორი იშველიებს აგრეთვე კომიკური ხასიათების გასახსნელად, საგნებზე გვირგვინს ალაპარაკებს რთული და მაღალფარდოვანი ფრაზებით, რთული სინტაქსი დიკენსის ჰუმორის დამახასიათებელი მხარეა. მარტამ დიკენსის სტილი გამჭვირვალეა. მთხვე სინტაქსის ასისად არ ეწერება აზრის სინათლე. ამიტომაც, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ დიკენსის ენასა და ჰუმორის სურნელებს თარგმანში ნაწილობრივ მაინც იყარვება.

„პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ ქართულ ენაზე ასეთივე რთული სათარგმნელია, როგორც სხვა ენებზე. ეარგონის, სპეციფიკური გამოთქმების, რთული სინტაქსის როგორც მხატვრული ზეარხის აღდგენა თარგმანში არა მარტო ძნელია, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიც კი. რომანის ქართული თარგმნელობითი კლდე ერთი სიმინელს წინაშე იდგნენ: მათ არ დახვედრათ საქართველოში მსაფლიო მნიშვნელობის ჰუმორისტული ლიტერატურის თარგმნის დიდი ტრადიცია. მათ

მოუხდათ ქართული ენის რესურსებში რთული ლექსიკური და სინტაქსური შესაძლებლობათა ძიება, ნეოლოგიზმების შემოტანაც, რომ ქართული ენის სტიქია „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ ჰუმორისათვის დაემორჩილებინათ და თანაც ქართულ ენას არ დაეკარგა ბუნებრიობა. მთლიანად „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ ქართულ ენაზე ბუნებრივად ელერს და რიგიანლის აღქმად მხატვრულ თარგმანს წარმოადგენს.

რეალისტური თხრობის გვერდით თარგმანში შენარჩუნებულია დიკენსისებური ჰუმორისტული სტილი: ამართალია ეამთა უწყალო მსვლელობამ და მგლერმა შადამ მის (ტამენის, ც. თ.) ოდესღაც წერწება ტანს განი შეშაბა, შვი აბრეშუმის ვილავი თანდათანობით გაფართოვდა, ვილავის ქვედა ჯაბიდან გადმოკიდებული ოქროს ძეწვეა თანდათანობით მიფარა ტამენის თვალთხვედიდან და ვეებრტულა ღაბაბი ნელ-ნელა ქათათა საყულოს გარეთ გამოქვრა, მავრამ მისტერ ტამენს ვილავი მაინც არ შეუტყუა — მწვენიერი სქესის ტრფილი ეკლავინდებურად ასულგზელებდა მას“. (გვ. 14). ან კიდევ:

— „ახლა ფეხი დამივირე და როდესაც გეტყვი „ამწიე“ — მეოქი, — ფრთხილად ამწიე.

— ძალიან კარგი, სერ.

ამ წინასწარ საშხადისს მორჩნენ თუ არა, მისტერ პიკვიკი ეკლავს თავს მოვლავება და როგორც კი წარმოთქვა სიტყვა „ამწიე“, — სემმაც ზეტად შეარტულა ბატონის ბრძანება. მისტერ პიკვიკმა ვერ აიღო აილო სემის ვონების მოქნილობას, თუ მისტერ უელერის წარბოღენა „ფრთხილად აწევაზე“ უფრო უხვეი იყო, ვიდრე მისტერ პიკვიკისა, ჩვენ არ ვიცით; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სემის დამხარების უშუალო შემდეგ ის გახლდათ, რომ მან ეს უცვადვი გენტლემენი ეკლადან თხვევე დაუშვა და ზედ ბალის კვალზე მოადენინა ზღართანა“ (გვ. 270).

ქართულ თარგმანში აღდგენილია გვირგვინის სახასიათო მტყუვლეობა ავანტიურისტი გინგლის ლაპარაკის დროს გზადგება ტუვილებს იგონებს, ეს ემჩნევა მის დაუმთავრებელ აბაუბდა წინადადებებს. ქართულად დაკულია გინგლის მონოლოგების სპეციფიკური სტილი. არ შეიძლება იგივე ითქვას ყველა გვირგვინის სალაპარაკო ენაზე. ეარგონი მხატვრული თარგმანის კანონებს ძნელად ემორჩილებს. ამით ახსნება ის გარემოება, რომ „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ ქართულ თარგმანში ნაწილობრივ მაინც დაკარგულია სემ უელერისა და მამამისის კოლორიტული მტყუვლეობა, რომ-

ლიც ძირითადად ლინდონერ ქალაქის ეარ-გონზე „კოკინოზა“ აგებული.

მთარგმნელები მოხერხებულად იყენებენ ქართულ იდიომებსა და ზატოვან თქმებს. ასე, მაგალითად: „ბრაზისაგან ძლივს ითქვამდა სულს“ (გვ. 159), „შეშხებევა ხელადან არ გაუშვა“ (გვ. 133), „ბრაზი ყელში მოებჯინა“ (გვ. 229), „სულს გაგაფრთხობინებთ“ (გვ. 379), „კვირა დაუტრა“ (გვ. 489). „სახტად ღარჩანა“ (იქვე) და სხვა მრავალი.

ქართულ თარგმანში ზოგჯერ სიტყვათა თანამაცაა გადმოტანილი. პიკიკელებს ფრაკზე უკეთაათ ნიშანი თვით მისტიკარ პიკიკის გამოსახულებით, რომელზედაც ამოკვეთილია ინიციალები „პ. ც“. ე. ი. „პიკიკის კლება“. ამას აღვივალ ზედება გინგლი, მაგრამ ტამპენს მიიწვ დაცინვით ეკითხება ინიციალები ზომ არ ნიშნავს „განსაკუთრებულ კოსტუმს“ — „Peculiar Coat“. ქართულად „განსაკუთრებული კოსტუმს“ ნაცულად თარგმნილია „პირბული კოსტუმი“, რითაც დაცულია ინიციალები „პ. კ.“ სიტყვა „განსაკუთრებულს“ კონტრექსტში არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა და მისა შენაცვლება „პირბულით“ არ ცელის მხატვრული სახის შინაარს, სამაგეროდ ქართულ ენაზე შენარჩუნებულია ინიციალებზე აგებული სიტყვათა თანამა:

— „პ. კ. — თქვა უცნობმა—უცნაური სამკაულია... ჩვენი ბერიკაციის სურათი და „პ. კ.“— რას ნიშნავს „პ. კ.“? ჰ ი რ ა დ ი კ ო ს ტ უ მ ი?“ (გვ. 31).

რომანიდან შეაძლებოდა მრავალი შესანიშნავად შესრულებული თარგმანის ნიმუშის მოტანა. „პიკიკის კლები ჩანაწერების“ ქართულმა მთარგმნელებმა დედანის იღუპრი შინაარსის, სტილისა და მხატვრული ხერხების ქართული ექვივალენტების ძიების რთული პროცესი გაიარეს. მაგრამ ეს პროცესი დღესაც არ არის დასრულებული. ამას მოწმობს ის ცალკეული ხარვეზები, ქართულ ენის დამძიმებისა და ორიგინალის აზრის დარღვევებს შემთხვევები, რომლებიც თარგმანში მოვლოდნულად გვხვდება. „აქ იჯდა ის შესანიშნავი აღმინი (პიკიკი, ც. თ.), რომელმაც დასაბამამდე გამოიყვალა ჰემისტეტის დიდებულ ტბორებს“ (გვ. 13). ამ წინადადებაში ძნელი მისახვედრია, პიკიკი თვით არსებობდა დასაბამამდე და იველუვა ჰემისტეტის ტბორებს თუ მთარგმნელს იმის თქმა სურდა, როგორც ღუდანშია, რომ პიკიკმა გამოიყვალა ამ ტბორების სათავეები, ქართულად შედინარეებს, გუბებებსა თუ ტბორებს აქვთ „სითავე“ და არა „დასაბამი“.

„გონიერების ნათელი ოდნავ თუ ლევიოდა

მოგზაობა თვალბში, რადგან ის იყო განმანბრანება „სმენა“-ო და მყურებლებს უცურად მოაჩუქდა გამოშტერებულ თქმულას ჩამოდენიზე ათასეული წყვილი, რომელშიც უკეთეს ნატამალაც აღარ მოიხანდა“ (გვ. 65). მოტანილი წინადადება მოთხოვნს ჩასწორებას, რომ მოთხველისათვის ნათელი ვახდეს მისი აზრი. ჩასწორებელის შთაბეჭდილებას სტოვებს შემდეგი წინადადება: „თანხმობის. ნიშნად თანაბროსაქმენ თაი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია სრული მოწონების ნიშნად“ (გვ. 323—324). უნდა წაიშალოს ან „თანხმობის ნიშნად“ ან „მოწონების ნიშნად“.

ჯიხვილის მარტივი აზრი, რომ „გარეთ უფრო აღვივალ მიპოვნეი, ვიდრე შინ“ (Rather you found me; out, than found me at home“), შეცვლილია და ბუნდოვანადაა თარგმნილი: „— თუ კი შესაძლოა მიპოვნით იმ, სადაც არ ვიქნები“ (გვ. 36). იქვე მემოლკეთხოლობით: „მისტიკარ ტამპენი და უცნობი კი ტამპენის საწოლ ითამაშო ავიდნენ, რომ უგრძნობელი უიწყლათვის დაებრუნებინათ მისი მოკაზმულობა“. ეს ერთი სიტყვა-უფერძნობელი“ ამბიხიჯებს მთელ აზრს. ინგლისურ ტექსტში წერია: „to restore the borrowed plamage to the unconscious Winkle“ (რომ უიწყლისათვის, რომელმაც არაფერი იცოდა, დაებრუნებინათ ნათხოვარი მოკაზმულობა). „Unconscious“ ნიშნავს უფერძნობელს, აგრეთვე აღმინის ისეთ მდგომარეობას, როცა მან რაღაც არ იცის. უიწყლი უფერძნობლად კი არ იყო, როგორც თარგმანშია თქმული, არამედ სრულად უცნობს იმდენად ტამილად ექნა, რომ არაფერი გაუგია.

თარგმანში ზოგან ჩნდება დამახინჯებული იდიომები და გამოთქმები. „მკლავს აღარ უშევენებდა“ (გვ. 98) „შხარს აღარ უშევენებდა“-ს ნაცულად; „სიხარულით ცას დაეწია“ (გვ. 65), უნდა იყოს „სიხარულით ცას ეწია“; „დიდ კაცებს“ გაუტანლობა და არა „დიდი ხალხის“ გაუტანლობა (გვ. 414).

ქართულ თარგმანში მიგნებულია დიკენსის ჰუმორისტული სტილი, შემოტანილია დიკენსური რთული სინტაქსი და ნათელი აზრი, ძირითადად დაცულია ქართული წინადადებაების ბუნებრივი წყობა, რაც იმის საწინდარია, რომ მოპყავალი, რომანის მთავარ ნაწილს თარგმნისას. მერი იანკოშვილი და ნათელა კეშელა თანაბარი ძალით გადმოგვიტყვენ ქართულ ენაზე დიკენსის მხატვრულ ოსტატობას, უფრო გამოცდილი ხელით დახვეწავენ თარგმანს და აღზაბთ აიცილებენ იმ ხარვეზებს, რომლებზედაც მოგვიხდა ლაპარაკი ამ პატირი წერილში.

ახალი წიგნები



„საბავროთა სამართხველო“

- კ. გამახატრდა — რჩეული თხზულებანი, ტომი 3. რედ. ი. აბაშიძე, ს. ჭილაია, გ. ნატროშვილი. გვ. 752, ფასი 14 მან.
- ვ. გორგაწელი — მთელი გულით. (ლექსები და პოემა) რედ. ბ. მიტრეხუაძე. გვ. 105, ფასი 2 მან. 40 კაპ.
- ი. ცინცაძე — 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. რედ. მ. კორძაია. გვ. 302, ფასი 5 მან. 25 კაპ.

„საბავროთა მწერალი“

- ლენინს — ქართული პოეტები. გვ. 206, ფასი 6 მან. 10 კაპ.
- შალვა დადაანი — გვირგვინიანების თუჯანი. რედ. ა. გაბესკირია. გვ. 256, ფასი 17 მ. 30 კაპ.
- ა. ს. გრიბოედოვი — ეთიკისაგან. თარგ. ს. ფაშალიშვილისა. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 173, ფასი 4 მან. 30 კაპ.
- ივანე თარბა — ლექსები და პოემები. რედ. კ. კალაძე. გვ. 109, ფასი 1 მან. 90 კაპ.
- კალე პოპოხიძე — მეგობრობის ბალი. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 98, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ანდრია სინაური — მზე და გული. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 159, ფასი 2 მან. 70 კაპ.
- სენზან ერთაწმინდელი — მოთხრობები და ლექსები. რედ. ე. ზედგინაძე. გვ. 148, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- შალვა აფხაძე — კრიტიკული წერილები. რედ. გ. გვერდწითელი. გვ. 288, ფასი 9 მან.
- რევაზ ჯაფარიძე — ხმა იდუშალი. რედ. ს. ჩიჭოყანი. ფასი 5 მან. 90 კაპ.
- ო. ჭილაძე — მატარებლები და მგზავრები. რედ. შ. აფხაძე. გვ. 62, ფასი 70 კაპ.
- სოფა ამჟალ აბასი — ინდური მოთხრობები, რედ. თ. შაიშვილი. გვ. 56, ფასი 1 მან. 10 კაპ.

„ნაკადული“

- მშობლიური სახელი — (ლექსები ლენინზე) რედ. ვ. კაჭხიძე. გვ. 26, ფასი 1 მან.
- შიო მღვიმელი — ნაბია და წყაბა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 20, ფასი 1 მან. 90 კაპ.
- ლუტუ მეგრელი — ჭინჭინა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 16, ფასი 2 მან. 10 კაპ.
- მარიჯან — ზურა ატვის ქალაქში. რედ. ლ. გეგელია. გვ. 258, ფასი 6 მან.
- ოთარ ჩიჩელაშვილი — ფოლადის ფრთებზე. რედ. ნ. შევლიძე. გვ. 264, ფასი 7 მან. 50 კაპ.
- ბორის ჩხეიძე — ხობის წყაროსთან. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 114, ფასი 2 მან.
- როდიონ ჭორქია — სხარტულა. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. გვ. 122, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- რევაზ ინანიშვილი — ბედნიერი მთა. რედ. ნ. ჩიჩაძე. გვ. 86, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- დორედაი — გერმანულიდან თარგმანი ლილია პაპასკირშია. რედ. ნ. კვაჭიძე. გვ. 130, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- ვიორგი ლომიძე — ომის გზებზე. რედ. ნ. ლორთქიფანიძე. გვ. 98, ფასი 1 მან. 80 კაპ.
- გივი მწელაძე — ენძელა და ბელურა. რედ. ნ. ჩხეიძე. გვ. 56, ფასი 1 მან.
- ა. გვლოვანი — ჯადოსნური მოგზაურობა. რედ. ნ. ჩხეიძე, ვ. ძიძიგური. გვ. 236, ფასი 6 მან.
- ოთარ ვაგიტაი — გაზაფხულის ქარები. რედ. ვ. კაჭხიძე. გვ. 54, ფასი 80 კაპ.
- სწავლა სიბერეძისის — (რჩეული ქართული ანდაზები) შეადგინა ვ. კაჭხიძემ. რედ. ა. ლლონტი. გვ. 158, ფასი 2 მან. 70 კაპ.
- ინდური ზღაპრები — თარგმანი ა. კაცსაძისა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 28, ფასი 1 მან.
- ნელია და ღათია — დამუშავებული ქ. ნადირაძის შიერ. რედ. ვ. კაჭხიძე. გვ. 14, ფასი 3 მან.
- ლევ კასილი — თეთრი დღოფლის სელა. თარგ. ბ. შევლიასი. რედ. ნ. აგიაშვილი. გვ. 222, ფასი 5 მან. 50 კაპ.
- ანატოლ ხოჭოროვა — სალამი დონს. რედ. ვ. კაჭხიძე. გვ. 74, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- ე. ბლიატონი — სახელგანთი იხვის კუჭუჭლი ტიმი. თარგ. თ. გორდელიასა. რედ. ქ. ნადირაძე. გვ. 35, ფასი 2 მან.
- პეტრე შაშაფა — კაპიტანი ბუხიძე. რედ. რ. ორჯონიძე. გვ. 38, ფასი. 60 კაპ.
- ლილიანა სტუფანოვა — როდობის მთებში გაზაფხულია. რედ. ვ. კაჭხიძე. გვ. 62, ფასი 80 კ.

ფან 8 ა.

6. 387/124



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»